


# მწიბნობა

1610

1995

1993-94

საქართველოს  
პარლამენტი



# მნიბნობარი

93-94

სამართველოს  
ილია ჭავჭავაძის  
სახელობის  
წიგნის მოყვარულთა  
საზოგადოების  
ალმანახი

გამოდის  
1980 წლიდან

34



090.1 + 801-82 + 801092



**ალმანახი „მწიგნობარი“ მოგვითხრობს  
წიგნებსა და წიგნის უმეგნეალებზე,  
კიეაებზე წიგნის საყაროში,  
კველ წიგნებზე,  
სხვადასხვა ქვეყნისა და მხარის  
ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებზე,  
წიგნისმოყვარულებზე.**

მთავარი რედაქტორი  
სოლომონ სუციშვილი

სარედაქციო საბჭო:

- მერი გუგუშვილი
- ვასტანო გურგენიძე
- შოთა კობიაშვილი (პ/მგ მდივანი)
- ელენე მაჭავარიანი
- ლევან მენაბდე (მთ. რედაქტორის მოადგილე)
- გივი მიქაძე
- ლია ნაღარეიშვილი
- ზაირა სტურუა
- აელო ღელეყვა
- რევაზ ღლონტი
- როსტომ ჩხეიძე
- აკაკი კიკიშვილი

მხატვარი ანჟორ თოდრია

საქართველოს  
საბიბლიოთეკო  
სისტემის ცენტრი



---

**ნიბნი  
და  
ცხოვრება**

სპეზ-2000  
შემოწმებულია

278-52  
21-2348  
~~21-2348~~

წიგნის ბეჭდვა ანადგურებს დროს: მისი წა-  
ლოებით ჩვენ ყველანი თანამედროვეები ვხდებ-  
ით.

ლამარტინი

ყოველი საუკუნე და ათასწლიანი კი თავის  
გამონახებულებას კოეფიციენტი კოულვოს.

უან ქრისტოიან ანდერსენი

## დიდი პოეტის შთაგონება

ცას, დედამიწას ადამიანურს  
 ვეფხისტყაოსნის სტრიქონებში ვხედავ არეულს.  
 გალაკტიონი

მე-20 საუკუნის პოეზიის ფუძემდებლის, გალაკტიონ ტაბიძის შე-  
 მოქმედება ჩვენი დიდი კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადი-  
 ციებზე აღმოცენდა. მე-19 საუკუნის ბუმბერაზების შემდეგ მოვიდა  
 იგი და თვითონვე გვითხრა: ქართულ ლიტერატურაში იწყება ახალი  
 ეტაპი, რადგან „წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დასრულ-  
 და დიდი“. ამ ახალი ეტაპის დამწყებად თვით გალაკტიონი გვევლინე-  
 ბა, რომლის, როგორც დიდი ხელოვანის, ნიშანდობლივი თვისება ჭეშ-  
 მარიტი ეროვნულობაა. ძველი საქართველოს დიდი კულტურა, მისი  
 დიადი ხელოვნება, ქართული კლასიკური პოეზია და კლასიკური მწერ-  
 ლობა უღვივებს „ქართული სულით მეოცნებე“ პოეტს ეროვნული სი-  
 ამაყის გრძნობას. გალაკტიონი მხურვალედ უმღერის ძველ საქართვე-  
 ლოს, ადამიანის უწმინდეს მოვალეობად მიაჩნია „ძველი ძეგლის დაც-  
 ვა“, რადგანაც, მისი აზრით, წარსულის ჯეროვანი შესწავლა და და-  
 ფასება მომავლის შექმნის საწინდარია. პოეტი შესცქერის მზის ანა-  
 რეკლივით მოთინათინე „ძველი ქართული ენის ძეგლებს“, ისმენს ძველ-  
 თაძველ ხმას ამ ხელნაწერებისა, სწუხს, რომ ბევრი დაკარგულა „ქამ-  
 თა სიავის“ გამო, მაგრამ სიამაყით აღავსებს იმის გრძნობა, რომ „არის  
 მზიური ნამის თოვება, რაც დღესდღეობით მოგვეპოვება“. ესაა ის,  
 რასაც პოეტი თავყანს სცემს: „მეთორმეტე საუკუნის მძიმე წიგნები  
 ყვითელ ქაღალდზე დაღალული ხელით ნაწერი“. მას სურს მიიღოს  
 „წინაპართა ელვარე თასი“, იამაყოს „მათი მხურვალე ოცნებებით“.  
 წინაპართა სახელოვანი ისტორია, „ქართლის ცხოვრებასა“ და „ვეფხის-  
 ტყაოსანში“ დანთებული ცეცხლი ბრიალებს გალაკტიონის სულში.  
 მისთვის განუყოფელია სამშობლოს ისტორია და რუსთველი — „სუ-  
 ლი ქართლის ცხოვრებისა, რუსთაველის აღმაფრენა“; იგი ეფიციება





მშობლიურ მიწას, რომ დაიცავს „უძველეს განძს, იმ უძველეს წიგნს“<sup>საქართველოს</sup>  
 ეს უძველესი განძი, უძველესი წიგნი — „ვეფხისტყაოსანი“ და მისი  
 ავტორი შოთა რუსთველი ყოფილა გალაკტიონის მძაფრი ინტერესის  
 საგანი და შთაგონების წყარო.

რუსთველისა და მისი პოემისადმი მიძღვნილ ლექსებში გალაკტი-  
 ონი წარმოგვიდგენს უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, მოხდენი-  
 ლად გვიხასიათებს მის პოემას. რუსთველის სული, მისი უქცნობი მხატვ-  
 რული სახეები, შორეული პოეტური ასოციაციები და რემინისცენცი-  
 ები გალაკტიონის მთელ შემოქმედებას გასდევს.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტი, მოჯადოებული რუსთვე-  
 ლის ჰანგით, პოულობს უცხო წალკოტს, სადაც „რუსთაველის სიმის-  
 თვის მზეს კალთა გადაეფინა“, სადაც ბარათაშვილისა და აკაკის უნა-  
 ზეს ხმებს ისმენდა გარინდებული მთა-ბარი და გალაკტიონიც აღიარ-  
 ებდა: „ამ ხმებს მასმენდნენ ყრმობისას ჩემი სამშობლოს ვერხვებიო“.  
 ეს ხმები მარად თან სდევდა ჭაბუკ პოეტს და იწვევდა ოცნებად ქცეულ  
 მხარეში, პოეზიის მხარეში. პოეტის მიერ ნაპოვნი უცხო წალკოტი კი  
 საქართველოა, მგოსანთა მხარე, სადაც უძველესი დროიდან რუსთვე-  
 ლამდე და რუსთველიდან ჩვენამდე რეკს ძლიერი ჩანგი ივერიისა, რო-  
 მელთანაც უძღური აღმოჩნდა „ათასი ჩინგის, მაჰმადხანი და თემურ-  
 ლენგი“. საქართველოს უძველეს ერს გმირული პოეზია უნათებს თვა-  
 ლებს და პირველი, ვის სახელსაც უდიდესი მადლობის გრძნობით ახ-  
 სენებს პოეტი, არის რუსთველი, რადგან:

„პოემა ვეფხის —  
 პოემა  
 გრძნობის მზიურის,  
 სიყვარულისა,  
 თავდადების,  
 გმირობის, სიბრძნის“.

გალაკტიონი არაერთგზის მიუთითებს, რომ რუსთველი ბრწყინვა-  
 ლედ გამოხატავს უნაზესი სიყვარულისა და უანგარო ძმობა-მეგობრო-  
 ბის უკვდავ იდეებს. პოეტმა იცის, რომ „მთლად საქართველო, როდეს-  
 საც ის შრომობს და იბრძვის“ შთაგონებულია „ვეფხისტყაოსნით“,  
 იქიდან იღებს შრომისა და გმირობის მაგალითებს. თუმც ბევრი სისხ-  
 ლი დაიღვარა, დაუნდობელი მტრის წინაშე „ამაყი ქედი პოეზიამ არ  
 მოიხარა“. ეს იმიტომ, რომ გვეყავდა რუსთველი, რომლის უკვდავ სულს  
 „ზეშთაგონება ასულდგმულებს და აძლევს იმედს“. და, „თუმცა რუს-



თველის სამარეც კი დაკარგულია“, დაგვრჩა ვეფხის ბრწყინვალე პოემა, რომელიც შოთას უკვდავების საწინდარია.

ახალი ეპოქის მომღერალი პოეტი ამაყობს იმით, რომ გზას მშვენიერი წიგნები გვიშუქებენ, პირველ რიგში კი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ვეფხვურ სიფიცხესა და სიმამაცეს ჰმატებს ადამიანს: „გაშლი ვეფხისტყაოსანს და ვეფხად გადაიქცევი“. ეს სიმამაცე განსაკუთრებით საჭირო იყო დიდი ომის დღეებში და გალაკტიონი ლექსში „ჩვენი საზღვრები გადმოილახა“ მოგვითხრობს, რომ ომში მიმავალ მკედელს სატრფო ერის სასიქადულო წიგნს — „ვეფხისტყაოსანს“ ატანს. ომის დღეებში პოეტი ხალხს და არმიას მოუწოდებდა განემტკიცებინათ ურთიერთმეგობრობა და გულთა შორის კავშირი, რაც გვასწავლა უბადლო მეგობრობის მომღერალმა რუსთველმა.

პოეტის აღფრთოვანებას იწვევს ვეფხისტყაოსნის ღრმა აზრი, მისი სიბრძნე; „ცას, დედამიწას, ადამიანურს ვეფხისტყაოსნის სტრიქონებში ვხედავ არეულსო“, — აცხადებს იგი. ესაა პოემა, რომელშიც ინდოეთის უძველესი სამწერლობო ენის — სანსკრიტით ძველია ყველაფერი, მაგრამ მუდამ ახალი, როგორც აღმოსავლეთი — მხარე მარადიული სიახლისა. და ეს იმიტომ, რომ, როგორც ლექსის „პოემა ვეფხვისა“ ერთ აქტოგრაფში იკითხება, „ადამიანი აქ მაგიურ ღმერთებს ედრება, ღმერთები თითქო ედრებიან ადამიანებს“. შთამომავლობანი ერთმანეთს ცვლიან, გადავიდა საუკუნეთა „მღვრიე მრავლობა“, მოწამე გავხდით პოეზიის უკვდავებისა. მრავალთა აღტაცება სდევდა თან რუსთველის რაინდულ სულს, მან შექმნა პოეზია მარადისობისა, ხოლო პოეზია არის ყავარი, „რითაც იფარავს ძველს ისტორია“, რუსთველი „იყო გრიგალი, იყო შერყევა, იყო მსოფლიო ძალა — უგემო“, ამიტომ არის რომ „ქვებიც გამომსხდარან მოსმენად მშვიდი“, აქ გალაკტიონს გამოუყენებია რუსთველის მეტაფორული სტრიქონი აეთანდლის ნაღვლიანი სიმღერის მოსასმენად, რომ „წყლით ქვანიცა გამოსხდიან“.

პოეტს ღრმად სწამს: „ვეფხისტყაოსანს“ — პალმის ფოთლებზე სისხლიანი ცრემლით დაწერილს ან სპილოს ძვალზე სასოებით ამოკვეთილს — შეინახავს აღმოსავლეთი, პერგამენტების კეთილი ჩრდილი, საუკუნეებს, „დროთა ბანაკებს“ გადააშორებს, ჩამოაცილებს ყოველდღიურობის მტვერს და ახალ-ახალი დიდების მოწმე იქნება იგი. რუსთველის სიდიადის შეგნება, „ვეფხისტყაოსანი“ უნერგავს პოეტს რწმენას,

„რომ სულ შემთხვევით ჩამარხულებს და ჩაკალულებს ჩვენ აღმოვაჩინთ ძველი დროის ძველ წიგნთსაცავეს, ომიანობის დროს სადმე გადაძალულებს“.



რუსთველის სული მარად თან სდევდა გალაკტიონს. ამ „ერთი ვინმე მესხი მელექსის“ აჩრდილი და მისი ვეფხის სიმბოლური სპექტაკლი თან ახლდა „მესხებისა და ვეფხვების სამშობლოში“ — მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობისას, როცა იგი მთელი გზნებით უმღეროდა ამ მხარის სიძლიერეს, მის მომავალ აღორძინებასა და აყვავებას. გალაკტიონის სიტყვით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არის „მესხი მელექსე“ — „შმაგი ვით ვეფხი დაჭრილი“, ოცნებისათვის რომ გაჭრილა „მშობლიურ მთასა და ველებზე“. ის „ერთი ვინმე მესხია“, ვინც უკვდავების სხივი მოჰქონა არეს, რადგან „ვეფხვების შემოგარეებს სხვა ვერვინ იტყვის მესხურად“. მესხის ციკლის ლექსებში, პოეტი უმღერის ნამდვილი მესხის გამოხედვას, რომელიც გასდევს სხივად შთამომავლობას და, რადგან „ქართველში გამოხედვია იმ ერთი ვინმე მესხისა“, არავითარ გრიგალს არ შევეუშინდებით. ეს „ერთი ვინმე მესხი“ რუსთველია, ვისითაც ამაყობს ქართველი — დიდებული შოთა, ერის სიქადული, მზეთა მზე, ღვთაებრივი, „უსაყვარლეს სამშობლოს მშვენება“ — გალაკტიონი არ იშურებს ეპითეტებს შეამკოს ქართველი ხალხის ჩაუქრობელი გენია, რომელმაც ბრწყინვალედ გამოსცადა „ომთა გრგვინვა და დროშები თამარ მეფის დროთა“. ახსოვთ გორს, ასპინძას, მცხეთას, რამდენჯერ შეხედა სიკვდილს თვალებში, მაგრამ სიკვდილმა ვერაფერი დააკლო „უჭკნობ დაფნის რტოფა“, უკვდავების მატარებელ დიდებულ შოთას, რომელმაც „ვეფხისტყაოსნით“ გამარჯვება იზეიმა. პოეტს აღაფრთოვანებს შემდეგი: მეგობრობის ისეთ ძალას უმღერა რუსთველმა, რომ არ არსებობს ისეთი ქაჩეთის ციხე, ძმადშეფიცული მეგობრობის მკლავმა ვერ დალწოს. მარადიული ისეთ გმირთა უკვდავებაა „თინათინის და ნესტანის სიყვარულის ღირსი“ რომ არიან. „ვეფხისტყაოსნის“ გმირ ჰაბუყებს რომ ედარებიან, მარგალიტებად და ოქროდ იღვრება რუსთველის სიტყვის შადრევანი, საარაკოა „ცემა ჩოგანთ შნოთა“, უსასრულო სიყვარულით თრთის მისი გული და ამიტომაც, რომ მის „გარშემო ყველა დროის მღელვარება რბოდა“.

გალაკტიონს დაუპირებია დაეწერა პოემა „პირველი მაისი“, რომლის გმირი მესხი უნდა ყოფილიყო. ამ პოემის შექმნაზე მას წლების მანძილზე უმუშავია, შეუქმნია ციკლი ევასა და რატიზე, რაც შემდეგ ცალკე პოემებად დაუშლია და ცალ-ცალკე დაუბეჭდავს. ეს პოემები თანამედროვეობის თემაზეა, მაგრამ უღაოა, რომ იმ „ერთი ვინმე მესხი მელექსის“ შთაგონებით იქცა მესხი გალაკტიონის თხზულებების ერთი ციკლის გმირად. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ ციკლის ნაწარმოებებ-

ში იგრძნობა რუსთველის სული, დასტურდება „ვეფხისტყაოსნის“ ციაციით მიღებული სახეები და სტრიქონები.

„ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები გალაკტიონს გამოუყენებია თავისი ლექსების ეპიგრაფებად. 1944 წელს აჭარის გამომცემლობამ გამოსცა კრებული „ოქრო აჭარის ლაქვარდში“, რომელიც ზღვისპირეთს, აჭარას მიეძღვნა და რომელშიც შესულ სამოცდათხუთმეტივე ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს რუსთველის სტრიქონები, ამით გალაკტიონმა დაასაბუთა თავისივე თვალსაზრისი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ზღვა გულგრილად არ არის დახატული, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მესამედი ზღვის ასპარეზზე იშლება, ზღვის მოტივზეა აგებული“. თუ კრებულში შეტანილ ლექსებს და მათ ეპიგრაფებს ერთმანეთთან მიმართებაში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ვეფხისტყაოსნის გულანშარო და, განსაკუთრებით, მულლაზანზარი გალაკტიონს გაუაზრებია როგორც შავი ზღვის სანაპირო — აჭარა. ამასთან, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ეპიგრაფი შერჩეულია მოხდენილად და შეესაბამება ლექსის სულისკვეთებას. კრებული — „ოქრო აჭარის ლაქვარდში“ — სწორედ ამ თვალსაზრისით იწვევს დიდ ინტერესს. ამ კრებულის მიხედვით გალაკტიონი „ვეფხისტყაოსნის“ უბაღლო მცოდნედ და დამფასებლად წარმოგვიდგება. შავი ზღვის სანაპიროს მომხიბლავი ფერადების აღწერისას პოეტს გულანშაროს და მულლაზანზარისადმი მიძღვნილი რუსთველის სტრიქონები გამოუყენებია და ამ მსგავსების ჩვენებით ეგების ისიც გვითხრა, რომ გულანშაროს და მულლაზანზარის აღწერისას რუსთველის შთავგონება სწორედ საქართველოს ეს ერთი უმშვენიერესი კუთხე იქნებოდა.

ყოველივე ზემოთქმული იმის დადასტურებაა, რომ გალაკტიონი დიდადაა შთავგონებული რუსთველით. რუსთველია ის ჩანგ-სხივოსანი მგოსანი, რომელიც იწყებს დაფნის გვირგვინით შემკულ პოეტთა რიგს. ესაა ექვსი მგოსანი: რუსთველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, რომლებიც ჩამოთვლილია ლექსში „ო, ნანა, ნანა, ნანა“.

გალაკტიონი ხშირად მიესალმება შვიდ სახალხო მგოსანს, შვიდ დაფნის გვირგვინოსანს, მაგრამ ჩამოთვლილია ექვსი: რუსთველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა (ლექსები: „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „შოთასი, დავითიანის“). უკანასკნელი ლექსის ერთ ავტორაფში გალაკტიონი მეშვიდედ თავის თავს ასახელებს, ასევე ლექსის „თენდება, გათენდას“ ერთ ვარიანტში გალაკტიონი წერს:



„ავიღებ ზელში ისევ შოთას,  
მეუო სიმშვიდე,  
მე ჩვენთა დროთა ავაგებ ოდას,  
რაცხვით მეშვიდეს“.

ლექსში „რარიგ კარგია, სამშობლო“ ოთხივე სტროფი ბოლოვდება სტრიქონით შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და მრავალწერტილი. ჩანს, მრავალწერტილი პოეტმა თანამედროვეობას მისი სახელის უკვდავსაყოფად დაუტოვა. ეს ასეც მოხდა. შთამომავლობა მიუხვდა ჩანადიქრს და ლექსს ასე კითხულობს:

„რარიგ კარგია, სამშობლო,  
შენი მტკვარი და რიონი,  
შოთა, ილია, აკაკი,  
ვაჟა და გალაკტიონი“.

„ცხრა ანბანია ხმა რუსთაველი, ცხრა ანბანია გალაკტიონიც“, — წერს გალაკტიონი ლექსის „ელვარე და ლომფერი“ ერთ ვარიანტში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გალაკტიონის აზრით, მაინც რუსთაველია მამამთავარი ქართული პოეზიისა. ლექსი „სადღეგრძელო იყოს მისი“ იმდენადაა გამსჭვალული პატრიოტული სულისკვეთებით, რომ მკითხველის თვალწინ დგება საქართველოს წარსული, მის სადღეგრძელოდ ფეხზე ამდგარი პოეტი, რაც ბუნებრივად იწვევს რუსთაველის ასოციაციას. მართლაც, ლექსის ერთ ვარიანტში იკითხება:

„ვადღეგრძელოთ რუსთაველი —  
ჩვენი მამამთავარი“.

და შემდეგ:

„სადღეგრძელო იყოს ძმებო,  
ვინც დანდობა არ იცის, —  
სადღეგრძელო იყოს მეფის  
გალაკტიონ ტაბიძის“.

შეიძლებოდა გვეფიქრა, როგორც ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ლექსის ეს ვარიანტი შექმნილია 1921 წელს გალაკტიონის „პოეტების მეფის“ სახელის მოსაპოვებლად გამართულ კონკურსში გამარჯვების შემდეგ (ძირითადი ვარიანტი აკადემიურ გამოცემაში დათარიღებულია 1919 წლით), მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ გალაკტიონი „პო-



ეტების მეფედ“ არჩევის გარეშეც უწოდებდა თავს პოეტ-მეფეს. „რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდებიო“, — წერდა ის „მთაწინდის მთვარეში“ და თავის ჩანაწერებში განმარტავდა: „რომ მეფე ვარ და პოეტი“ მქონდა ასეთი ფრაზა „მთაწინდის მთვარეში“. ეს ლექსი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პოპულარულია, საკმარისად შესწავლილი არ არის, როგორც ერთ-ერთი გასაღებთაგანი ჩემი შემოქმედებისა...

„მთაწინდის მთვარე“ ჩემი პროგრამული ლექსია, რომელიც კონკრეტულად ასახავს ჩემს დამოკიდებულებას კულტურული მემკვიდრეობისადმი“.

სწორედ ამ ლექსში გალაკტიონი აშკარად და გაბედულად ამოუდგა წინაპრებს გვერდში. „რომ წაყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი“, — წერდა ის და ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ ჰქონდა შეგნებული პოეტს თავისი სიდიადე. და მართლაც, ეს ხომ ის პოეტი იყო, ვისაც თავისუფლად შეეძლო ეთქვა: „მაქვს მკერდს მიღებული ქნარი როგორც მინდო“, ვინც თავისი ჯადოსნური სიმღერებით უკვდავება დაიმკვიდრა. აკი კიდევ წინასწარმეტყველებდა: „შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს, შენ უკვდავების ხარ ბინადარი“. ეს წინასწარმეტყველება მის სიცოცხლეშივე იქცა ფაქტად და გალაკტიონმა, რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას დიდი პოეტური ტრადიციების გამგრძელებელმა, სამართლიანად დაიმკვიდრა მათ გვერდით ღირსეული ადგილი.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელს შთამომავლობა მზიური თამარის სახელს უკავშირებს. მეფე ქალმა შთააგონა პოეტი, რათა „ვეფხისტყაოსანი“ შეექმნა, ხოლო ეს უკანასკნელი ჰიმნია ნათელმოსილი თამარის სადიდებლად აღვლენილი. გალაკტიონის აზრით, თამარი „ეს წყაროა — ჭეშმარიტების, სიკეთისა და სილამაზის, სული პროგრესის და ჰუმანიურობის“, რომელსაც შთამომავლობა მე-12 საუკუნის დიდებს, მთებსა და სერებზე აღმართულ ციხე-კოშკებს მიაწერს. თამარი ის ოცნებაა, რომელიც მარად თან სდევდა რუსთაველის უკვდავ სულს.

„თამარის დაშლილი თმის შავი გიშერის რუსთაველს მზიურს თან წაყვა ვედრება“.

კვითხულობთ ლექსი „დრო“-ს ორივე ავტორგრაფში. უნდა შევნიშნოთ, რომ გალაკტიონის ამა თუ იმ ლექსის თავდაპირველ ვარიანტში კონკრეტული სახეები მეტია. ხშირად ლექსის სა-



ბოლო ვარიანტში ეს კონკრეტული სახეები განზოგადებული და მხოლოდ ვარიანტების შესწავლა მიგვანიშნებს, თუ რამ შთაავონა პოეტს ამა თუ იმ ლექსის შექმნა. ამის მაგალითია სწორედ ლექსი „დრო“, რომლის დაბეჭდილ ვარიანტში უკვე აღარ ჩანს თამარი და რუსთველი. ასეთი მაგალითები სხვადას, როცა ვარიანტების შესწავლა ადასტურებს, რომ ლექსი რუსთველითა და მისი „ვეფხისტყაოსნითა“ შთაგონებული. მეფე ქალის ასოციაციით უწოდა თამარი პოეტმა „მშვიდობის წიგნის“ ერთ მოქმედ პირს, რომელიც თინათინის პროტოტიპია. ეს ის ქალია, ტარიელს რომ ავალებს მოძებნოს დაკარგული მშვიდობის წიგნი, ერის მიტაცებული სული. და როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელმა ახალგაზრდობის საუკეთესო, უზომო ტანჯვით აღსავსე ათი წელი შეაღია ნესტანის ძებნას, სანამ ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებას იხეიმებდა, „მშვიდობის წიგნის“ საქმენელად წასული გმირი, რომელიც ხალხის ძვირფას ტრადიციებს იცავდა და რომელმაც მრავალი დაბრკოლება გადალახა, ათი წლის შემდეგ „წიგნით მოიჭრა, უძველეს წიგნით“. ერმა დაიბრუნა „მშვიდობის წიგნი“ — თავისი მიტაცებული სული, რამაც სახალხო სიხარული გამოიწვია.

„ვეფხისტყაოსნის“ ტარიელის სახითაა შთაგონებული პოემაში „სინათლის ყვავილი“ თამსირის სახე, რომელიც ასი წლის შემდეგ, სინათლის ყვავილით ხელში, ვეფხვის ტყავით შემოსილი ჭირნათლად ბრუნდება სატრფოსთან.

გალაკტიონი ზოგჯერ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების სახელებით ნათლავს თავის გმირებს და მათ დასახასიათებლად იყენებს რუსთველურ ეპითეტებს. ხშირია გალაკტიონთან რუსთველური მეტაფორების, ეპითეტების, შედარებების, ალიტერაციებისა, სინონიმებისა და სხვა მხატვრულ ხერხთა გამოყენება. პოეტს ხიბლავს „ვეფხისტყაოსნური რითმათა მთოვარება“, რუსთველი მისთვის არის „უდარებლად მკოდნე ლექსის ხერხის“. ის არის მამამთავარი ქართული პოეზიისა, მწვერვალი ყოველივესი, რაც შეუქმნია ქართველ ერს დასაბამიდან დღემდე. ამიტომაც რომ დროის უსაზღვროებამ მარადისობის სტივით შემოსა იგი. რუსთველი არა მარტო წარსულის სიდიადის მაუწყებელია, არამედ ისაა „აწმყოს დიდება დიდი“.

## მესხის გამოხედვა

ის გამოხედვა მზიური  
შვილთა ვალი და სესხია,  
შეგრძნება ტიტანიური,  
იტყვი: ნამდვილი მესხია.

ის გამოხედვა, სხვა, წრფელი,  
ვერავის ვერ მოესყიდა  
და ამაყობდა ქართველი  
იმ ერთი ვინმე მესხითა.

იმ გამოხედვით არეებს  
უკვდავი ცა მიესხურათ,  
ვეფხვების შემოგარეებს  
სხვა ვერვინ იტყვის მესხურად.

ის გამოხედვა გასდევდა  
შთამომავლობას მესხივედ,  
იბრძოდა, თავს გადასდებდა  
თავგანწირული მესხივით.

არის ტალღათა მოხეთქვა  
ძლიერი, არ უნებური.  
მითხარით, სხვა გამოხედვა  
სად არის მესხისებური?!

გრიგალია თუ სეტყვაა,  
არ მეშინია მე სხვისა,  
ქართველში გამოხედვაა  
იმ ერთი ვინმე მესხისა.



ვერ ვინმე მესხი მელექსე,  
რაც კი მივლია მე გზები,  
ჯერ ლექსი მწვავედა, მერე მზე,  
ჯერ მზე და მერე ლექსები.

იყოს ნაკვეთი შაირი,  
როგორც ნასროლი ისარი,  
ხან სროლა ქუხილნაირი,  
ხან რხევა სამაისარი,

ხან საკვენესარი დაირი,  
ხან ჩანგი მოდაისარი.  
ის არი სუნთქვა, ჰაერი,  
მთელი სიცოცხლე ის არი.

შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი,  
მშობლიურ მთა და ველბზე,  
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი  
მე, ვინმე მესხი მელექსე.

## მარადი მყოფად

ქართული მწერლობის „უამთა სიავის“ ქრონიკებში — „ჩაკლულ სულ“-ში თითქოს წინასწარაა ხილული და განცდილი ბედი გრიგოლ რობაქიძისა, სამშობლო მისი, საყვარელი მიწა რომ საბედისწეროდ მიატოვებინეს და გაუგონარ წამებაში დასწვეს<sup>1</sup>.

გრიგოლ რობაქიძე დაიბადა 1880 წლის 28 ოქტომბერს, დასტოვა საბჭოეთი 1931 წელს, როცა „დემონური ფაზა ბოლშევიზმისა არ იყო დაწყებული“ და აღესრულა 1962 წლის 9 ნოემბერს უნევეაში, საიდანაც წმინტის 22 ოქტომბერს გადასვენებულ იქნა ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულში“ მოლექულურად არის განხილული თუ რა ემართება ადამიანს „ბოლშევისტურ არეში“. საბჭოთა მოქალაქე რობაქიძეს პატივყრილ ქალწულს აგონებს. მისი თქმით, „ეს გაფიქრებული ქალწული ვერასოდეს მიაღწევს სიყვარულს გამაპატიურებელთან...“<sup>2</sup>

დატოვა რა საბჭოეთი იდეოლოგიური მოსაზრებით, 1931 წელს გრიგოლ რობაქიძე იძულებით ემიგრაციაში წავიდა, — რადგან „საბჭოეთში ყოველი ცალკეული ნუმერია მხოლოდ და ნუმერი — ნაკელი ეგრედწოდებული „სოციალისტური მშენებლობისათვის“. დღევანდელი მოდგმა ნაკელად ეფინება ზვალინდელს, ზვალინდელი სხევე უნდა ეფინებოდეს მომავალს და ასე დაუხრულებლად. რაც ნოყიერდება ნაკელით, არის მხოლოდ კოლექტივი — ბნელი და უსახო...“<sup>3</sup> ასეთ ბირობებში ცხოვრება აუტანელს ხდიდა შემოქმედებით მოღვაწეობას...

<sup>1</sup> აკაკი პაპავა, „მცირე უწყება გრიგოლ რობაქიძისათვის“, „კავკასიონი“. პა-  
 რიზი, IX, 1964 წ. გვ. 24.

<sup>2</sup> ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან, „სახალხო განათლება“. 15. 11. 89, გვ. 9.

<sup>3</sup> გრიგოლ რობაქიძე, მიმართვა ახალგაზრდობისადმი, კრებული „გრიგოლ რო-  
 ბაქიძე“, მიუნხენი, 1984, გვ. 7.

„გვილის კარანგი“ შემოიღა მართველთა შეზღვივაში,  
როგორც ცოცხალი მითოსი ხალხის ღვინავისა.  
ამ შემთხვევაში: მართველთა.

გრიგოლ რობაქიძე

თვალსაჩინო ირლანდიელ მწერალს, ჯემს ჯოისს, ჩვეული გონება-  
მხვილობითა და თვითირონიით უთქვამს: „მე იმდენი ენიგმა და თავ-  
სატეხი გამოცანა შევიტანე „ულისეში“, რომ პროფესორები საუკუ-  
ნეებს მოანდომებენ იმაზე კამათს, თუ რას ვგულისხმობდი, ეს კი ერ-  
თადერთი საშუალებაა კაცმა უკვდავება გაინაღდოსო“.<sup>1</sup>

ასეთი ენიგმების, ლაიტეზების, ალუზიების, სალტო-მორტალეების  
თუ სალტო-ვიტალეების სიუხვით ბევრად არ ჩამოუვარდება „ული-  
სეს“ გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“. „გველის პერანგი“ ანა-  
თებაა კარდუს მზეოსანი სახის. ხოლო საქართველო, — გრიგოლ რობა-  
ქიძის თქმით, — გამოდის კარდპუდან მეტაფიზიკურად, ლაშარში მხილ-  
დება მითიურად, დავით აღმაშენებელში მყარდება ისტორიულად. ამ  
სამ სახიერებაშია მოქცეული მთელი მისი ყოფა“.<sup>2</sup>

ნაწარმოების ორიგინალობა უპირველესად მხატვრული დროისა და  
<sup>1</sup> იერცის ნოვატორული ხილვით ვლინდება. „აქ ერთმანეთსაა გადაჯაჭ-  
ვული სიმბოლური და რეალური პლანი, ოღონდ სიმბოლო ახსნას მო-  
ითხოვს არა მარტო რეალური, არამედ მითოსური და ბიბლიური ანა-  
ლოგიებით. ეს რამდენადმე ართულებს ნაწარმოების სწორად წაკითხ-  
ვას.“<sup>3</sup> „გველის პერანგში“ ძნელია ლაპარაკი რომელიმე კომუნიკაციურ-  
ფუნქციონალური ტიპის სიწმინდეზე, რადგანაც რომანის ორპლანოვ-  
ნება („გრიგოლ რობაქიძის ასტრალური სახეების თეორიას გადააქვს  
იდეალი რეალურ სამყაროდან სიტყვის უხილავ სფეროში“. — ვ. გაფ-  
რინდაშვილი), რეალური პლანის ჩართვა პერსონაჟების მსჯელობაში,  
ასოციაციათა თანამიმდევრობა და მონაცვლეობა განაპირობებენ ფორ-  
მალურ-გრამატიკულ მახასიათებლებს.

„გველის პერანგში“ გრიგოლ რობაქიძის თხრობის პრინციპი ნა-

<sup>1</sup> ჯემს ჯოისი, ულისე. თარგმანი და წინასიტყვაობა ნიკო ყიფიანაშვილისა,  
თბ., 1983, გვ. 8.

<sup>2</sup> გრიგოლ რობაქიძე, ბარათები ბოდენის ტბიდან, „ლიტერატურული საქარ-  
თველო“, 14. 02. 1992.

<sup>3</sup> მაკო ჯანჭიბუხაშვილი, მარადისობის მისტერია, „ლიტერატურული საქარ-  
თველო“, 7. 10. 1988 წ.



25876  
K-222-348  
7

გრიგოლ რობაქიძე

2. „მწიგნობარი — 93-94“

საქართველოს  
ბიბლიოთეკა  
25876  
K-222-348  
7





წარმოების მხატვრულ-არქიტექტონიკურ და ენობრივ-სტილურ თავეთს  
 სებურებებს განსაზღვრავს. უპირველესად იგი თხრობას კი არა, თხრო-  
 ბა-ჩვენებას (say and show-ს) გულისხმობს. „სიტყვა აქ თვალისა და  
 როგორც თვალი: მზერა, ხილვა, ქართულ სიტყვაში „მზერთ“ მოვლენ-  
 ხას, ხილულობთ მას“ (გრ. რობაქიძე). ეს საფუძველს გვაძლევს გა-  
 მოვთქვათ ვარაუდი, რომ საანალიზო რომანში წინადადების დანიშნუ-  
 ლებაა თხრობასთან ერთად მოთხრობილის აღუზირება და მწერლისე-  
 ული ჩანაფიქრის მკითხველამდე მინიშნებული სახით მიტანა.

გრ. რობაქიძე: „მე მსურს ავსახო საგანი არა ისე, როგორც არსე-  
 ბობს საგანი თვითონ, მაგრამ არც ისე, როგორც ჩემს შთაბეჭდილება-  
 შია იგი ახატული, არამედ ისე, როგორც არის ის გარდაქმნილი ჩემს  
 სულში. მთელი ენერჯია საგნის გარდაქმნისათვის, არა ნაკლები — ეს  
 იქნება ექსპრესიონიზმი“.

ექსპრესიონისტები წერენ თითქოსდა ციებ-ცხელებაში, მათი სტი-  
 ლი ანტითეატურია, აღბეჭდილია ემოციური ერუპციებით, ისინი „ხანჯ-  
 ლებით ლაპარაკობენ“.



„დროთა კავშირი დაიკლვა და ყველგა გიდად  
 მი რად მარბუნა მისი შიშაკრა“...

**კამელები**

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში „გველის პერანგი“ წარმოგ-  
 ვიდგება, როგორც მარად ქმნადი მითი, ისტორიის საკრალური ორე-  
 ული, მისი იდეალური „თაურფენომენი“ ანუ „პირველსახე“.<sup>1</sup> „ყოვე-  
 ლი ადაბიანი ეფემერული ძეა, რომელიც თავის წილში მარადიულ  
 მამას ითავსებს. ჩემი ხელოვნების მიზანდა ვპოვო და გამოვთქვა ძის  
 მიღმა მამის უხილავი არსი“,<sup>2</sup> — წერდა გრ. რობაქიძე.

ფუნდამენტურ ნაშრომში „გონის ფილოსოფია“ (1817) პეგელი  
 განმარტავს: „მამა ღმერთი ეს მარტივად ზოგადი, თავისთავში მყოფი,  
 თმობს რა თავის მარტობას, ქმნის ბუნებას (თავისთავისთვის გარე-  
 განს, თავის გარეთ მყოფს), წარმოშობს ძეს (თავის სხვა მე-ს), მაგრამ  
 ამ სხვაში თავისი უსასრულო სიყვარულის ძალით, იგი თავის თავს

<sup>1</sup> დოდონა კიზირია, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ რუსულ-ევროპული  
 სიმბოლიზმის კონტექსტში, „ლიტერატურული საქართველო“, 2. 06. 1989.

<sup>2</sup> ნიკოს კახანძაქისი, „ტოდა რაბა“, „ლიტერატურული საქართველო“, 1. 01.  
 1986.

ჭერეტს. მასში თავის მსგავსებას სცნობს და მასში თავისთავთან თიანობას უბრუნდება.<sup>1</sup>

„გველის პერანგი“. შვილი, რომელსაც საქართველო სიზმრად ახსოვს, დაეძებს დაკარგულ მამას, „მამის“ ძებნაში იძვრის თანდათან, მეტი და მეტი სიმძაფრით, შორეული ფესვი: „მამული“, „მამულის“ ნახვაში იელვებს ხანდისხან: თაური ყოვლისა „მამა“ უზენაესი, ერთი რკალი მოიცვის მეორეთი, მეორე — მესამეთი. აქ „მოცვა“ სრულდება. გმირის თავგადასავალი: ჭარვეან — წინსვლა, შინაგან — უკუქცევა. განცდა: „ნაყოფი“ — „მარადი მყოფადი“.<sup>2</sup>

„გველის პერანგი“ გრ. რობაქიძეს ჩაესახა 1917 წლის ზაფხულში, ჰამადანში, დაწერა 1925 წელს ბორჯომში. რომანში აბსტრაქტულ და სპირიტუალურ წარმოდგენას აღმოსავლეთისას წინაღუდგება დასავლეთის კონკრეტული და მატერიალური აზრი.

ნაწარმოების დასაწყისში ამერიკელი მილიონერი, ფერგიუს ურვოორი ზეიმობს დაბადების დღეს. უცქერს კინოჭრონიკას: „ერცყერცოგი ფრანც ფერდინანდ მოჰკლა სარაევოში სერბიელმა პრინციპიმ“... იქვე ფერგიუს ურვოორ ტილოზე კითხულობს როგორც ძველი ნაბუქოდონოსორ: „მან ტელეკ ფარეს“ („გველის პერანგი“, თბ., 1988, გვ. 23). არჩიბალდ მეკეში მოწვეულთა შორისაა... ძველი ბაბილონის მაგიური სიტყვები სმენაში ტყვიასავით ჩაესმის. არჩიბალდ მეკეშს არავინა ყავს: არც დედა, არც ძმა, არც დაჰ, სხვა ნათესავი. არც მამა?! — სადაა — ვინ იცის, მეკეში თავბრულახვეული ატომი. სხეულს გარე — რეტდასხმული მოხეტე — სევდითა და ნალველით“...

„გველის პერანგში“ გზის მოტივთანაა დაკავშირებული მთავარი გმირის, არჩიბალდ მეკეშის ძიება; იგი არის „შვილი, რომელსაც სიზმრად ახსოვს საქართველო და დაეძებს დაკარგულ მამას“. მაგრამ მისი მოგზაურობის მიზანი, ავტორის თქმით, სამსახოვანია. არჩიბალდი ეძებს მამას, მამულს, მამას უზენაესს. ამიტომ ამ მოგზაურობას საკრალური რიტუალური მნიშვნელობა აქვს, იგი დაკავშირებულია გარკვეულ ინიციაციასთან, გრძელი და მცდელი მოგზაურობის დასასრულს გმირს ელის ჭეშმარიტებასთან ზიარება, მისი მიგნება, ხილვა, ნათლისღება და, მამასადამე, ნეტარება. „ნეტარ არს შვილი, რომელიც მამის წიაღს უბრუნდება“, — ამბობს ავტორი.

წერილში „ავთანდილის ანდერძი“ ზურაბ კიკნაძე განიხილავს მა-

<sup>1</sup> ჭეგელი, გონის ფილოსოფია, თბ., 1984. გვ. 28; თარგმანი ნოდარ ნათაძის.

<sup>2</sup> ვრდოლ რობაქიძე, სათავენი ჩემი შემოქმედებისა, „საბჭოთა ხელოვნება“, 1989 წ., № 4.



მათა და შვილთა მიმართების პრობლემას: „დროთა კავშირი დაპირება და წყუელმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა“. ამ გამონათქვამის აზრს თუ დავავიწროებთ და დავალთ მის პირველად მნიშვნელობად, ეს იქნება ფორმულა იმ შვილის მდგომარეობისა, რომელსაც დაკარგული ჰყავს მამა და ეძებს მას არა სხვაგან სადმე, თავის გარეშე, არამედ საკუთარ თავში. ესენი არიან შვილები, რომელნიც ვერ ვადაზრდილან მამაში. და, თუმცა მათ ცნობიერებაში ღვიძავს მამობის შეგნებას, მაგრამ ამას არა აქვს საყრდენი რეალობაში!...

ზურაბ კიკნაძის თქმით: „ფინიკიაში არსებობდა მითოსი მამა-ღმერთზე და მის ძეზე, მეღქართზე, ანდრეზი ხალხს ახსენებდა ძველ ჭეშმარიტებას — როგორ გადაიზარდა შვილი მამაში, როგორ იცვლება ჟამთა სვლაში შვილი მამად. მამა ღმერთი — „მეუფე წელიწადი“ ტახტზე ზის; შვილი გარეთ არის გასული, ის შეიძლება დევნილიც იყოს, თითქოს იძულებით განდევნილი თავისი შობის ქალაქიდან; ის წუთისოფელშია, — რაკი წუთისოფელი შვილის ასპარეზია — ჟამთა სვლას დამორჩილებული... ზოლო როცა წელიწადი ბოლოებს შეიკრავს, მეღქართი, ძე, ბრუნდება ქალაქში ტახტის დასაკავებლად, რადგან ტახტი ცარიელია, რადგან მამამ გასცა წელიწადები და თავი ამოწურა“...<sup>2</sup>

ვერტიკალურ ვექტორზე სვლით არჩიბალდ მეკეში ისწრაფვას აღმოსავლური სამყაროდან დასავლურისაკენ. სამხრეთი აქ აღმოსავლეთის დუბლიკატია, ჩრდილოეთი — დასავლეთის. სწრაფვა აღთქმული ქვეყნისაკენ (საქართველო) აღბეჭდილია ბიბლიური ალუზიებით. ვრიგოლ რობაქიძის ღირებულებით-ნებელობითი ცენტრი არა აწმყოში, არამედ წარსულში — ისტორიულ წიაღსვლებში გადააქვს. დოდონა კიხირიას თქმით, — „არჩიბალდის საქართველოსაკენ მოგზაურობას თან ახლავს ისეთი მითოლოგიური მოტივი, რომელიც მის მოძრაობას ქრისტიანული სიმბოლიკის კონტექსტში ათავსებს“.

რომანში ვრ. რობაქიძეს ათვლის წერტილად სპარსეთი ემსახურება. საქართველოსაკენ გზა სწორედ სიმბოლურ და არა გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიულ ასპექტშია გასავლელი. ეს მოძრაობა რომანში გააზრებულია როგორც აბოლონურიდან დიონისურ სამყაროში გადასვლა. ამ ორი

<sup>1-2</sup> ზურაბ კიკნაძე, ავთანდილის ანდერძი, „ლიტერატურული საქართველო“, 16. 09. 1983.



საწყისის გამომხატველი მოტივები ჰქმნიან მითოპოეტურ სიმბოლოებად მთელ სისტემას „გველის პერანგში“.

წიგნში „დიონისე და წინარედიონისობა“ (ბაქო, 1923) ვიჩინებთ ივანოვი აღნიშნავს, რომ „ელინებს დიონისეს მამასთან მიმართება ეს-მოდათ, როგორც დიონისეს ოდინდელი იგივეობა მამასთან და დასაბამიერი მასში ყოფნა. ივანოვის მტკიცებით, ნეოპლატონიკოსებისთვის ერთიანობის საწყისს აპოლონი განასახიერებდა, რომლის არსია მონადა, მრავლობითობის საწყისს კი — დიონისე“.<sup>1</sup>

„ვილგამეშიანის“ წინათქმაში ზურაბ კიკნაძე შენიშნავს: „გზა უდაბ-ნოდან ურუქამდე, რომელსაც ენქიდუ გადის ჩვენს თვალწინ, შეკუმშუ-ლი განმეორებაა იმ შორეული გზისა, კაცთა მოდგმამ რომ გაიარა თავისი არსებობის მანძილზე... ენქიდუს ცხოვრების გზა მითოსურად აირეკ-ლავს მთელი კაცობრიობის ფილოგენეზს“. „გველის პერანგში“ სამი პლანის თანაარსებობა იძლევა საშუალებას ერთდროულად ამოვიკი-თხოთ არჩიბალდ მეკეშის, ქართველი ერისა და სულის ევოლუციის ის-ტორია, მისი თვითდადგინების პროცესი.

მამისა და ძის მიმართების რობაქიძისეული თვალსაზრისი სათავეს იღებს ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან. ვიქტორ ნოზაძე „ვეფხის-ტყაოსნის ღმრთისმეტყველებაში“ (პარიზი, 1963 წ.), გვაუწყებს: „ფსევდო-დიონისე არეოპაგელის განმარტებით: „ყველაფერი არის ღმერთისაგან, რომელიც ჰეშმარტად წყაროა მამობისა და შვილობი-სა... დიონისეს სწავლებით ღმერთი არის ერთება, ანუ უკეთესად: ზე-ერთება, ერთიანობა, ერთობა, ყველაფრის შემქმნელი და დამბადე-ბელი, ხოლო ერთი — ამბობს ფსევდო-დიონისე არეოპაგელი — არის ღმერთი იმ აზრით, რომ იგი, ღმერთი არის ყველაფერი შემკრებლობი-თი — სინთეტიური სახით მხოლოდ ერთობის უზენაესობაში და, რომ ღმერთი წარმოქმნის ყველაფერს თავისი საკუთარი ერთობიდან გა-მოუსვლელად“.<sup>2</sup>

ანალოგიური თვალთახედვაა ტაბა ტაბაის ნაამბობში: „წარმომშობი ძალა კოსმიური: მამა და შვილი ერთად ერთიმეორეში. მამა: „ერთი“. შვილი: შვილი მამა და თან „სხვა“. მამა: სამყაროს შინაგანი ხერხემა-ლი. შვილი: განზე გადგომა... გადაცდენა... მამა ატცილებლობა. შვი-ლი თავისუფლება. პირველი: მსჯელი და მწყევარი... მეორე: შემტე-ვი და უძღები... ყველგან ქვაშიც და მცენარეშიც... და ამ შეხლაში: სამყაროს ყოფა და ყველა მამებში: საერთო მამა „უსახელო“. ამ თვალ-

<sup>1</sup> Вячеслав Иванов, Дионис и продионисийство. Баку, 1923.  
<sup>2</sup> ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“, პარიზი, 1963, გვ. 56.





საზრისით საგულისხმოა ტაბა ტაბაის ნაწმობი მოსესა და მისი შვილები შესახებ, როდესაც სეფორემ წინადაცვეთა თავისი ვაჟი და მოჭრილი ნაწილი იაგვეს დაუბრუნა იმის ნიშნად, რომ „კაცის მქნელი ძალა იაგვეა თვითონ... მამა შვილში ჰქმნის იაგვეს“. მივმართოთ პირველწყაროს: „იყო: გზასა ზედა სავანესა მას შეემთხვა მას ანგელოზი უფლისაი და იგულვა მოკლვაი მისი და მოილო სეფორა ქასრი და წინა-დას-ცვთა წინადაცუეთილობა ძისა თვისისაი და შეუვრდა ფერხთა მისთა და თქუა: დადგა სისხლი წინადაცვეთილობისა ძისა ჩემისაი და წარვიდა მისგან ანგელოზი იგი, რამეთუ თქუა: დადგა სისხლი წინა-დაცუეთისაი ყრმისა ჩემისაი“ (გამოსლვათაი, IV, 21—30, თბ., 1989, გვ. 320). გრ. რობაქიძე ამ მოვლენის გასახსნელად იხსენებს ვასილი როზანოვის თვალსაზრისს: „როზანოვის აზრით, ხსენებული კავშირი ღმერთსა და ადამიანს შორის დადებული კიდევ უფრო მკვეთრია. როცა პირველად ამ კავშირით შეეკრა იაგვე აბრაამს, ნიშნად წინადაცვეთა აღიარეს. როზანოვის ფიქრით, წინადაცვეთა ქირურგიული მოვლენა კი არ არის, არამედ მისტიური. თითქო ღმერთი სქესითი და სქესში ცხადდება მხოლოდ. როზანოვს მოჰყავს კიდევ ერთი მაგალითი: იაგვე თავს დაეცა მოსეს და მის ოჯახობას. მოსეს ცოლმა სეფორემ წინადაცვეთა მოახდინა შვილის და შესძახა იაგვეს: „საქმრო ჩემო სისხლით“. იაგვე მაშინვე მიხვდა საიდუმლოს და განშორდა მათ.“<sup>1</sup>

„შუამდინარულ მითოლოგიაში“ ზურაბ კიკნაძე შენიშნავს, რომ ურუქაგინას რეფორმების ტექსტში კაცობრიობის ისტორიაში პირველადაა ნახმარი სიტყვა „თავისუფლება“. შუმერული სიტყვა იმგვარი შინაარსისაა, რომ უსუთაოდ ისმის კითხვა „საითკენ?“ საითკენ, ვისთან მიდის გათავისუფლებული კაცი? „შეპყრობილი მოყმე თავის დედის წიაღს (ურ-ამა) დაუბრუნდეს“. ამ სიტუაციიდან არის განვითარებული „თავისუფლების“ ცნება... ურუქაგინა წერს: „მან დედასთან დაბრუნება დაამყარა“... თავის საწყისს უბრუნდება ან უნდა დაუბრუნდეს ყველა არსი და მოვლენა, შვილი, — იქნება მზე თუ მოკვდავი კაცი, — თავის დედას, დედის სახლს ან წიაღს დროთა ვითარებაში აბნეული საზოგადოებრივი წესრიგი — იმ წინაღობულ წესრიგს; ამ დაბრუნებაში მარბია თავისუფლების ჰემმარიტი აზრი, როგორც ესმოდა შუმერულ

<sup>1</sup> გრ. რობაქიძე, მოხსენება როზანოვზე, „რუბიკონი“, 1923, № 3.



ენაზე მოლაპარაკე კოლექტივს“.<sup>1</sup> ასე გადმოგვცემს ამ კოსმოლოგურ საიდუმლოს გრიგოლ რობაქიძე: „თითოეული მთელი. მთელი და არა გროვა ცალკეულების — არამედ: სხეული თვითეულების... თვითეული მარტო: თითქოს მთელს გამოყოფილი. თვითეული სხვებთან: თითქო მთელში გახსნილი... ქვა. მცენარე. წყალი. ცხოველი. კაცი. ყოველი ამ რიგით და ამ სახით. ერთი ჰქმნის მეორეს, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს და ასე ბოლომდის — სანამ რკალი თავის პირველ რკალს არ დაუბრუნდება. საშიშარი რკალი; გველი, რომელიც საკუთარ კუდსა კბენს“. ნაშრომში „მაკროკოსმოსი და მიკროკოსმოსი“ მამა პავლე ფლორენსკი განმარტავს: „Человек есть сумма Мира, сокращенный конспект его. Мир есть раскрытие Человека, проекция его... человек и Природа взаимно подобны и внутренне одни. Человек — малый мир, микрокосм. Среда — большой мир, макрокосм“.<sup>2</sup>

„გველის პერანგში“ გრ. რობაქიძე უგულუბელყოფს ობიექტურ დროს და მიმართავს დროის ზესთადროულ ხტილს — „მარად მყოფად“. ამასთან, გაწყვეტილი დროის გაცოცხლება, დროთა კავშირის აღდგენა ილანდება არჩიბალდ მეკევის (აწ უკვე არჩილ მაყაშვილის) დაბრუნების ეპიზოდში. მიწა იპოვის მის მიერ შობილ შვილს და შვილი „საშოს თავისას — მიწას, რომელსაც ჯერ კიდევ მაყაშვილების დროში შეერთო ბებიაქალის მიერ მოჭრილი მისი ქიპი“. არჩიბალდის სამშობლოში დაბრუნებას რომანში ოიდიპოსის მითის მეტად ორიგინალური ინტერპრეტაცია აქვს მიცემული. ოიდიპოსის სახე და ფუნქცია გაორებულია და განაწილებულია ორ პროტაგონისტს შორის: ესენი არიან არჩიბალდი და ვამეხი. ეს გაორება დაკავშირებულია ოიდიპოსის ცოდვის მოტივის ორ მხარესთან: მამის მკვლელობასთან და ინცესტთან.

ინცესტის ტაბუს შინაარსი ფროიდისათვის ნიშნავს დისა და დედის დაუფლების აკრძალვას: არ უნდა გამეორებულყო მკვლელობა მამისა (ამ საკითხს შეეხო გ. გაჩეჩილაძე გამოკვლევაში: „მამისმკვლელის მეტაფორა“), რომელსაც ხელშეუხებები უფლება ჰქონდა ყველა ქალზე. ფროიდი გვაუწყებს, რომ სისხლის აღრევა დედასთან არის ოიდიპოსის ერთი დანაშაული, მამის მკვლელობა — მეორე, ხოლო ეს

<sup>1</sup> ზურაბ კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 19.

<sup>2</sup> Павел Флоренский, Макрокосм и Микрокосм, Богословские труды, Т. 23, М., 1983, с. 233.

ორივე დანაშაული აკრძალული იყო პირველადი სოციალური რევოლუციის ტუტით — პირველყოფილი ტოტემიზმით.<sup>1</sup>

ვამეხი მისდა უნებურად ჰკლავს (ან სიკვდილის მიზეზი ზღვება) მამას, არჩიბალდი ირთავს მატასის, რომელშიც სიმბოლიურად განხორციელებულია დისა და დედის საწყისი. არჩიბალდი და ვამეხი ორეულეები არიან და ერთმანეთის სახეცელილებას წარმოადგენენ. საცნაურია, რომ ძმათა გაორების შემთხვევა ჯერ კიდევ ბიბლიაში გვხვდება. ეს საკითხი შეისწავლა როსტომ ჩხეიძემ ნაშრომში: „უმცროსი ძმის მოტივი იოსების ბიბლიურ მოთხრობაში“.<sup>2</sup> როსტომ ჩხეიძის თქმით, — „ბენიამინი, იოსებს რომ ენაცვლება მისი სიკვდილის შემდგომ (როგორც იაკობის სახლობას სჯერა) მოთხრობის მიზანდასახულების მიხედვით იმდენად არსებობს, რამდენადაც იოსების იბოსტასი... ბენიამინის ცხოვრება წარმოგვიდგება როგორც ვარიაცია იოსების ცხოვრებისა“. ამდენად, ეს ის „სხვა ჩემია“, რომელზეც არჩიბალდ მეკეშმა ჰამადანში ნაპოვნ ხელიყისფერ ქვაზე ასეთი წარწერა ამოიკითხა: „ჩემი ძმა არ ყოფილი ვითარ მიცვარდის უმეტეს მზისა და უმეტეს ზმალისა, რამეთუ იყო იგი „სხვა ჩემი“ („ენგაღში“, — „მნათობი“, 1987, № 8, — ეს მოტივი ამგვარად არის გამოთქმული: „ყოველი არსი ისწრაფვის სხვაურისა და უცხოურისაკენ თვითქცევაში“).

ოიდიპოსის მითის რობაქიძისეული ინტერპრეტაცია სრულიად ახლებურად აშუქებს რომანის ფინალს. ბავშვობაში მიტოვებული არჩილი ზღდება მამას, ვერ ცნობს მას, გაიგებს მის ვინაობას სიკვდილის მომენტში, ირთავს საკუთარ „დას და დედას“ თავის მამულში.

ეპილოგის უკანასკნელი სცენა ჭეშმარიტად აპოკალიფსურია: ეს არის მომავლის კაბადონზე საშინელი განაჩენის გამოცხადება, რომლის სრული მნიშვნელობა ვამეხს და არჩიბალდს, ოიდიპოსის ცოდვის მატარებელ ძმებს, ჯერ არ ესმით“.<sup>3</sup> ცხედარი და მზე სიკვდილისა და განადგურების სიმბოლოები არიან. აქ გრ. რობაქიძე ზმარობს მეტაფორას, რომელიც მისი შემდგომი რომანის მთავარ სახედ იქცა: „მზის მეწამული თასი აღარ სჩანს: თან თუ წაიღო ბაბუა სარიდანის მზერა“ (გვ. 300). „გრალის მცველნი“-ში ეს „მზის თასი“ წმინდა გრალია. „ამ თასში იყო საქართველოს მადლი. ის იქცა მის ძალთა პირველსათავედ.

<sup>1</sup> Зигмунд Фрейд, Тотем и Табу, М., 1923.

<sup>2</sup> როსტომ ჩხეიძე, უმცროსი ძმის მოტივი იოსების ბიბლიურ მოთხრობაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1983.

<sup>3</sup> დოდონა კიხიძე, „ფარდულუბიანი“. რომანი, „ლიტერატურული საქართველო“, 24. 08. 1990.



თუ გრაალის მცველნი ჭეშმარიტი მზის შეილნი იყვნენ — წყარო: რეტი რჩებოდა... საქართველოს ისტორიის ბოლო საუკუნეებში გრაალის ნათელი დაშრობამდე მივიდა. ბედისწერის გამანადგურებელი დარტყმები მხოლოდ გარეგან ძალთა მოქმედებით ვერ აიხსნება: ისინი გამოიწვია ქართველთა მიერ საკუთარი თავის ღალატმა, შინაგანმა დაცემამ, გრაალის დაეწეობამ (გრიგოლ რობაქიძე, „გრაალის მცველნი“, „კლდეკარი“, 1991, № 1, 2).

რომანის ფინალშივე ჩასახულია ოდიბოსის მითის მარადიული, ციკლიური ბუნება, რობაქიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, თესლი მითოსისა, სადაც წარსული, აწმყო და მომავალი თავს იყრის. ესაა პატარა თამაზი, მომავალი თამაზ მაყაშვილი, ლაიოსი, რომელიც შობს ახალ ოდიბოსს. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ ავტორის აზრით, ეს მითი მისტიური და მარადიული მოდელია ქართველი ერის ცხოვრებისა. შესაძლოა ამ მითის გამოყენება რომანში გამოწვეული იყოს ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული მკვლელობით, რომელსაც გრიგოლ რობაქიძე მისტიურ მნიშვნელობას ანიჭებდა (დ. კიზირია).

**გამოყენებული ლიტერატურის სია:**

1. გულგამეშიანი თბ., 1976, აქადურიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ზურაბ კიკნაძემ.
2. ნიკოს კახანძაკისი, „ტოდა რაბა“, „ლიტერატურული საქართველო“, 1. 01. 88.
3. ზურაბ კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979.
4. ზურაბ კიკნაძე, ავთანდილის ანდერძი, „ლიტერატურული საქართველო“, 16. 09. 83.
5. ვიქტორ ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება. პარიზი. 1963.
6. დოდონა კიზირია, „გველის პერანგი“ რუსულ-ევროპული სიმბოლოზმის კონტექსტში, „ლიტერატურული საქართველო“, 2. 06. 89.
7. დოდონა კიზირია, ფარდულეებიანი რომანი, „ლიტერატურული საქართველო“, 24. 08. 90.
8. აკაკი პაპავა, — მცირე უწყება გრიგოლ რობაქიძისათვის, „აკაკიონი“, პარიზი, IX, 1964.
9. გრიგოლ რობაქიძე, გველის პერანგი. ფალესტრა, თბ., 1988.
10. გრიგოლ რობაქიძე, კრებული, კარლო ინსარაძის გამოცემა, მიუნხენი, 1984.
11. გრიგოლ რობაქიძე, ბარათები ბოდენის ტბიდან, „ლიტერატურული საქართველო“, 14. 02. 92.



12. გრიგოლ რობაქიძე, მოხსენება როზანოვზე, „რუბიკონი“, 1991, № 3.

13. გრიგოლ რობაქიძე, ვრძალის მცველნი, გერმანიიდან თარგმნა ნაირა ჭელაშვილმა. „ლიტერატი“, 1991, № 1, 2.

14. როსტომ ჩხეიძე, უმცროსი ძმის მოტივი ცოცხების ბიბლიურ მოთხრობაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 1983.

15. შაკო ჯანჭიბუჩაშვილი, მარადისობის მისტერია, „ლიტერატურული საქართველო“, 7. 10. 88.

16. ჰეგელი, გონის ფილოსოფია, თარგმანი ნოდარ ნათაძის, თბ., 1984.

17. Вячеслав Иванов, Дионис и приднионисийство. Баку, 1923.

18. Зигмунд Фрейд, Тотем и Табу, М. 1923.

19. Павел Флоренский, Макрокосм и микрокосм, Богославские труды, Т. 24, 1983 г.

პირველი ქართული ჟურნალი

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ორგანოა, „საქართველოს მოამბის“, „დროების“, „ივერიის“ წინამორბედი, იმ ლიბოს ჩამკირავი, რომელზედაც აშენდა სამამულო ჟურნალისტიკა.

„სალიტერატურო ნაწილნი“ დააარსდა 1832 წელს.

ჟურნალის გამოცემისათვის ჯერ კიდევ 1828 წლიდან იღვწოდნენ სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი და სხვ. მომდევნო პერიოდში მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდა. 1831 წლის 15 იანვარს ს. დოდაშვილი ი. ხელაშვილს სწერდა: „...ეგრეთვე გამოიცემა ყოველსა თთვეს ჟურნალი ქართული, წელიწადში ათორმეტი წიგნი. გთხოვ ხელი მოაწერინოთ ბატონიშვილებს და ბატონის რძლებს მიღებისათვის ჟურნალთა. ამ ჟურნალში იქმნება მოდაცა ქართველთა. ფასი მთელის წლისა არს ოცი რუბლი ასიგნაცია, წარმოგზავნითა“. ეს ცნობა მრავალმხრივ არის საყურადღებო, მაგრამ ამჟამად გვანტერესებს როგორც ჟურნალის დაარსებისათვის გაწეული დიდი ბრძოლის პატარა საბუთი. მასში კარგად ჩანს, რომ ს. დოდაშვილი არა მარტო საქართველოში, არამედ პეტერბურგშიაც ეძებდა დამხმარეებს და ხელისმომწერებს.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ გამოცემას. იგი ითვლებოდა გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურულ დამატებად.

„ტფილისის უწყებანი“ ყოველკვირეული გაზეთი გახლდათ. გამოდიოდა 1828 წლის 4 ივლისიდან „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ პარალელურად. რუსული და ქართული „უწყებანი“ მთავარ ხაზებში თითქმის იდენტურნი იყვნენ. ქართული გაზეთი 1828—1830 წწ., 1832 წ. იბეჭდებოდა და, როგორც ოფიციალური, ხელისუფლებას ემსახურებოდა, მის იდეებსა და შეხედულებებს ავრცელებდა.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ ორიგინალური დამატებაა. ჩვეულებრივ ლიტერატურული დამატება ავითარებს და აგრძელებს იმ ორგანოს





საქმიანობას, რომლის ფილიალსაც წარმოადგენს, „სალიტერატურონი ნაწილნი“ კი პირიქით იქცევა. მას „ტფილისის უწყებანისაგან“ განსხვავებული მიზანი და დანიშნულება აქვს.

ვინ იყო „სალიტერატურონი ნაწილნი“ გამომცემელი და რედაქტორი? ზოგი ფიქრობს, რომ ჟურნალს ს. დოდაშვილი გამოსცემდა. ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ გამოსცემდა „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ საგამომცემლო კომიტეტი“, რომელიც 1828 წელს ჩამოყალიბდა და ექვსი წელი ფუნქციონირებდა. კომიტეტის მუშაობას ხელმძღვანელობდა ცნობილი ჟურნალისტი პ. სანკოვსკი.

„ტიფლისსკიე ვედომოსტის“ საგამომცემლო კომიტეტი ითვლებოდა „ტფილისის უწყებანის“ გამომცემლად და, ამდენად, მისი ფუნქციები ვრცელდებოდა გაზეთის ლიტერატურულ დამატებაზეც. მართალია, სოლომონ დოდაშვილი აღნიშნული კომიტეტის წევრი იყო, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს, იგი გამომცემლად გამოვაცხადოთ.

რედაქტორის თანამდებობა სახელდობრ „სალიტერატურონი ნაწილნი“ არ არსებობდა. მასზე, როგორც „ტფილისის უწყებანის“ დამატებაზე, ვრცელდებოდა გაზეთის რედაქტორის უფლებები და ფუნქციები. „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორი კი სოლომონ დოდაშვილი გახლდათ.

ს. დოდაშვილი მხოლოდ რედაქტორის მოვალეობას როდი ასრულებდა. იგი იყო ჟურნალის წამყვანი თანამშრომელი, მასალების შემკრებ-დამმუშავებელი, სტილისტი, კორექტორი... ს. დოდაშვილი ზრუნავდა „სალიტერატურონი ნაწილნი“ გავრცელებაზეც, ხელმომწერთა მომრავლებაზეც და სხვ. ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ ტონსა და მიმართულებას აძლევდა ჟურნალს.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ გამოქვეყნებულ მასალათა თითქმის სამი მეოთხედი ს. დოდაშვილს ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ პირველი ნომერი მხოლოდ მისი თხზულებებისაგან არის შედგენილი.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ საკმაოდ სიმპათიური პროგრამის ჟურნალია. მასში წარმოდგენილია მხატვრული ლიტერატურა, პუბლიცისტიკა, მეცნიერება, ნარევი...

ჟურნალის ორგანიზატორები მიზნად ისახავდნენ ერის განათლებას, ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარებას, ჩვენი კულტურისა და ხელოვნების დაცვა-განმტკიცებისათვის ხელის შეწყობას. ამასთანავე რედაქციას 1832 წლის შეთქმულთა იდეების პროპაგანდა უნდა გაეწია: „სალიტერატურო ნაწილნი“ კიდევ ერთი დანიშნულება ჰქონ-



და— ევროპული ცხოვრების პოპულარიზაცია. ჟურნალი ჩაფიქრებულად იყო როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრიბუნა.

დავესესხოთ რედაქციის განცხადებას: „...იწყობა ქართულსა ენასა ზედა გამოცემამან ტფილისის უწყებათამან აწინდელსა ამას წელსა უმეტეს ამისთვის, რათამცა მისცემოდა ესგვარსა სასარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწევნელად განათლებისა, განვრცობებისათვის ბუნებითისა ენისა ჩვენისა და მიახლოებისათვის განზრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა“. ჟურნალი იბრძოდა, რათა გაეღვიძებინა „სურვილი და სიყვარული ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისა“.

იგივე დასტურდება ს. დოდაშვილის კერძო ბარათითაც. ადრესანტი ფილადელფოს კიკნაძეს ატყობინებს: „გაზეთები და ჟურნალი გამოდის, წელიწადში რვა მანეთი თეთრი ფული გახლავსთ იმისი ფასი. უკეთეს თქვენ აღწერთ რასმე სტიხად თუ პროზად, დაპბეჭდენ ჟურნალებში. მე გირჩევ იყიდოთ, ამისთვის რომელ, მრავალი სასარგებლო აღწერა იქმნება იმაში და უკეთეს თქვენ შეპნიშნავთ რასმე ცუდსა, ძალგიძო წინააღმდეგომნი დასწეროთ, რომელიც დაიბეჭდება ...სხვათაცა ჰსთხოვე და კიდევ ეცადენით, რათა ხელი მოაწერონ. მე ფრიად დამავალბთ, ამისათვის, რომელ ცოტანი არიან ხელის მომწერნი და ხარჯი მრავალი უნდა. თუ დადგეს დაბეჭდვა მთავრობისაგან, ქართველთათვის სირცხვილია. როგორ არ უნდა ვისურვოთ ენის გამდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის ესრეთი სასარგებლო საქმე. გთხოვ ეცადნეთ ათიოდ მსურველი იშოვოთ. თუ მეტს იშოვით — უფრო უკეთესი. ნურვინ დაჰზოგავს რვა მანეთს. ყოველთავე ურჩიე“.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ გამოდიოდა თვეში ორჯერ. გამოიცა ხუთი ნომერი — პირველი 1832 წლის იანვრის დამდეგს, მეხუთე კი მარტის პირველ ნახევარში.

„სალიტერატურონი ნაწილნის“ გარშემო დარაზმულნი იყვნენ მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები: ს. დოდაშვილი, გ. ერისთავი, ა. ორბელიანი, დ. მაჩაბელი და სხვ.

ჟურნალის მთავარი ამოცანა იყო ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლა. არსებულ ვითარებაში ამ ამოცანას კონკრეტული და სპეციფიკური განშტოება მიეცა. საქმე ისაა, რომ ცარიზმს განზრახული ჰქონდა საქართველოს კოლონიად გადაქცევა, ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია-განადგურება. ამდენად, ლოგიკურად წარმოიშვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მაგრამ იგი სხვადა-



სხვა ფენასა და სფეროში სხვადასხვაგვარად ვლინდებოდა. მაღალი წოდების გარკვეული ნაწილის მრისხანება უპირატესად მაინც კერძო ინტერესით იყო მოტივირებული; ძირითადი მასის პროტესტი არსებითად სტიქიურ ხასიათს ატარებდა და ა. შ. საჭირო იყო მოქმედების ყველაზე გონივრული და ოპტიმალური გზის გამოხაზვა. ეს იკისრა დემოკრატიულმა ნაწილმა სოლომონ დოდაშვილის მეთაურობით. ბრძოლაც სათანადოდ წარიმართა არა მხოლოდ პოლიტიკის, არამედ მეცნიერებისა და ლიტერატურის სფეროში; იდეოლოგიური მხარის აქცენტირებით.

აქედან გამომდინარე „სალიტერატურონი ნაწილში“ რამდენიმე მიმართულება გამოიკვეთა: საქართველოს ბრწყინვალე ისტორიული წარსულის ჩვენება, დიდი ეროვნული კულტურის გამომზეურება, ქართული ენის სრულყოფის მტკიცება და ა. შ.

ყოველივე ამას ეროვნული გრძნობის გამახვილებისათვის უნდა შეეწყო ხელი და შეემზადებინა ნიადაგი განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშლილი ფრონტით წარმოებისათვის.

ორი განსხვავებული ტენდენციის არსებობა კამათის საფუძველია. ამდენად, ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ჟურნალში პოლემიკური ხასიათის მასალების სიუხვე.

უთქვამთ: ყველაზე კარგი დაცვა შეტევა არისო. „სალიტერატურონი ნაწილის“ ხელმძღვანელებიც გულდაგულ უტევენ მამულის მტრებს. დოდაშვილმა ისიც კარგად უწყის, რომ წარსულით ყელყელაობა საკმარისი არ არის. თავიდათავია თანამედროვეობისათვის ფეხის აწყობა, მიმდინარე პროცესების გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა, დღევანდელობის მტკივნეულ საკითხებზე ფიცხელი რეაგირება. ამიტომაც ილენის იგი საზოგადოების განათლებისათვის, კულტურული დონის ამაღლებისათვის, მკითხველთა ესთეტიკური გრძნობების გაფაჩიზებისა და თვალსაწიფრის გაფართოებისათვის. რედაქციას ამ მხრივაც გონივრულად შედგენილი პროგრამა აქვს.

რაც მთავარია, ს. დოდაშვილი ღრმად სწვდება პრესის სპეციფიკას. ჟურნალისათვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია პერმანენტული პროპაგანდა. მკითხველთა დამოძღვრის ეფექტს მიჯრითი ქადაგება აპირობებს. აქედან გამომდინარე, ნომრიდან ნომერში გრძელდება ძირითადი ტენდენციების განფენა და ჟურნალის ორგანიზატორული ფუნქციაც თვალნათლივ იკვეთება. განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთებით არის გაჟღენთილი როგორც სიტყვაკაზმული მწერლობა, ასევე პუბლიცისტიკა.



ჟურნალის სამ ნომერში დაიბეჭდა გიორგი ერისთავის პოემა „ოსურის მოთხრობა“, რომელსაც საფუძვლად უდევს ისტორიული ფაქტი 1659 წლის კახეთის აჯანყება ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მაგრამ ერთია თემა და მეორეა მისი გაშლა-დამუშავება. ლიტერატურის ისტორიამ იცის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ფაბულაზე დიამეტრულად განსხვავებული ხასიათისა და ლირებულების ნაწარმოებები შექმნიათ.

ახალგაზრდა პოეტმა წარმატებით გადაჭრა რთული ამოცანა. მას წარსული აინტერესებს აწმყოსთან მიმართებაში. ძველსა და ახალს შორის ლოგიკური კავშირი დაიძებნა. ვითარების ერთგვარობაც ქმედების იდენტურობას მოითხოვდა. სწორედ ამის აქცენტირება იწვევს მკითხველის ჩაფიქრებასა და დამუხტვას.

„ოსური მოთხრობის“ ძირითადი იდეა გადმოცემულია ბიძინა ჩოლოყაშვილის სიტყვებსა და მოქმედებაში. ავტორი ასე ახასიათებს ამ პერსონაჟს: „მხნე და მებრძოლი და მტერისა მიმცემი ახთა“. ჩოლოყაშვილის უპირველესი მიზანი სამშობლოს განთავისუფლებაა. იგი ვერ მოდრიკა ვერც ცბიერი შაჰ-აბასის დაპირებებმა და ვერც გამხეცებული ქალათების შურისძიებამ:

„ნუ ჰკონებ, მეფეე, შეუშინდეთ შენთა სიტყვათა.  
სიყრმით ჩვენთაგან სიყვარული გვაქვს მამულისა  
და გარდაუსწყვიტეთ შშობელთათვის დაღერა სისტილისა“.

გ. ერისთავის აზრით, ადამიანის უპირველესი მოვალეობაა ერისა და მამულის კეთილდღეობისათვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში დაცემა საამაყოც კია. გასაგებია, თუ რატომ მოსწონდათ შეთქმულებს ასეთი ლაიტ-მოტივის შემცველი ნაწარმოები.

პოემა პატარა მოცულობისაა, მისთვის უცხოა სიუჟეტური ხლართები, მრავალრიცხოვან გმირთა გალერეა, რთული პისაჟები. ხასიათების განხილვისას ყურადღება გადატანილია გმირთა მოქმედებაზე და მცირე ადგილი ეთმობა პორტრეტის ხატვას თუ ფსიქოლოგიური მხარის წარმოჩენას. ავტორის ოსტატობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მან ძირითადად ამბების აღწერის ფონზე შესძლო პერსონაჟთა გამოკვეთა. ჭეშმარიტება მოითხოვს აღინიშნოს, რომ პოემის მთავარი გმირები თითქმის მსგავსი ფერებითა და დეტალებით არიან დახატულნი.

პატრიოტული ხასიათისაა აგრეთვე ალექსანდრე ორბელიანის „მთოვარე“, რომელიც ჟურნალის მეორე ნომერში გამოქვეყნდა. ლექ-





სი ალეგორიული ხასიათისაა. მწერალი მთვარეში გულისხმობს საქართველოს, დრუბლებში კი — მის მტრებს. ლექსში მძლავრად შეინიშნება რომანტიზმის მოტივები — წუხილი, დაკარგული ბედნიერებისა და სავალალო აწმყოს გამო.

პატრიოტიზმის საქადაგებლად არა მხოლოდ პოეზიის ნიმუშებია გამოყენებული, არამედ ისტორიული ნარკვევიც, მაგალითად, მეფობა ირაკლი მეორისა“. მასში თითქმის გაიდევალებულია საქართველოს წარსული. ირაკლის მიერ გადახდილი ომების აღწერისას ყურადღება მახვილდება შემდეგ გარემოებაზე: ჩვენი წინაპრების მცირერიცხოვანი ლაშქარი თუ იმარჯვებდა, ეს იმიტომ, რომ ძლიერი იყო სიყვარული მამულისა და თავისუფლებისადმი.

ნარკვევში დიდი ადგილი ეთმობა ანატ ხანთან შებმის ამბავს. ეს გასაგებობაა: აღნიშნულ ომში ჩვენმა წინაპრებმა საარაკო გმირობა გამოიჩინეს. 2000 ვაჟაკი 50 000 მომხდურს შეება და მწარედ დაამარცხა. ერთი შეხედვით ეს ზღაპარს მოჰგავს, მაგრამ ფაქტია, თანაც ისეთი ფაქტი, რომელიც ქართველთა მხურვალე პატრიოტიზმზე მეტყველებს. სტატიის ავტორი ქვეტექსტით მოუწოდებს თანამედროვეებს მიბაძონ წინაპრებს, მსგავსი თავდადებით იბრძოლონ თავისუფლებისათვის.

„მეფობა ირაკლი მეორისა“ საქმის ცოდნით, ნიჭიერად შედგენილი ნარკვევია. ავტორი ძირითადად ომების ისტორიას მოგვითხრობს, ამასთანავე ხაზგასმით მიგვანიშნებს, რომ ეს ომები სამართლიანი იყო. აი როგორ სიტყვებს წარმოათქმევინებს იგი ირაკლის: „ჩემო ძმანო და შვილნო, ნუ შეჰკრთებთ, ნუ შეშინდებით რიცხვისაგან მტერთა, რაოდენ უმეტეს არს რიცხვი მათი, ესრდენ უმეტეს იქმნების ძლეული. — ნუ ჰგონებთ, რომელ მე სისხლსა თქვენსა ვჰღვრიდე განვრცელებისათვის სამფლობელოთა ჩემთა და განძლიერებისათვის შემძლებელობისა ჩემისა! არა! მე მივალ დასაფარველად მამულისა ჩემისა და საყვარელთა ქვეშევრდომთა ჩემთა“.

წერილში ლაპარაკია ქართველთა ჰუმანურობაზე, გამტანობაზე, მეგობრისადმი თავდადებაზე და სხვა. აქვე აღნიშნულია, რომ ჩვენმა წინაპრებმა დიდი დახმარება გაუწიეს მეზობელ სომხებს, „არ მქონელთა ძალათაა წინააღმდეგომად“ მაჰმუდ ხანისა, რომელიც 30 000 მხედრით მიადგა ერევანს. ირაკლიმ და თეიმურაზმა მტერს სძლიეს და ერევნის სახანო განადგურებას გადაარჩინეს.

ანალოგიურ დეტალებს თვალსაჩინო დატვირთვა აქვს. ცხადია, ქვეყანა, რომელიც სხვებს ეხმარება, პატივისცემას იმსახურებს. ყო-



ველივე ეს ბუნებრივად ბადებს სიამაყეს და საკუთარი ძალებისადმი რწმენას.

„სალიტერატურონი ნაწილისი“ პროგრამა გულისხმობს ძირითადი ტენდენციების ნაირგვარად წარმოჩენას. ამას, უწინარეს ყოვლისა, ყურნალის სპეციფიკა მოითხოვს. კონკრეტული იდეის თანმიმდევრულმა ქადაგებამ შეიძლება განმეორებიდან მომდინარე კნინი წარმოშვას. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია სხვადასხვა თემის, ჟანრის, მასალათა მოწოდების ფორმის მომარჯვება. არჩევანი ყოველთვის დიდი როდია. თანაც ამ შემთხვევაში უმთავრესია მიმდინარე პროცესებზე კონკრეტულად რეაგირება, ცხოვრების მიერ წამოჭრილ საკითხებზე პასუხის გაცემა. აქედან გამომდინარე, რედაქცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პუბლიცისტიკას და მხატვრულ ლიტერატურაში დასმულ პრობლემებს სტატიებითაც ეხმიანება. ეს ხელს უწყობს ერთიანი ხაზის გამოკვეთას.

ყურნალში დაიბეჭდა ს. დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“. წერილი მიმართულია იმათ წინააღმდეგ, რომლებიც აცხადებდნენ: ქართული ენა განუვითარებელია, რომ ამ ენაზე მნიშვნელოვანი თხზულება ვერ შეიქმნებაო...

სოლომონ დოდაშვილი ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით საპირისპიროს ამტკიცებს. ვიდრე უშუალოდ სიტყვიერების ძეგლთა განხილვას შეუდგებოდეს, ქართული ენისა და დამწერლობის წარმოშობას ეხება. ჩვენი ანბანის შემომღებლად ფარნაოზ მეფეს მიიჩნევს.

პუბლიცისტი მკაცრად აკრიტიკებს იმათ, ვინც ქართულ ენას სომხურიდან წარმოშობილად თვლიდა. ამ ცილისწამების მეცნიერული არგუმენტაციით უკუგდების შემდეგ იგი მოსწრებული ჰუმორით შენიშნავს: „ჩვენ არ ძალგვიძს ბაასი სომეხთა თანა, ვინაითგან იგინი უბნობენ, რომელ თვით ადამი ლაპარაკობდა სომხურს და სომხურის ენიდამ იწარმოა ყოველი ენა, ესე იგი ფრანციული, ნემეცური, რუსული და სხუანი“.

ს. დოდაშვილი სამართლიანად აცხადებს: „ძირი ენისა ჩვენისა უნდა იყოს საკუთარი“ და რომ „...ქართულსა ენასა ზედა არიან მრავალნი მშვენიერნი თხზულებანი და თარგმნილნიცა წიგნნი სხვა და სხვა ძველთა და უახლესთა ენათაგან“.

ავტორი ხაზს უსვამს ქართველთა ბუნებრივ ნიჭსა და სწავლისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას. ჩამოთვლის ეროვნული ლიტერატურისა და ფილოსოფიის იმ სახელოვან წარმომადგენლებს, რომლებმაც

დიდი ამაგი დასდეს სამამულო მეცნიერებას, კულტურასა და განათ-  
ლებას.

ს. დოდაშვილი შედარებით ვრცლად ჩერდება იოანე პეტრიწზე: „პეტრიწი ეს იყო ჭეშმარიტი ფილოსოფოსი, ფრიად საყვარელი მო-  
ლექსე საქართველოსა შინა, სრულის აზრით იყო დიდი და ჩინებული  
კაცი დროისა თვისისა. მან წერა ყოველთა გვართა შინა სიტყვიერე-  
ბისათა და ყოველთა გვართა შინა ჰპოვა ჩინებულება და პატივისცემა  
არა მხოლოდ თანამედროვეთა თვისთა, არამედ ყოველთა განათლე-  
ბულთა შთამოებათა თვისისა მამულისათა“. ეს მოსაზრებები უფრო  
დამაჯერებელი და ყურადსაღები რომ გახადოს, დოდაშვილი ესესხება  
ანტონ კათალიკოსს, მოაქვს „წყობილსიტყვაობიდან“ მთელი თორმეტი  
სტროფი — შესხმა პეტრიწისადმი.

ს. დოდაშვილი ქართული კულტურის აყვავების ეპოქად თვლის  
დავით აღმაშენებლისა და თამარის ხანას. ავტორი მართებულად მიგ-  
ვანიშნებს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების წინსვლა ქვეყნის  
ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერით არის განპირობებული;  
რომ სწორედ მძლავრმა საქართველომ წარმოშვა „ოთხნი ტკბილხმო-  
ვანი მწერალნი“: რუსთაველი, ჩაბრუხაძე, მოსე ხონელი და სარგის  
თმოგველი.

საქართველომ XII საუკუნეში ბევრ ქვეყანას გაუსწრო განათლე-  
ბისა და კულტურის მხრივ. საილუსტრაციოდ ასახელებს რუსთაველის  
„ვეფხისტყაოსანს“, რომელიც, სხვა რომ არაფერი გვქონდეს ქართვე-  
ლებს, მაინც საკმარისია ჩვენი ლიტერატურის სიძლიერის დასამტკი-  
ეებლად.

ს. დოდაშვილმა ყურადღება გაამახვილა „ამირანდარეჯანიანისა“ და  
„ვისრამიანის“ მხატვრულ მხარეზე, შინაარსის გადმოცემის ორიგინა-  
ლურ ფორმაზე, ესთეტიკურ ღირებულებაზე. დოდაშვილსავით გაბე-  
დულად შანამდის არავის შეუფასებია ეს წიგნები, რომლებიც „დაიდუ-  
ბიან რიცხვთა შორის პირველთა ქმნილებათასა შევნიერებისა გამო  
მიუბაძველისა ფრასისა და აღმძვრელობისა გამო მრავალთა სახეთა“.

თამარის შემდეგ ჩვენს ლიტერატურას არ ჰქონია მსგავსი ბრწყინ-  
ვალეობა. მიზეზი ბარბაროსთა შემოსევებში, ქვეყნის ეკონომიკურ და  
პოლიტიკურ დაკნინებაში უნდა ვეძებოთ. მიუხედავად ამისა, „პოე-  
ზია არ დადუმებულა“. აქ პირველ რიგში დოდაშვილი ახსენებს თეი-  
მურაზსა და ვახტანგ მეექვსეს.

წერილში დიდი ადგილი ეთმობა ანტონ კათალიკოსის შემოქმედე-  
ბის მიმოხილვას, უფრო მეტი, ვიდრე მთელი აღორძინების ხანის

მწერლობის ანალიზს. რით აიხსნება ეს? ჯერ ერთი, ანტონ კათალიკოსის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა, რაც შეცნობილი აქვს ავტორს. მეორეც, დოდაშვილთან იგი ქრონოლოგიურად ყველაზე ახლო მდგომი ავტორიტეტია. ანტონ პირველი 1788 წელს გარდაიცვალა. სოლომონის თაობა მას თითქმის თანამედროვედ მიიჩნევა. ს. დოდაშვილი ანტონის გულწრფელი თაყვანისმცემელი გახლდათ (შემთხვევითი როდია, რომ პეტრიწის დახასიათებისას იგი ანტონს იშველიებს და არა სხვა ვინმეს).

„მოკლე განხილვაში“ საინტერესო შეხედულებებია განვითარებული თარგმნის ხასიათსა და პრინციპზე. დოდაშვილის აზრით, აუცილებელია უცხო სიტყვას მოეძებნოს ქართული შესატყვისი. ამისათვის კი საჭიროა მთარგმნელმა საუკეთესოდ იცოდეს ის ენები, რომლიდანაც თარგმნის და რომელზედაც თარგმნის.

ს. დოდაშვილმა ეს თეორიული შეხედულება ბრწყინვალედ დაიცვა პრაქტიკაში.

„მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ არ შეიცავს ძეგლთა დეტალურ ანალიზს. ეს არც შეადგენდა ავტორის მიზანს. მან მხოლოდ არსებითი და პრინციპული წარმოაჩინა, საგულისხმო თეორიული დებულებები წამოაყენა და მკითხველები ჩვენს სულიერი კულტურის სიდიადე-ორიგინალურობაში დაარწმუნა. სტატია, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული სიამაყის გაღვივებას ემსახურება და თავიდათავიც ესაა.

„მოკლე განხილვის“ დიაპაზონი ფართო იყო. იგი გასცდა საქართველოს საზღვრებს. აღნიშნული წერილი 1832 წელსვე დაიბეჭდა „მოსკოვსკიე ვედომოსტში“. ხოლო 1836 წელს შეტანილი იქნა. ა. ჟარი დე მანსის წიგნში „ისტორია ძველი და ახალი ლიტერატურისა, მეცნიერებისა და კაზმული ხელოვნებისა“ (ნაწილი მეორე). უფრო ადრე ქართველმა ახალგაზრდებმა მისი შემოკლებული თარგმანი გამოაქვეყნეს ხელნაწერ ჟურნალში „ცვეტოკ ტიფლისსკოი გიმნაზიი“.

საფიქრებელია, დოდაშვილი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო აღნიშნული წერილის გამოქვეყნებით. მართლაც, მას ფართო გეგმა ჰქონდა, რაზეც მიგვიითებებს ერთი ადგილი ხსენებული სტატიიდან: „...ვრაცხო ჩვენ საჭიროდ, რათამცა პირველად ვაცნობოთ საზოგადოებასა მცირე ესე განხილვა ისტორიისა სიტყვიერებისა ჩვენისა, ხოლო შემდგომად აღვრიცხოთ წერილნი და თვინიერ პირმოთნეობისა ფასდებულ-ვჰყოთ ქმნილებითურთ თვითთელნი ავქსონნი ღირსებისამებრ მათისა, რომელთაგანცა მოყვარენი საზოგადოების განვითარებისანი იხილვენ



ძველსა ადგილსა შინა კავკასიის ამიერ მცხოვრებთასა მდიდარსა წიგნი-  
თიერებასა სალიტერატუროისასა, რომელიცა აქამომდე წყველიდასა ში-  
ნა სიბნელისასა დაფარულ იყო მხედველობათაგან განათლებულის ევ-  
როპიისათა“. მაშასადამე, დოდაშვილს განუზრახავს ქართული ლიტე-  
რატურის საკითხებზე გამოეჭევეყნებინა წერილები, რომლებშიც უფრო  
სრულყოფილად იქნებოდა განხილული ჩვენი მწერლობა. ეს განზრახ-  
ვა ვერ აღსრულდა ჟურნალის დახურვის გამო.

ს. დოდაშვილი არა მარტო მშობლიური ლიტერატურის ქომაგად  
გვევლინება, არამედ ჩვენი ისტორიის დამცველადაც. იგი სასტიკად  
ილაშქრებს ქართული ადათ-წესების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ.

1832 წელს „ტიფლისსკიე ვედომოსტში“ დაიბეჭდა ადგილობრივი  
რუსი ჟურნალისტის გორდეევის სტატია საქართველოს უკანასკნელ  
მეფეთა დამარხვის წესის შესახებ. მასში გაყალბებული იყო ფაქტები.

ს. დოდაშვილი ფიცხლავ გამოეხმაურა ამ წერილს: „უფალი ღარ-  
დეიევი, არა მცოდნე ქართულისა ენისა და არცა ზნეობათა და ყოფაქ-  
ცევათა საქართველოს ერთასა, ჰსწერს მრავალსა ტყუილსა და გამო-  
ჩენილსა სიცრუესა, ხოლო მკითხველნი ჰგონებენ ყოველსა მას ჭეშ-  
მარიტად“.

ს. დოდაშვილის სამართლიანი მტკიცებით, გორდეევმა ძველი ქარ-  
თველი მეფეების დამარხვის წესი უკანასკნელ მეფეთა დამარხვის წე-  
სად გამოაცხადა, ამასთანავე, ბევრი რამ მოიგონა და გადააკეთა.

სტატიის ძირითადი ნაკლის აღნიშვნის შემდეგ დოდაშვილი მე-  
ორეხარისხოვან შეცდომებს ეხება. მაგალითად, გორდეევი წერდა, რომ  
ქართველი ქალები თეთრი ჩადრით მოსილნი იხდნენ დივანზე, მკერდს  
იგვემდნენ და ისე ეთხოვებოდნენ განსვენებულსო. დოდაშვილის მოს-  
წრებული შენიშვნით, მაშინ არც დივანი იყო, არც თეთრ ჩადრს ხმა-  
რობდნენ აღნიშნულ შემთხვევაში და ისიც უცნობია მკერდს იგვემდ-  
ნენ თუ არა.

ს. დოდაშვილი გორდეევს პლაგიატობაშიც დებს ბრალს: „წესი და-  
მარხვისა საქართველოს მეფეთა, რომელიცა ფრიად საკმაოდ უწინა-  
რეს ცნობილ არს საზოგადოებისადმი, უსვინდისოდ გარდმოუწერია  
უფალს ღარდეივს მეფის ძის ვახტანგის ისტორიიადამ, რომელიცა და-  
ბეჭდილ არს რუსულსა ენასა ზედა ს. პეტერბურღს 1814-სა წელსა“.

პუბლიცისტიკა უგვანო სტატიის გამოჭევეყნების გამო „ტიფლისსკიე  
ვედომოსტის“ ხელმძღვანელებსაც გადაჰკრა ლახტი: „...გამომცემელნი  
რუსულისა გაზეთისანი, არა მცოდნენი ნამდვილთა ზნეობათაგანი,



თვინიერ ყოველსა განხილვისა ჰბეჭდენ თვისსა გამოცემასა შინა ყოველსა უგვანსა უ. ლარდევის მიერ შერდგენილსა“.

მართალია, დოდაშვილის სტატიაში ჩვენი ისტორიოგრაფიის განვითარებებს თვალსაზრისით ახალი არაფერია, მაგრამ რამდენადაც იგი პატრიოტიზმის ჭეშმარიტი გამოხატულებაა, ამდენად მისი მნიშვნელობა განუზომელია.

ს. დოდაშვილი საფუძვლის ჩამყრელია იმ დიდი ეროვნული ბრძოლისა, რომელსაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოკალმენი აწარმოებდნენ საქართველოს წარსულისადმი მტრულად განწყობილი კატკოვისა და სხვათა წინააღმდეგ.

ს. დოდაშვილის აღნიშნულ სტატიას ეხმაურება „სალიტერატურონი ნაწილხის“ მეხუთე ნომერში გამოქვეყნებული თ. გურამიშვილის „საყვარელო მამულო“. ავტორი აღუშფოთებია ცილისმწამებლურ გამომხდომებს, ქართველი ხალხის დამცირებისა და აბუჩად აგდების ცდებს. თ. გურამიშვილის პატრიოტული მისწრაფებანი კანონიერი იყო. იგი მზადაა თავი დასდოს თანამომძეთავის, იმ ჭკეცნისათვის, რომელსაც ქებით იხსენიებენ „ოსმალო, სპარსნი, ბერძენთა დასნი; და ევროპელნი მოხდილის შლაპით“.

წერილი მთავრდება ლექსით:

„თუ იტყვის ნაკლებს, თავის თავს აკლებს, იგი უფალ . . . ია,  
ვისგან ქებაცა, არის ენებაცა; არც ვისგან კარგათ შესამჩნევია,  
ვერ იცნობს თავსა, ამბობს სხვის ავსა, ჰგონებ რომ იყოს  
შესაქცევია,

მას უბედურსა. მალ პასუხუგებს; ჩვენი ს.....ია“.

„საყვარელო მამულო“ ორმხრივ იქცევს ყურადღებას. ჯერ ერთი, სამშობლოსადმი თავდადების ქადაგებით (მართალია, ტონი ზედმეტად პათეტიკურია, მაგრამ გულწრფელობას არ არის მოკლებული); მეორეც, ნაწარმოები საინტერესოა, როგორც დოდაშვილის გამხნეების ფაქტი. თ. გურამიშვილმა აგრძნობინა ურნალის ფაქტიურ რედაქტორს, რომ იგი მართო არ არის, მას ზურგს უმაგრებენ მოწინავე მამულიშვილები. თუ გავითვალისწინებთ ს. დოდაშვილის მდგომარეობას და მაშინდელ ვითარებას, — ეს არ იყო პატარა საქმე.

ს. დოდაშვილს სიტუაციათა შეცნობის უტყუარი აღლო ჰქონდა. მოაზროვნემ და განმსჯელმა კარგად იცოდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების მოუზომავად ქადაგებას შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყოლოდა. ამიტომაც ცდილობდა ცალკეულ შემთხვევებში შე-



ნიღბულიყო, გარკვეულად მოედუნებინა ცენზურის სიფხიზლე-<sup>ამიტომაც</sup> აიხსნება „სალიტერატურონი ნაწილნი“ დაბეჭდვა გენერალ-ლეიტენანტის, სენატორ გ. ერისთავის ლექსისა „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსას სპარსთა შემოსვლისასა საქართველოს სამძღვართა შინა“. მასში განდიდებულია რუსეთის იმპერატორი, რომელიც; ავტორის აზრით, ყველა ქართველ მეფეზე მაღლა დგას. გენერალ-ლეიტენანტი მოუწოდებს მოძმეებს თავდადებით ემსახურონ ხელმწიფეს, ღვთის აჩრდილს; განდევნონ შური, მტრობა, უყოყმანოდ შეასრულონ ხელისუფლების ბრძანებები და „მაშინ განათლდეს ქართული, თქვენ მიიღოთ შვებანი“.

პანეგირიკი აშკარაა, მაგრამ თხზულება მაინც ფრთხილ ანალიზს მოითხოვს. საქმე ისაა, რომ ლექსში ქართველ მეფეთა ზოტბა და სამშობლოს დაცვისათვის მოწოდება გაისმის. ამდენად, ხსენებულ ნაწარმოებს ზოგიერთ მკითხველში შეიძლება ეროვნული გრძნობის გამახვილება გამოეწვიოს.

ნიკოლოზ პირველის ქება შეინიშნება თ. გურამიშვილის ზემოგანხილულ ნაწარმოებშიც — „საყვარელო მამულო“. მაგრამ ეს ზოტბა, ვფიქრობ, უფრო დიპლომატიური მოსაზრებებით უნდა იყოს ნაკარნახევი.

ამ ფაქტებზე იმიტომაც შევაჩრეთ ყურადღება, რომ ყურნალის ხელმძღვანელობის დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა წარმოგვეჩინა. ს. დოდაშვილი ლავირებას მიმართავს, რათა გამოცემა შეინარჩუნოს და მეტი წარმატებით განახორციელოს ძირითადი მიზანი.

ზემოთ ითქვა, რომ „სალიტერატურონი ნაწილნი“ ერთ-ერთი დანიშნულება იყო 1832 წლის შეთქმულთა იდეების ქადაგება. როცა ამ საკითხზე ვმსჯელობთ, აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ეს ამოცანა ფრთხილად და ფაქიზად ხორციელდება — ძირითადად პატრიოტული მოტივის გაძლიერებას, ხალხში განათლების შეტანას და თვითცნობიერების გაღრმავებას ესადაგება.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ რედაქციას გვერდი არ აუვლია სოციალური საკითხისათვის. რა თქმა უნდა, მასში არ უნდა ვეძიოთ ის რადიკალიზმი, რაც დამახასიათებელია ილიას „საქართველოს მოამბისათვის“. ეპოქა ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. მაგრამ გაუმართლებელი იქნებოდა შეუმჩნეველობა დგრიტასი, რომელიც ამ თვალსაზრისით ყურნალის მხატვრულ პროზაში იძებნება. „სალიტერატურონი ნაწილნი“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა ს. დოდაშვილის მოთხრობა „ელენა“. ავტორი სიყვარულის თავისუფლებას ქადაგებს, რაც მაშინ-

დელ საქართველოში ფრიად პროგრესულ ტენდენციად ჩაითვლება. ბელეტრისტი მახვილს სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ მიმართავს, გმობს უსამართლო საზოგადოებრივ დიფერენციაციას. რატომ დაიღუპნენ მოთხრობის მთავარი პერსონაჟები? იმიტომ რომ ომანმა უარი უთხრა დაბალი წრიდან გამოსულ ამირანს ქალიშვილის მოთხოვებაზე.

„ელენა“ პირველი ქართული მოთხრობაა, რომელშიაც, მართალია, სუსტად, მაგრამ მაინც გაისმის პროტესტი კლასებად დაყოფის წინააღმდეგ. გლეხთა წრიდან გამოსული ს. დოდაშვილი კარგად გრძნობს წოდებრივი ინსტიტუტის სიმძიმეს და ხმასაც იმაღლებს მის წინააღმდეგ.

„ელენას“ გამოქვეყნებით ჟურნალმა ხარკი გადაუხადა სენტიმენტალიზმს. ეს ნაწარმოები XIX საუკუნის ქართული პროზის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია, მაჩვენებელი იმდროინდელი ბელეტრისტიკის თავისებურებისა. ამდენად, მასზე ყურადღების გამახვილება უპრიანია. სენტიმენტალიზმი ჩვენში არ ყოფილა ფართოდ გავრცელებული მოვლენა. ზოგიერთი ლიტერატორი ქართულ მწერლობაში სენტიმენტალიზმის ცალკეულ გამოვლინებებს ხედავს და არა მთლიან, ჩამოყალიბებულ მიმდინარეობას. მიუხედავად ამისა, ჩვენ უფლება არა გვაქვს გვერდი ავუაროთ სენტიმენტალიზმის ცალკეული ნიმუშების განხილვა-შეფასებას და იმ თავისებურებების წარმოჩენას, რაც მათთვის ნიშანდობლივია.

ს. დოდაშვილი ამაღელვებელი ლირიზმით გადმოგვცემს ახალგაზრდა ქალის განცდებს. ელენა სახლიდან გარბის და ფარულად იწერს ჯვარს; მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს ამირანისათვის. სიყვარულმა უდრეკობისა და თავდადების სული ჩაჰბერა. როგორც სენტიმენტალური ნაწარმოების ყველა დადებით პერსონაჟს, ელენასაც ახასიათებს გულჩვილობა და დიდსულოვნება.

სენტიმენტალისტებს, განსხვავებით კლასიციზმისაგან, მთავარ მოქმედ პირებად გამოჰყავთ სხვადასხვა წოდებისა და წრის წარმომადგენლები, განურჩევლად ქონებრივი ცენზისა, განათლებისა და საზოგადოებაში მოპოვებული მდგომარეობისა.

სენტიმენტალისტები ფეოდალური ჩაგვრისა და წოდებრივი დაყოფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. როგორც ვნახეთ, დოდაშვილიც ასე იქცევა. მსგავსად „ახალი ელოიზასი“, „პოლი და ვირჟინისა“ თუ სხვ. ქართულ მოთხრობაშიც შეინიშნება სადა ცხოვრებისაკენ, ბუნებისკენ სწრაფვა. სტილის მხრივაც „ელენაში“ დაცულია სენტიმენტალიზმის



ძირითადი პრინციპები. პიროვნების განცდები და ფსიქოლოგია ნაწილში  
 ეწინებოა იმ დოზით, რასაც პერრომანტიზმი ითვალისწინებს. მკითხველს  
 თვალში ხვდება ჭარბი მგრძობელობა და არატიპურობა.

როგორც ცნობილია, სენტიმენტალისტებმა სამწერლო ენა დაუახ-  
 ლოვეს ხალხურს; მეტი სინათლე და სისადავე შეიტანეს რთულ სინ-  
 ტაქსულ კონსტრუქციებში; ბრძოლა გამოუცხადეს არქაულ მეტყვე-  
 ლებას... ასე იყო საფრანგეთში, რუსეთში. საქართველოში ამ მხრივ  
 განსხვავებული ვითარებაა. (ემსჯელობთ ს. დოდაშვილის მოთხრობის  
 მიხედვით). „ელენა“ ძირითადად ძველი ენითაა დაწერილი.

სენტიმენტალური ხასიათისაა აგრეთვე მოთხრობა „ჟინევრა“, რო-  
 მელიც ს. დოდაშვილს უთარგმნია. ავტორის აზრით, ქორწინება უნდა  
 ეფუძნებოდეს არა ქონებრივ ან წოდებრივ უპირატესობას, არამედ  
 სიყვარულის დიად და ყოვლისმძლე გრძობას.

„ჟინევრაში“ დიდი ადგილი ეთმობა პერსონაჟთა შინაგანი ტკიე-  
 ლების გადმოცემას. ანტონი სატრფოს დაკარგვამ თითქმის გაანადგუ-  
 რა. გვიან საღამომდე რჩება სასაფლაოზე დაფიქრებული და სევდიანი.  
 „იყო ესრეთ მოშთობილი მწუხარებისა გამო, რომელ ძალით შეეძლო  
 ქვეშევგებიდგან ადგომა და ფანჯარასთან მისვლა“. შეუწყვეტელი ცრემ-  
 ლის ღვრა, ოხვრა და კვნესა.

სენტიმენტალიზმისათვის ნიშანდობლივი პოეტური ინვენტარი თა-  
 ვიდან ბოლომდე გასდევს თხზულებას. „ჟინევრაში“ გვხვდება არაერ-  
 თი დაუსაბუთებელ-დაუჭერებელი დეტალი. მიუხედავად ამისა, რე-  
 დაქციამ მისი გამოქვეყნებით კარგი საქმე გაკეთა. ჯერ ერთი, მოთხ-  
 რობა იდეურად გამართულია, პროგრესული შეხედულებების შემცვე-  
 ლია. მეორეც, იმ დროისათვის ჩვენს საზოგადოებაში სენტიმენტალიზ-  
 მის ქადაგება არცთუ უადგილო იყო.

საფიქრებელია, 30-იან წლებში, „სალიტერატურონი ნაწილისი“  
 შემდეგ, სხვა ქართული ჟურნალი რომ არსებულებო, სენტიმენტალიზ-  
 მი მასში შედარებით ფართოდ გაშლიდა ფრთებს და დაგვიანებული სა-  
 ხით არ წარმოჩინდებოდა 50-იანი წლების ჩვენს ლიტერატურასა და  
 ჟურნალისტიკაში.

„ჟინევრასთან“ დაკავშირებით ერთი საგულისხმო მოსაზრებაც  
 უნდა გავიხსენოთ. მიხ. ზანდუკელი მიუთითებს: „შესაძლოა, ფანტა-  
 ტიკური თხზულება „ჟინევრა“, რომლითაც იხსნება ჟურნალ „სალი-  
 ტერატურონი ნაწილისი ტფილისის უწყებათანი“, ალეგორიულად ეროვ-  
 ნული გრძობის გამახვილებას ემსახურება და სწორედ ამ მიზნით იყო

ის მოთავსებული ჟურნალის პირველი ნომრის თავში, როგორც **ქვეყნის მოწინავე**.

ამგვარი ვარაუდისათვის ნამდვილად არსებობს საფუძველი, მით უფრო, თუ ვავითვალისწინებთ მაშინდელი მკითხველის აზროვნების სპეციფიკასაც.

„სალიტერატურონი ნაწილის“ რედაქცია გულგრილად არ დარჩენილა ზოგადსაკაცობრიო პრობლემებისადმი. დავით მაჩაბლის „თოვლში“ კვითხულობთ:

„ძლიერი მძლავრობს, მას ზედა, ვის ოდეს თვით მოერევის.  
მალა სხვა მალლობს, თანდისთან ზედ მიდის ცაში ერევის.  
მუნ, ხეთისა სწორი არეინ არს: ძალუმს მეტობა მერე ვის?  
ევრე ამ მძლავრსაც სხვა მძლავრობს, სხვა უმეტესი ერევის.

ფიცხელი თოვლი ცისკროვნებს, ამჟობს სპეტაკობითა,  
მაგრამ ვლახ მისი სილღე მდაბლდების მყუდროებითა.

მიწანა, მიწათ ვიქცევით; სული იცხოვლებს ვისაგან.  
თოვლი იცვლების მზისაგან; ჩვენ კაცნი მხოლოდ ღვთისაგან“.

ლექსში გვხვდება აგრეთვე ადგილები, რომლებიც სოფლის დაუდგომელი და უცნაური ბრუნვისაგან დასევდიანებული პოეტ-რომანტიკოსის განცდებს გვამცნობენ.

ჟურნალში მოთავსებული ნაწარმოებებიდან გააზრებითა და მხატვრულობით გამოირჩევა უცნობი ავტორის „უმანკობა“.

ეს ერთგვერდიანი მინიატურა საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ არსებული მდგომარეობის კრიტიკას შეიცავს.

ქვეყნად როდესაც სიყვარული, სიმშვიდე, მყუდროება სუფევდა, უმანკობა ხალხთან იყო. მაგრამ როცა ცხოვრება აიწეწა, უმანკობამ მიატოვა ესე ქვეყანა და ზეცას მიაშურა. მას შემდეგ იგი იშვიათად ჩამოდის დედამიწაზე, სადაც ბოროტება, შური და მტრობა მეფობს.

„სალიტერატურონი ნაწილში“ დაიბეჭდა აგრეთვე რუსული პოეზიისა და პროზის ნიმუშები. ჟურნალის მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა ს. რაზმაძის მიერ თარგმნილი პუშკინის „ლზინი“ და „ღიშპანური სიმღერა“, ეს უკანასკნელი ძალზე კარგად არის თარგმნილი. ს. რაზმაძე ცდილობს შეინარჩუნოს დედნის მელიოდიურობა-მუსიკალობა და პირდაპირ ვადმოაქვს პუშკინის რიტმი.

რუსული პროზიდან ჟურნალში დაიბეჭდა დ. მაჩაბლის მიერ თარგმ-





ნილი „ყრმებრივი უმანკობა“. იგი ალგორითული ხასიათის ნაწარმოებია, რომელშიაც გაკიცხულია პატივმოყვარეობა, უმსგავსო ცხოვრებისაკენ ლტოლვა. ძირითადი საკითხები გადმოცემულია მისტიურ სახეებში, რთული სინტაქსური კონსტრუქციებით. სტილი დახლართული და გაუგებარია. ამ მხრივ „ყრმებრივი უმანკობა“ ჟურნალში მოთავსებულ სხვა მასალებზე დაბლა დგას.

რუბრიკით „აღმოსავლური ლიტერატურა“ გამოქვეყნდა დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებები. მათში საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სიბრძნე და გონიერება ჩაქსოვილი. არაკების გამოქვეყნებით ჟურნალი აგრძელებს იმ კარგ ტრადიციას, რომლის დასაწყისი ქართული ლიტერატურის სათავეებთან იძებნება და რომელიც განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა სულხან-საბა ორბელიანმა.

არაკში „სამი ინდის ხურმა“ მოთხრობილია, თუ როგორ მიუზღო ტანჯვისათვის სამაგიერო მოსამსახურემ ხალიფას. არაკი გვასწავლის: — ვინც ბოროტს თესავს, იგი ბოროტს მოიმკის.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ იბეჭდებოდა ნაკვესები, რომელთა სატირულ-უმორისტული განწყობა მკითხველის გემოვნებას ეხმიანება. აი, ნიმუშიც: „ერთმან მიიღო მკურნალისაგან ნება, რათა ღვინო დალიოს მხოლოდ მაშინ, ოდესაც ჰზის სადილათ. მან ჰეშმარიტებით აღასრულა სიტყვა მკურნალისა: დილით საღამომდე იჭდა სადილათ და ჰსვამდა ღვინოსა“. მსგავსი სიმახვილით ხასიათდება მეორე ნაკვესიც: — „იცი, რომელ ამ კაცს წარსულს კვირას სტაქანს ღვინოში დაუკარგავს გონება? ახლა ეძებს და ვერ უპოვია!“

სოციალური უღერადობით საინტერესოა აგრეთვე — „ანეკდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულება“. მასში მოთხრობილია, რომ ვეზირმა მოულოდნელად მიატოვა ხელმწიფე და ღმერთს მიეკედლა.

ერთი შეხედვით ეს „ანეკდოტი“ შეიძლება კაცს რელიგიის პროპაგანდად მოეჩვენოს, სინამდვილეში იგი ტირანის მკაცრ კრიტიკას შეიცავს. მოხერხებული ფორმით არის გაკიცხული მეფე, რომელიც ქვეშევრდომთა უმოწყალოდ მჩაგვრელია.

აი, რას ეუბნება ვეზირი ხელმწიფეს: „ა) ყოველსა დროსა ჩემისა მყოფობისასა წინაშე შენსა შენ ყოველთვის იჯექ და მე კი ყოველთვის ვიდექ და გემსახურებოდი და არაოდეს მალირსებდი დაჯდომისა... ბ) ოდესაც შენ გეძინა, მე ვალი მაქვნდა გაგფრთხილებოდი და დამეფარე... გ) როდესაც შენ სადილზედ ჰბრძანდებოდი, მიირთმევდი ტკბილს საჭმელებს და მე კი არაოდეს არას მომცემდი... დ) ყოველთვის მეშინოდა, რომელ შენ მოჰკვდები და შემდგომ გარდაცვლისა შე-

ნისა არ ვიცოდი, რაი შემემთხვეოდა... ე) მე მარადის მეშინოდა, რომ მეღ უკეთუ რაშიმე შევსცდები, მაშინ მიმცემ მე ბოროტსა სიკვდილსა... ახლა კი ვეზირი ისეთ ვინმეს ემსახურება, რომელიც ყველა ამ ნაკლისაგან დაზღვეულია. ბუნებრივია, ნაწარმოების ავტორს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, თუ არა ღმერთის მოშველიება.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ თვალსაჩინო ადგილი ეთმობა რელიგიას, შორსმჭვრეტელ დოდაშვილს შეგნებული ჰქონდა ქრისტიანობის დიდი ზვედრითი წონა და ანგარიშს უწევდა სარწმუნოებრივ ტენდენციებს. ქართველებში ქრისტიანობა და სამშობლოს სიყვარული ურთიერთგადაკვანძული იყო და რედაქციაც მართლმორწმუნე თანამემამულეებს მათივე ენით ელაპარაკებოდა: — ღმერთი მოგიწონებთ სამშობლოსათვის თავდადებას; საჭიროა მეტი აქტიურობა და მამულის კეთილდღეობისათვის ბრძოლა, ამ საქმეში თქვენ მართო არ იქნებით, ქრისტე დაგეხმარებათ.

წერილში — „მეფობა ირაკლი მეორისა“ აღნიშნულია, რომ ქართველებს უწინარესად ჭვარი შველოდა, რომ აზატხანის დამარცხებაში მან მნიშვნალოვანი როლი შეასრულა.

რედაქციას რელიგია აინტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი პატრიოტიზმთან კავშირშია.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ განსაკუთრებით ზრუნავს ქართველი ხალხის განათლებისათვის. იგი ალტაცებით ეგებება ყოველივე ახალს და პროგრესულს ერის კულტურულ ცხოვრებაში; აღნუსხავს და მხარს უჭერს მნიშვნელოვან წამოწყებებს, სურს ფართო გასაქანი მიეცეს მათ. ხაზგასმულია, რომ დოდაშვილის განმანათლებლურ იდეებს პატრიოტიზმი ასაზრდოებს.

ს. დოდაშვილის, როგორც ჟურნალისტის, დასახასიათებლად აუცილებელია გავიხსენოთ მისი მოსაზრებები პუბლიცისტის მოვალეობადანიშნულების შესახებ. მის წერილებში ამ თემაზე გაბნეული გამონათქვამები საკმაო მასალას იძლევა მსჯელობისათვის.

პირველი მთავარი მოთხოვნა, რომელსაც დოდაშვილი ჟურნალისტს უყენებს ასეთია: ყოველი ნაწარმოების შექმნისას ავტორს უნდა ამოძრავებდეს „სული სიყვარულისა დიდებისათვის მამულისა“. მაშასადამე, თავიდათავია არა პირადი, არამედ საზოგადოების ინტერესები. ანალოგიურ შეხედულებას ავითარებს იგი იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ ბარათშიც: „ვიკრეფ სიბრძნესა მამულისათვის... არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვპმუშავებ, არამედ სიყ-

ვარულსათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას იველი მშალეებითა წერილთა სარწმუნოთა“.

ს. დოდაშვილი ჟურნალისტიკისაგან მოითხოვს აგრეთვე მიუყრდობ-  
ებლობას. მან „თვინიერ ყოვლისა პირმოთნეობისა სიყვარულითა ჳემ-  
მარიტებისათა“ უნდა ცხადყოს მსჯელობის ობიექტის სიაყვარაგე.

შემდეგ: ჟურნალისტი საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს იმ საკი-  
თებში, რომლებზედაც წერს. საუკეთესო „მცნობი“ იყოს იმ ერის  
„ბუნებითისა ენისა“, „ზნეობათა და ყოფაქცევათა“, რომლის შესახებ-  
ბაც მსჯელობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი წერილი დაზღვეული  
არ იქნება ლაფსუსებისა და უხეში შეცდომებისაგან.

ს. დოდაშვილი მოითხოვს საკვანძო დებულებების არგუმენტაციას.  
და ერთიც: ყურადღებას ამახვილებს ჟურნალისტის ზნეობაზე. არ შე-  
იძლება სხვისი აზრების „უსვინდისოდ გარდმოწერა“ და საკუთარ მო-  
საზრებებად გასაღება. პლაგიატობა ყველაზე დიდი ბოროტებაა. ამ  
თეორიულ შეხედულებებს ავტორი განუხრელად ატარებს პრაქტიკა-  
ში, რისი დასტურიცაა ჟურნალში გამოქვეყნებული მისი სტატიები.  
ს. დოდაშვილის ნაწარმოებები ხასიათდება აზრთა სიღრმითა და სიძ-  
ლიერით. ავტორს შესწევს უნარი მრავალი საკითხიდან ყველაზე სა-  
ჭირობოროტო გამოყოს და მასზე გაამახვილოს ყურადღება. ის ერიდება  
რუსიციზმებსა და უცხო სიტყვებს. მოსაზრებებს აყალიბებს მკაფიოდ  
და ლოგიკურად.

ორიოდე სიტყვა ს. დოდაშვილის ჟურნალისტური ეთიკის შესახებ.

ს. დოდაშვილი თავმდაბალი, ჩუმი და დიდსულოვანი მუშაკი გახლ-  
დათ. არასდროს ცდილა ჟურნალი საკუთარი სახელისა და განდიდე-  
ბისათვის გამოეყენებია. საგულისხმო დეტალია: „საყვარელო მამუ-  
ლოს“ ბოლო სტრიქონი ხელნაწერში ასე იკითხებოდა: „მას უბედურ-  
სა, მალ პასუხ — უგებს; ჩვენი სოლომონ დოდაევია“. ს. დოდაშვილის  
უხერხულად ჩაუთვლია თავისი სახელის ხსენება და ბოლო სიტყვა  
„ს....ია“—თი შეუცვლია.

გფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, თუ გავიხსენებთ ერთ მეტად მეტყ-  
ველ ეპიზოდს.

ს. დოდაშვილმა ჳერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მიიპყრო რუსე-  
თის მოწინავე საზოგადოების ყურადღება. 22 წლისამ პეტერბურგში  
გამოსცა „ლოგიკა“, რომელშიაც კარგად ჩანდა ავტორის ფილოსო-  
ფიური ცოდნა, განათლება და ნიჭი. ეს წიგნი მომავალი დიდი ჟურნა-  
ლისტის დაბადებაზე წინასწარმეტყველებდა, რაც შეუნიშნავი არ დარ-  
ჩენიათ მწერლებს. ამიტომაც სთხოვეს ეთანამშრომლა მოსკოვის ჟურნალს



ნალ-გაზეთებში. აი რას გვიამბობს ამის შესახებ სოლომონი: „აქამოდე მაქუნდა ჩინებულთა პოეტთა და მწერალთა საუბრობა, რომელნიცა იქებდნენ პეტერბურღსა შინა თვისითა საქმეებითა და ყოველსა ქვეყანასა ზედა ისმიან პატიოსნებანი მათნი, მათ მთხოვეს თბილისიდან წერილისა შეერთება, ერთი მათგანი მიდის ევროპასა შინა უმეტეს გახათლებისათვის, მე ვთხოვე მუნიტგან მოწერა ავთრათისა და ღირსი ხსოვისა ცნობა, მან აღმიტქვა“.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ მოთავსებული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჟურნალი ერთ მაგისტრალურ ხაზს მიჰყვება: მშობლიური ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის დაცვა, სწავლა-განათლების პრობაგანდა, რელიგიის საკითხები თუ სხვა საბოლოო ჯამში პატრიოტიზმთან არის დაკავშირებული.

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ ზ. ჭიჭინაძე შენიშნავდა, რომ „ეს ძველი ენა, რომელიც კი მეფობდა საქართველოში 1850 წლამდე, იყო რაღაც განკერძოებული თვისების ენა. იგი არც ძველს ეკუთვნოდა და არც ახალს, უფრო კერძოებით ხასიათის მექონ სურათს წარმოადგენდა. მისას ვერც ერი გაიგებდა რამეს ადვილად და ვერც მღვდელი. ეს ნაკლი მათ რომ თავიდან აეცდინათ, იქნება მაშინ ქართველობაში საერთოდ განათლების და მწიგნობრობის საქმეც სხვანაირად წასულიყო, იქნებ იგი წარმატებით შემოსილიყო... თვით 1850 წლებამდისაც კი ამ ენით სწერდნენ და ჰბეჭდავდნენ, როგორც გაზეთ-ჟურნალს, ისევე სხვა და სხვა ქართულ წიგნებს. ამ ნაკლს ვერ ასცდა თვით ცნობილი სოლომონ დოდაშვილიც“.

„სალიტერატურონი ნაწილის“ ენა გადატვირთულია არქაიზმებით. რედაქცია ქედს იხრის ანტონ კათალიკოსის სტილის წინაშე. მღვდელმთავრის სინტაქსს დაუპყრია მთელი ჟურნალი. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ ეს ენა განტვირთულია უცხო სიტყვებისა და დიალექტებისაგან. ამ მხრივ პირველმა ქართულმა ჟურნალმა საგრძნობლად გაუსწრო „ქართულ გაზეთსა“ და „ტფილისის უწყებანს“. ზოგიერთ საკითხში კი იგი „ცისკარსაც“ სჯაბნის (ენის სიწმინდის დაცვა).

ჟურნალში შეინიშნება ახალი სასაუბრო ენის დამკვიდრებისა და ზედმეტი ასოების უგულვებელყოფის ტენდენცია. ამდენად, 60-იან წლებში თერგდალეულთა მიერ ახალი ენისათვის გაჩაღებული ბრძოლა არ შეიძლება პირველ ქართულ ჟურნალზე გადაბიჯებით განვიხილოთ.

„სალიტერატურონი ნაწილი“ პატარა ფორმატის ჟურნალია. ერთად აღებული ხუთივე ნომერი თანამედროვე „მნათობის“ ნახევარიც





არ იქნება. თვითოეული რვეული შეიცავს 24 გვერდს. მომდევნო წელს მერში გრძელდება წინა ნომრის პაგინაცია. ჟურნალის წლიური ფასი გაზეთთან ერთად იყო რვა მანეთი ვერცხლით.

ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით „სალიტერატურონი ნაწილნი“ საშუალო დონეზე დგას.

რედაქცია იუწყებოდა, რომ ჟურნალი დადგენილ რიცხვებში — 1 და 15-ში ვერ გამოვიდოდა, „რადგანაც იწყო გამოცემამან გაზეთისა-მან რუსულსა და თათრულსა ენებსაცა ზედა, ამისთვის სტამბასა შინა იქნა დაბრკოლება. ქართულს ენასა ზედა ყოველთვის გამოვა იგი ხუთსა და ოცსა რიცხვებსა შინა“. ასეთი დაბრკოლებები, ჩანს, არცთუ იშვიათი იყო.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ მესვეურთათვის ყველაზე მძიმე იყო უსახსრობა. ჯერ კიდევ 1832 წლის თებერვლის დასაწყისში ს. დოდაშვილი ფ. კიქნაძეს სწერდა: „ცოტანი არიან ხელის მომწერნი და ხარჯი მრავალი უნდაო“. რედაქტორი გრძნობდა ხელის მომწერთა სიმცირით გამოწვეულ საშიშროებას. „უკეთუ საზოგადოებამან მოაქცია კეთილმდირეკილებითა ყურადღება სასარგებლოსა ამას გამოცემასა ზედა და ისურვა ხელის მოწერა, მაშინ მიუცილებლად განგრძელდება გამოცემა და აღსრულდება ყოველი აღთქმული“.

ს. დოდაშვილის მოწოდება დარჩა ხმად მლაღაღებლისა უდაბნოსა შინა. ჩვენმა საზოგადოებამ ვერ შესძლო პირველი ქართული ჟურნალის ხანგრძლივად არსებობის უზრუნველყოფა. როგორც ითქვა, „სალიტერატურონი ნაწილნი“ მეხუთე ნომრის შემდეგ არ გამოსულა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „სალიტერატურონი ნაწილნი“ დაბრკოლებაში თვალსაჩინო როლი შეუსრულებია აგრეთვე ცენზურასაც.

ჟურნალს ცენზურას უწევდა თბილისის სამხედრო გუბერნატორი, ქალაქში მისი არყოფნის შემთხვევაში კი სამოქალაქო გუბერნატორი.

ყოველი პერიოდული გამოცემის დახასიათებისას წინ იწევს შემდეგი კითხვა: იყო თუ არა იგი ხალხის ინტერესების, სულიერი, მოთხოვნილებების გამომხატველი, ეხმაურებოდა თუ არა თანამედროვეობას, რა სიახლით ხასიათდებოდა და რა ძალისა იყო ეს სიახლე? უამისოდ შეუძლებელია გამოცემაზე მართებული თვალსაზრისის შემქმნევა.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენი პრესის ისტორიაში. იგი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის შეხედულებებისა და იდეების დამცველ-პოპულარიზატორი იყო. განსხვავებით „ქართული გაზეთისა“ და „ტფილისის უწყებანისაგან“, ჟურნალი უფრო



ღრმად და საფუძვლიანად შეეხო საჭირობოროტო საკითხებს — ორიგინალური თემატიკით, ახალი შინაარსით წარსდგა საზოგადოების წინაშე. მან ხელი შეუწყო ქართველებში პატრიოტული გრძნობების გაღვივებას, სწავლა-განათლების გავრცელებას, იგი იცავდა ჩვენს კულტურასა და ისტორიას. „სალიტერატურონი ნაწილნი“ ზოგიერთ შემთხვევაში წინაც კი უსწრებდა თანამედროვეობას. მის ფურცლებზე ვხვდებით კლასობრივი დაყოფისა და ტირანიის წინააღმდეგ მიმართულ თხზულებებს.

ქურნალმა დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო იმდროინდელ, არამედ შემდეგი პერიოდის საზოგადოებაზეც. მასში მოთავსებული მასალები გადაიბეჭდა სხვადასხვა ქურნალსა და ალმანახში.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ არა მარტო შინაარსით სჯაბნის წინაბეჭდვით ორგანოებს, არამედ ენობრივი თვალსაზრისითაც. თუ პირველი ქართული გაზეთი სავსეა უხეში რუსიციზმებით: „უქაზი“, „ზემსკის პოლიცია“, „უეზდის სუდი“, „ისპრაენიკი“, „ოკრუენი სასამართლო“, „ჩლენი“ და სხვა; ასევე „ტფილისის უწყებანიც“ — „ლინია“, „სოვეტნიკი“, „ოტრიადი“, — „სალიტერატურონი ნაწილნი“ მსგავსი რამ ნაკლებ, ან თითქმის არ გვხვდება.

მართალია, პირველი ქართული ქურნალი თვალსაჩინოდ ჩამორჩება იმდროინდელ ევროპულ ან რუსულ პროგრესულ გამოცემებს მასალათა ხარისხით, მაგრამ ფაქტია, რომ ის გაცილებით ფასოვანი და საჭირო იყო საქართველოსთვის, ვიდრე „სევერნი არხივი“ ან, თუ გინდ, „სინ ოტჩესტვა“ 30-იანი წლების რუსეთისათვის.

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ მნიშვნელობა დიდია იმ მხრივაც, რომ იგი საქართველოში საეურნალო საქმის საფუძვლის ჩამყრელია. მისი დაწყებული საქმე სახელოვნად გააგრძელა და განავითარა XIX საუკუნის მეორე სახევრის ქართულმა პრესამ.

გიორგი ლეონიძის ნაწიერი წიგნები

„სადღაც შენდობას იხვეწება  
წიგნის მკობელი“.

გიორგი ლეონიძე

საქართველოს სახალხო პოეტის, აკადემიკოსი გიორგი ლეონიძის ფიქრი მრავალ მამულიშვილურ საქმეთა შორის თავს დასტრიალებდა ქართულ წიგნსა და მწიგნობრობას.

პოეტის კალამს ეკუთვნის ბრწყინვალე წიგნები ჩვენს წიგნთაწიგნებზე — „ქართლის ცხოვრებაზე“, „ვეფხისტყაოსანსა“ და „დედა ენაზე“. შთაგონებით შეამკო მან აგრეთვე ქეთევან დედოფლის წამების დროს ხელპყრობილი სახარება და ძველი წიგნის მწერალი.

გიორგი ლეონიძე ყველა დროის ქართველი მწიგნობარის სათქმელით ღაღადებს ლექსში „ძველი წიგნის მწერალს“:

„მე უამთა ზღვაში წიგნი ჩავდგი, როგორც ფაცკარი,  
ზედ მარგალიტით დაფიშუქე ხსოვნით მანძილი“.

ან კიდევ:

„დავწერე წიგნი და ზედ გულმა შუქი ათოვა,  
დავწერე წიგნი. წიგნმა თავი გაიმნათობა“.

ჩვენს საუკუნეში მხოლოდ საქმემრავალ გიორგი ლეონიძეს შეეძლო ეკითხა მემატიაუნესათვის: „ჩვენზე რას იტყვი, ჩვენზე რას ჩასწერ, მამულის წიგნში, მამულის სულო?“

ჯერ კიდევ ყრმა პოეტმა გამოამყლავნა განსაკუთრებული ინტერესი ქართული სიძველეების შესწავლისადმი. მისი წერილები ქვეყნდებოდა 1912 წლიდან ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. დავასახელებთ მის ზოგიერთ წერილს: „სამების მონასტერი გარეკახეთში“ („სახალხო გაზეთი“, 1912, № 638 — 540), „ნინოწმინდის ტაძარი“ („სახალხო გაზეთი, 1912, № 748), „უჯარმა და მისი ნაშთები“ (გაზეთი „თემი“, 1912, № 149), „ივერიის მონასტერი ათონში“



(„სახალხო გაზეთი“, 1913, № 834), „მგზავრის შთაბეჭდილებანი“ („სახალხო გაზეთი“, 1913, № 1024), „აბიზოს ნეკრესელი“ („სახალხო გაზეთი“, 1914, № 1160), „ქართული მუსიკალური ინსტრუმენტების ისტორიისათვის“ (გაზეთი „იმერეთი“, 1914 წ.) და სხვა. მის წერილებს განსაკუთრებით გზა გაუხსნა თავის ფურცლებზე ჟურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“, რომლის რედაქტორიც იყო იოსებ იმედაშვილი. ამავე დროს გიორგი ლეონიძემ საინტერესო დაკვირვებანი გამოაქვეყნა ქართულ მწიგნობრობაზე წერილებში: „პლატონ იოსელიანი“, „ქართული წიგნის ისტორიისათვის“, „დავით და იოანე ბატონიშვილები“ და სხვ.

გიორგი ლეონიძის ყრმობისდროინდელმა მეცნიერულმა თვალსაწიერმა უფრო მეტი სიგრძე და განი მოიპოვა 20-იან წლებში. ამ დროს იწყებს იგი ყოველკვირეული პირველი ლიტერატურული გაზეთის „ბახტრიონის“ გამოცემას. როგორც რედაქტორი, გიორგი ლეონიძე ცდილობს თავისი გაზეთის ფურცლებზე დიდი ადგილი დაუთმოს ქართული წიგნის გამოცემის ისტორიის ცალკეულ საკითხებს. ამ ხანებში წერს ნაშრომს მამუკა ბარათაშვილზე — 1920 წელს ცალკე წიგნად აქვეყნებს „ჰაშნიკის“ ტექსტს.

გიორგი ლეონიძემ ამის შემდეგ სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები: „სიბრძნე სიცრუისა“ (1928 წ.), ფეშანგის „შაჰნავაზიანი“ (1935 წ.; ეს იყო ამ პოემის პირველი პუბლიკაცია), იოსებ სააკაძის „დიდმოურავიანი“ (1939 წ.), მონოგრაფიული გამოკვლევები — საიათნოვაზე (1931 წ.), ბესიკზე (1942, 1953 წწ.), დავით გურამიშვილზე (მისი შესავლით გამოვიდა რუსულად, დავით გურამიშვილის „დავითიანი“ 1954 წელს თბილისში, 1955 წელს მოსკოვში და ლენინგრადში 1956 წელს), ივანე მაჩაბელზე (1924 — 27 წლები, ჟურნალი „მნათობი“), ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მხატვარ ნიკო ფიროსმანიშვილზე. გიორგი ლეონიძემ გამოავლინა ბევრი ხელნაწერი წიგნი და საბუთი. მაგალითად, მან შესძინა სიძველეთა საგანძურს არვაგბეგ საბაის ძის ტყავზე ნაწერი სიგელი (XIII საუკუნისა), ციციშვილების საგვარეულო სიგელები (XVII—XVIII სს.), პაპუნა მაღალაშვილის ანდერძი და სხვები.

გ. ლეონიძეს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ძველი ქართული თეატრის, მხატვრობისა და აზროვნების ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლაში. საყურადღებოა მისი ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის შესახებ. მან მიაკვლია ამ მნიშვნელოვან ხელნაწერს ვორონცოვის არქივში და მისივე დიდი

4. „მწიგნობარი — 93-94“





მცდელობით დაუბრუნა 1935 წელს საქართველოს. ამჟამად ევგენიძე ცულია აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

როგორც ზემოთაც ითქვა, გ. ლეონიძის გამოკვლევების თითქმის ყველა პუბლიკაციაში ყურადღებაა გამახვილებული ქართული წიგნმცოდნეობის საკითხებზე, მაგრამ მასვე ეკუთვნის სპეციალური გამოკვლევები ამ დარგში. მაგალითისათვის საკმარისია მისი ნარკვევები ანთიმოზ ივერიელზე, რომელიც პოეტის თქმით, იყო „პირველი ეროვნული ქართულის სტამბის ორგანიზატორი ვახტანგ მეექვსესთან ერთად“ (ეურნალი „დროშა“, 1951, № 2), მისი წერილები ქართული სტამბისა და ანთიმოზ ივერიელის ცხოვრება-მოღვაწეობის ცალკეულ საკითხებზე გამოქვეყნდა ეურნალ „დროშაში“ (1951, № 2), გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ (1959 წ. 4 ოქტომბერი) და გაზეთ „კომუნისტში“ (1959 წელი, 15 ოქტომბერი).

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს გიორგი ლეონიძის ნაშრომი „ფიქრები ქართული წიგნის გარშემო“, რომელიც დაიბეჭდა 1952 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ (№ 16). ნაშრომში ავტორი საუბარს იწყებს ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების მარგინალიებზე. გ. ლეონიძე ყურადღებას ამახვილებს XI საუკუნის მოღვაწე დავით ჯიბისძეზე, რომელსაც ეკუთვნის ასეთი სიტყვები: „პირველ სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს. ღმერთმან მზე და მთვარე ხორცთა ჩვენთა სახმარად დაჰბადნა, ხოლო — წიგნი — სულთა ჩვენთა განმანათლებლად მოგვამადლნაო“.

გ. ლეონიძე მიუთითებს თბილისის სტამბაში პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნისადმი (1709) მიძღვნილ ლექსზეც:

„ყველა კაცსა უხაროდა  
რიტორსა და ხმა-უსულსა,  
უსწავლულსა სიბრძნეს მისცემს,  
გონიერსა გულს უსრულსა“.

თვით ვახტანგ მეექვსის ღვაწლს ამ საქმეში ასე აფასებს: „იღვაწა შესამკობელად სამკვიდრებელსა და ნათესავისა ჩვენისაო“. ამავე ნაშრომში მოტანილი აქვს ურთი უცნობის ლექსიც, სადაც შეფასებულია მესტამბის ღვაწლიც:

„შენავე ღელვა გვემულ  
განეროს ზღვისა წყრომასა,  
კალატოზნი და ხურონი“

რა მორჩნენ თვისა შრომასა,  
მესტამბე მათგან უღარესს  
იქს სიხარულის ნდომასა\*.

გ. ლეონიძეს ნაშრომში მოაქვს ცნობები ძველ ქართულ გიგანტურ ხელნაწერებზე. მაგალითად, რამდენიმე ფუთიანი, მეათე საუკუნის პარხლის მრავალთავი, „შემოქმედების გულნი“, რომელიც ორიათას-რვა გვერდის სქელ ქალაღს შეიცავს და იწონის ორ ფუთს, შემდეგ ასახელებს ორიათასოთხმოცგვერდიან გელათის გულანს, რომელშიც თითქმის არც ერთი შეცდომა არ არის გაპარული. ამ ცნობას თან ურთავს ერთ-ერთი ძველი გადამწერის ამაყად ნათქვამს: „ერთიცა ასოი მრუდე და მეტი ჩემს წიგნში არ არისო“. მე-12 საუკუნის ერთ კალიგრაფზე ასე წერს მადლიერი მკითხველი: „გიორგი ბროლას აქეთ, მისებრი მის უმართლე მწერალი არ გამოსულა ჩვენს ნათესავთა შორის“.

ცნობილია ისიც, რომ ბევრი ქართველი მწიგნობარი თუ გადამწერი ანონიმი და ზოგ მათგანს თვით არ ეწადა ვინაობის გამჟღავნება, რადგან ეს საშვილიშვილო საქმე უპრეტენზიოდ უნდა კეთდებოდესო. გ. ლეონიძე მიუთითებ, რომ „დღეს კი ხუთ-ხუთი კაცი ვაწერთ ხელს თითოეულ წიგნაკს და მაინც გაუმართავ წიგნებს ვებუქდავთ“.

გ. ლეონიძე ნაშრომის მეორე ნაწილში ეხება ქართული წიგნის გამოცემის მდგომარეობას. შემდეგ წერილში საუბარია საგამომცემლო მიღწევებზე.

გ. ლეონიძე წერს გამომცემლების ჩივილზე ქალაღის ნაკლებობის გამო, აქვე მიუთითებს სტამბების გასაჭირზე, რომ არა აქვთ შესაფერისი შრიფტი, არა ჰყავთ სასტამბო საქმის ოსტატები და სხვ. „ვთქვათ გულზე ხელის დადებით, — წერს პოეტი, — განა ბევრი ვაქვს პოლიგრაფიული ხელოვნების მხატვრული შედეგები? ხომ აკლიათ ხშირად ჩვენს გამოცემებს მხატვრული სინატიფე, შესაფერისი გემოვნება? ხომ ცოტას ვზრუნავთ წიგნის მხატვრულ მხარეზე, განა ბევრნი გვყვანან წიგნის სპეციალისტები, წიგნის ხელოვანი ენთუზიასტები, ბიბლიომანები, ვინდ წიგნის გამავრცელებელნი, წიგნით მოვაჭრენი; განა ჩვენ როდესმე გავვიმართნია ისეთი წიგნის ბაზრობა, რომლის სახელიც საქართველოს გარეთ გასულიყოს? განა დავიკვებებთ წიგნის სამაგალითო მაღაზიებით? განა შეგვიძლია მსოფლიო გამოფენაზე განვიმარჯვოთ?“

გ. ლეონიძე ქართული წიგნის ჩამორჩენის საიდუმლოებას ხედავს



სასტამბო საქმის დაბალ პროფესიულ დონეში. პოეტს უმთავრესად მიაჩნია, რომ „დღემდის ასომთავრული ანუ თათრი ანბანი არ მოგვეპოვება!“ ეს მართლაც დიდი პრობლემა ამჟამადაც განუხორციელებელია. ამ საკითხზე საყურადღებო წერილები გამოაქვეყნეს კონსტანტინე გამსახურდიამ და აკაკი შანიძემ.

დღესაც აქტუალურია გ. ლეონიძის ასეთი მოსაზრება: „მრავალსაუკუნოვანი ქართული ანბანი, რომელიც პირველად ჩამოსხა სასტამბო შრიფტად 1629 წელს, არახელსაყრელი ისტორიული პირობების გამო, ნორმალური გზით არ დამუშავებულა. მას არ გაუვლია კვლევისა და შეწოწმების გზა, დღემდე არ ყოფილა დაჯგუფებული გარნიტურების სახით და საერთაშორისო წესით არ მიმდინარეობდა მისი სხვადასხვა ზომაზე (კვადრატებზე) გამრავლება“. ეს სიტყვები მაშინ დაწერა, როცა მხოლოდ ოთხი ძირითადი გარნიტური მოგვეპოვებოდა. პოეტი მოითხოვდა მკაფიო მანქანურ წყობას და ეკონომიურობას, რადგან: „ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჩვენ არ მოგვეპოვება შრიფტების სპეციალური სახეები ლექსიკონებისათვის, მხატვრული ლიტერატურისათვის და სხვ. სრულად არ მოგვეპოვება ახალი სატიტულოს შრიფტები, სასტამბო-საამწყობო ორნამენტები და სააფიშო-სარეკლამო შრიფტები“.

გ. ლეონიძის ფიქრები გადასწვდა ხელით საბეჭდი ქართული შრიფტიანი მანქანის გაუმჯობესებას, შრიფტზე მომუშავე მხატვართა კადრების მომზადების საქმეს და სხვ. ამის დამაბრკოლებლად მიაჩნდა უმასალობაც, ლიდერინის, კოლენკორის და ხარისხიანი ქაღალდის უქონლობა. „ხშირად ქართულ წიგნს, — მიუთითებს პოეტი, — აკლია შესაფერი გემოვნებით შესრულებული გაფორმება. ან წიგნის ილუსტრაციები, რომელნიც ტექნიკურად შეეფერებოდნენ. კლასიკოსების დასურათება ხშირად იუბილეების დროს გვაგონდება, იუბილის გარეშე კი, გარდა ზოგიერთი ახალგაზრდა მხატვრის სრულიად კერძო მუშაობისა, არავინ ფიქრობს ამ საგანზე. ჩვენ არა გვაქვს შეჯიბრი გრაფიკოსებისა, გრაფიორებისა, იმის მიუხედავად, რომ ისინი სინამდვილეში არიან და მრავალი წარმატებებიც შეუძლიათ შეგვიძინონ (მახსენდება გრაფიორი გ. ტატიშვილი, რომლის ნამუშევარი ჩემს ბავშვობაში ისევე ძვირფასი იყო ჩემთვის, როგორც შიო მღვიმელის პოეზია, თითქოს იგი პოეტის საუკეთესო კომენტატორი იყო!)“.

გიორგი ლეონიძე წერს სასაჩუქრო ქართული წიგნის სერიის შექმნაზეც, სატარებელი უბის წიგნების („სათანაო“) და სახალხო საკითხავი წიგნების გამოცემაზეც. ასეთი რუბრიკით გამოცემული წიგნე-

ბი პოეტის აზრით „არც საჩუქრისა“ და არც „სათანაოს“ სერიები არასოდეს არ ჩაწვება საწყობებში... მორალური მიზნის გარდა ორივე სერია წმინდა სავაჭრო თვალსაზრისითაც ხომ მომგებიანი იქნება?“

გ. ლეონიძის ფიქრი თავს დასტრიალებს სოფლად ქართული მხატვრული ლიტერატურის გავრცელებასა და კითხვის გაუმჯობესებას. აქვე კონკრეტულად საუბრობს ისტორიული სახალხო წიგნების, სერიების, მემუარული ლიტერატურის გამოცემაზე. ნაშრომში მითითებულია იმაზეც, რომ უნდა განახლდეს სახალხო კალენდარ-ალმანახის გამოცემა, რომელიც ძველად პოეტურ ანთოლოგიად იყო მიჩნეული „ჩანგთან“ ერთად. ეს წიგნები ტრადიციული საახალწლო საჩუქრები იყო ქართველი მკითხველისათვის. კალენდარი ლიტერატურულ-მეცნიერული შინაარსისა იყო, ასევე უნდა ითქვას მცირე სახალხო ენციკლოპედიის შესახებ, რომლის განახლება-გაგრძელება საჭიროდ უნდა მივიჩნიოთ (1900-იან წლებში რამდენიმე ტომი დაიბეჭდა ივანე როსტომაშვილის რედაქციით). ჩვენმა გამოცემლობებმა გეგმის შედგენის დროს ხანდახან უნდა გაიხსენონ გადავიწყებული, უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული, მაგრამ დღესაც საკითხავად საჭირო „ანტიკა“ წიგნებიც, რომლებიც დღეს თვით ბუკინისტებთანაც აღარ მოიძებნება“.

ბევრ ქართველ ბუკინისტს იცნობდა და მეგობრობდა გიორგი ლეონიძე. მათი დახმარებით შეიძინა ბევრი საინტერესო წიგნი საქართველოს ლიტერატურული მუზეუმისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკებისათვის. სახელოვანი პოეტი წიგნით დაინტერესებულ საკუთარი ბიბლიოთეკების მქონე პირებსაც ბევრ საინტერესო ცნობას აწვდიდა ქართული წიგნის სხვადასხვა გამოცემის ირგვლივ. ამიტომაც ზემოთ დასახელებულ ნაშრომში გ. ლეონიძეს არც ბუკინისტები დავიწყებია: „ბუკინისტურ წიგნს არავინ ეხმარება, არც სახსარი აქვს, არც აგენტურა ჰყავს, წიგნის მოძიება მიმდინარეობს სტიქიურად, შემთხვევით. ჩვენს დედაქალაქში ამდენი მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი მუშაობს, რა დიდად ხელს შეუწყობდა მათ მუშაობას კარგად დაყენებული ბუკინისტური წიგნის მალაზია!“.

გ. ლეონიძე ყურადღებით ეკიდება ქართული წიგნმცოდნეობის ცალკეულ საკითხებს. პოეტი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც ამ წერილში დააყენა საკითხი ქართული წიგნის მუზეუმის — „წიგნის სახლის“ გახსნის აუცილებლობისა.

მნიშვნელოვანი მასალების შემცველია გ. ლეონიძის წერილი სახე-





ლოვანი ქართველის, ანთიმოზ ივერიელის შესახებ (ყურნალი № 2), 1951, № 2).

მკვლევარს პირველ რიგში აინტერესებს ქართული სტამბის დაარსების მონაწილე და ევროპაში სახელგანთქმული მესტამბე, რომელმაც ელახეთში დააარსა ოთხი სტამბა, სადაც წიგნები იბეჭდებოდა სხვადასხვა ენებზე, რომელმაც ქართულთან ერთად იცოდა ბერძნული, რუმინული, ძველი სლავური, არაბული, თურქული ენები. ეს მრავალმხრივი კაცი იყო მწერალი, მესტამბე, მხატვარი, ხუროთმოძღვარა, ქსილოგრაფი, გრავიორი, მოქანდაკე, ხითხურო და, რაც უფრო საოცარია, იყო რუმინული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

გ. ლეონიძემ რუმინეთში მოგზაურობის დროს უშუალო შთაბეჭდილებებით დაწერა აღნიშნული წერილი, გაეცნო რუმინული წიგნის ისტორიას, ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობას. ეს ნარკვევი საეტაპო გახდა ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში.

1983 წელს ჩვენი მოგზაურობის დროს ბუქარესტში ანთიმოზ ივერიელის სტამბის მუზეუმში, ჯერ კიდევ ახსოვდათ საქართველოს სახალხო პოეტის მოგზაურობა, ხოლო ქალაქ იასაში ამაყობენ, რომ ბესიკის საფლავთან მლოცველი გიორგი ლეონიძე მათი სტუმარი იყო.

1958 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ (№ 4) გ. ლეონიძემ საინტერესო წერილი გამოაქვეყნა ლადო გუდიაშვილზე, რომელიც მიძღვნილი იყო მხატვრის დაბადების 60 წლისთავისადმი.

პოეტმა გაიხსენა ძველი მგოსნის სიტყვები მკაზმავზე: „აქა მხატვარო დახატე ძმათ უმტკიცესი ძმობილიო“ და იქვე მოიყვანა ერთი სტროფი ლექსი:

„ხელნი დამიშრო კალამმან  
თვალნი გაშტერდა მზერიითა,  
აწ გამოჩნდების მხატვარი  
შემკობა შესაფერიოთა“.

შემდეგ პოეტი აფასებს ლადო გუდიაშვილის ღვაწლს ქართული წიგნის დასურათებაში.

გიორგი ლეონიძისათვის საქართველოს რომელ კუთხეებშიც არ უნდა მოეწყოთ შეხვედრა, ხალხის ცხოვრების გაცნობასთან ერთად ყველგან ცდილობდა მოეძებნა ხელნაწერი, ისტორიული საბუთები და წიგნის იშვიათი გამოცემები.



ცნობილია, რომ 1959 წელს გ. ლეონიძემ საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მეცნიერ-მუშაკ შალვა მარკოზაშვილთან ერთად მონახულა ქართული წიგნის ცნობილი გამომცემლის გრიგოლ ჩარკვიანის ოჯახი და მისი ქალიშვილი თამარ ჩარკვიანი-ლოსაბერიძე. გიორგი ლეონიძე ამის შესახებ წერს: „წლეულს გაზაფხულზე მე ეი-დევე ერთხელ გავიხსენე ჩემი საყვარელი ხელობა — ძველი ქართული ხელნაწერების დაძებნა ოჯახებში, ქალაქად თუ სოფლად... და აი, მაისის წვიმიან საღამოს, ნაძალადევის ქუჩის ერთი კარის ზარს ხელი ჩამოვკარი და გრიგოლ ჩარკვიანის ოჯახში აღმოვჩნდი საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის თანამშრომელ შალვა მარკოზაშვილთან ერთად. გრიგოლის ქალიშვილი თამარი სიამოვნებით შეგვხვდა“. (გაზეთი „კომუნისტი“, 1959, № 238).

გრ. ჩარკვიანის არქივის გადათვლიერების დროს პოეტმა იპოვა პოეტური ანთოლოგია, რომელშიც ჩართული იყო მანამდე უცნობი „ანბანთქებანი“, ნათქვამი ორბელიანის ძის სულხანისა, როგორც ჩანს, დიდი მწერლის ახალგაზრდობის პერიოდში, ე. ი. 1698 წელს შექმნილი ლექსები.

50-იან წლებში გ. ლეონიძემ, სრულიად შემთხვევით, მიაკვლია ზემო იმერეთში, მასპინძლის საშარეულოში, კედელთან მიყუდებულ ქვევრის სარქველთან მე-17 საუკუნეში შესრულებულ ხელნაწერს — დავით მეფის მიერ თარგმნილ „ქილილა და დამანას“.

გ. ლეონიძე მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობაზე წარმოთქმულ ვრცელ სიტყვაში ქართული წიგნის გამოცემის საკითხებსაც შეეხო. პოეტმა განსაკუთრებით სიამოვნებით დაუჭირა მხარი უკრაინელი პოეტის ოლეს გონჩარის აზრს, რომ მოსკოვში შექმნილიყო ეროვნული ლიტერატურის გამომცემლობა: „მე სავსებით ვუერთდები ამ აზრს. ამგვარ გამომცემლობას ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლიათ“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1955, № 1).

უფრო ადრე, 1951 წლის აპრილში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე გიორგი ლეონიძემ თქვა: „ქართველ ხალხს უყვარდა და უყვარს წიგნი. ჩვენი წინაპრები დიდად აფასებდნენ წიგნს. ამის აუარებელი ისტორიული ცნობები არსებობს. მობრძანდით საქართველოს მუზეუმში და მის სეიფებში, ნახავთ ასობით მხატვრულად შემკობილ წიგნს, ოქროს ვარაყით, ძვირფასი კამარედებით, დიდი მხატვრული გემოვნებით შემკულს. მრავალ ქართველს შეუშკია წიგნი და მრავალნიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს წიგნის პატივში და არავი-



თარ სახსარს არ იზოგავდნენ. ისიც ვიცით, როგორ ინახავდნენ წიგნებს, ძვირფასი ქსოვილების ბუდეში. შენახულია მრავალი მინაწერი ცნობილ ძველ პერგამენტებზე იმის შესახებ, თუ სადღაც ოსმალეთში, სპარსეთში და ან უფრო შორეულ ადგილებში ტყვეობაში გადახვეწილი ქართველები უკანასკნელი ფულით როგორ დაიხსნიდნენ ხოლმე ტყვეობიდან ქართულ წიგნებს. ასეთ წიგნებს ჩვენს მუზეუმში არა ერთსა და ორს ნახავთ. აი, ერთი მათგანის ისტორია: მე-13 საუკუნეში როცა საქართველო აიკლეს ხვარაზმელებმა, ერთი ვინმე ქართველი მოხვედრილა იერუსალიმში: „იერუსალიმის შუკათა შინა მოარულმან ვნახე ეს ორი წიგნი — და ერთსა სპარს კაცს ქონდეს, მისგან თელაველსა სპარსსა კაცსა ეყიდნეს. მატებითა და მატებითა ძლივს წარუხვევენ ესე წიგნიო“ (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951, № 17).

გიორგი ლეონიძემ ამავე სიტყვაში ყურადღება შეაჩერა „ვეფხისტყაოსნის“ მზითვად გატანების ტრადიციაზე და იმ დროის საგამომცემლო პრობლემების შესახებ იქვე ასეთი წინადადება დააყენა: „საჭიროა ჩვენი გამომცემლობისათვის საგანგებოდ შეირჩეს წიგნის ხელოვანი ხალხი. საჭიროა, რიგიანი სპეციალისტები ვიყოლიოთ აგრეთვე პოლიგრაფიულ დარგში. ასევე საჭიროა, მათი ყოველნაირი წახალისება. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მხოლოდ ორიოდვე გვეყავს წიგნის ხეირიანი გემოვნების მქონე — გამფორმებელი, მნატვარი. საკითხავია, რატომ არ გვიზრდიან წიგნის მხატვრებს სამხატვრო აკადემია ან მხატვართა კავშირი: დროა ამას ყურადღება მივაქციეთ“.

როგორც ვხედავთ, გიორგი ლეონიძის ზემოთ მოხსენიებულ წერილებში წიგნმცოდნეობისა და წიგნის მოყვარულთა შესახებ მოცემულია მრავალი საინტერესო ცნობა თუ მოსაზრება. საგულისხმოა, რომ ისინი აქტიურად ეხმაურებიან თანამედროვე ქართული წიგნმცოდნეობის პრობლემებსაც.



---

საბავშვო ლიტერატურა



გზოლოდ დოგმის სიკვდილით იწყება გაცნობარება.  
გალილეო გალილეი.

**შოთა რუსთაველის ძველი პორტრეტები**

ქართული მეცნიერება და, საერთოდ, ქართველი საზოგადოებრიობა იმთავითვე ინტერესს იჩენდა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის ცხოვრება-მოღვაწეობის ყოველი საკითხისადმი. ბუნებრივია, მის ინტერესთა სფეროში შედიოდა რუსთაველის იკონოგრაფიაც. ცნობილია არაერთი ცდა ამა თუ იმ ძეგლზე შემორჩენილი გამოსახულების — ქვაბისხევის, გელათისა და ვარძიის ფრესკების, აძიკვის ბარელიეფისა და სხვ. — პოეტის პორტრეტად მიჩნევისა, მაგრამ, მიუხედავად მკვლევართა დაბეჯითებითი მტკიცებისა, ზოგიერთი თვალსაზრისის შეწყნარება ყოვლად შეუძლებელია, ზოგს კი დამატებითი საბუთიანობა სჭირდება. საყოველთაო აზრით, მოღწეულია მხოლოდ სამი ძველი პორტრეტი, რომელთა იდენტიფიკაცია რუსთაველთან თითქოს საეჭვო აღარაა. ჩვენც მხოლოდ მათზე ვისაუბრებთ.

1. ფართო საზოგადოებრიობისათვის კარგა ხანია ცნობილია რუსთაველის ფერადი მინიატურა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ზაზასეულმა ხელნაწერმა შემოგვინახა.

ძველ წყაროებში ხშირად იხსენიება ზაზა ციციშვილი (XVII ს.) — ქართლის სამეფო კარზე დაწინაურებული დიდებული — სარდალი და სახლთუხუცესი. მისი დაკვეთითაა გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ძვირფასი ნუსხა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის სახელითაა ცნობილი. იგი XVII საუკუნის 60-იან წლებში დაუმზადებია მწერალსა და საეკლესიო მოღვაწეს იოსებ სააკაძეს. მასვე დაურთავს ტარიელისა და ავთანდილის ანდერძები — 61 სტროფი.

ამ ხელნაწერმა რთული და პერიპეტეებით აღსავსე გზა განვლო. ზაზა ციციშვილის დაღუპვის შემდეგ იგი ქართლის მეფის ოჯახმა მისააკუთრა. ჯერ ხელთ ჰქონდა ლევან ბატონიშვილს (გარდ. 1709 წ.), შემდეგ მის ვაჟს, პოეტსა და მეცნიერს ვახტანგ ბაგრატიონს (1675 —



1737) — მეფე ვახტანგ მეექვსეს (1716 — 1724). მომდევნო ხანაში დევ რამდენიმე მფლობელი გამოიცვალა. უკანასკნელად ორბელიანთა ოჯახში მოხვდა — იგი ვახტანგ ორბელიანის მეუღლეს, ერეკლე მეორის (1744 — 1798) ასულს თეკლეს — „თეკლა-ბიჭის“ (1776 — 1846) — ეკუთვნოდა. მისმა ვაჟმა, მწერალმა ალექსანდრე ორბელიანმა (1802 — 1869) 1853 წელს კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს (1782 — 1856) მიართვა. ამის შედეგად ხელნაწერმა დატოვა საქართველო და კარგა ხანს რუსეთში ინახებოდა. იგი მხოლოდ 1935 წელს დაბრუნდა თბილისში. ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q № 1082).

ე. წ. ზახასეულ ხელნაწერში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მოთავსებულია ფერად ჩარჩოებში, არშიები შემკულია ყვავილოვანი გრავიურით. ტექსტი შეიცავს პოემის ვრცელ რედაქციას და ხასიათდება საკმაო თავისებურებებით.

ამ ხელნაწერს ერთხანს ამშვენებდა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც შემდეგ ამოიღეს იქიდან და ბათუმს გაგზავნეს (1922 წ.) ინგლისელებისათვის მისაყიდად. ეს გაიგო საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის გამგემ სარგის კაკაბაძემ (1886 — 1967), რომელმაც გაარკვია, რომ ამის ჩამდენი იყო ორბელიანთა ყოფილი მოურავი არტო ყაზაროვი. მან დამნაშავე აიძულა პორტრეტი თბილისს დაებრუნებინა, მაგრამ საჭირო გახდა სოლიდური თანხის ვალეზა. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ასე რომ, პორტრეტის ბედი კვლავ გართულდა. საბედნიეროდ, გაპოზონდა ჭეშმარიტი მამულიშვილი — მებაღე-დეკორატივი მიხეილ მამულაშვილი (1873 — 1973), რომელმაც გადაიხადა სათანადო თანხა, იხსნა პორტრეტი უცხოელთა ხელში ჩავარდნისაგან და იგი თბილისის უნივერსიტეტის რექტორს ივანე ჭავჭავაძის (1876 — 1940) ჩააბარა. ერთხანს ის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმში ინახებოდა, შემდეგ — უნივერსიტეტის ქართული ხელოვნების მუზეუმში, ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია.

ე. წ. ზახასეული ხელნაწერიდან მოღწეული მინიატურა მოთავსებულია კიდევებში მოფლეთილ ფურცელზე. ცენტრშია რუსთაველის პორტრეტი, რომელსაც ეკვრის საკმაოდ დაზიანებული დეკორატიული ჩარჩო-ბორდიური (შემორჩენილია მხოლოდ ზედა და მარჯვენა მხარის ნაწილები). ზოგიერთი მკვლევრის დაკვირვებით, ჩარჩო და პორტრეტი სხვადასხვა მხატვარს ეკუთვნის და სხვადასხვა დროსაა შესრულებული.



ლებული, სახელდობრ, ჩარჩო XVI (შ. ამირანაშვილი) თუ XVII (პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე) საუკუნეებში, ხოლო პორტრეტი კიდევ უფრო ადრე.

რუსთაველის პორტრეტი მის ჩარჩოზე უკეთაა შემონახული, მხოლოდ აქა-იქ მცირედ დაზიანებულია პოეტის გამოსახულება, აკლია ფონის მარცხენა მხარის ნაწილი. სიღრმეში ჩანს გუმბათიანი ნაგებობა, რომელზეც შემდეგ ჭვარი მიუხატავთ. წინა პლანზეა ხუთსართულიანი კოშკი (სასახლე), რომლის აივანზე ხალიჩაზე ფეხმორთხმით ზის ბალიშზე მიყრდნობილი ლამაზი ახალგაზრდა. მას ხელთ უპყრია გადაშლილი ხელნაწერი წიგნი და კალამი, რომლითაც წერს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს. მისი ჩაცმულობა (გრძელი კაბა, მოკლესახელოებიანი ყაბაჩა, წამოსასხამი და სხვ.) საზეიმოა, ეროვნულია — ასე ეცვათ XII საუკუნის მეორე ნახევრის წარჩინებულ ქართველებს, სამეფო კარზე დაწინაურებულ მაღალი თანამდებობის პირებს.

რუსთაველის პორტრეტს მისი პირველი შემსწავლელი პ. ინგოროყვა XV საუკუნით ათარიღებდა, შ. ამირანაშვილი პოეტის თანადროულად — XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე შესრულებულად (და XV საუკუნეში გაცხოველებულად) მიიჩნევდა, ხოლო ს. კაკაბაძე ძველი დედნიდან (XV ს.) XVII საუკუნეში გადაღებულ პირად აცხადებდა. უკანასკნელ ხანს გამოთქმული მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის ოქროს ბორდიურები და რუსთაველის მინიატიურა ერთდროულადაა შესრულებული XVII საუკუნის ახლო ხანაში. ისინი ასევე ერთდროულად გამოიყენეს ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის შესამკობად (ე. მაჭავარიანი)!

დასასრულს ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გასულ საუკუნეში, როდესაც რუსთაველის პორტრეტული გამოსახულება ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ზაზასეულ ხელნაწერში იყო, დამზადდა და საფრანგეთს გაიგზავნა მისი პირი. იგი დაედო საფუძვლად რუსთაველის იმ პორტრეტს, რომელიც რუსმა მხატვარმა გ. გაგარინმა (1810 — 1893) გამოაქვეყნა თავის ალბომში 1847 წელს<sup>2</sup>. არსებითად იქიდან მომდინარეობს ათეული წლების მანძილზე საყოველთაოდ გავრცელებული პორტრეტები რუსთაველისა.

II. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში გვხვდება რუსთაველის კიდევ ერთი პორტრეტი, რომელიც ეკუთვნის პოეტს, მხატვარსა და კალიგრაფს მამუკა თავაქალაშვილს (თავაქარაშვილს).

მამუკა იმერეთის სამეფოს მდივანი იყო. XVII საუკუნის 30-იან წლებში სამეგრელოში მოხვდა და იქაური მთავრის ლევან II დადი-





ანის (1611 — 1657) კარზე მოღვაწეობდა — ნაყოფიერ მწიგნობართა საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა და იქ გაჩაღებულ კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა. 1646 წელს მან გადაწერა და მოხატა „ვეფხისტყაოსნის“ ძვირფასი ხელნაწერი, პოემის უძველესი თარიღიანი ნუსხა, რომელიც ტექსტობრივად საკმაო თავისებურებას იჩენს და რედაქციულად ფრიად საინტერესოა. ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H № 599). ამ მდიდრულად მოხატულ ხელნაწერშია ფერადი საღებავებითა და ოქრომელნით შეკრულებული ორმოცამდე ილუსტრაცია (მინიატურა), აგრეთვე პორტრეტები ლევან დადიანისა, რუსთაველისა და მამუკა მდივნისა. ეს პიროვნებანი გამოსახული არიან იმ მინიატურაზე, რომელიც ხელნაწერის დასაწყისშია მოთავსებული. ჩვენთვის ამჟერად საინტერესოა სწორედ ეს მინიატურა — მის ზედა ნაწილში გამოსახულია ტახტზე მჯდომი ლევან II დადიანი, ხოლო ქვედა ნაწილში ახალგაზრდა, უწვერული რუსთაველი, რომელიც მამუკა მდივანს უქარანახებს პოემის ტექსტს (მოგვიანებით უცნობ პირს დაუგრძელებია უღვაშები და მიუხატავს წვერი). მართალია, მამუკასეული პორტრეტი განსაკუთრებული მხატვრული ღირსებით არ გამოირჩევა, მაგრამ მაინც საყურადღებოა, რადგან იგი (ე. წ. ზაზასეული ხელნაწერიდან მოღწეულ მინიატიურასთან ერთად) ადასტურებს დამკვიდრებულ ტრადიციას „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ პოემის ახალგაზრდობის ეპოს დაწერის შესახებ.

III. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსთაველის ის პორტრეტი, რომელიც იერუსალიმშია შემონახული.

ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიაში საკმაოდ ცნობილია პალესტინის ქართულ სავანეთა სულიერ-ლიტერატურული ცენტრი, მწიგნობრულ-შემოქმედებითი მუშაობის მძლავრი კერა — ჯვრის მონასტერი, რომელიც ადრე იერუსალიმიდან ოდნავ მოშორებით იყო, სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, ახლა კი — ქალაქის გაზრდის შედეგად — მის ტერიტორიაზეა, ახალ კვარტალთა შუაგულში. აი ამ სავანის მთავარ ტაძარში აღმოჩნდა პორტრეტი, რომლის საფუძველზე შემუშავდა აზრი რუსთაველის ცხოვრების ბოლო პერიოდზე, უკანასკნელ წლებზე, კერძოდ, იერუსალიმს მისვლაზე, ჯვრის მონასტერში დამკვიდრებასა და იქ გარდაცვალებაზე. რადგან ამ პორტრეტს, ერთი მხრივ, აქვს თავისთავადი მნიშვნელობა, ხოლო, მეორე მხრივ, იგი საყურადღებოა რუსთაველის ბიოგრაფიისათვის, მასზე რამდენადმე ვრცლად შევჩერდებით.



აზრი რუსთაველის პალესტინაში წასვლისა და იქ ცხოვრების შესახებ კარგა ხანია გავრცელებულია როგორც ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში. იგი შეიქრა სიტყვაჯამულ მწერლობაშიც. ამასთანავე, რუსთაველს ზოგჯერ ბერად მიიჩნევდნენ და მის საფლავს იერუსალიმშივე იგულებდნენ. სათანადო საფუძველს თითქოს იძლეოდა ზეპირი გადმოცემა, ჯვრის მონასტრის ფრესკა და სააღაპე წიგნის ცნობა.

ძველი გადმოცემა პირველმა ჩაიწერა, შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესად მიიჩნია და ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის ვანმახლებლად და მომხატვინებლად გამოაცხადა ქართველმა მწერალმა და მოგზაურმა ტიმოთე გაბაშვილმა (გარდ. 1764 წ.), რომელმაც 1757-1758 წლებში მოინახულა და გაიცნო იერუსალიმი და მისი სახანები, ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა და აღწერა იქაური ქართული სიძველენი. მან პირველმა მოგვაწოდა ლიტერატურული ცნობა რუსთაველის ფრესკაზე («ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთაველს, მეჭურჭლეთუხუცეს[ს.]. თითონაც შიგ ხატია მომხუცებული»)¹. მისი ცნობა გამოიყენეს და რამდენადმე შეესებულა სახით გაიმეორეს გამოჩენილმა ქართველოლოგებმა (თ. ბაგრატიონმა, მ. ბროსემ, დ. ჩუბინაშვილმა და სხვ.).

ტ. გაბაშვილის შემდეგ რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ნახეს ნ. ჩუბინაშვილმა (1845 წ.), ა. ცაგარელმა (1883 წ.), პ. კონჭოშვილმა (1899 წ.) და სხვა ქართველმა მოღვაწეებმა. შემდეგ იგი თვალთ შიეფარა. ყოველ შემთხვევაში, ნ. მარი, რომელიც 1902 წელს იყო ჯვრის საფანეში, ამ პორტრეტზე არაფერს სწერდა. ასე რომ, მეცნიერები (ე. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე და სხვ.) ძირითადად ტ. გაბაშვილისა და ა. ცაგარლის ცნობათა საფუძველზე მსჯელობდნენ ამ საკითხზე.

1959 წელს იერუსალიმში იყო უკრაინელი მწერალი გ. პლოტკინი, რომელმაც დაათვალიერა ჯვრის მონასტერი და ინახულა რუსთაველის „საფლავი“. თავისი შთაბეჭდილებანი მან მაშინვე გამოაქვეყნა და ერთგვარად ხელი შეუწყო საზოგადოებრიობის ინტერესის ზრდას.

1960 წლის შემოდგომაზე იერუსალიმს ეწვია ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი (ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი), რომელმაც უაღრესად საინტერესო მასალა მოიპოვა და ჩამოიტანა². ამ სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად დაზუსტდა, დადგინდა და გაირკვა რუსთაველის ბი-



ოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, კერძოდ, მისი ურთიერთობა ჩვენთან. მონასტერთან.

ექსპედიციამ გამოავლინა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც მიკვლეულ იქნა ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის ერთ-ერთ სვეტზე, მუქი მწვანე ფერის საღებავის სქელი ფენის ქვეშ. იგი მოთავსებულია ცნობილ საეკლესიო მოღვაწეთა მაქსიმე აღმსარებლისა. (დაახლ. 580 — 662) და იოანე დამასკელის (დაახლ. 675 — 753) ვეებერთელა პორტრეტებს შორის. რუსთაველი წარმოდგენილია მუხლმოყრილი და ხელაპყრობილი მოხუცი მლოცველისა და მავედრებელის პოზაში. მისი ზრძული გამომეტყველება საოცრად შთამბეჭდავია, რუსთაველის მდიდრული სამოსლისა (საზეიმო ხასიათისა, მოწითალო იისფერი) და თავსაბურავის (მაღალი, მომრგვალებული, თეთრი) საფუძველზე დადგინდა, რომ ჩვენს წინაშეა XII — XIII საუკუნეთა მიჯნის ქართველი იდიებულის, მაღალი რანგის ჯარისკაცის ფრესკული გამოსახულება.<sup>5</sup>

ამ პორტრეტს ქართველი საზოგადოებრიობა ადრეც იცნობდა, მაგრამ არა ამ სახით. სახელდობრ, ნ. ჩუბინაშვილმა ჯერ კიდევ 1845 წელს გაიცნო და აღწერა ჯვრის მონასტრის ქართული სიძველეები. მან ფანქრით ჩაიხაზა რუსთაველის ფრესკის კონტურები და შემდეგ ამ ჩანახაზით და სიტყვიერი აღწერილობით პეტერბურგელ არაქართველ მხატვარს შეასრულებინა პოეტის პორტრეტი, რომელიც ძალზე მძაფრე და ორიგინალთან საერთო თითქმის არაფერი აქვს (იგი რამდენჯერმე გამოქვეყნდა — 1958, 1966, 1982, 1987 წწ.); 1883 წელს ა. ცაგარელმა აკვარელით გადმოხატა კალკაზე რუსთაველის პორტრეტი და მისი ლითოგრაფიულად გამოცემა განიზრახა, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. მის მიერ გადმოღებული პირით რუსთაველის ქანდაკება დაამზადა ა. თარხნიშვილმა. ქანდაკების ფოტოპირი რამდენჯერმე გამოქვეყნდა (1903, 1920, 1927, 1966 წწ. და ა. შ.), ა. ცაგარლის გადმონახატი კი აღარსად ჩანს. ასეთ ვითარებაში გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთაველის უტყუარი პორტრეტის ხელახლა აღმოჩენას.

რუსთაველის პორტრეტული გამოსახულების მოპოვებასთან ერთად გაირკვა მისი შესრულების თარიღიც. ადრე ამ პორტრეტს XVII საუკუნის შუა წლებით ათარიღებდნენ და მისი შესრულების პატივს ნ. ჩოლოყაშვილს მიაწერდნენ (კ. კეკელიძე), ზოგჯერ მას ადრეულად, ხოლო ნ. ჩოლოყაშვილს განმანახლებლად მიიჩნევდნენ (ა. ცაგარელი) და ა. შ. ამჟამად თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ რუსთაველის პორტრეტი შესრულებულია XII — XIII საუკუნეთა მიჯნაზე



(შეიძლება პოეტის სიცოცხლეშივე), ხოლო აღდგენილ-განახლებულ XIV საუკუნეში, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს XVI საუკუნისა (არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი: ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის 'მოხატულობის გადარჩენილი ფრაგმენტები XIV და XVII საუკუნეებს მიეკუთვნება. ძირითადი ნაწილი მხატვრობისა შეიცავს იმ ქართველ ისტორიულ პირთა პორტრეტებს, რომელნიც თავიანთი მოღვაწეობით ამ მონასტერთან იყვნენ დაკავშირებული. ეს პორტრეტები შესრულებულია მოხატულობის უკანასკნელი განახლების ეპოქაში, 1643 წელს. პორტრეტების ამ ჯგუფს უკავშირდება რუსთაველის პორტრეტი).<sup>7</sup>

სამეცნიერო ექსპედიციამ გამოავლინა პორტრეტის ასომთავრული მინაწერი, რითაც სრულად წარმოჩნდა რუსთაველის კულტურულ-აღდგენითი საქმიანობა. აღრინდელი გადმონაწერი, რომელიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გამოქვეყნდა, გაუგებრობას ქმნიდა და მკვლევართა დაეჭვებას იწვევდა. ახლა გაირკვა, რომ მინაწერის ერთი ნაწილი („ამისა დამხატავსა შოთა[ს] შეუნდენეს ღმერთმან. ამინ“) გვამცნობს შოთას დამსახურებას ჯვრის მონასტრის წინაშე, რაც ტაძრის (ან მისი ნაწილის) მოხატვაში მდგომარეობდა, ხოლო მეორე ნაწილი („როსთელი“ — რუსთველი, რუსთაველი) — სვეტზე გამოსახული პირის ვინაობას. წარწერის ორივე ნაწილი ერთი ხელითაა შესრულებული და ერთ პირს, — ერისკაცის სამოსში წარმოდგენილ დიდებულს, — ეხება. რასაკვირველია, რუსთაველი თვით არაა მხატვარი (ჩვენთვის ცნობილი მასალა არ იძლევა საფუძველს ასეთი ვარაუდი-სათვის), ის სავანის მომხატვინებელია. მისი დიდი ღვაწლის გამო, როგორც ჩანს, მონასტრის კრებულმა მას აღაპიც დაუწესა — „აღაპი შოთაძსა, მეჭურჭლეთუხუცესისაჲ“ (ეს აღაპი დადებული უნდა იყოს XII — XIII საუკუნეთა მიჯნაზე, არა უგვიანეს XIII საუკუნის პირველი ნახევრისა).

დღეს სავსებით დადასტურებულია რუსთაველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტურობა. საკამათო აღარაა, რომ რუსთაველის დახატვა ჯვრის მონასტერში და მისთვის აღაპის დადება აიხსნება იმ დიდი დამსახურებით, რაც პოეტს მიუძღვის ძველი ქართული სავანისადმი. როგორც ტ. გაბაშვილის ზემოთ დამოწმებული ცნობაც ადასტურებს, რუსთაველმა მართლაც მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა ჯვრის მთავარ ტაძარს — განაახლა და მოახატვინა იგი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ მსჯელობენ რუსთაველის ჯვრის მონასტერში ცხოვრებაზე, იქ გარდაცვალებაზე და იქვე დაკრ-

5. „მწიგნობარი — 93-94“





ძალვაზე, ზოგს მისი ბერად შედგომაც სარწმუნოდ მიაჩნია, ზოგნი კი „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ სტროფებს ჯვრის სავანეში დაწერილად მიიჩნევს. ამ საკითხებზე კატეგორიულად მსჯელობა ძნელია. ჩვენ არ მოგვეპოვება ავთენტური წყარო იმის სამტკიცებლად, რომ რუსთაველი იყო იერუსალიმში და იქ გარდაიცვალა. მართალია, ამ ვარაუდის ხელაღებით უარყოფა გამართლებული არაა, მაგრამ არც დამადასტურებელი მასალა ჩანს. რუსთაველის პორტრეტის დახატვა და მისთვის ალაპის დადება, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პოეტი ჯვრის მონასტერში იყო; ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ თამარ მეფის (1184 — 1213) მეჭურჭლეთუხუცესი დაეხმარა ტაძარს, ამისთვის კი იერუსალიმს წასვლა სავალდებულო არ იყო (ცნობილია არაერთი პირი, რომელიც დახმარებია ჯვრის მონასტერს, მაგრამ იქ არასოდეს ყოფილა). ასე რომ, რუსთაველის სახელი კი უკავშირდება ჯვრის სავანეს, კერძოდ, მის მთავარ ტაძარს, რომელიც მან განაახლა და მოახატვინა, მაგრამ ამით არ დასტურდება, რომ პოეტის საფლავი მაინცდამაინც იერუსალიმშია საძიებელი.

**შენიშვნები**

1. „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის შესახებ მდიდარი ლიტერატურა არსებობს (მხედველობაში გვაქვს პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის, ს. კაკაბაძის, ს. ცაიშვილისა და სხვათა გამოკვლევები). უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ნაშრომებიდან იხ. შ. ამირანაშვილი, „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში, თბ., 1968, გვ. 49 — 56; ე. მაჭავარიანი, შოთა რუსთაველის პორტრეტი ე. წ. ზაზასეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიდან, „პალეოგრაფიული ძიებანი“, II (1969), გვ. 51 — 58; გ. შარაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის გარშემო (ხელნაწერის ისტორიის ზოგიერთი საკითხი). არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 3 — 40.
2. La Caucase Pittoresque. Dessiné d'après nature par le prince G. G a g a r i n e, Paris, 1847.
3. შ. ამირანაშვილი, „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში, გვ. 56 — 59.
4. ტ. გაბაშვილი, მიმოსლეა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა,



საქართველოს  
ქრონიკა

გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ  
მა, თბ., 1956, გვ. 80, 82, 121, 123.

5. ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი, შოთა რუსთა-  
ველი ჯვარის მონასტერში, „კომუნისტი“, 22. XI. 1960, № 271 (11882).

6. შ. ამირანაშვილი, „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხე-  
ლოვნებაში, გვ. 35 — 49.

7. ტ. ვირსალაძე, Роспись иерусалимского Крестного  
монастыря и портрет Шота Руставели, Тб., 1973.

„მწიგნობარ“ სიტყვის ისტორიისათვის

„მწიგნობარ“ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობა აზრთა სხვაობას არ იწვევს, ის არის: „1. წიგნის მცოდნე, წიგნის მოყვარული, წიგნით გატაცებული, წიგნზე მომუშავე, დიდად ნაყთხი; 2. ისტ. მეფის (ან ფეოდალის) კარის მოხელე, მწიგნობრობაში გაწვრთნილი, საქმეების მწარმოებელი, მწერალი“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, 1958). ამ განმარტებაში დღევანდელთან ერთად თითქოს ძველი (ისტორიული) მნიშვნელობაცაა ნაჩვენები, მაგრამ, ვფიქრობთ, არა ყველა. ჩვენი წერილის მიზანია, აჩვენოს არა მარტო „მწიგნობრის“ მორფოლოგიური სტრუქტურა, არამედ ისტორიულად მისი სემანტიკის ცვლა-განვითარება.

**მწიგნობარი** თითქოს გამკვირვალე მორფოლოგიური სტრუქტურის მქონე სიტყვაა. ის არის ძირეული **წიგნ**-ისაგან მომდინარე წარმოქმნილი სახელი და ასე დაიშლება: მ-წიგნ-ობ-არ-ი. დაშლით ასე კი დაიშლება, მაგრამ არც ისე ნათელია მისი სტრუქტურული ელემენტების ინტერპრეტაცია. ერთი შეხედვით, **მ-არ** კონფიქსი სასუბიექტო მიმღობის მაწარმოებელია, **-ობ** კი — თემატური ნიშანი, მაგრამ გაუგებარია ერთი რამ: თუ **-ობ** თემატურნიშნიან ზმნურ თემას ეფუძნება სასუბიექტო მიმღობა (შდრ. გმ-ობ-ს — მ-გმ-ობ-არ-ი), აქ, ამ შემთხვევაში ზმნური თემა \***წიგნ-ობ** („წიგნობს“) რეალურად არ მოგვებოვება და, ამდენად, **მ** — **არ**-ის მიმღობურ მაწარმოებელად გამოყოფას დამატებითი დამტკიცება სჭირდება. მეორე მხრივ, თუ აქ ხელობა-პროფესიის მნიშვნელობის წარმოქმნილ სახელს დავინახავდით, ვთქვათ, **მ-ბობლნ-არ** ტიპისა (შდრ. ბ ა ბ ლ ა ნ ი, ამდენად, მ-ბობლნ-არ-ი იგივე „მედაფდაფა“), მაშინ საყრდენ ძირეულ მორფემაში \***წიგნ-ობ** კი არ უნდა გვქონოდა, არამედ **წიგნ**, ე. ი. მოსალოდნელი იქნებოდა არა მ-წიგნ-ობ-არ-ი, არამედ \*მ-წიგნ-არ-ი“ (შდრ. მ-ბობლნ-ა-რი). მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ასეთი ფორმა რეალურად არ დასტურდება. ამდენად, რჩება შესაძლებლობა, რომ „მწიგნობარი“ გაგებულ იქნეს, რო-

გორც გასუბსტანტივებული სასუბიექტო მიმღეობური ფორმა, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს საშუალო გვარის \*წიგნ-ობ ზმნურ თემას. როგორც ცნობილია, -ობ თემის ნიშანი უმეტესად ერთვის ნ ა ს ა ხ ე ლ ა რ საშუალო გვარის ზმნებს, როგორცა, ვთქვათ, ომ-ობ-ს, ბუღ-ობ-ს, პოეტ-ობ-ს, ნადირ-ობ-ს და სხვ. ასეთ ზმნათა ყალიბის ფონზე, ბუნებრივია, არსებულებო \*წიგნ-ობ-ს ზმნა, რომლის მინშვნელობა იქნებოდა ან: წიგნს ე უ ფ ლ ე ბ ა (შდრ. ნ ა დ ი რ ო ბ ს, „ნადირს ეუფლებო, მოიპოვებს“), ან: წიგნურს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა ს ეწევა (შდრ. პ ო ე ტ ო ბ ს, „პოეტობას ეწევა“).

რაც შეეხება სასუბიექტო მიმღეობის მაწარმოებელ მ — არ კონფიქსს, ის შეიძლება ეფუძნებოდეს სხვადასხვა გვარის ზმნურ ფუძეს, კერძოდ: 1. მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ს ა ს, მაგალითად: მ-გმობ-არ-ი, მ-კვლევ-არ-ი, მ-დევ-არ-ი, მ-თესვ-არ-ი, და სხვა. 2. ს ა შ უ ა ლ ი ს ა ს — მ-წუხ-არ-ი, მ-დულ-არ-ი, მ-ქუხ-არ-ი, მ-ღვიძ-არ-ი და სხვა. 3. დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი უ ნ ი შ ნ ო ვ ნ ე ბ ი თ ი ს ა ს — გა-მ-ხმ-არ-ი (შდრ. გა-ხმ-ა), გა-მ-თბ-არ-ი (შდრ. გა-თბ-ა), და-მ-ჰკნ-არ-ი (შდრ. და-ჰკნ-ა) და სხვა. სხვათა შორის, ასეთივე წარმომავლობისაა გასუბსტანტივებული მ-კვდ-არ-ი (შდრ. მო-კვდ-ა).

როგორც ჩანს, საშუალო გვარის \*წიგნობს ზმნა ადრე გასულა ხმარებიდან, ხოლო მისგან ნაწარმოები ს ა ს უ ბ ი ე ქ ტ ო მიმღეობა მწიგნობარ-ს ასევე ადრე გაუწყვეტია კავშირი ზმნურ ფუძესთან და გადააზრებულა პროფესიის სახელად. თავის მხრივ მიმღეობური წარმოშობის ეს წარმოქმნილი სახელი საფუძვლად დასდებია ახალ ზმნურ ფორმას, როგორცა მწიგნობრობს (\*მწიგნობარ-ობ-ს→მწიგნობრ-ობ-ს), ე. ი. „მწიგნობრობის საქმეს ეწევა“, შდრ. მეჯოგე→მეჯოგეობს, მეურვე→მეურვეობს... შემდგომ კი „მწიგნობრობს“ ზმნის საწყისური ფორმა მწიგნობრობა პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინად ქცეულა. ძველ ქართულში ჩვეულებრივი ხმარებისაა „მწიგნობრობა“, როგორც წერა-კითხვის, წიგნიერების მნიშვნელობის სიტყვა. იოანე საბანის ძე ჰაბო ტფილელზე ამბობს, რომ იგი „სწავლულ იყო მწიგნობრებითა სარკინოზთაჲთა“, ხოლო ქართლში შემოსვლის შემდეგ „შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრებისა“. გიორგი მერჩულე გრიგოლზე მოგვითხრობს, რომ სიყრმიდანვე „მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დაეითი..., სამოდუროჲ ქართულისა ენისა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავლა მრავალთა ენათაჲ“.

რაც შეეხება ძირეულ „წიგნ“ სიტყვას, მიუხედავად ქართული ბგე-





რადობისა, ის აღრე ჩანს ნასესხები ბერძნულ-ლათინური ენობრივი სამყაროდან, სადაც სიგნონ (σινρον) აღნიშნავდა ნიშანს, კერძოდ, ყოველგვარ სიმბოლურ გრაფიკულ ნიშანს. ძველ ქართულშიც წიგნი უპირველესად აღნიშნავდა ბგერის გრაფიკულ ნიშანს, ე. ი. ასოს. ამ მნიშვნელობითაა ის დაცული პავლეს ეპისტოლეთა ქართულ ვერსიებში და ბერძნული წყაროს გრამმა-ს (γρᾶμμα) გადმოსცემს: „[ღმერთმან] შემძლებელ გუყვნა ჩუენ მსახურებად ახლისა შჯულისა არა თუ წიგნითა, არამედ სულითა, რამეთუ წიგნმან მოაკუნინოს, ხოლო სულმან აცხოვნის (II კორ. 3. 6). ასოს აღმნიშვნელი წიგნი შემდგომ იქნეს თვით ნაწერის მნიშვნელობას, კერძოდ, როგორც პატარა მოცულობის ნაწერისა ანუ წერილისა (გადმოსცემს ბერძ. ეპისტოლეს, თუმცა ეს უკანასკნელიც V საუკუნიდან ხასესხები იყო ქართულში) ისე დიდი მოცულობის ნაწერისა ანუ ხელნაწერი წიგნისა (გადმოსცემს ბერძნულ ბიბლიონს-ს). წიგნ სიტყვის ეს მნიშვნელობები ჩვეულებრივია ძველ ქართულში. დავიმოწმებთ რამდენიმე ადგილს. წიგნი „წერილის“ მნიშვნელობითაა ნახმარი როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათის ძეგლებში: „ვითარცა წარიკითხა წიგნი კურაპალატისაჲ, პატივით მოწერილი წოდებისაჲ... ცნა ყოველი“ (ხანძთ.), „წიგნი წიგნსა ეწეოდა, დედოფალი ოდეს შობდა“ (ვეფხისტყ. 323, 1). მაგრამ წიგნი დიდი მოცულობის ხელნაწერი წიგნის მნიშვნელობითაცაა ნახმარი: „მოიღო წიგნი იგი შჯულისაჲ“ (გამ. 24, 7).

ნათარგმნ ძეგლებში წიგნი „საწერ მასალასაც“ აღნიშნავდა (უფრო ჭილისას) და ქარტას სინონიმად გამოდიოდა. მაგალითად, იერემიას წინასწარმეტყველების ძველ ქართულ თარგმანში ნათქვამია: „მოიღენ წიგნი სხუაჲ და დაწერენ ყოველნი ესე სიტყუანი, მყოფნი ქარტასა შინა“ (იერ. 36, 28). იშვიათად წიგნი გადმოსცემდა „იურიდიული დოკუმენტის, საბუთის“ შინაარსს, იმას, რასაც ბერძნული კოდიკოსი (κωδίκος).

მაშასადამე, წიგნ სიტყვით ძველ ქართულში აღინიშნებოდა: 1. ასო (გრამმა), 2. წერილი (ეპისტოლე), 3. წიგნი (ბიბლიონ), 4. რბილი საწერი მასალა, უფრო-ჭილისა (ქარტიონ) და 5. საბუთი (კოდიკოს).

სწორედ ასეთი პოლისემიური ძირეული სიტყვა უძველეს საფუძვლად მიმღებური წარმოშობის მწიგნობარ-ს (მ-წიგნ-ობ-არ), რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა ძველ ქართულში. უპირველესად ის აღნიშნავდა წერაკითხვის მცოდნეს: „მუნქუესვე მოვიყვა-

ნეთ მწიგნობარი, რომელმაც იცოდა ჰებრაელები, რომელი მთავარი იყო და აღმოიკითხა წერილი იგი“ (სინ. მრავ. 69, 7).

შემდეგ მწიგნობარმა მიიღო მდივან-გადამწერის, აღმრიცხველის, საქმისმწარმოებლის მნიშვნელობა. ეგვიპტის ფარაონმა, დამონებული ისრაელები რომ არ გაეშვა თავისი ღმერთის სამსახურებლად, დაუშობია სამუშაო ტვირთი: ალიზის (აგურის) დამზადებისათვის საჭირო ბზის მოგროვებაც დაავალა და მეთვალყურედ დაუყენა „საქმის მაწუეველნი“ (ერგოლიოქტაი) და მწიგნობარნი (გრამმატიკის), რომლებიც ფარაონის ბრძანებას მტკიცედ ასრულებდნენ: „ასწრაფებდეს მათ (ე. ი. იუდეველთ. — კ. დ.) საქმის მაწუეველნი იგი ერისანი და მწიგნობარნი იგი და ეტყოდეს“: „ამას იტყვს ფარაონ: არღარა გცემ თქუნენ ბზესა“ (გამ. 5, 10). „და იტანჯებოდეს მწიგნობარნი იგი ნათესავისა მისგან ძეთა ისრაელისათა, რომელნი იგი დაედგინნეს მათ ზედა ზედამდგომელთა მათ ფარაონსთა“ (გამ. 5, 14).

მაგრამ მწიგნობარი ბიბლიურ წიგნთა ძველ ქართულ რედაქციებში უპირატესად აღნიშნავს იუდეველთა სამართლის (შჯულის) წიგნის, ძველი აღთქმის მცოდნეს. ამ შემთხვევაში ის გვევლინება ებრაული სოფერიმ-ის, სირიული საფერა-ს, ბერძნული გრამმატიკეს-ის და სომხური დპირ-ის სემანტიკურ ფარდად (ებრ. სოფერიმ არის მრ. რ. ფორმა, ნიშნავს „მწერელნი“. შდრ. სფარ (სეფარ — „წიგნი“, „წაწერი“). სწორედ ასეთი მწიგნობრების კორპორაცია სინედრიონში „წმინდა წერილის“ ინტერპრეტაციის საფუძველზე ადგენდა იურიდიულ და საწესჩვეულებო ნორმებს. ოთხთავის ქართულ თარგმანში „მწიგნობარნი“ ქრისტეს, როგორც მოსეს შჯულის რეფორმატორს, აშკარად უპირისპირდებიან და მტრობენ: „მღელთ მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და მთავარნი ერისანი ეძიებდეს მას წარწყმედად“ (ლკ. 19, 47), „იწყეს მწიგნობართა მათ და ფარისეველთა განზრახვად ბოროტისა“ (ლკ. 11, 53), „ეძიებდეს მას მღელთა მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი, ვითამცა მოკლეს იგი“ (ლკ. 22, 2).

აღსანიშნავია, რომ მწიგნობარ სიტყვის მეორეული ბიბლიური მნიშვნელობა სამწერლობო ქართულმა ვერ შეინარჩუნა. ამიტომაც, რომ ეს კონკრეტული მნიშვნელობანი არა ჩანს ამ სიტყვის სულხანსაბა ორბელიანისეულ განმარტებაში, რომლითაც მწიგნობარი არის „წერილთ ოსტატი, წერილთ მცოდნე“. ცხადია, საბასთავის „მწიგნობარი“ ისეთივე ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა, როგორიც „წერი-

ლი“, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს ბიბლიურ წიგნებსა და, საერთოდ, ნაწერსაც.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულ სინამდვილეში „მწიგნობარმა“ მნიშვნელობა ჯანიზოგადა და სამოხელეო ტერმინად იქცა. ის აღნიშნავდა არა მაინცდამაინც მოსეს შჯულის ან, საერთოდ, ბიბლიური (ძველი და ახალი აღთქმის) კანონების მცოდნეს, სპეციალისტს, არამედ საერთოდ კანონმცოდნეს, ნომიკოსს, იურიდიული საბუთების შემდგენელ მოხელეს.

გარკვეულია, რომ X-XV საუკუნეებში საბუთების შემდგენელ მოხელეებად ყველგან „მწიგნობრები“ იხსენიება (მზ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978, გვ. 139). მწიგნობართა საქმიანობას შუა საუკუნეების საქართველოში „მწიგნობართუხუცესი“ წარმართავდა. ეს ტერმინი XI საუკუნიდან მოიხსენიება. მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტმა გამოკვეთილი სახე მიიღო დავით აღმაშენებლის სამეფო კარზე, როგორც პირველმა სავაზირომ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“) ცნობილია, თუ რა უფლებებით სარგებლობდა მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი, „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ჯორცთაჲთა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა განმზრახი, სვიანი და ფრთხილი“...

„ველმწიფის კარის გარიგებაში“ აღნიშნულია, რომ მწიგნობართუხუცესი „ჭყონდიელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების, ობოლთა და ქვრივთა და მიმძღავრებულთა მოჩივართა განიკითხავს... საჭურჭლესაც შევა და ვითა მამა არს მეფისა, აგრე ყველა საურავი უმისოდ არ იქნების“ (ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფ., 1920, 8, 50 — 9, 60). ამდენად, „მწიგნობართუხუცესი“ ფეოდალურ საქართველოში მეფის მოადგილე და ვაზირთა საბჭოს მეთაური იყო, რომლის დაუკითხავად თვით მეფეც კი არ მოქმედებდა (ივ. ჯავახიშვილი).

შეიძლება დავასკვნათ, რომ „მწიგნობარი“, როგორც სასუბიექტო მიმღეობა, ადრე გააზრიანდა პროფესიის სახელად: თავდაპირველად აღნიშნავდა წერა-კითხვის მცოდნეს. მაგრამ ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში ის ეფარდებოდა ებრაულ სოფერიმ-ს და ბერძნულ გრამმატიკეს-ს და უცხოენოვან ლექსიკურ ერთეულთა კვალობაზე გადმოსცემდა „წმინდა წერილის“ მცოდნეს, შჯულის მეცნიერს, მეშჯულეს, რომელიც გარკვეული იურიდიული საბუთების შედგენაშიც მონაწილეობდა. აქედან ამ სიტყვას განუვითარდა ხელისუფალთა კარზე მო-



სამსახურე საქმიანი ქალაღებზის შემდგენელი მოხელის, საქმის მომღებლის, მღიენის მნიშვნელობა. ახალ ქართულში კი მასში ეს კონკრეტული მნიშვნელობები დაიჩრდილა და წინ წამოიწია ზოგადი შინაარსი; დღეს „მწიგნობარი“ აღნიშნავს არა კონკრეტული ცოდნის მქონეს, არამედ საერთოდ განათლებულ, ნაკითხ, წიგნიერ ადამიანს, ხოლო მნიშვნელობის მეტაფორიზაციით კი რა ჯგუფის საგანს (ეთქვათ, ეურნალს, ვაზეთს...), რომელიც განათლება-წიგნიერებას ემსახურება (მღრ. „მაცნე“, როგორც ამბის მცნობელ-შემატყობინებელი ადამიანი, და „მაცნე“, როგორც სამეცნიერო ორგანოს, ეურნალის სახელწოდება).

ფსევდონიმები და სახეები

მიმარალი

ლიდია (ლუდმილა) მეგრელიძე ეკუთვნის ქართველ მოღვაწე ქალთა იმ თაობას, რომელმაც დიდი ამაგი დასდო საბავშვო ლიტერატურას. იგი დაიბადა 1883 წელს სოფ. პატარა გურიანთაში, ისმაილ მამულაიშვილის ოჯახში. დაამთავრა ოზურგეთის ქალთა სასწავლებელი და ჩაება სცენისმოყვარეთა წრეში. იქ იგი დაუახლოვდა მუსიკის მასწავლებელს, შემდგომში ცნობილ ლოტბარს ავქსენტის მეგრელიძეს და დაიწერა მასზე ჯვარი. მალე ლიდია საცხოვრებლად გადადის ფოთში, სადაც შედის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და იწყებს რევოლუციურ საქმიანობას, წერს კორესპონდენციებს.

ლ. მეგრელიძის პირველი ლექსი „სიმღერა“ გამოქვეყნდა 1910 წლის ჟურნალ „ნაკადულის“ პირველ ნომერში. აქედან მოყოლებული მწერალი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში და აქვეყნებდა წიგნებს. მის კალამს ეკუთვნის სიკეთით აღსავსე და ბავშვთა გულში ჩამწვდომი ბევრი ლექსი და მოთხრობა. აბა, ვინ მოთვლის, რამდენი ბავშვის გული გაუხარებია მის ლექსს „ქეთოს მერცხალი“:

გაფრინდა ქეთოს მერცხალი,  
 აღარ ჰიკვიკებს ბანზედა.  
 ქეთო მოწყენით გაპყურებს,  
 ცრემლი უბრწყინავს თვალზედა.  
 და ასე ამბობს: ნეტავი,  
 მეც რად არა მაქვს ფრთებიო,  
 რომ მისებრ გადავიჭროლო  
 ცადაბჯენილი მთებო.

დიდი სიყვარული და სევდანარევი სიხარულია ჩაქსოვილი ამ პატარა, მაგრამ საქვეყნოდ ცნობილ ლექსში, რომელზეც თაობები აღი-



ზარდნენ. „ქეთოს მერცხალი“ ქართული საბავშვო ლიტერატურის შენახვის  
ძეგლი.

ლ. მეგრელიძეს ეკუთვნის აგრეთვე ნარკვევები და გულთბილი მო-  
გონებები მის თანამედროვე ქართველ მწერლებზე.

ღვაწლმოსილი მწერალი ქალი გარდაიცვალა 1968 წელს.

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ფსევდონიმების  
ლექსიკონზე მუშაობის დროს წერილით მივმართე ქალბატონ ლიდიას,  
რომ ეცნობებინა თავისი ფსევდონიმები. მან პასუხი არ დაგვიყოვნა.  
აქვე ვაქვეყნებთ მის მიერ გამოგზავნილ წერილს, რომელიც საინტე-  
რესო ცნობებს გვაწვდის მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობის შესასწავ-  
ლად.

„პატ. გივი მიქაძეს!

თქვენი შეკითხვის თანახმად გაახლებთ პასუხს ჩემი ფსევდონიმ[ებ]-  
ის შესახებ. 1910 წლიდან იბეჭდებოდა ჩემი ლექსები და მოთხრობები  
მიმქრალის ფსევდონიმით საბავშვო ჟურნ. „ნაკადულში“ და „ჭეჯილ-  
ში“. ამავე ფსევდონიმით დაიბეჭდა რამოდენიმე არასაბავშვო ლექსი  
გაზეთ „თემში“ 1913-14 წ. სულ სამი ლექსი: „გლეხის ცოლი“, „იმ  
დროს გიხილე“ და „ქცნება ყუავილი“, ჟურნ. „წყაროში“ ერთი ლექსი  
„წყარო“. აგრეთვე „თეატრ და ცხოვრებაში“ (არ მახსოვს არც წლები  
და არც ლექსები). რევოლუციის შემდეგ მიმქრალის ფსევდონიმით  
იბეჭდებოდა ჩემი საბავშვო ლექსები და მოთხრობები ყველა საბავშვო  
ჟურნალებში, კრებულებში, სახელმძღვანელოებში და სხვა.

ფსევდონიმი „მიმქრალი“ ერთხელ, არ მახსოვს წლები, ვიღაცამ  
მიითვისა, არ ვიცი, რა შეეხარბა ამ ფსევდონიმის, არც ვიცი, ვინ იყო,  
და დასწერა რამოდენიმე ლექსი ნაციონალ-დემოკრატების გაზეთში.  
მე გავუგზავნე რედაქციას წერილი, რომ ჩემი ფსევდონიმით ნუ ბეჭ-  
დავდა სხვის ლექსს. შემდეგ იმან, ვინ იყო, არ ვიცი, „მიმქრალს“ მი-  
უმატა „კ. მიმქრალი“ და შემდეგ სულ გაქრა. საბავშვო ლიტერატურა-  
ში მას არაფერი არ დაუბეჭდავს.

მე ვცხოვრობდი ფოთში. ფოთის ცხოვრებიდან მაქვს ორიოდ წე-  
რილი სოციალ-დემოკრატების გაზეთში დაბეჭდილი „დასელი ქალის“  
ფსევდონიმით. აქაც ისეთი ამბავი მეწვია. ვიღაც ქალმა ამ ფსევდო-  
ნიმით დასწერა წერილი სენაკიდან (სამეგრელო). მერმე დავწერე კი-  
დევ ფოთის ქალაქის მ[მ]ართველობის შესახებ წერილი „ნამცეცას“  
ფსევდონიმით. მე მგონია, რაღაც კიდევ მაქვს დაწერილი „ნარცისის“



და „ნაზისის“ ფსევდონიმით. მაგრამ არაფერი არ მახსოვს. თუ შეგხვდებოდა „ნამცეცა“ და „ნაზისი“ და „ნარცისი“, ეს ჩემი იქნება.

„დასელი ქალის“ წერილი ეხებოდა პალიასტომის ტბაზე მომუშავე მეთევზეებს და მოიჯარადრე ივანე კილურაძეს. სამედიცინო სამართალში გამოიწვიეს მოიჯარადრეებმა, მაგრამ მე მართალი ვიყავი. ფსევდონიმი, არ ვიცი, იყო თუ არა გაშინჯული, არ ვიცი.

ლიდია (ლიუდმილა) მეგრელიძე. მამაჩემი იყო ისმაილ მამულაიშვილი. დაბადების წელი — 1883 წ.

გაახლებთ პატივისცემით ლ ი დ ი ა მ ე გ რ ე ლ ი ძ ე .

3/VI — 1960 წ.“

როგორც ირკვევა, ლ. მეგრელიძეს შემდეგი ფსევდონიმები ჰქონდა: 1. დასელი ქალი; 2. მიმქრალი; 3. მიმქრალი, ლ.; 4. ნამცეცა; 5. ნარცისი და 6. ნაზისი.

**არისტო ჭუმბაძე**

ცნობილი მწერალი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე არისტო მაქსიმეს ძე ჭუმბაძე დაიბადა 1880 წელს სოფ. კლდეეთში (ზესტაფონის რაიონი), მასწავლებლის ოჯახში. ქუთაისის სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სორბონის უნივერსიტეტის (საფრანგეთი) ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1911 წელს ა. ჭუმბაძე დაბრუნდა საქართველოში და ქუთაისში დააარსა გაზეთი „კოლხიდა“ (1911 — 1913). 1915 წელს არისტო სამეცნიერო ხარისხის დასაცავად გაემგზავრა პარიზში. 1917 წელს იგი ჩამოდის საქართველოში და მუშაობს გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში.

1938 წელს ა. ჭუმბაძე დაინიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად. შემდეგ 1960 წლამდე მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციასა და საკდესში სტილისტ-მთარგმნელად.

ა. ჭუმბაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1905 წლის რევოლუციის შემდეგ. წერდა ლექსებს, მინიატურებს, მოთხრობებსა და სხვადასხვა ხასიათის სტატიებს. მას გამოცემული აქვს მოთხრობების ოთხი წიგნი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ა. ჭუმბაძის მთარგმნელობითი საქმიანობა. საფუძვლიანად ფლობდა რა რუსულსა და ფრანგულ ენებს, ამ ენებიდან ქართულად თარგმნიდა მხატვრულ ნაწარმოებებს. რუსუ-



ლიდან თარგმნილი აქვს ლ. ტოლსტოის, მ. სალტიკოვ-შჩედრინის, მ. გორკის, ლ. ლეონოვის, ა. ანტონოვსკაიას და სხვ. თხზულებანი; ფრანგულიდან ნათარგმნი აქვს გუსტავ ფლობერის, ანრი ბარბიუსის, ლუი არაგონის და სხვათა მხატვრული ქმნილებანი.

არისტო ჭუმბაძე გარდაიცვალა 1971 წელს.

მწერალმა 60-იან წლებში ჩაგვაწერინა თავისი ფსევდონიმები: 1. კოლხი; 2. სინდიოფალა („კოლხიდა“, 1911-1912); 3. ჭუმბაძე („დროება“, 1910; „სახ. გაზეთი“, 1910; „კოლხიდა“, 1911).

**ლევო ჯიაჩელი**

ნახევარი საუკუნე ვიცხოვრე მთაწმინდის უბანში, ათარბეგოვის ქუჩაზე. მაგონდება, რომ სხვადასხვა დროს იქ ცხოვრობდნენ და ალ. ჭავჭავაძის ქუჩის აღმართზე დაიარებოდნენ: იოსებ იმედაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ტიციან ტაბიძე, ხარიტონ ვარდოშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ლადო ასათიანი და სხვ. ამ აღმართს ნელი ნაბიჯებით შეუდგებოდა ხოლმე ბატონი ლეოც და ბედნიერი მიდიოდა შინ. მაგრამ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და მისი ბედნიერება ხანმოკლე გამოდგა. ბატონი ლეოს შვილი ოთარი (ლეიტენანტის ჩინი ჰქონდა) პირველსავე დღეებში ფრონტზე წავიდა და ქერჩში დაიღუპა. ბატონმა ლეომ ძალიან განიცადა შვილის დაკარგვა. დარდს გულში იკლავდა, არავის უმხელდა. რომ იტყვიან, ჩამოდნა კაცი. მის სახეზე იშვიათად შეამჩნევდით მისთვის დამახასიათებელ ლამაზ ღიმილს... დადარდიანებული მთლიანად ჩაეფლო შემოქმედებით მუშაობაში. მაშინ დაწერა გახმაურებული რომანი „ჯოტოს მამა“ („მთის კაცი“), რომელიც მთელი წლის მანძილზე იბეჭდებოდა გაზეთ „კომუნისტის“ გვერდებზე.

ბატონ ლეოს ძალიან უყვარდა ჭადრაკი. საათობით თამაშობდა მწერალთა სახლის ფოიეში. თამაშობდა დინჯად, დიდხანს ფიქრობდა. პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა. მოწინააღმდეგეზე გამარჯვება დიდად ახარებდა. განცდით თამაშობდა.

ჭადრაკის თამაში ჯერ კიდევ პატარაობისას მამამ მასწავლა. მერე თამაშში გავეწაფე ჩემ მეზობელთან იურისტ იოსებ ბლიაძესთან, რომელიც ცნობილ ქართველ დიდოსტატ ვიქტორ გოგლიძესთან ერთად საბჭოთა საქართველოში ჭადრაკის დანერგვა-გავრცელების პიონერი იყო. 6-7 კლასის მოსწავლე ვერკვეოდი ჭადრაკის თეორიაში და თამაშითაც გამოვიჩინეოდი ჩემ ტოლებში. მიხაროდა ხოლმე მწერალთა სახ-



ლის ბაღში წასვლა და მწერლებთან ჭადრაკის თამაში. ბევრჯერ მათა-  
მაშია ბატონ ლეოსთანაც. ჩვენი თამაშის დროს მწერლების ჯგუფი  
გარს შემოგვეხვეოდა ხოლმე და სვლებს გვეკარნახობდნენ ხან მე და  
ხან ბატონ ლეოს, რაც ძალიან აღიზიანებდა მას. არ უყვარდა სვლების  
დაბრუნებაც. ორთაბრძოლაში როდესაც გავიმარჯვებდი, აუცილებლად  
ხელის ჩამორთმევით მომილოცავდა და მამაშვილურად წამახალისებ-  
და.

ერთ დროს მწერალთა სახლში ხშირად დადიოდა ნიჭიერი ქართვე-  
ლი მოჭადრაკე, საქართველოს მრავალჯგუფის ჩემპიონი არჩილ ებრაღიძე.  
იგი მაშინ დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მწერლები  
დიდად თანაუგრძობდნენ და აფასებდნენ. არჩილი მწერალთა სახლის  
ბაღში მწერლებთან ნიძლაგზე თამაშობდა ჭადრაკს. ეს მისთვის ეკო-  
ნომიური დახმარებაც იყო. ბატონი ლეო ხშირად თამაშობდა არჩილ-  
თან, მაგრამ გამარჯვებული იშვიათად გამოდიოდა.

1960 წელს ბატონ ლეოს წერილი გავუგზავნე, რომ შეეტყობინე-  
ბინა თავისი ფსევდონიმები. მან პასუხი არ დააყოვნა და მაშინვე მომ-  
წერა:

„პატივცემულო გივი,  
თქვენ შეკითხვაზე გიპასუხებთ!

ძალიან ცოტა მიწერია სხვადასხვა ფსევდონიმით. ძირითადი ჩემი  
ფსევდონიმი, იგივე ლიტერატურული ჩემი სახელი, იყო და არის ლეო  
ქიაჩელი. ხოლო პირველი ჩემი მოთხრობა „წარსული აწმყოში“ და-  
ბეჭდილია 1909 წ. ხელმოწერით ლ. თუ ლეო მიხაძე. ეს იყო ორ  
ფელეტონად გაზ. „მერცხალში“ დაბეჭდილი ჩემი ნაწარმოები. მერმე  
გადავედი ლეო ქიაჩელზე, რასაც ახლაც ვაწერ ჩემს ნაწერებს.

არ მახსოვს, რომ ლ. მიხაძეს მეტი სხვა ფსევდონიმი მქონოდა.  
ისიც სანამდის ლეო ქიაჩელს მოვიგონებდი ჩემ მუდმივ ლიტ. ფსევ-  
დონიმად. ლ. მიხაძე წარმოიშვა მამაჩემის სახელისაგან, რომელსაც  
ერქვა მიხა.

ეს არის და ეს.

პატივისცემით ლეო ქიაჩელი.

P. S. შეიძლება კიდევ მქონდეს ხელი მოწერილი სხვა ფსევდონი-  
მით უმნიშვნელო ლიტ. შენიშვნაზე, მაგრამ არ მახსოვს.

ლ. ქ.

30. V. 60“.

ბოლო დროს გამოირკვა, რომ ლეო ქიაჩელს ჰქონდა სხვა ფსევდო-  
ნიმებიც, მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, აღარ ახსოვდა: 1. ჭ ი რ ი ს უ-



ფალი („სახალხო გაზეთი“, 1911, № 362),<sup>1</sup> 2. ლ. ქ. („ლომისი“, 1923, № 18; „კავკასიონი“, 1924, № 3-4; „ქართული სიტყვა“, 1924), 3. ლ. შ. (მთარგმნ. მოთხრობისა: მ. პლატოშკინი. გარღვევა. 1932)<sup>2</sup>.

**ვინ არის დონალი?**

ამ სათაურით ჟურნალ „განთიადში“ გამოქვეყნდა კრიტიკოს ჯ. თიმერიას წერილი, რომელიც შეეხება 1922 წლის ჟურნალ „ხომალდში“ (№ 3) დაბეჭდილ დონალის წერილს „პოეტი და რითმა“. ავტორი წერს: „...არ ვიცი, ვინ არის დონალი. კაცმა რომ თქვას, დონალის ვინაობის ვაგება, ალბათ, კერძო კითხვა-გამოკითხვითაც შემეძლო, მაგრამ მაინც ამ შეკითხვის დაბეჭდვა გადავწყვიტე. რატომ? ვფიქრობ, მკითხველის ყურადღება ამით უფრო გამახვილდება დონალის ამ წერილზე“... („განთიადი“, 1978, № 2, გვ. 173). იქვე მოცემულია დასახელებული წერილის ახალი პუბლიკაცია. „დონალის“ ვინაობა გაშიფრული არ არის სხვა სპეციალურ ლიტერატურაშიც.

მართლაც, ნახევარი საუკუნის განმავლობაში არავინ იცოდა, ვინ იყო ამოფარებული დასახელებულ ფსევდონიმს. 1973 წელს ნ. გიორგობიანმა დაბეჭდა წერილი ალ. აბაშელის ზოგიერთი ფსევდონიმის შესახებ („ლიტ. გაზეთი“, 1973, № 48), ხოლო 1974 წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ „ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან“, რომელშიც გაშიფრული გვაქვს ავტორის ვინაობა — ალექსანდრე აბაშელი. როგორც ჩანს სტატიის ავტორს მხედველობიდან გამორჩა აღნიშნული ნაშრომები.

„აბაშელი“ ალექსანდრე (ისაკ) ბესარიონის ძე ჩოჩიას ფსევდონიმია. იგი დაიბადა 1884 წელს სოფ. საჩოჩიოში (აბაშის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. სწავლობდა აბაშის ორკლასიან სასწავლებელში. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის 1906 წელს გადაასახლეს რუსეთში. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ (1908 წ.) მუშაობდა თბილისში „კავკაზისა“ და „ნოვია რეჩის“ რედაქციებში. ამ გაზეთებში გამოაქვეყნა პირველი ლექსები რუსულ ენაზე, პირველი ქართული ლექსი კი დაბეჭდა 1910 წელს ჟურნ. „თეატრსა და ცხოვ-

<sup>1</sup> ი. ლორთქიფანიძე. ერთი ფსევდონიმის გამო. — კრ.: ტექსტოლოგიური წერილები. თბ., 1978, გვ. 83—84.

<sup>2</sup> პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი. ტ. I, ნაწ. 2. თბ., 1979, გვ. 202.





რებაში“ (№ 28). პოეტის პირველი წიგნი „მზის სიცილი“ გამოვიდა 1913 წელს. ალ. აბაშელს დაწერილი აქვს აგრეთვე მოთხრობები და კრიტიკული წერილები. მისი რედაქციით გამოვიდა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა პირველი სრული კრებული.

ნიჭიერი პოეტი გარდაიცვალა 1954 წელს.

ალ. აბაშელი მეგობრობდა იოსებ გრიშაშვილთან. ზაფხულობით ისინი ხშირად ბორჯომის ხეობაში ისვენებდნენ და უყვარდათ ბორჯომპარკში სასტუმროს წინ ბულვარზე სეირნობა. ზუსტად არ მახსოვს როდის, სწორედ აქ, ბორჯომპარკში, გამაცნო იგი ი. გრიშაშვილმა, თუმცა პოეტი ბავშვობიდანვე ბევრჯერ მყავდა ნანახი და მისი ლექსთა კრებულებიც წაკითხული მქონდა.

ვფიქრობთ, უკვე მომწიფდა საკითხი ქართველ მკითხველ საზოგადოებას მივაწოდოთ ალ. აბაშელის თხზულებათა აკადემიური გამოცემა. ამისათვის კი საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს მწერლის მიერ ფსევდონიმებით და ხელმოუწერლად გამოქვეყნებული ნაწარმოებები. აქვე ვიძლევიტ ალ. აბაშელის ფსევდონიმებს, რომელიც მან შეგვატყობინა: 1. ა. („ხომალდი“, 1922) 2. ალ. აბ-ე ლ ი („შადრევანი“, 1915, № 5); 3. ს. აბ-ე ლ ი („შადრევანი“, 1914); 4. ალ. აბ ა შ ე ლ ი; 5. ს. აბ ა შ ე ლ ი („ახალი აზრი“, 1914; „თემი“; კრ-ში: ახალი პოეზიის ანთოლოგია. ქუთაისი, 1919; აღმანახი „ლეილა“, №2, 1920); 6. ალ ე რ ტ ი („ხომალდი“, 1921-1922; „ლომისი“ 1922, № 4); 7. დონ ა ლ ი („ხომალდი“, 1922, № 3; „წიგნი“, 1932, № 1-2); 8. ი. პ ა რ ა ს ე ლ ი („დროება“, 1909); 9. კ ვ ი რ ა რ კ ი ნ ა ე ლ ი (ანთებული გული. პიესა 1 მოქმ. მაქსიმ გორკის მოთხრობა — „იზერგული“-დან გადმოკეთებული. 1922); 10. ს ა ტ უ რ ნ ი („თემი“, 1912, № 56; „ახალი ცისკარი“, 1916, № 1); 11. ხ ო მ ა ლ დ ე ლ ი („ხომალდი“, 1921-1922).

### გ რ ი გ ო ლ ც ე ც ხ ლ ა ძ ე

პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ მთხვარე ცეცხლაძე დაიბადა 1894 წელს სოფ. ჩანჩეთში (ლანჩხუთის რაიონი). ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1932 წელს დაასრულა.

სხვადასხვა დროს გრ. ცეცხლაძე მუშაობდა გაზეთების — „მეგობრის“, „წითელარმიელის“ და ჟურნალ „ნიანგის“ ლიტმუშაკად, ჟურ-



ნალებს — „ხელოვნებისა“ და „ქართული მწერლობის“ პასუხისმგებელ მდივნად.

თავის „მოგონებებში“ მწერალი ამბობს: „მე იმ დროს (ეჟურნ. „ცისფერი ყანწების“ გამოსვლის შემდეგ. — გ. მ.) ვიყავი გაზეთ „მეგობრის“ თანამშრომელი, რეპორტიორი, პოეტობას არ ვამყვანებდი, თუმცა ლექსებს ბავშვობიდან ვწერდი და მაშინ რამდენიმე ლექსი უკვე მქონდა დაბეჭდილი ფსევდონიმით“ (გრ. ცეცხლაძე. მოგონებები. გ. ვანიძის პუბლიკაცია. — ლიტერატურის მატრიანე, № 7-8, 1982, გვ. 137). გაზეთ „მეგობრის“ 1917 წლის 1 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა პოეტის ლექსი, რომლის შესახებ გრ. ცეცხლაძე იგონებს: „იმ ლექსით პირველად წარვსდექი, როგორც პოეტი, სრული სახელის და გვარის მოწერით საზოგადოების წინაშე“ (იქვე, გვ. 138). ამის შემდეგ მისი ლექსები იბეჭდებოდა ქართულ ეჟურნალ-გაზეთებში: „მეგობარში“, „სამშობლოში“, ალმანახებში — „აისში“, „თოლაბულისის სარტყელში“, „მოქმედებაში“ და სხვ. პოეტის ლექსების პირველი წიგნი „პოეტის ყეფა“ გამოვიდა 1924 წელს. გრ. ცეცხლაძეს გამოქვეყნებული აქვს ლირიკული ლექსების მრავალი კრებული. იგი ეწეოდა აგრეთვე მთარგმნელობით მუშაობასაც. გადმოთარგმნა ა. პუშკინის, ნ. ნეკრასოვის, ვ. მაიაკოვსკის, ს. ესენინის და სხვათა ლექსები, აგრეთვე უცხოელი კლასიკოსებისა და თანამედროვე პოეზიის ნიმუშები.

გრიგოლ ცეცხლაძე ცნობილია როგორც სატირულ-იუმორისტული ფელეტონების ავტორი. მისი იუმორისტული ლექსები თუ ფელეტონები ხან ხელმოუწერლად და ხან სხვადასხვა ფსევდონიმით ხშირად იბეჭდებოდა „ტარტაროსსა“ და „ნიანგში“. ოცდაათიანი წლების „ლიტერატურულ გაზეთში“ მოთავსებული იყო იუმორისტული ფელეტონი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო ა. პუშკინის ლექსების პაოლო იაშვილისეული ქართული თარგმანები. ფელეტონი მეტად მწვავე იყო და ხელმოუწერლად დაიბეჭდა, რამაც საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. არავინ იცოდა, ვინ იყო მისი ავტორი.

მხოლოდ ბოლო დროს გახდა ცნობილი, რომ მოყვანილი ფელეტონის ავტორი გრიგოლ ცეცხლაძეა. „მოგონებებში“ იგი წერს: „თუმცა იაშვილის თარგმანები მე მომწონდა საერთოდ, მაგრამ უნაკლოდ არ მიმაჩნდა და მე სწორედ ეს ნაკლი წამოვსწიე წინ, რადგან მასზე გაბრაზებული ვიყავი“ (გვ. 146).

გრ. ცეცხლაძე გარდაიცვალა 1976 წელს. რამდენიმე წლით ადრე სახლში ვესტუმრე და ვთხოვე თავისი ფსევდონიმები გაეშიფრა. შემდეგ ამ ფსევდონიმებზე მოხსენება წავიკითხე სამეცნიერო სესიაზე



(იხ. „ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს VI სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებები“ თბილისი, 1972, გვ. 9). აქვე მოგვეყვას გრ. ცეცხლადის ფსევდონიმები: 1. ბეჟან ხვლინციკი („ტარტაროზი“ 1926-1927); 2. ბეჟან ხლუსტი, ბეჟან-ხლუსტი („ტრიბუნა“ 1922; „ტარტაროზი“ 1925); 3. გ. ც. („ხელოვნების დროშა“ 1924, № 6; „მნათობი“ 1944, № 12); 4. გრ. („თოლაბულისის სარტყელი“ 1919, № 1); 5. გრიგოლი („სამშობლო“ 1915, — ლექსები); 6. გრიგოლ გურული („მეგობარი“ 1916); 7. ნუგზარ ერისთავი („ხელოვნების დროშა“); 8. ლიენა ლანი („თოლაბულისის სარტყელი“ 1919, № 1); 9. ძალაღ-მალაღი („ნიანგი“ 1940 წლიდან); 10. სეფედავლგ („ნიანგი“ 1940 წლიდან); 11. სოფლის შიკრიკი („მეგობარი“ 1916, — კორესპონდენციები); 12. გაიოზ ყირიმელი („ტარტაროზი“ 1930; „სალიტ. გაზეთი“ 1932, № 16; „ნიანგი“ 1940 წლიდან); 13. ყირიმტარტი („ტარტაროზი“ 1930; „ნიანგი“); 14. ხლისტი („ტარტაროზი“ 1930); 15. Narcis („თოლაბულისის სარტყელი“ 1919, № 1).

პატივცემულმა გრიგოლმა გაგვიშიფრა აგრეთვე აღმანახ „თოლაბულისის სარტყელში“ (1919, № 1) ს. და შ. ლ-ი კრიტონიმების ავტორის ვინაობა, რომელიც ყოფილა მისი ახლო მეგობარი ალექსანდრე (შარლ) ლორდელი.

„ბრა-დისია“

1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ (№ 415) გამოქვეყნდა პაროდები ქართველ პოეტთა ლექსებზე. ერთ-ერთი პაროდია გალაკტიონის ლექსზე რედაქციას მიაწოდა ტრ-დიცია მ. აი, ეს ლექსი:

ნეტა სად გაქრა მეფობა...  
 საღამოც გაქრა მსგავსი ქიმერის,  
 მე გულში დამრჩა ზიზღი და მტრობა...  
 როცა მარტო ვარ, ვიჯობ მერის...  
 წაყალ, ვეწვევი მთაწმინდის მთვარეს...  
 ო, რამდენია ლოცვები წმინდა,  
 მე ქვეყანაზე ვერ ვგრძნობ მოყვარეს,  
 მე ვგრძნობ, კახური არაყი მინდა.

მოყვანილი პაროდის ავტორი სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობია. მისი ავტორია ვ. პატარაია.

მწერალი, დრამატურგი ვასო ბართლომეს ძე პატარაია დაიბადა 1895 წელს სოფ. ბანძაში (მარტვილის რაიონი), გლეხის ოჯახში. აქვე დაამთავრა ორკლასიანი სასწავლებელი, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ალექსანდროვსკ-გრუშევსკის (დონის ოლქი) სასულიერო სემინარიაში.

1918 წელს იგი შედის ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი შეუდგა საზოგადოებრივ და ლიტერატურულ საქმიანობას. მისი პირველი იუმორისტული ლექსი დაიბეჭდა 1922 წ. გაზეთ „ტრიბუნაში“. ამის შემდგომ მისი იუმორისტულ-სატირული ნაწარმოებები ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში.

თავდაპირველად ვ. პატარაია წერდა ფელეტონებს, სატირული ჟანრის მცირე ფორმის პიესებს, ვოდვეილებს, საესტრადო ნომრებს, ხოლო შემდეგ მრავალაქტიანი პიესებიც შექმნა.

ვასო პატარაია ბუნებით იყო თეატრალი და ხელოვნების დიდი ტრფიალი. იგი ცნობილია, როგორც ქართული ესტრადის ერთ-ერთი დამაარსებელი. მისი გონებამახვილური საესტრადო ნომრები, ფელეტონები, სკეტჩები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ხალხში. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე გვხვბლავდა ვასო პატარაიას საესტრადო რეპერტუარი გამოჩენილი მსახიობების ცეცილია თაყაიშვილის, ალექსანდრე ჟორჯოლიანის, გიორგი შავგულიძის, აკაკი კვანტალიანისა და ალექსანდრე გომელაურის შესრულებით.

ზედმიწვევით მოხდენილად დაახასიათა მწერალი-დრამატურგი მისმა მეგობარმა და თანამოკალმემ გენო ქელბაქიანმა, როდესაც ჟამოსათხოვარ წერილში აღნიშნავდა: „ღიახ, ღიმილით მოვიდა ვასო პატარაია ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ეს ღიმილი არ ტოვებდა მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. მრავალჯერ გაუხარებია იგი შემოქმედებითს წარმატებას. ზოგჯერ წარუმატებლობაც განუცდიდა, მაგრამ პესიმიზმში როდი ჩავარდნილა. ეს წარუმატებლობა ხალისს არ უკარგავდა, მაშინვე ახალი ნაწარმოების შექმნისათვის მოეკიდა ხელი. ამიტომ ვერასოდეს ვერ ნახავდით მას მოწყენილს, გულვატეხილს. მუდამ ღიმილით, იმედიანი შეგხვდებოდათ და თქვენც სიცოცხლის ხალისს გაგიძლიერებდათ“ (ეჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1969, № 1, გვ. 37).

ვასო პატარაია გარდაიცვალა უეცრად 1969 წელს, როდესაც საღამოთი ჩაის დასალევად მაგიდას მივუსხედით, მან მოასწრო შაქრის



ორი ნატეხის ჭიქაში ჩაგდება და ხელი თავზე შემოიდო: „ცუღად გარო“, — ამისი თქმა მოასწრო და სავარძელში დალია სული. ბაგეებზე დიმილი შემორჩა... მე და კინორეჟისორმა შოთა მანაგაძემ სამარადისოდ დავუხუჭეთ თვალები.

თავის ადრეულ ნაწარმოებებს ვ. პატარაია ფსევდონიმებით ბეჭდავდა. მისი ფსევდონიმები ჩვენ გავშიფრეთ მწერლის გარდაცვალების შემდეგ (იხ. „ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს VI სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები“. თბ., 1972, გვ. 9). მწერლის ფსევდონიმებია: 1. ვ ა ს ი ლ დ ე ბ ო რ ნ („ხელოვნების დროშა“, 1924, № 1; კრებ. „დურუჯი“, 1926); 2 დ ო ნ - ბ ა ზ ი ლ ი ო, დ ო ნ - ბ ა ზ ი ლ ი ს („ხუმარა“, 1922, № 1; „ტრიბუნა“, 1922, №№ 204, 209, 247; 1923, № 389, 404); 3. ტ რ ა - დ ი ც ი ა („ტრიბუნა“, 1922, № 247; 1923, № 415).

**ილია სიხარულიძე**

ილია ლუკას ძე სიხარულიძე დაიბადა სოფელ ბუკისციხეში, გლეხის ოჯახში. 1913 წელს დაამთავრა ხონის პედაგოგიური სასწავლებელი და მთელი სიცოცხლე ემსახურა საყვარელ საქმეს — ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1912 წელს ჟურნალ „ნაკადულში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი და აქედან მოყოლებული იგი ქართული საბავშვო მწერლობის ერთგული მსახური გახდა სიტყვითა და საქმით უღვივებდა ახალგაზრდობას თავისი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულს, უნერგავდა მოქალაქეობრივ სიფაქიზესა და სიწმინდეს, კეთილშობილებას.

ილია სიხარულიძე ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის პირველ საშუალო სკოლაში. ყველას გვიყვარდა ილია მასწავლებელი, უფროს მეგობრად ვთვლიდით და „შეამხანაგებულები“ ვიყავით მასთან. ილია მასწავლებელი ჩვენი კლასის დამრიგებელი იყო და განსაკუთრებული ყურადღებით გვეპყრობოდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბავშვების გამორჩევა მან საერთოდ არ იცოდა. ბავშვებიც გრძნობდნენ გულთბილ დამოკიდებულებას და „ილია მასწავლებლის“ დიდი მორიდება ჰქონდათ. მაგრამ ბავშვი რისი ბავშვია, რომ ხანდახან წონასწორობა არ დაკარგოს და ჩვენც ზოგჯერ ამ საყვარელი ადამიანის გულისწყრომასაც ვიმსახურებდით. მან იცოდა გაჭავრება და, წარმოიდგინეთ, სიყვარულით ზოგჯერ მუჯლუგუნსაც გავვკრავდა ხოლმე.



ბატონი ილია წითური სახის წარმოსადგევი კაცი იყო. მუდამ სახე  
ჰქონდა გაბრწყინებული და ჰქონდა თვალებს ალერსიანად შემოგვანა-  
თებდა ხოლმე. პიჯაკის ქვეშ ატარებდა თეთრ კაშნეს. დინჯად დადი-  
ოდა ყავისფერი ტყავის დიდი პორტფელით ხელში.

ილია სიხარულით ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვა-  
ნელოების ავტორი იყო. იგი მოითხოვდა მშობლიური ენისა და ლიტე-  
რატურის საფუძვლიან ცოდნას. ამიტომ არის, რომ მისი მოწაფეების  
საკმაო ნაწილმა — მწერალმა დოდო ვადაჭკორიამ, კრიტიკოსმა გაა  
მარგველაშვილმა და სხვებმა მომავალი ცხოვრების საქმიანობად ლი-  
ტერატურული სარბიელი აირჩიეს. ამ სტრუქტურების ავტორიც ილია  
მასწავლებლისაგან დიდად არის დავალებული, ფილოლოგიის დარგში  
რომ მუშაობს.

სკოლაში ჩამოყალიბებული გვექონდა მოსწავლეთა ლიტერატურუ-  
ლი წრე, რომელსაც ილია მასწავლებელი ხელმძღვანელობდა. წრის  
თავმჯდომარედ სხვადასხვა მოწაფეს ირჩევდნენ უფროსი კლასებიდან.  
რამდენიმე წელიწადს მეც ვიყავი ამ წრის ჯერ მდივანი, მერე კი —  
თავმჯდომარე. ჩვენი ლიტერატურული წრე ხშირად აწყობდა მწერ-  
ლებთან შეხვედრებს, ლიტერატურულ დილას, საბავშვო მწერალთა  
ახალი წიგნების, მოსწავლეთა მხატვრული შემოქმედების განხილვას  
და ა. შ. მაგალითად, მოვაწყეთ შეხვედრები ქართველ მწერლებთან —  
მარიამ გარიყულთან, ცქვიტთან, მარიჯანთან და სხვ.; სახალხო მოქმე-  
დებთან — ირაკლი მირიანაშვილთან და ილიკო ქურხულთან. გამოვე-  
ციით ხელნაწერი ჟურნალის რამდენიმე ნომერიც.

ჩემს არქივში აღმოჩნდა ილ. სიხარულიძის მოწერილი ბარათი,  
რომელიც შეეხება ჩვენს ლიტერატურულ წრეს. იგი მატყობინებს,  
რომ გავაფორმო ოქმები წრეში წაკითხულ მოხსენებებზე. წერილი  
დაწერილია 1940 წლის 8 თებერვალს.

1940 წელს ჩატარდა დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო  
მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის იუბილე. ამ იუბილეს ფართოდ გა-  
მოეხმარა ქართველი საზოგადოება, და, კერძოდ, სკოლებიც. ილია  
მასწავლებელმა დაწერა ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საკმაოდ  
ვრცელი ლექსი. ვთხოვე, რომ ჩემთვის მოეცა ეს ლექსი. მან სიამოვნ-  
ებით შემისრულა თხოვნა. ამგვარად, მწერლის ავტოგრაფი ჩემთან  
დარჩა. შემდეგ ლექსი დაიბეჭდა საბავშვო ჟურნალ „ოქტომბრელში“  
(1940, № 10). ამჟამად, როცა ხელახლა გადავიკითხე აღნიშნული ლექ-  
სი, ჩემთვის უფრო გასაგები გახდა პოეტის სიტყვები:

დღესაც, ახლაც, ხანდაზმული  
ტრფობით ვფურცლავ „დედაენას“  
და ვიგონებ სიხარულით  
სიყმაწვილის აღმაფრენას.

ილ. სიხარულიძის ლექსიცა და ჩემდამი მოწერილი ბარათიც სხვა მასალებთან ერთად გადავეცი აკად. გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს, რათა დარჩეს როგორც უტყუარი საბუთი პირველი სკოლის ლიტერატურული წრის საქმიანობისა.

1944-1945 წლები იყო. მწერალი ქალის ცქვიტის ბინაზე ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები: ი. გრიშაშვილი, ხ. ვარდოშვილი, მარიჯანი, მ. გარიყული, ილ. სიხარულიძე და სხვ. ისინი ყვებოდნენ თავიანთი ცხოვრების ეპიზოდებს, არჩევდნენ ახლად გამოქვეყნებულ მხატვრულ ლიტერატურას, კითხულობდნენ საკუთარ ნაწარმოებებს თუ თარგმანებს. ამასთან, ცქვიტს ჰქონდა შავი ფერის პატარა ლირა და კარგადაც უკრავდა. ბატონი ილია კი შესანიშნავი სმენით იყო დაჯილდოებული. ამან განაპირობა, რომ ორივენი დაბალი ხმით სასიამოვნოდ მღეროდნენ. მქონდა ბედნიერება, ამ შინაური ლიტერატურული შეკრებების დამსწრე ვყოფილიყავი და ბევრი საინტერესო ამბავი მომესმინა. სწორედ აქ პირველად გავიგე, რომ ჟურნ. „ეშმაკის მათრახში“ ლუკაიას ობოლისა და შექანჯალეზულის ხელმოწერით გამოქვეყნებული იუმორისტული ლექსების ავტორი იყო ილია სიხარულიძე.

### პარლამ მიჰამე

საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ 1917 წლის მეთერთმეტე ნომერში ფრთოსანის ხელმოწერით დაბეჭდილია ლექსი „ნაკადულის“ სახელწოდებით:

ქვიდან ქვაზე მოხტის კობტად  
მთის ნაკადი, მთისა შვილი;  
ვერცხლისფერ ჰავლს აელვარებს,  
მზის სხივებით დაფერილი.

მთის ჩანჩქერსა მთელი გრძნობით  
თავს დაჰხარის გარს მცენარე;

ფიანდაზად გულს უფენენ  
 ვარდ-ყვავილნი მონარნარე.

„გვალვისაგან დამქვნარ ყვავილო,  
 ან მწირ მდღელს სხივდაკრულსა,  
 შეხედებს ცოცხალს მივაპკურებ,—  
 შევბას მივცემ დაჩაგრულსა,“ —

ნოდუდუნებს მალალ მთიდან  
 ანცი წყარო მოჩქეფარე,  
 და მის დუდუნს ახმიანებს  
 გაფურჩქნული არემარე!...

ამ ლექსის ავტორია ქართული პრესის ერთ-ერთი ამაგდარი წარ-  
 მომადგენელი ვარლამ მიქაძე. ვარლამ ანდრიას ძე მიქაძე დაიბადა  
 1896 წლის 21 ოქტომბერს სოფ. აბედათში (მარტვილის რაიონი),  
 გლეხის ოჯახში. შვიდი წლისა ბიძამ იშვილა და წაიყვანა ხაშურში,  
 სადაც 1908-1918 წლებში სწავლობდა ვაჟთა გიმნაზიაში, რომე-  
 ლიც წარმატებით დაამთავრა. 1918 წელს შევიდა ახლად გახსნილ  
 თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. იმ  
 მძიმე წლებში იგი იძულებული გახდა ეთანამშრომლა სხვადასხვა  
 ბეჭდვით ორგანოში და ისე ერჩინა თავი. ამ დროიდან იწყება ვ. მი-  
 ქაძის შრომითი საქმიანობა. 1918-1920 წლებში მუშაობდა ჟურნა-  
 ლების „ერთობისა“ და „პირველი ნაბიჯის“ რედაქციებში კორექ-  
 ტორად. აქ იგი გაეცნო მწერალ-მოღვაწეებს — სოლომონ თავაძეს  
 („ობოლი მუშა“), იოსებ ირემაშვილს („ს. პართენაშვილი“), სტეფან-  
 ნე ნოზაძეს („ლაფონტეფოშვილი“), ვედეონ მყავანაძეს („გედი და-  
 სელი“) და სხვა. ჩაება ლიტერატურულ საქმიანობაში, ბეჭდავდა  
 ლექსებსა და მინიატურებს. მან თავისი შემდგომი ბედი მთლიანად  
 დაუკავშირა ქართული ბეჭდვითი სიტყვის განვითარებას; მუშაობდა  
 ჯერ მთარგმნელად, შემდეგ კი (1923 წლიდან) გაზეთ „სპარტაკის“;  
 ჟურნალების „საზღვარზე“ და „მომავლის“ რედაქციის პასუხისმგე-  
 ბელ მდივნად. დასახელებულ გამოცემებში ამ დროს მთარგმნელო-  
 ბით მოღვაწეობას ეწეოდნენ ვ. გაფრინდაშვილი, პ. იაშვილი და ტ.  
 ტაბიძე. ვ. მიქაძე იყო „სპარტაკის“ ყოველდღიურ ორგანოდ გადა-  
 კეთების ერთ-ერთი ინიციატორთაგანი.

1930-1931 წლებში იგი დაინიშნა გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანის“  
 რედაქტორის მოადგილედ და შემდეგ რედაქტორად, ხოლო 1931  
 წელს დაინიშნა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პასუხისმგებელ  
 რედაქტორად.



1932 წლიდან ვ. მიქაძე მუშაობდა „სახელგამის“ პოლიტიკური ლიტერატურის სექტორის გამგედ. ამ პერიოდში იგი ძირითადად ხელმძღვანელობდა მარქსიზმის კლასიკოსების თხზულებათა ქართული თარგმანების გამოცემებს, პ. შარიასთან ერთად რედაქციას უკეთებდა პოლიტიკური ლიტერატურის თარგმანებს. შემდეგ ვ. მიქაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა კ. მარჯანიშვილის სახელობის მეორე სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორად, სახკინმრეწვის სასცენარო განყოფილების გამგედ, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატის საადმინისტრაციო-საორგანიზაციო სამმართველოს უფროსად.

1937 წლიდან ვ. მიქაძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორად. ოცი წლის მანძილზე ვ. მიქაძე ამ გამომცემლობის დირექტორი იყო. ამიტომ ფაქტიურად მან შექმნა აქ გამომცემლობა და ჩამოაყალიბა მძლავრი პოლიგრაფიული ბაზა.

ვ. მიქაძის უშუალო ინიციატივით გამოიცა ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, სიმ. ყაუხჩიშვილის, ალ. ბარამიძის, დ. უზნაძის, ი. ბერიტაშვილის, შ. ნუცუბიძის, ლ. მელიქსეთ-ბეგის, კ. ბაქრაძის, რ. ნათაძის და სხვათა მრავალი სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მისი მოღვაწეობის პერიოდშია განხორციელებული ილ. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, მ. ლერმონტოვის, გ. დოდოხიანის და სხვათა საიუბილეო კრებულების გამოცემები.

ბოლო წლებში ვ. მიქაძე იყო უნივერსიტეტის „შრომების“ რედაქციის გამგე, რის შემდეგ გავიდა პერსონალურ პენსიაზე. მის პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით პროფ. დიმ. ბენაშვილმა უნივერსიტეტის ვაზეთში მოათავსა გულთბილი წერილი სათაურით „ჩვენი ვარლამი“ („თბილისის უნივერსიტეტი“, 1957).

ვარლამ მიქაძე გარდაიცვალა 1971 წლის 5 სექტემბერს, დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე. მისი გარდაცვალების დღეებში ვაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ცნობილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გულთბილი და გულწრფელი „გამოსათხოვარი სიტყვა“, რომელსაც ხელს აწერდნენ: ი. აბაშიძე, გ. ჯიბლაძე, ალ. მირცხულავა, კ. კალაძე, გ. ნატროშვილი, ს. ჭილაია და სხვ. ისინი წერდნენ:

„მისი გული მუდამ ღია იყო ჩვენთვის, მუდამ მზად იყო სასიკეთოდ. ის იყო ჩვენი მეგობარი, მრჩეველი, დაპრიგებელი და ჩვენი

ყველაზე საუკეთესო მკითხველი. მის ხელში გაიარა ჩვენმა პირველმა ლექსმა, პირველმა მოთხრობამ, პირველმა წერილმა, პირველმა ნარკვევამ, მან მოგვცა პირველი მივლინება და... პირველი ჰონორარიც, თავისი ხელით რომ არიგებდა...”

ვ. მიქაძე ნაყოფიერ შემოქმედებით და მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. მის კალამს არაერთი ავტორის ნაწარმოებისათვის შეუძენია ქართული ენის მაღლი და სიკეთე. ახალგაზრდობაში იგი წერდა ლექსებს, მხატვრულ ნარკვევებსა და პატარ-პატარა მოთხრობებს. დაბეჭდილი აქვს აგრეთვე პუბლიცისტური წერილები და კორესპონდენციები. მას გამოუქვეყნებელი დარჩა რამდენიმე პიესა.

თავის ნაწერებს ვ. მიქაძე ზოგჯერ ფსევდონიმებსაც აწერდა. აქვე მოგვყავს მისი ფსევდონიმები, რომელთა ნუსხაც, სამწუხაროდ, არასრულია: 1. „დროშა“ („სპარტაკი“, 1923, № 40); 2. ვ. („სპარტაკი“, 1924, № 94, 102); 3. ვ. მ. („სპარტაკი“, 1923—1925; „საზღვარზე“, 1925, № 1; „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1926—1929 და სხვ.); 4. მ. ვანელი („სამშობლო“, 1916, № 336, — აქ კორექტურული შეცდომაა, უნდა იყოს: ვ. მანელი); 5. ვანუა („სპარტაკი“, 1923, № 38, 39); 6. ვ. მ-ძე („სპარტაკი“, 1923—1925; „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1927—1929); 7. ვ. მანელი, ვარ. მანელი („სამშობლო“, 1916; „პირველი ნაბიჯი“, 1917); 8. ფრთოსანი („ახალი აზრი“, 1914, № 19; „ჩვენი ერი“, 1914, № 27, 40; „სამშობლო“, 1915, № 64; „ნაკადული“ (მცირეწლოვანთათვის), 1917, № 11).

## პიორგი გიანელი

1982 წლის მაისში ქუთაისის საზოგადოება გამოეთხოვა ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს გიორგი სამხარაძეს. ეს დაუცხრომელი ენერგიის კაცი მძიმე ავადმყოფობამ წააქცია...

გ. სამხარაძის პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1928 წელს, ხოლო ლექსების პირველი კრებული „საქართველოს ლაყვარების“ სახელწოდებით გამოვიდა 1948 წელს. მას სულ გამოცემული აქვს 20 წიგნი, აქედან შვიდი პოეტური კრებული, სხვები მიძღვნილია ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების საკითხებისადმი. გ. სამხარაძის წერილები და გამოკვლევები შეეხება თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, ზეპირსიტყვიერებას, სხვადასხვა ხალხების კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებას. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო-კვლე-





ვითსა და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად იგი წლების მანძილზე ენერგიულად ხელმძღვანელობდა ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციასაც.

ბატონი გიორგი გავიცანი სამოციანი წლების დასაწყისში, როდესაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალში მივლინებული ვიყავი მისადები გამოცდების ჩასატარებლად. ჩემთან ერთად იყვნენ მწერალი ქალები თამარ ანდლულაძე და ქეთევან ანანიაშვილი.

მეორეჯერ მას შევეხვდი დიდი ხნის შემდეგ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ვიყავი ჩასული ძველ ქართულ ხელნაწერებში კრიპტოგრაფიული (საიდუმლო) დამწერლობის ნიმუშების გამოსავლენად და შესასწავლად. როცა მუზეუმში მივდიოდი, ქუთაისის ცხობილი ბაღის წინ შევამჩნიე ნაცნობი სახეები. სათაფლიაზე წასასვლელად მანქანას ელოდნენ: პეტრე ჭაბუკიანი, გიორგი სამხარაძე, ივანე ლოლაშვილი და მეოთხე აღარ მახსოვს ვინ იყო. შემომთავაზეს მათთან ერთად წასვლა, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან რამდენჯერმე უკვე ნამყოფი ვიყავი და დროც არა მქონდა.

მანქანამ შეიგვიანა. ბატონმა პეტრემ შემოგვთავაზა სამახსოვრო სურათის გადაღება. გიორგი დარჩა მანქანის მოლოდინში, ჩვენ სამნი კი წავედით და სურათი გადავიღეთ.

1960 წელს ბატონ გიორგის წერილი მივწერე, შეეტყობინებინათავის ფსევდონიმები. მან თხოვნა შემისრულა. აქვე ვაქვეყნებთ მის მოწერილ პასუხს, როგორც საინტერესო დოკუმენტს მწერლის ბიოგრაფიული ცნობების შესასწავლად:

„სალამი პატ. გივი!

მივიღე თქვენი ბარათი. ვისწრაფი გაცნობოთ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე.

1. მე პოეტური მოღვაწეობა ფსევდონიმის ხელმოწერით დავიწყე. ვიყენებდი აგრეთვე ინიციალებსა და მოგონილ გვარებსაც.

2. „გიაელი“ — ამ ფსევდონიმით გამოვედი სამწერლო ასპარეზზე. ამ ფსევდონიმით იბეჭდებოდა ჩემი ლექსები 1936 წლამდე. ამის შემდეგ მას დაემატა წინ „გიორგი“, ე. ი. „გიორგი გიაელი“. ამ ფსევდონიმით ქვეყნდებოდა ლექსები ჟურნალებში „მნათობი“, „აფრა“, „საბჭოთა მწერალი“ — 1937-1945 წლებში. ამავე ფსევდონიმით იბეჭდებოდა ლექსები და წერილები (ლიტერატურული ჭასიათისა)



გაზეთებში — „მუშა და გლეხი“, „ლიტერატურული საქართველო“  
 „სიტყვა და საქმე“.

3. 1945 წლიდან ჩემი ყველა წიგნი, ლექსი, გამოკვლევა, თარგმანი, თეატრალური რეცენზია, ბიბლიოგრაფიული წერილი, კრიტიკული სტატია გამოქვეყნებულია ნამდვილი სახელითა და გვარით.

4. მე ვიყენებდი აგრეთვე ფსევდონიმს „გ. ვაშალომიძე“. ამ ფსევდონიმით ომის წლებში ვბეჭდავდი ინფორმაციებსა და კორესპონდენციებს (მაშინ პრესაშიაც, საქალაქო გაზეთის „სტალინელის“ რედაქციაში ჯერ განყოფილების გამგედ და შემდეგ მდივნად ვმუშაობდი).

ამ „გ. ვაშალომიძის“ ხელმოწერით დაიბეჭდა ალმანახ „რიონში“ ორი სტატია (1959 წლის № 2, № 3).

5. პატარა საგაზეთო ლიტერატურულ წერილებს 1954 წლიდან (იმ ნომერში თუ სხვა ჩემი მასალაც იბეჭდება) მულამ ვაწერ ფსევდონიმად „გიორგი რამაზიშვილი“.

6. წერილი „გ. გ.“-ს ხელმოწერით, პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ გამოცემის გამო, მე მეკუთვნის.

7. „გიასელი“ ჩემი ჭაბუკობის ფსევდონიმიცა და იგი შედგენილია ასე: გი — გიორგი, ა — აპოლონის ძე, ს — სამხარაძე.

„ვაშალომიძე“ — ისე, უბრალოდ, ვაყვაცური გვარია, მომეწონა და მოვაწერე. რაც შეეხება მესამე ფსევდონიმს („რამაზიშვილი“), იგი წარმოსდგა შემდეგნაირად: რამაზი ჩემი ვაჟის სახელია. მისმა სიყვარულმა ჩამაგონა.

პატ. გივი, ამნაირად, ვასრულებ თქვენს თხოვნას. ვფიქრობ, ყველა საკითხზე გიპასუხეთ.

თქვენი ვ. სამხარაძე.

31. V. 60.

ქ. ქუთაისი.

მაპატიეთ, ხელნაწერს გიგზავნით, იმასაც არცთუ კალიგრაფიულს.  
 გ. ს.

გიორგი აპოლონის ძე სამხარაძე. დაბადებული ვარ 1910 წლის 12 იანვარს“.

წერილში ჩამოთვლილ ფსევდონიმებს უნდა დაემატოს კიდევ ორი ხელმოწერა, რომლებიც, როგორც ჩანს, მწერალს არ გაახსენდა. ესენია: გიორგი დიასამიძე („ლიტერატურული ქუთაისი“, 1954, 7 დეკემბერი) და ს-ძე („საბჭოთა მწერალი“, 1933, № 11). ორივე



ფსევდონიმი გაშიფრა პოეტის მეგობარმა და თანამოკალმემ მინიერალ ალავეიძემ („ქუთაისი“, 1969, № 138).

**კუკური გოგიაშვილი**

ლიტერატურული მოღვაწეობა კ. გოგიაშვილმა ლექსებით დაიწყო: თავისი ძმის, ცნობილი პოეტის შალვა გოგიაშვილის (შ. კარმელის) გავლენით ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1934 წელს გაზეთ „მუშაში“. მას შემდეგ მწერლის საბავშვო ლექსები და მოთხრობები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ პრესაში და გამოდიოდა ცალკე წიგნებად. კ. გოგიაშვილი აქტიურად მოღვაწეობდა აგრეთვე სატირისა და იუმორის ჟანრში. მისი ნაწარმოებები ყოველთვის მიმართული იყო ცხოვრების მანკიერი მხარეების მხილებისაკენ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ოთხი ათეული წელი მწერალმა იმუშავა საყმაწვილო ჟურნალ „დილას“ რედაქციაში და პატიოსნად ემსახურა ნორჩი თაობის სულიერი აღზრდის კეთილშობილ საქმეს.

კუკური პავლეს ძე გოგიაშვილი დაიბადა 1912 წელს ქ. ქუთაისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა კ. მარჯანიშვილის მიერ ქუთაისში დაარსებულ მეორე სახელმწიფო თეატრთან არსებულ სტუდიაში. მერე იქვე თანამშრომლობდა მსახიობად და რეჟისორად.

თეატრის სიყვარულმა განაპირობა კ. გოგიაშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობა საბავშვო დრამატურგიაში. მოზარდმაყურებელთა თეატრსა და თოჯინების თეატრში წარმატებით იღვმებოდა მისი პიესები.

კ. გოგიაშვილი გავიცანი რუსთაველის თეატრში. მიდიოდა დრამატურგ ვასო პატარაის პიესა „უჩა უჩარდია“. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ფოიეში შეკრებილი ჯგუფი ავტორს ულოცავდა წარმატებას. მათ შორის იყო კ. გოგიაშვილიც.

მახსენდება ერთი შეხვედრა მასთან. 1968 წლის დეკემბერი იდგა. მწერალთა სახლში მეორე საბათვლზე, სადაც მოთავსებული იყო „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქცია, რამდენიმე მწერალს „სახალწლო ნაკვესებს“ უკითხავდა ვ. პატარაი. მას რედაქციაში მიეტანა აღნიშნული ნაკვესები და დაბეჭდვაზე უარი ეთქვათ. განაწყენებული ვასო კითხულობდა რედაქციის მიერ დაწუნებულ ნაკვესებს

და მწერლები გულიანად იცინოდნენ. ამ ნაკვეთებში ორი სტრიქონი  
კუკურისადმიც იყო მიძღვნილი:

„რა გამოვიდა, ჩვენმა სატირამ  
სხვები აცინა და ჩვენ გვატირა“.

ეს სტრიქონები დაიწერა იმ დროს, როცა მწვავედ გააკრიტიკეს  
ქართული ესტრადის რეპერტუარი და სატირული ნაწარმოებები. კრი-  
ტიკა შეეხო ვასოსაც და კუკურისაც. აი ეს ამბავია ასახული მოყვა-  
ნილ ნაკვეთში.

ჩვენი თხოვნით, კ. გოგიაშვილმა მოგვაწოდა თავისი ფსევდონიმე-  
ბი, რომელსაც იგი აწერდა სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებს:  
1. კ. გ-ლი („სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 2; „მუშა“, „ახალ-  
გაზრდა კომუნისტი“); 2. კ. გელათელი („ნიანგი“, „ლიტერატუ-  
რული გაზეთი“, „კომუნისტი“); 3. ნუკრი („ნიანგი“, 1938-1942).

მ ო ქ ა ნ ლ ა კ ე

უსულო ქვისგან ძერწავ სულიანს,  
ქანდაკების წინ გატყდება ღამე,  
თუმც გული ზოგჯერ ფერწასულია,  
მაინც მიითვლი საამო წამებს.

შუბლზე გაქვს დალი წვისა და დაგვის  
და მაინც სუნთქავ ლხენით, შვებითა:  
გწამს, პოეზიის წარმტაცი ჰანგი  
გადმოიღვრება უტყვი ქვებიდან.

შენს ხელში სული პაექრობს ქვაბთან,  
და განაჩენიც მყოფადს მიანდე...  
დარჩება ბოლოს მოღლილი განცდა  
და ხორცშესხმული ფიქრი დიადი.





---

დრო  
და  
აღმშენებელი

მადონა, საბრფო, გოცნი დალაღებს,  
ჯვარცმული ნრის მადონა დედა.  
სად დავისმენებთ, სად დავაწყობთ ძველებს,  
ზემულარებით — ზვითხარი, დედა!

ტიციან ტაბიძე

ბრიგოლ როზაქიძის ზოგი წერილი  
პაპაძე პაპავას მიმართ\*



ბედმა მდევარმა სხვადასხვა მხარეს გადახვეწა საქართველოს სა-  
სიქადულო და მისი სიყვარულით გულაგზნებული შვილები. მათ შო-  
რის იყო შესანიშნავი ქართველი მოღვაწე აკაკი პაპავა — ბრიგოლ  
როზაქიძის ქვემოთ მოყვანილი წერილების აღრესატი.

აკაკი პაპავა დაიბადა სამტრედიისში, 1890 წელს. აქვე მიიღო პირ-  
ველდაწეებითი განათლება და ქუთაისის რეალური სასწავლებლის  
დამთავრების შემდეგ იურიევის (დორპატის) სახელოვან უნივერსი-  
ტეტში შევიდა ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, შემდგომ-  
ში გადავიდა მოსკოვში და წარჩინებით დაასრულა იურიდიული ფა-  
კულტეტი.

ქართული საზოგადოების ყურადღება სტუდენტობის პერიოდშივე  
მიიპყრო; იგი საქართველოს ქალაქებსა და დაბებში კითხულობდა  
ლექციებს ქართული ლიტერატურის შესახებ.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და  
სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. იყო თბილისის საბჭოს ხმოსანი, ქა-  
ლაქის გამგეობისა და ამავე დროს პარლამენტის წევრიც, სოცია-  
ლისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი,  
„სახალხო გაზეთის“ რედკოლეგიის წევრი... აკაკი შანიძესთან, პავლე  
ინგოროყვასა და კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად იყო სალი-  
ტერატურო-სამეცნიერო ურნალ „პრომეთეს“ რედკოლეგიის წევრი.  
მწერალთა ყრილობამ აირჩია იგი მწერალთა კავშირის მეორე თავმჯ-  
დომარედ, ხოლო კერძო უბედურების შემდეგ კოტე მაყაშვილის  
თავმჯდომარეობიდან გადადგომის გამო მთელი სამუშაო მას დააწვა  
მხრებზე.

გასაბჭოების შემდეგ დანიშნეს მწერალთა კავშირის ლიტერატუ-  
რული განყოფილების ხელმძღვანელად, ამავე დროს რედაქტორობდა  
ურნალ „ხელოვნებას“. საზღვარგარეთ გამგზავრების შემდგომაც

\* წერილები გადმობეჭდილია ემიგრანტულ ურნალ „კავკასიონიდან“ (წიგნი  
X. პარიზი, 1964 წ.).

თანამშრომლობდა საქართველოს სალიტერატურო გამოცემებში.  
ემიგრაციაში თანამშრომლობდა თავისუფალი საქართველოს მთავრობასთან, მუდმივი თანამშრომელი იყო უურნალისა „კავკასიონი“, წერდა „ქართლოსში“, „მამულში“, „ბედი ქართლისაში“ და „სახალხო გაზეთში“. აკაკი პაპავას კლამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი კრიტიკული ნარკვევები, მეტად საინტერესო სტატიები და კრიტიკული წერილები ბესიკზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ილიაზე, აკაკიზე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებზე, ვაჟაზე, რაფიელ ერისთავზე, დავით კლდიაშვილზე...

გარდაიცვალა 1964 წელს. დაკრძალულია ლევილში.

26. 3. 1931.

ძმად აკაკი.

გმადლობ ბარათისათვის. მგონია: ბერლინში ჩამოსვლა დაგვივიანდება და ამისათვის ისევ წერილ სიტყვას უნდა მივმართო. სიტყვა ეტება ჩემს ნივთიერ ყოფას. წინასწარ უნდა გაგაფრთხილო: მე არ მიყვარს ვალი (ფული, ეს „ჭუჭყი ხელისა“, როგორც მას სდღაღვს ქართული გენიალური თქმა) და არც მინდა შენ შეგაწუხო (ვიცი, ისედაც ბევრს გაწუხებენ). მე მსურს მხოლოდ რჩევა მივიღო შენგან. საქმე ამრიგადაა: საბჭოთა კავშირიდან, ცხადია, ფულს ვერ მივიღებ (ვალუტა ისედაც ბევრი სჭირდებათ იქ). დარჩა მხოლოდ ერთი სახსარი: ლიტერატურული ჰონორარი გერმანიაში (შესაძლოა მის გარეთაც). მაგრამ აქ ერთი სიძნელე აღმოჩნდა: საერთო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ყველაზე უფრო წიგნის საქმეს ატყდება თავს. ერთი ჩემი ნაცნობი გამომცემელი გაკოტრებულა, მეორეს ფირმა მოუხსნია (ეხლა მუშაობს „ფურერ რომანფერტიბ“ პრესსაში). მგონია, დიდერიხსის საქმეც ცუდათაა (წერილებს ემჩნევა). როგორც გწერდი, ჩემი ახალი რომანი უფრო დინამიურია, უფრო „ევროპიულ“ არის გაშლილი — (ერთმა დიდმა მკოდნემ წაიკითხა აქ და მწერს: ამის დაწერა შეეძლო მხოლოდ „დემონურ-ღვთიურ არსებას“; რასაკვირველია, ეს ჩემთვის ჯერ აუხსნელი გადამეტებაა) — მაგრამ საეჭვოა მაინც, რომ ჩემმა გამომცემელმა ის მიიღოს (მიზეზი იგივეა: ეკონომიური კრიზისი). მე მაქვს დამზადებული „კავკასიის ნოველები“ (თორმეტამდე, ზოგი მათგანი თარგმნილია). მასალა აღებული მაქვს: სვანეთიდან, ჭევსურეთიდან, ფშავეთიდან, მთიულე-

თიდან, ჩრდილო კავკასიიდან, — მასალა სრულიად უცნობი, ძალზე ეჭვოტური და თან შინაარსით უნივერსალური. აი, ამ ნოველების მოთავსება მინდა პრესაში — (გაზეთი თუ კვირეული ჟურნალი). პრესა კარგს ჰონორარს იძლევა. საჭიროა მხოლოდ პროტექცია. ჩემი გერმანელი მეგობრები (მწერლები) მეხმარებიან. მინდა — შენც დამეხმარო. მგონია, ჰამბურგს შენ გავლენა უნდა გქონდეს. გეყოლება ყოველ შემთხვევაში გავლენიანი ნაცნობები. ამ გზით მართლაც დიდ დახმარებას გამიწევ. „საქონელს“, ცხადია, ისეთს არ მოგცემ, რომ „გაგაწითლოს“. გულახდილ იცწერ: შენ თუ არ მოგეწონა, ნუ აიღებ გადასაცემად — (ვიცი, რა ძნელია შუამდგომლობა, როცა ის, რასაც შუამდგომლობა ეხება, სუსტია და მჭლე). აი, ასე. თუ რომელიმე დიდ გაზეთში დაიბეჭდება ნოველი, შემდეგ კარი მეხსნება პრეს-ბიუროში: უკანასკნელი უგზავნის პროვინციის პრესსა და ბეჭდოს (დაახლოვებით 100—150 გაზეთს: თვითოეული ამათგანი იძლევა დაახლოვებით 10—20 მარკას ნოველაში; წარმოიდგენ, რა საგრძნობ თანხას მივიღებ, თუ 100 გაზეთში დაიბეჭდა). ველი პასუხს.

ჩემგან და ჩემი ცოლისაგან (პატარა ალინკასაგანაც) გულითადი სალამი თამარს, შენ და შენ შვილებს.

შენი

გრიგოლ რობაქიძე

ბერლინ ვ. ბამბერგერსტ. 54. ბაი მარკუს.

5. 4. 1933.

ძვირფასო აკაკი,

ეს არის — მივიღე ბერლინიდან შენი მონაწერი. დიდი მადლობა გზავნილისათვის. ამ ეჟად იენაში ვარ — სტუმრად. დავრჩები აქ ამ თვის ბოლომდე. ჩემი ახალი რომანი მზადდება გამოსაშვებად და ჩემი აქ ყოფნა საჭიროა — (კორექტურა, გაუგებარ ადგილების ახსნა და სხვა). ქ-ნ თამარს უკვე ვაცნობე თავის დროზე ამ რომანის შესახებ (თემატური ხაზი). აქ არის მხატვრულად გადმოცემის ცდა იმ ატმოსფერისა, რომელსაც მე შევეხე თქვენთან — შენთან და ქ-ნ თამარასთან — საუბარში ორი თვის წინად. არსებობს სამგვარი „არქმევა“ (აპერცეპციონ) ბოლშევიზმისა: ა. კომუნისტური (შესაძლოა შინაგან ხილული, ხოლო ცალკერძ პარტიული); ბ. ანტიკომუნისტური-ემიგრანტული (შესაძლოა შინაგან მართალი, ხოლო ესეც მებრძოლ-



სუბიექტიური); ობიექტიური — ევროპელ და ამერიკელ ავტორთა (არა ცალმხრივი, არა მეზობლო, ხოლო ნოიტრალური და მათხანადა მე ზერელე). ჩემი წიგნის ხაზი სხვაა: არქმევა ობიექტიური, ხოლო არა ნოიტრალური. ასეთი არქმევა მხოლოდ შემოქმედებით არეშია შესაძლო. ჩემი წიგნი ცდაა ასეთი არქმევის. მხოლოდ ცდაა. ვნახოთ, წიგნი უკვე აწყობილია. არის დავა სათაურისათვის.

ოქტომბერში თავისუფალი ვიქნები, და, როცა გინდა, მაშინ ჩამოვალ სტუმრად. ეს ჩემთვის მოსვენებაც იქნება და ერთგვარი გადახალისებაც. დიდი ხანია, გულდასმით შენთან არ მისაუბრია —, საბაასო კი ბევრია. საშინელ ხანას განიცდის ჩვენი სამყარო —, და ამ საშინელებაში ბედი ქართველისა — იქ თუ აქ, ეს სულერთია — კიდევ უფრო უნუგეშოა.

გულითადი მოკითხვა ქ-ნ თამარს და ბავშვებს. ქ-ნ თამარმა ამას წინად მწვანილი („საკმაზი“) გამომიგზავნა. კინაღამ მეხი დამესხა: ისე ძლიერად და უეცრად ვისუნთქე მადლი ქართული მიწისა. დაილოცოს საქართველოს უშრეტი ჯიქანი! მადლობელი ვიქნები, თუ ორიოდ სიტყვას აქაც მომწერ. იყავი კარგად.

შენი

გრიგოლ რობაქიძე

8. 9. 1933.

ძვირფასო აკაკი,

ეს არის შენი მშვენიერი ბარათი მივიღე. წავიკითხე — ცრემლები მომაწვა, სიხარულისა თუ მწუხრის. სიხარულის — რადგან გულითგაგება ჩემი მოქმედებისა ევროპაში ჩემთვის ღვთიური საჩუქარია. მწუხრის — რადგან სწორედ ასეთი გაგების დროს წინ მიდგება — მერამდენჯერ? — შავი ბედი ჩვენი საქართველოსი... მე უარყავი საკუთარი თავი. ვარ გახსნილი გული მარტო და გული სხეულქმნილი ნაწილია მისტიურ დაგლეჯილ დიონისის. თუ რამ კარგი ნაყოფი გამოდის ჩემთან, ეს მადლი არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დალოცვილი მიწისა... საქართველოს არ იცნობენ — არც იქ და არც აქ. იგი უნივერსალური მოვლენაა. პატარა ერი რომელშიაც ცოცხლობს ტომურად, ერთსხეულად, საერთო სული: აღმოსავლური საშო, საცა მიწა „დედაა“ წმინდა, ისტორია უძველესი, რომელიც თავის ათასწლებიან სიგრძეზე აგროვებს ქმედით ცოცხალ ხსოვნას (ანამნეზისს).

აქაა საქართველოს არსი. ეს ცხადდება: ქართულ ხასიათში, ქართულ სიტყვაში, ქართულ სილალეში, ქართულ ერქვანში, ქართულ ხმალში, ქართულ სიტყვაში, ქართულ სიმღერაში (რომელიც ღმერთკაცებისა)... და აი ამ „ღედის“, ამ „მიწის“ ტრაგიული ხილვა ძნელია... ამ წამს ისიც არ ვიცი, ცოცხალია თუ არა ჩემი წმინდა დედა, რომლის რძემ მე პირველად მაგემა საქართველოს მადლი. ვაი, თუ ვეღარ ვნახო იგი ჩემი წმინდა დედა. ცრემლებმა მიხშირეს ბოლო დროს. დედის გული მაპატიებს ალბად, რომ საქართველოს მოვსცილდი — არა როგორც ემიგრანტი (ეს პსიქოლოგიურად)... ვეღარ ვაგრძელებ... ოქტომბერში უთუოდ ჩამოვალ... გულმხურვალე მოკითხვა ქ-ნ თამარს და ბავშვებს.  
შენი გრიგოლ რობაქიძე  
იენა. ტალშტრასსე 34. ბაი ბერგმანს.

19. 6. 1939.

ძვირფასო აკაკი,

გუშინ დავბრუნდი. მაშ სრული იმედი არაა, რომ შენ და თამარი გაემგზავრებით წელს კაპრისაკენ? სამწუხაროა. უთქვენოდ იქ მე სევდა მომიცავს — ვიცი წინასწარ. ეცადე — მოაგვარო გამგზავრება. „ქართლოსის“ უკანასკნელი რვეული საუცხოვოა. როდის იქნები ბერლინში? გულითადი მოკითხვა თამარს.

შენი

გრიგოლ რობაქიძე

ბერლინ ვ. 50. ნახოდ სტრ. 9.

26. 6. 1939. ბერლინი.

ძვირფასო აკაკი,

შენმა ბარათმა ძალიან გამახარა. მაშ გავემგზავრებით ერთად აგვისტოს ბოლოს კაპრისაკენ! „ინებოს ალლაჰმა!“ ჩემი ახალი რომანი: „ატლანტიშერ ტრაუმ“ ნახევრად უკვე მზადაა. მოქმედება — კაპრში. თან წამოვიღებ. შიგადაშიგ გადავფურცლოთ ერთად. წინასწარ ვტკბები იმ სამოთხური კუნძულის ხილვით — კიდევ ერთხელ.

ჩემი წიგნი დიდებულად გავიდა „საცდელ კომისიაში“. მიხვდები: თუ რა დიდი გამარჯვებაა ეს. გამოვა სექტემბრის პირველ რიცხვებში. ყველანი მოუთმენლად ელიან.



ეხლავ იყიდე უკანასკნელი ნომერი — „დი კორალლე“. თავსებულია სურათი საფრანგეთის ფილმ-მსახიობ ქალისა: მიშელ-მორგან. პირწავარდნილი ასლია იმ ქალისა, რომლის ბარათი — თუ გახსოვს — მე შენ კაპრში წაგიკითხე. მოგწონს თუ არა? იქვე მოთავსებულია კიდე მეორე მსახიობის (ქალის) სურათი. შენს სატრფოს კრავთორდს გავს — ხოლო სილამაზით უკანასკნელს ვერ შეედრება. იმედია — კაპრში უკეთესებს შევხვდებით: ეს — „თვლების დაბრიალებისათვის“. უამისოდ, ხომ იცი, კაპრში ყოფნა „მლაშე“ იქნება...

ქართველების რიცხვმა აქ მართალია იმატა, — მეშინია მხოლოდ არ მოჰყვეს „კინკლაობის“, რომ უფრო „მაგრად“ არა ვთქვა, გაძლიერება.

როდის ჩამოხვალ აქ?

გულითადი მოკითხვა თამარს.

და ჩემ მოძღვარს „გოეტქეს“, ხომ კიდევ მისი სახელობის სასტუმროში ცხოვრობთ?

შენი

გრიგოლ რობაქიძე

იენა. ტალშტრასსე 34. ბაი ბერგმანნ.

7. 6. 1939. იენა.

ძვირფასო აკაკი,

ჩემი წიგნი დიდებულად გავიდა საცდელ კომისიაში. მხოლოდ ორიოდ წერილმანია შესასწორებელი, რის შესახებაც ამ მოკლე ხანში სათანადო პირთან მექნება მოლაპარაკება. ასე რომ: საქმე მოთავებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ, თუ რამ უცაბედი არ გადაეღობა წინ. ვუმატებ ამ დათუებას, რათა ბედი არ გავალიზიანო. ყოველ შემთხვევაში აგვისტოს ბოლოს კაპრს ვეწვევი — „ინებოს ალლაჰმა!“ ჩემთვის დიდად სასიხარულო იქნება, თუ იმ დროისათვის შენ და თამარიც იქ იქნებით, ვიგემებთ ერთად ამ ნატეხს სამოთხისას და — „დავეუბრიალებთ თვლებსა არა მარტო ქალებსა“. მაცნობე შენი განზრახვა. ჩემი მისამართი — იენა, ვეატჰაუენ შტრ. 30. ბაი დიდრიხს. ამ თვის 14-დის. 14-დან 18-მდე: იენა, ურბან შტრ. 2, ბაი ბერგმანნ.

გისურვებთ ყოველ კარგსა და ნათელს. გულითადი მოკითხვა თამარს და მზიას.

შენი გრიგოლ რობაქიძე



თუ შენის მხრით მოსახერხებელია, შემძლია რამოდენიმე დღით გეწვიო ჰამბურგში.

„ატლანტიშერ ტრაუმ“ — ნახევარი უკვე მზად მაქვს.

8. 2. 1944. უებერლინგენ ამ ბოდენზე.

ძვირფასო ძმავ აკაკი!

შენი ბარათი მივიღე, თებერვლის 2-ს გამოგზავნილი. დიდი მადლობა. ამ დღეებში მივიღე რობერტ ბლაიხშტაინერისაგან რამოდენიმე ფურცელი „ჩანგისა“, ფოტოგადაღებული — (მ. გაჩეჩილაძის მიერ შედგენილია ეს „ჩანგი“, გამოცემა „სორაპანისა“ ჩშვიგ — წ.). დაბეჭდილია სამი ლექსი ჩემი — ეს ლექსი უთარგმნია ბლაიხშტაინერს. ერთ ფურცელზე გადაღებულია ბოლო ერთი შენი ლექსისა. დასაწყისი და შემდგომი არ მიმიღია — (შენც სთხზავდი ლექსებს? გადამავეიწყდა). აი ბოლო სტრიქონები (შენი ლექსისა):

მიბრუნის თავი,  
ცხოვრების ნავი  
წყვდიადით მოცულ ზღვაზე მაქროლებს,  
დადუმდა ენა, მოლაღდა მკლავი,  
მომავლის ფიქრი მწარედ მალონებს.  
მაგ ზღვა თვალბში სცემს მძლავრი ტალღა,  
გაპყაფე ეგ ტყე წამწამებისა,  
მინდა შევცურო შიგ მალღა, მალღა —  
ეგებ ვიპოვო სხივი შევებისა...

ალარ განსოვს ალბად ეს სტრიქონები. გადაიკითხე. გაიხსენე ახალგაზდობა: ეგზომ ტკბილი!

იმავე ფურცელზე —

ჩემი სურათია და „სონეტი სიმონს“ (არ მახსოვს, როდის დაეწერე — მგონი 1916 წელს). წაიკითხე ეს სონეტი. წამსვე მიხვდები, რომ აქ სიმონ ჯაფარიძეა ნაგულისხმევი, დახვრეტილი 1924 წელს — როგორც მონაწილე აჯანყებისა. ეს ლექსი ბლაიხშტაინერმა გამახსენა შარშან ვენაში — დავიწყებული მქონდა.

სონეტი სიმონს

ემზით გახსნილან გიშრის თასში შენი თვალები —  
შენი თვალები შაირია სილაჰაზისა:  
როს გაიღიმებ — იხრებიან მთის მწვერვალები.

თავის ამართვა ამაყი გაქვს შთის გავაზისა,  
შენს გამოხედვას სილამაზე ვერ ემალება —  
ჰო, რომ იცოდდე: ვით თვრებიან შენით ქალები!  
ჰო, რომ იცოდდე: ვით ხალისობს შენით თმა მზისა!

დრო უღმობელი შენს გიშერსა ნელად ათოვებს. —  
ხოლო ვეჭობ კი: შავს განზრახვას ვერ აათავებს.  
საზარელია და სასტიკი ხანის კვეთება:

ცელავს და ლეწავს ლალი სიტკბოს ლად ლერწამებსა —  
მაგრამ შენთან კი თვით სიკვდილიც მხოლოდ შეკრთება  
და ჩუმი კოცნით დავიხუტავს მაგ წამწამებსა.

ეკითხულობ ამ საალბომო შაირს (ვამბობ „საალბომო“, რადგან საალბომო საზომს თუ „გადაურჩება“ იგი) — და მაგონდება ჩემი წარსული: საქართველოში ასე ტკბილად მეგობართა შორის გატარებული. მაგონდება და ჩემი კაეშანი კიდევ უფრო მძაფრდება... შენმა ბარათმა სითბო მოიტანა სულიერი. პასუხს შემდეგ მიიღებ — ვრცელს.

იყავი კარგად! იყავი მხნედ!

გულითადი მოკითხვა: თამარს, ლეოს, ტურფას.

კოცნა ბავშვებს! ლენასაგან სალამი ყველას.

შენი გრიგოლ რობაქიძე

...1945.

უებერლიგენ-ბოდენზე.

ლიტურ სტრ. 19, ბ. სტიერლე.

ძვირფასო აკაკი!

ორი კვირის წინად მე და ლენა ფოტო-სურათებს ვათვალიერებდით. უეცრად ერთმა სურათმა მიიბურო ჩემი ყურადღება: გადაღებულია 1933 წელს შენს ოჯახში (ჰამბურგში) — დ. ღამბაშიძე და მე შენი სტუმრები ვიყავით მაშინ. სურათმა გული ამიტოკა — მომენტრა შენთან გასაუბრება — მეგულვებოდი ველტენ-ში — გამოგიგზავნე ღია ბარათი, ამ მისამართით: ველტენ, ვილახ, ოსტმარკ. ვილლა ოეტცი-გერ. მისამართი „ზეპირ“ აღვნიშნე, სამისამართო წიგნაკში არ მქონდა იგი ჩაწერილი. ვერ ვენდე ჩემს ხსოვნას და მივმართე ბარათით ტიტე მარგველაშვილს: ეცნობებია ჩემთვის ველტენ-ის მისამართი შენი. აღბად შეეკითხა ბიძინას — და აი გუშინ შენი ბარათიდან გა-



ვიგე, რომ ამ ქამად ფლანდუნგენ-ში იმყოფები. ღია ბარათი. ველეტის მისამართით გაგზავნილი, უკან დამიბრუნლა. —

მე აქ ვიმყოფები გასული წლის სექტემბრიდან. ლენა ჩამოვიდა აქ დეკემბრის 10-ს. საშინელი დღეები გადაიტანა ბერლინში „დამხეხების“ გამო ჰაერიდან. ალია ბოლემიაშია თავის კლასით. ამ დღეებში „გააკეთებს“ „აბიტურიუმს“ და აქ ჩამოვა რამოდენიმე ხნით. პსურს: უნივერსიტეტში გააგრძელოს სწავლა. არ ვიცი, მოვახერხებ ამას თუ არა, რადგან ამქამად ნივთიერი მდგომარეობა ჩემი არ არის მაინცა და მაინც სახარბიელო. ვეცდები კი. —

სულიერი მდგომარეობა ჩემი ამ ქამად საშინელია. იმ გრიგოლს, რომელსაც შენ იცნობდი დორპატში, ტფილისში, ბერლინში, ჰამბურგში, კაპრის კუნძულზე — მე თვითონ ველარ ვხედავ ჩემს არსში. თითქმის ველარ ვხედავ; ეს „თითქმის“ ჩავუმატე შესარბილებლად. — ჩემი სული „მოშლილია“. შენ კიდევ შეგრჩენია ძველებური ჰუმორი. ამბობ: „რა ექნათ, ველარ ვუბრიალებთ თვალებს“ — ვიმეორებ ამ გახუმრებას ჩვენსას და ვატყობ, რომ ღიმილი ჩემი ძალდატანებულია. დავკარგე ხალისი — ეს უცინცხალესი ნაკადი სიცოცხლისა... კიდევ კარგი, რომ ნოემბრის 20-ს გასული წლისა ერთი ახალი წიგნაკი მოვათავე — ეხლა ერთი სტრიქონის დაწერაც კი შეძენლება. ეს არ არის ვაღამეტება. —

ბერლინში ჩვენი ბინა არ დანგრეულა — დაშავდა მხოლოდ. ცნობა მივიღე, პოლიციას იგი „აღრიცხვაზე აუღია“. თუ დამეკარგა ბინა — ბერლინს სამუდამოდ უნდა გამოვესალმო. დიდი „დაკარგვა“ იქნება ეს ჩემთვის — არა მარტო იმის გამო, რომ ჩემი ყოფნა ბერლინში ჩემი სამწერლო მუშაობისათვის მეტად საჭიროა, არამედ იმის გამოც, რომ იქ გადმოხვეწილ ქართველთა კერაა: ქართველთა სათვისტომო. მოვცილდები ბერლინს — დავკარგავ ამ უკანასკნელ „ნატებს“ საქართველოსა! ამის ატანა ჩემთვის ადვილი არ იქნება — დამეთანხმები.

ჩემს სიცოცხლეში ასე მძაფრად არ მიგრძენია ტომური ნათესაობა ჩვენი: ჩვენი სისხლი, ჩვენი მიწა, ჩვენი ფესვები, ჩვენი ისტორია, ჩვენი ბედი... ამ გრძნობაში ალბად სიკვდილის მოახლოვების წინაგზნებაცა... კარგი იქნებოდა, რამოდენიმე ოჯახი მაინც ერთს ალაგს დაეზინავდებოდეთ სადმე ამ ქამად — დროებით. **იფიქრე ამაზე!** ძნელია, ვიცი, ამის განხორციელება — მაგრამ ხანდახან „ნატურის“ გაზიარებაც კარგი რამაა.

— ერთი თხოვნა. ძალიან მომენატრა გადაკითხვა დ. კლდია-



შვილის „ლორებისა“. ჩემს ესკიზში „დ. კლდიაშვილი“ — უნდა მოყვანილი მთავარი ხვევული ამ საუცხოვო მოთხრობისა. აღარ მახსოვს ეს „ხვევული“. — შენ კი დაწვრილებით იცი იგი: ხომ გახსოვს, ერთხელ კიდევ მომიყევი ეს მოთხრობა ბერლინში, როცა რესტორანიდან, სახელი აღარ მახსოვს, ლეოს ბინის მიმართ გამოვემგზავრეთ! გთხოვთ მომიყევე იგი წერილით — შენი გამახალისებელი კილოთი. ფრიად დაგიმადლებ. თუ საძნელოდ დაგიჩრჩხეს — თავს ნუ შეიწუხებ: შეხვედრისას მომიყევი შემდეგ, პირისპირ.

იყავი მხნედ და კარგად! შენი გრიგოლ რობაქიძე.

გულითადი მოკითხვა აგრეთვე ლენასაგან: თამარს, ლეოს, ტურფას, ალერსი — შენს პატარა შვილი-შვილებს: გოგონებს. უმცროსი (მეორე) მათგანი მე ჯერ არ მინახავს. მზია ალბად პარიზშია.

25. 7. 1947. ქენევა.

ჩემო ძვირფასო აკაკი!

გუშინ მივიღე შენი ბარათი. გავიხარე ფრიად, გავიგე რა რომ კარგად ხარ და შენიანებიც კარგად არიან. ეს — პირველ ყოვლისა. შემდეგ: შენი ბინა ჰამბურგში გადარჩენილა ამ აბოკალიპსურ ორომტრიალში. ესეც გამახარებელია. ქონება „გადავიღებია“ საზღვარ გარეთ — უნდა ვითხრა: „ყოჩაღ!“ ქიბლიოთეკა „მოგიგვარებია“ კვლავ — დიდ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ. ბოლოს: დაბრუნებიხართ, თამარ და შენ, შეწყვეტილ მწერლობას — ეს „ამთავრებს“ ჩემს გახარებას. უნდა ვიგულვოთ: საზღვარ გარეთ შენს გადანახულ ქონებაა მალე მოეხსნება „სალტე“ — ვიხმაროთ ეს სიტყვა სატყვისად „ბლოკადისა“ — და შეძლება გერგუნება ძველი გზით გამართო ცხოვრება შენი ოჯახისა. მწერლობის გაგრძელების ამბავს ამ სიტყვებით აბოლოებ: „სულ პატარა წვლილი შევითანოთ ამ დიდ და ნათელ საქმეში, რომ წინაპართა წყებას რომ შევხვდებით, არ შეგვრცხვეს მათი“. ეს სტრიქონები ჩემთვის დაუვიწყარი დარჩება. აქ ნათლად სჩანს ნამდვილი „გზნება“ „ისტორიისა“, რომელიც ქრონიკული მიყოლება კი არაა ერთისა მეორეზე, არამედ შინაგანი კავშირი მყოფადის გარდასულთან. „დიდს“ წვლილს შეიტანს აქ ვინმე თუ „მცირეს“, ეს მეორე საკითხია. ჩემი ფიქრით, მეტაფიზიკური მხრით არც ისე გადამწყვეტი. თავი და თავი აქ ისაა: რომ განახორციელო სავსებით



ის, რისი მიცემაც შეგვიძლია მამულისადმი. ამ მხრივ შენ და თანამარ — ამის თქმის უფლება მე მაქვს — გამართლებული ხართ საქართველოს ისტორიის წინაშე. გადმოხვეწილობაში თქვენ ორივემ შეჰქმენით ოაზი საქართველოსი: ქართული ოჯახი. ეს დიდი რამაა. მე არ ვგულისხმობ აქ მარტო „ქართულ სუფრას“ — თუმცა ესეც ფრიად გულისხმიერი მოვლენაა თავის თავად — ვგულისხმობ „გულისცემას“ ქართულს საერთოდ. ეს „გულისცემა“ მხილდება მხოლოდ და მხოლოდ „ერთ-გულებაში“ საქართველოს ტრადიციების მიმართ. შენს ოჯახში ხშირად მიგემნია მე ეს „ერთგულება“, ცხადდებოდა იგი: ნადიმში, როკვაში, სასმურში, თუ ცოცხლად წარმოსახვაში „ქართლის ბედისა“, მო“გონებაში განცდათა თუ პირადს გახშიანებაში რომელიმე საგულისხმო მოვლენასთან, სიტყვაში თუ სა-ქმეში. ასეთი „ერთგულებით“ გადმოცემული ტრადიცია თანვე მის მწერლურ ასახვაშიაც „იმტიციებოდა“: სახეში მაქვს ისტორიული ნარკვევები შენი და თამარისა. ყველას ამას მე დიდად ვაფასებდი — ეს შენც კარგად იცი. არ იცი მხოლოდ ერთი რამ: შენი ოჯახის „ძვირის“ — მთქმელს — იყვნენ შიგადაშიგ ასეთებიც — მე ისე მოუყვეთავდი ხოლმე სიტყვას, რომ წამსვე ენა ჩაუფარდებოდა. ჩემთვის არსებობს მარტოდ მარტო „სიმართლე“ — (ჩაუკვირდი ამ გენიალურ სიტყვას: „მართვა“ აქედან მოდის) — ადამიანს უნდა მიუზღო ის, რაიც მას აქვს. „უმადურობა“ დიდსულოვნობის უარმყოფია. კეთილშობილება უმთავრესად „მადლობაში“ ცნაურდება — (ჩაუკვირდი ამ სიტყვის ელემენტსაც: „მადლი“)... „უმადურობის“ გამოჩენა — ფრანზას არ გავავრძელებ — ვიტყვი მხოლოდ: „ტივილს“ იწვევს, ტივილს — რადგან „უმადურობაში“ სატკივარს ხედავ... ალია, როგორც გწერდი, დაბრუნდა. აქ აპირებს დარჩენას. შესაძლოა შემდეგ ამერიკისაკენ გაემგზავროს. მოიტანა თან ფილმის „სტარის“ შესაფერი „გარდერობი“. თანვე ფულიც — ერთს წელს ეყოფა საცხოვრებლად. გასახარელი კიდევ ისაა, რომ ხასიათი მისი მეტი სინათლით განმტიციებულა — (დააკვირდი ამ გენიალურ სიტყვასაც: „მტიციე“ ნიშნავს არა მარტო „ფესტ“-ს, არამედ „რაინ“-საც: ფქვილს ჩვენ ჯერ მერდინით „ვეწმენდთ“ და მერე „სამტიციით“ — აი კიდევ ერთი გენიალური ზტილი ქართულისა)...

ერთი მცირე თხოვნა. მიმართე, მანდ ჰამბურგში, რომელიმე გამოცემლობას, თუ გინდ ჰანზეატიშე ფერლაგსანშტალტ-ს. სთხოვე: გამოიძიოს, თუ სად იწყობება ამ ჟამად თასსილო ფონ შეფფერ. მისი უკანასკნელი მისამართი იყო: ბერლინ-ცეპლენდორფ, შარლო-

ტენ სტრ. 50. მე შემეძლო დიდერიხისათვის მიმემართა ამის მაგრამ იგი საბჭოეთის ზონაშია (ინა). და იქ ჩემი სახელის „ამოყვინვა“ არაა სასურველი. თასილო ფონ შეფფერ მთარგმნელია ჰომერის. შესანიშნავი, გამოჩენილი პოეტიც თვითონ და დიდი მკვლევარი ანტიური მსოფლიოსი. თანვე: არისტოკრატი ამ სიტყვის უნათლესი მნიშვნელობით. მე იგი ვინახულე უკანასკნელად 1944 წელს ცეპლენდორფში, დეკემბრის 15-ს. ძალიან „მიღწეული“ იყო მაშინაც: ეხლა 75 წლის იქნება. დამეგობრებული ვარ მასთან ფრიად. სხვათა შორის: ჩემი დიდი თაყვანისმცემელია — (ქართველობა მოისმენს ერთხელაცაა მის აზრს ჩემი შემოქმედების შესახებ — კარგია, რომ ორი წერილი მისი ჩემდამი თან გამოვიყოლიე აქესკე). თუ გავიგო მისი მისამართი — წამსვე მისწერე ორიოდ სიტყვა. მიაწოდე ჩემი მისამართიც — ძალიან გაუხარდება. ვაი, თუ ვერ გადაურჩა ამ საშინელ ქართველს...

ჩემგან, ლენასაგან და ალიასაგან მიიღეთ ორივემ გულითადი მოკითხვა მხურვალე.

იყავ მხნედ და მზეგრძელ!  
შენი გრაგოლ.

26. 7. 1950. ექნევა.

ძვირფასო თამარ! ძვირფასო აკაკი! დიდი, მხურვალე მადლობა წერილისათვის (20. 7. 1950). ლენას მდგომარეობა ამ ქამად: შეუძლია წამოდგეს, მოიხმაროს სკამი ფეხადგმისათვის — ეს მხოლოდ შიშის გამო, რომ არ დაეცეს. შემდგომ, სკამს სწევს წინ და მიჰყვება მას თან და ასე: შედის სამზარეულოში თუ ვ.ც.-ში. წინმსვლელობა, ხედავთ, დიდია, გამახარებელი. ერთი რამ არის მხოლოდ, რაც მას სტანჯავს და მე მალონებს. მაფიქრებს. ეს არის: ჯერ ენა კიდევ ვერ აიდგა. 1. მისი ყოველდღიური სიტყვარი: „და“, „ნეტ“, „ო. ბოფე, ბოფე!“, „გოსპოდი პომილუი!“, „ვოტ, ვოტ, ვოტ“, „პოჩემუ?“, „კ ჩორტუ!“, „კონეჩნო, კონეჩნო“, „კოტორიი, კოტორიი“ და სხვა. განსაკუთრებით „აკვიატებულია“: „კოტორიი, კოტორიი“ — თითქმის ყოველი თქმა მისი ამით იწყება, ან და ესაა მხოლოდ. 2. სხვა სიტყვები თუ თქმები წამოყოფენ თავს ზოლმე, მაგრამ ინთქებიან „ბის აუფ ვაიტერეს“. გუშინ, მაგალითად, შევეკითხე: „კოტორი ჩას?“ გა-



ხედა საათს და მიპასუხა: „ტრი ჩასა“. არა მგონია, დღეს ეს შესძ-  
ლოს. 3. რასაც ეტყვი მოკლედ და მკაფიოდ, შეუძლია მისი განმე-  
ორება. 4. წარმოვუთქვამ რომელიმე შაირს, რომელიც მან ზეპირად  
იციც — იგი იწყებს მის წარმოთქმას, არა „განმეორებით“, არამედ  
„შერთვით“, ესე იგი, „თანვე“. ხანდახან მე შეეჩერდები ზოლმე —  
იგი აგრძელებს შაირს: ერთს მის სტრიქონს თუ ორს, აგრძელებს  
უჩემოდ. აი მოკლედ მისი ენის „ამბავი“. უნდა დავუმატო: ყველა-  
ფერი ესმის: გონება მისი მძაფრად მუშაობს — მით უფრო აუტა-  
ნელი ხდება მისთვის ენის-ვერ-ადგმა. როგორც ხედავთ, აზრიც აქვს  
და სიტყვაც — ხოლო ზტილი აზრის სიტყვად სპონტანური შვისა  
დაზიანებული აქვს. აი ეს „ზტილი“ უნდა „ამოხალისდეს“. ამოხა-  
ლისდება კი?! აი რა მალონებს, აი რა მაფიქრებს!

ეხლა ჩემი ყოფა. დავანებოთ თავი ჩემს სულიერ თანა-ტანჯვას.  
თქვენც იცით: ვამბობდი სიამაყით ყოველთვის: ადამის წყევა არ  
ვიცი მეტქი, ესე იგი: შრომა. ეხლა ეს წყევა თავს დამატყდა მთელი  
თავისი საშინელებით — სიამაყით ალბად ბედი „გავახელე“. უნდა  
სანოვაგე ვიყიდო, უნდა გავამზადო: საუზმე, სადილი, სამხარი, ვახ-  
შამი. ეს კიდეც არაფერი. ალაგება ბინისა, ხვეტა-გვა, რეცხვაც ნა-  
წილობრივ — ყველაფერი ეს მე მაქვს დაკისრებული. კიდეც მეტი.  
მიხდება ფუნქციების ასრულება: სათნოების დისა, მომვლელისა,  
დროდადრო მასსაყისტისაც. და აი ასე: დილის 9 საათიდან საღამოს  
10 საათამდე. ნასადილევს თუ მაქვს მოსვენება: ერთი საათით. ჩემო  
აკაკი, შენ იცი: მე ჰიპერბოლა პოეზიაშიც არ მიყვარს — რასაც აქა  
ვწერ, ყოველი სიტყვა პირწმინდა სინამდვილეა. გამიმწარდა ყოფა.  
თუ დავუმატებთ თქმულს იმასაც, რომ ეხლა ნივთიერი შეიწროებაც  
კარს მადგია ცივი სისასტიკით — მივიღებთ დასრულებულ სურათს  
ჩემი ყოფის სიმწარისა. გამოგიტყდებით: რამოდენჯერმე მალი სიკვ-  
დილი ვისურვე ჩემთვის, **შევცოდე წინაშე უფლისა** — ფიქრი შავი  
მყისვე გავფანტე ყოველჯერ, მაგრამ კვალი სულში?... განა ოდესმე  
წარმოიდგენდით, ან თქვენ, თამარ, ან შენ, აკაკი: რომ გრიგოლს  
ასეთი რამ ოდესმე გაურბენდა ფიქრად! ვათავებ. გუშინწინ აღიას  
ეყოლა ბავში: გოგონა. ორივენი კარგად არიან. ლენა და მე გისურ-  
ვებთ ნათელ დღეებს, თქვენნიანებით. ამ წერილიდან გაიგებთ, თუ რის  
გამო ვერ მოგწერეთ ამდენ ხანს.

გრიგოლ



21 სექტემბერი 1950.

ძვირფასო აკაკი!

შენი გულთბილი წერილი — 5. 9. 1950. — მივიღე სწორეთ იმ წამს, როცა ციურისისაკენ მივემგზავრებოდი. ციურისში დაპყავი ერთი კვირა — მეგობართა წრეში (ვინახულე კიტაც). მოვისვენე ცოტა-ოდენ. ავადმყოფი ლენა ალიასთან დავტოვე. ალია აქ ცხოვრობს. ქმარი მისი იტალიელი, კალეა, მუშაობს საკონსულოში იტალიისა, აქ, ცირა ეყოლათ. გუშინ მოვნათლეთ — წესით მართლმადიდებელთა დავარქვით სახელი: თამარი. ნათელისას მღვდელმა — არქიმანდრიტია, ამ დღეებში აკურთხებენ ეპისკოპოსად — თამარ მეფე მოიხსენია ლოცვით. პაწა თამარი ძალიან კარგი გოგონაა: ლამაზიც.

დავბრუნდი თუ არა ციურისიდან, დამხვდა ჩეკი, შენგან გამოღებული. მივიღე ფული. ეს იყო ჩემთვის სრულიად მოულოდნელი და: მით უფრო გასახარებელი. დიდად გამაღობ — და ლენაც დიდს მაღლობას გითვლის. არ დაგივიწყებ ამ დახმარებას — მიცნობ! ჩემთვის უმადურობა უცნობი არის.

ლენას დღევანდელი ყოფა. ფეხი აიდგა ძალოვნად — შეუძლია გასეირნებაც (ჯოხით). ენის-ადგმას კი სულ მცირე გამოკეთება ემჩნევა. როგორც გწერდი, ავადმყოფს დაზიანებული აქვს ცენტრი, რომელიც მართავს აზრის სიტყვად შევებას: არ ძალუძს გამოთქვას ის, რაიცა აქვს აზრად — ხოლო, რაიცა სპონტანურ იშვის, ამის გამოთქმა კი: ნათლად და მკაფიოდ. წარმოიდგენ, თუ როგორ იტანჯვის საცოდავი — წარმოიდგენ, თუ როგორ ვიტანჯვი მეც, ამის მაყურებელი, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ... — როგორც ვთქვი, გამოკეთებას აქვს ადგილი, თუცაღა მცირეოდენი. ამ დღეებში ერთი ახალგაზრდა ქალი (ქსოვილთა მალაზია აქვს) გამომელაპარაკა: იცნობს ლენას. მითხრა: მეც ეგვევ დამემართაო. ამან იმედი გამიმტკიცა. მართალია, ენა აუღვია 6 თვის შემდგომ: ლენა აი 7 თვეა უკვე ავად — მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ის ქალი ლენაზე უფრო ახალგაზრდაა. იმედს არ ვკარგავ. მცირე-ოდენი გაუმჯობესებაც კარგი ნიშანია.

ექვსი წლის წინეთ დავცილდით ერთი მეორეს: შენ და მე. მოვესწრებით კიდევ ერთმანეთთან შეხვედრას? ძალიან მეეჭვება. ჩვენი დროის საშინელება ესაა: ცოცხალნიც დაკარგული ვართ ერთი მე-



ორესათვის. ახალი მეგობარის „მოგება“ ძალიან ძნელია ხანში შესულიათვის, თუ არ სრულიად შეუძლებელი — აი კიდევ ერთი საიდუმლოება სიცოცხლისა. შენ რომ აქ იყვე შენი სახლობით, ჩემი დღევანდელი ყოფა გამიმსუბუქდებოდა. აქ მხოლოდ ორიოდე ქართველია — ერთი-მეორეს ხშირად ვერ ენახულობთ. მიხეილ წერეთელი რომ მაინც იყვეს აქ — მისთვისაც, ტანჯულისთვის, კარგი იქნებოდა ჩემთან ახლო-ყოფნა — ასე მგონია.

სამშობლოს მოწყვეტილნი, უცხოეთშიაც მოწყვეტილნი ვართ ერთი მეორისგან. ქვეყანა საგიჟედ იქცა დღეს — რა მოგველის, სად ვიპოვოთ ნუგეში?? გულს არ ვიტეხ მაინც — თუმცა მომდგარ ცრემლებს ვეღარ ვუძლებ ხოლმე: ცრემლებს, რომელთაც სხვას არ ვაჩვენებ. ვმუშაობ მაინც როგორც მწერალი: ამ 5 წლის განმავლობაში 3 წიგნი მოვათავე აქ. (დაწვრილებით შესახებ ამისა სხვა დროს). ვიკვლევ „თავ-ცოდნას“ (ურვისსენ). მგონია, გასაღებიც მოვნახე მისა... ვათავებ ამ უთავბოლო წერილს. ღმერთია მოწყალე — მხოლოდ განუსაზღვრელ ტანჯვაში იგრძნობის იგი: როგორც უკანასკნელი სინამდვილე. — ეხლა ეს იდეა ვიცი მთელი ჩემი არსებით. ვათავებ ამ უთავბოლო წერილს. კიდევ დიდი მადლობა დახმარებისათვის! მე და ლენა გისურვებთ შენ და თამარს ნათელ დღეებს. ვუსურვებთ ამასვე თქვენ სახლობას. ვინ იცის! შესაძლოა კიდევ ვიგემოთ ამომავალი შუე! იმედს ნუ დაკვარავთ, გულს ნუ გავიტეხთ! ღვთიური ამ სოფლად გულის მხოლოდ.

შენი გრიგოლ რობაქიძე.

24. 1. 1951. ქენევა.

ძვირფასო აკაკი!

გმადლობ წერილისათვის: 2. 1. 1951, მეგობრულად მოგისმენია ჩემი სიტყვა შესახებ ჩემ „იმ“ უკუხევისა. უფრო სწორედ: ძმურად ვაგიგია. სამწუხაროა, რომ „კავკასიონის“ ძველი სახით გამოცემას დაბრკოლება გადალობებია. რამოდენიმე ნუმერი ამ პერიოდული კრებულისა წაკითხული მაქვს. „კავკასიონი“ უთუოდ მნიშვნელოვანი კვალია გონისა და გულის ქართველთა ლტოლვილობაში. შენს შრომას, იქ გაწეულს, მჯერა, ჩვენი ისტორია ჭეროვნად დააფასებს.

ამ დღეებში გამახსენდა შენი ერთი ნოველა. სახელი არ მახსოვს.

გამოქვეყნებული იყო, მგონია, „ცნ. ფურც.“-ის ერთერთს დამატებაში. ცოლი და ქმარი მასკარადზე, ორივე „მასკებით“. სუჟეტის მიხედვით გიყვები — ზედმეტია. ეგებ თანწამოიღე საქართველოდან! რადგან ჩემს დღევანდელ ყოფაში ყოველი ჩემი სიტყვა „ანდერძია“, უნდა ვთქვა ქვემოთ „საანდერძოდ“: სუჟეტი იმ ნოველისა შესანიშნავია; ძნელია მოინახოს უკეთესი ამბავი **შორაულის რომანტიულ მოკროლ-პის გამოსახატვად.**

იყავი მხნედ და კარგად! გულითადი მოკითხვა: თამარს და ყველა შენთანებს, აგრეთვე ვიკტორ ნოზაძეს.

შენი გრიგოლ რობაქიძე.

20. 6. 1956.

ძვირფასო თამარ და აკაკი!

მივიღე თქვენი თხზულება „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“. გმადლობთ! მივიღე თანვე შენი წიგნი, აკაკი: „უცხო ჭიშკართან“. გმადლობ. (გადაეცით ლეოს: ყდა პირველისა კარგია, ყდა მეორესი შესანიშნავი! დიდი ოსტატობა გამოუჩენია.) რასაკვირველია, ორივეს დიდი ინტერესით წავიკითხავ. ორივეს შესახებ მოგწერტ ორიოდ სიტყვას მაინც.

დიდი ხანია, ჩემგან არა გსმენიათ რა. რაი გაცნობოთ დღეს? გამომრთელება ლენასი გრძელდება მეტად ნელი ტემპითი — (ექვს წელზე მეტია, იცით, ავადაა). მეც ცუდათ ვგრძნობ თავს, ერთ წელზე მეტია. მტანჯავს მძაფრი „დებრესსიონ ნერვიოზ“.

არ მოგკლებოდეთ მადლი ქართული მიწისა! ამასვე ვუსურვებ თქვენთანებს ყველას, ლენა უერთდება ჩემს სურვილს.

თქვენი ერთგული  
გრიგოლ რობაქიძე

8. 9. 1960. ენევა.

ძვირფასო აკაკი!

დიდი მადლობა შენი წიგნისათვის „1500 წლოვან თბილისს“ (ლექსები და წერილები). წავიკითხე: რასაკვირველია, დიდი ინტერესით.

უმლერი ჩვენს დედა-ქალაქს, რომელიც მაჯის-ცემაა და გულის-



ფეთქვა მთელი ჩენი სამშობლოსი. თავს ევლები: ხან ამ მხრით, ხან იმ მხრით. შეფრფინავ, ეხვევი, ეტანები. ვერ ელევ, ვერ ცილდები. თუ ცილდები, კვლავ უბრუნდები. ვერ ეშვები. უმღერ ლეგენდარულ ტფილისს, რომლისათვის დანთხეული სისხლი ქართველთა მზის ნაკადად ქცეულა.

ეს წიგნი შედარებით შენს წინა წიგნთან — „უცხო ქიშკართან“ — უფრო პოეტურად მეჩვენება.

ყდა ლეოსი. ძალიან მოხდენილი და ლამაზია.

„წინასიტყვა“. ვინაობა ავტორისა?! „მეგობარი“ აქ ფსევდონიმადაც არ გამოდგება. გამოდგება. იგი ამაღ „რეცენზიისათვის“ — გარნა წინასიტყვა, იცი, რეცენზია არაა. ავტორი ალბათ ვიქტორ ნოზაძეა. ალბათ.)\*

წერილი: „ფიქრები თბილისზე და მის მწერლობაზე“. 1. ა. მამაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, კ. ფედოსიშვილი — არ არიან გამოცალკეებულნი როგორც მწერალნი „მესამე მოქცევისა“. ხელისუფლებამ კი არ „ათქმევინა მათ „ესა თუ ის“ — მათ თვითონ „თქვეს“ რაც აქვთ ნათქვამი. 2. „მეორე მოქცევის“ მწერალთაგან ნახსენებია: ა. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, კ. მაცაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, ტიცინ ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი. მოგყავს ნაწყვეტები მათი შაირებითგან. ვალ. ტაბიძე და გ. ქუჩიშვილი გამოდიან წერილში ვითარცა „გადახრილები“ — იცი რისკენ. მხოლოდ ეს ორი. დანარჩენნი?! უნდა გაგახსენო: განსვენებული ა. აბაშელი „საბჭოურ“ შაირებსაც წერდა — ასევე საწყალი ტიცინიცი, დაღუბული, რომლის გასაოცარი წინასწარმეტყველება წერილში მოგყავს; ი. გრიშაშვილი რჯამდე მივიდა, რომ ჯალათს ბერიას ასე მიმართა: უბრძანე მტკვარს და იგი უკუღუნას დაიწყებსო. (საერთოდ რომელმა მწერალმა „მეორე მოქცევისა“ აიცილინა ეს გადახრა). კ. მაცაშვილს არ დასცალდა ხანგრძლივ ეცოცხლა გასაბჭოებულ სამშობლოში, თორემ „გადახრას“, ვფიქრობ ვერც ის აიცილნდა. ყოველ შემთხვევაში არ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ: არ გადაიხრებოდა: (გამახსენდა ნ. ლორთქიფანიძე. აიცილინა თუ არა „გადახრა“ — არ ვიცი.). შესანიშნავია თვითონ „გადახრა“ მეტად რთული მოვლენაა. ჩემს „გემორდეტე ზეელე“ — ში ნათლივ გამოვფინე იგი. ერთს ნაკვეთში ჩემი ერთი გამოუქვეყნებელი წიგნისა გავაღრმავე მისი ანალიზი. ნაკვეთი დაიბეჭდა — ფსევდონიმი — ერთს აქა-

\* განსვენებული გრ. რომაქიძე ცდებოდა. „მეგობარი“ — „წინასიტყვის“ ავტორი — მე არ ვახლავარ. ვ. ნოზაძე.



ურ გერმანულ ჟურნალში. ფორმულა „გადახრილისათვის“: „სენ-სერ, მე პა ვრე“.)

წერილი: „ფიქრები ძველ და ახალ ქართულ კრიტიკაზე“. ... „ქიქოძეებს“... შეიძლება ვინმეს გერონტი ეგონოს.

70 წელი შეგსრულებია. გისურვებ მზეგრძელობას და ნათელსა და მშვიდს ხანდაზმულობას.

გულითადი სალამი ქ-ნ თამარს. იყავით ორივე მხნედ და მარჯვედ! ამასვე ეუსურვებ თქვენთანებს ყველას. იეთხავთ ჩემს ამბავს:

ლენას გარდაცვალებამ გამანახევრა. მწუხარება არ მინელდება — პირიქით: მიღრმავდება, მიმძაფრდება. ხოლო იგი ნათელია და არა ბნელი. ალბათ ეს მაძლევს ძალას, რომ გავუძლო „განახევრებას“.

შენი გრიგოლ

ნერვებ-აშლილობამ საგრძნობლად მიკლო. (არ მახსოვს: ვაცნობეთ თუ არა ეს ჩემი დაავადება ქ-ნ თამარს და შენ.)

15. 12. 1960. ქენევა

ესაა, მივიღე „ქართული აზრი“, ნომ. 40. წავიკითხე წერილები — რედაქციისა და შენი — შესახებ შენი იუბილესი. როგორ დამემართა, რომ ვერ მოგილოცე, როცა ბარათი მოგწერე შენს წიგნზე?! ანგრეულია ჩემი დღევანდელი ყოფა. ვუმატებ ჩემს სიტყვას — დაგვიანებით — სიტყვებს სხვებისა. გისურვებ სულით და გულით, განგეგრძოს ნაყოფიერად სამშობლოსადმი სიყვარულით ანთებულს შენი მრავალმხრივი ლიტერატურული (და ხაერთოდ მამულიშვილური) მოღვაწეობა. იყავ მზეგრძელი!

შენი გრიგოლ



პროფ. გურამ შარაძის პუბლიკაციებით ქართველ მკითხველთათვის ცნობილი გახდა, რომ ვ. ურდოელისა და ტ. ბარათელის ფსევდონიმებით ბერლინში გამოშვებულ ქართველ ლეგიონერის გაზეთ „საქართველოში“ (გამოდაოდა 1942 წლის აგვისტოდან 1945 წლის 12 მარტამდე, № 10-138) ქვეყნდებოდა ამჟამად ქალაქ სენაკში მცხოვრები პედაგოგის, ტერენტი ყიფიანის ლექსები, რომელთაც 1945 წელს შეადგინეს კრებული: ვ. ურდოელი, ლექსები, ბერლინი, 1945 წ.

ვ. ურდოელის კრებული შედგება ოთხი კარისაგან: 1. მწუხრის სიმღერები, 2. საქართველოს დავრიში; 3. წარსულის სურათები; 4. ვარდისფერი ღაწვები (სულ სამოცდახუთი ლექსი და ერთი ლირიკული პოემა). პასუხისმგებელი რედაქტორი პატა ვარძიელი (მიხეილ მამულაშვილი) წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „ვ. ურდოელის პოეზია — ეს არის მთლიანი სიმღონია ეგზოტ საამოთ და შთამაგონებლად რომ ეღერს. თვითოეულ სტრიქონში, თვითოეულ ლექსში, აშკარად იგრძნობა ქართული სიტყვის სისათუთე და მოქნილობა. ვ. ურდოელი საუკეთესო ოსტატია ქართული ლექსისა. გადაჭრით შეიძლება ვაღიაროთ: საქართველოს საზღვრებს გარეთ ჯერ არც ერთი ქართველი პოეტი არ აღზრდილა ასეთი დასრულებული სახით, ასეთი ჩამოყალიბებული და ჩამონაკეთილი შემოქმედებით, როგორც ურდოელი“.

გაზეთ „საქართველოში“ ვ. ურდოელის (ტ. ყიფიანის) გამოქვეყნებულ ლექსებს მაღალი შეფასება მისცა გრიგოლ რობაქიძემ ესეში „წყაროსთვალი“ („ლიტერატურული საქართველო“, 15. XI. 1991): „ვ. ურდოელი ღრმად გრძნობს საქართველოს წარსულს (შირები: „გამოცხადება“, „ლომის ბოკევი“, „ეკარით უფლისა“). ძველ საქართველოს შეცნევაში წარსული „მარად მყოფადი“ იყო. სასიხარულოა, რომ ჩვენი დროის ახალგაზრდა ქართველში საქართველოს შორეული ფესვები ასე ცოცხლად ირხევიან“.

მკითხველ. ვთავაზობთ ტერენტი ყიფიანის პოეზიის ერთ-ერთ ნიმუშს.

26 მაისი

აჰა, მაისი... ვარდების და სხივთა ლაშქარი!..  
 ირგვლივ უსაზღვრო სურვილების ლალი დინება!..  
 ბნელეთში მძაფრი შეტაკება... ქარი აშარი  
 და ოცდაექვსში საქართველოს აღორძინება!..  
 ოხსენებ წარსულს: ეს პატარა თვალი ქვეყნისა,  
 სადაც უბრალო ქვეც კი ამხელს აზრს და მშვენიებას,  
 მოწმე სასტიკი აოხრების, წვა და რბევისა  
 და მიჩვეული მზიანი დღის ავღრით თენებას, —

როგორ გადურჩა შავ გრიგალებს, შესძლო აცდენა  
მწარე ხვედრისა, და აშორდა ვერავლ მახეს?!  
როგორ შეიძლო ამ ცეცხლისგან თავის დაღწევა  
და მოიტანა მან აქამდე თავისი სახე?!  
არ გვასვენებდნენ, თქვენც მოწმე ხართ, ლამაზო მთებო, —  
მამულის შვილთა წმინდა გვამი ყველგან ეყარა!  
ჩვენ გვაოხრებდნენ იმ საბუთით, რომ საქართველო  
იყო ვარდებით და სიუხვით სავსე ქვეყანა...  
მაგრამ მათ მიწის გოჯიც ველარ შემოიმტკიცეს,  
ვერ გვიმორჩილეს, თუმც გვეხვივნენ ირგვლივ სუროდა,  
ველარ გასტეხა საქართველოს ხმალის სიმტკიცე,  
თვით მონგოლების სამასი წლის თავგასულობამ!..  
რუსთველის ქნარი კვლავ დაგვირჩა ბნელში მეგზურად,  
ბესიკის ბალში კვლავ გალობდნენ ლერწმის ლეროდან,  
ჩვენს მწუხარებას და სიხარულს, რაც თავს გვებურა, —  
საიათნოვა გამომთვრალი ყელით მღეროდა!..  
შემდეგ ირაკლის ხმალმა ზარდა ქართლის სამეფო, —  
თითქოს ჩაგრულმა ერმა თვის გზას მიაკვლიაო,  
თვით ფრიდრიხ დიდმა საქვეყნოდ სთქვა: ევრობას მე ვფლობ  
და აზიაში დიდი მეფე ირაკლიაო...  
მაგრამ დიდების ეს ზენიტიც ჩქარა დაინგრა, —  
რუსეთის ზამთარს გზა დაუთმეს ქართლის მიწაზეც,  
დაწმენდილი და უღრუბლო ცა აწრათად აიძღვრა  
და საშინელი მორჩილება ჩუმად ვიწამეთ...  
ძირშივე დაწყდა, აიწეწა ქარში ვარდები,  
ხალხზე იტყოდით: მათ აღმათ სულ ბნელში უვლიათ...  
ამდროინდელი ჩვენი სევდა, ჩვენი ნაღველი  
ბარათაშვილის მწუხარე ხმით გამოთქმულია...  
თითქოს კვლავ ხსნა და იმედები აღარსად იყო,  
უნდა მიგველო მორჩილება შავი ბედისა,  
მაგრამ ქვეყანა სინათლის და ბნელის გაიყო  
და საიმედო განთიადი ისევ გველირსა;  
ისევ აინთო სიხარულის მარადი შუქი,  
ჩაკვდა სრულიად მტრის ღმუილი და გახელება,  
თბილისს თავისი ცა დაჰხურეს — სუფთა და ლურჯი, —  
რიცხვით ოცდაექვს მაისს მოხდა ეს გათენება...  
მაგრამ შეშურდა მტერს ჩვენი მზე თავისთავადი,

და კვლავ დაიძრა ქარიშხალი ცეცხლის ენებად...  
ისევ რუსეთი... ისევ ტანჯვა, ცრემლი მარადი,  
ისევ უაზრო გაწამება და გახელება!..  
დაბლა დაუშვეს ჩვენი დროშა შვინდისფერადი,  
შერყვნეს სიმკვეთრე და დიდება ქართულ ხმალისა,  
მაგრამ იმედი ისევ შორით აგვიფერადდა  
და კვლავ აღდგენის ჟამი დადგა ქართულ ძალისა...  
გულის სიმართლე ქვეყნად აღარ დაიკარგება,  
ბრძოლის სურვილით შევკრებილვართ ქართლის შვილები,  
დაღვრილი სისხლი ნატრულ ვარდად აიქარგება  
და ჩვენს თაობას დაეზნევა მკერდზე შლილები...  
ფრთები გაშალე იმედების, ქაროლოსის მიწავ,  
მალე შენს ბჭესთან დაიმსხვრევა მძიმე მონება,  
გულს ნუ გაიტეხ, — თავისუფალ დროშით მოვდივართ  
ქართლის შვილები — დარაზმული ლეგიონებად!..

1942

ლადო ასათიანი

წარწერა წიგნზე

ნიკა აგიაშვილს

შენ წინათ ცაში დაქროდი,  
 ესიტყვებოდი ვარსკვლავებს,  
 და დედამიწის წალკოტი  
 არარაობად ჩათვალე.  
 შენ მაშინ გულთამხილველად  
 მეტყობდი მშობლის კილოზე:  
 „ყრმაო, ყველაზე პირველად  
 სამშობლოსათვის ილოცე“.  
 შენ წინათ ცაში დაქროდი  
 და წმინდა სულებს თან ახლდი,  
 ახლა კი მიკვირს, იმგვარი  
 აგრე ვით დაჩაჩანაკდი?!  
 ცხოვრების ორომტრიალში  
 უპირველესი ყოვლისა —  
 შენ ხმა დაკარგე წინაპრის,  
 მამაცი მეციხოვნისა!  
 მე გავაცოცხლე ხმა იგი  
 და მინდა ყურში ჩაგძახო:  
 „ადექ, მგლის მუხლი მაიბი,  
 რამ წაგახდინა, ყაძახო!“  
 შენი პირველი ოცნების  
 და პირველ სიტყვის დამჯერემ,  
 სამშობლოსადმი ლოცვები  
 ამ ცისფერ წიგნში ჩავეწერე.  
 თავად დავუდექ თამადად  
 თავადურ ხმათა ღრეობას,  
 წაიკითხე და პაპათა  
 დაგიბრუნდება მხნეობა!

1941



---

ყალბით  
და  
ფუნჯით



ფერწერა — მსაა კოფია, რასაც ხელავენ, ხო-  
ლო კოფია — ფერწერა, რომელსაც იხმენენ.

**ლეონარდო და ვინჩი**

აქვთ წიგნებსაც თავიანთი გედი.

**ტერენციან მავრი**

**სახარმის ავტორთა პორტრეტები IX—XI საუკუნეების  
ქართული წიგნის მხატვრობაში ოდიშისა და ალავერდის  
ოთხთავთა მინიატურების მიხედვით**

ხელოვნების სხვა დარგებისაგან განსხვავებით ქართული მინიატურის ხელოვნების ისტორიული განვითარება უფრო ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი ქრონოლოგიურად საკმაოდ დაშორებული ნაწარმოებების სახით, რომელთაგან უადრესი ნიმუშები მხოლოდ IX—X სს. ეკუთვნის. დღემდე შემორჩენილი მინიატურების შესრულების მაღალი დონე გვაფიქრებინებს, რომ მისი განვითარება საქართველოში ადრე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ამ ნიმუშებს მრავალ მიზეზთა გამო ჩვენამდე არ მოუღწევიათ და დღეისათვის ქართული მინიატურის განვითარების ისტორიას ვიწყებთ IX ს. მიწურულს შესრულებული ა დ ი შ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი თ .<sup>1</sup>

ძველი ავტორები: გაბრიელ მილლე, ნიკოდიმ კონდაკოვი ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორს მთლიანად ბიზანტიურ სკოლას აკუთვნებდნენ. ისინი არ ითვალისწინებდნენ, რომ, მართალია, იგი ხელოვნების სხვა დარგებზე უფრო მეტად ატარებს კონსტანტინოპოლის მხატვრული სკოლის ნიშნებს, მაგრამ უდავოდ არის მასში ეროვნული თავისებურებაც. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ მინიატურის, როგორც ხელოვნების დარგის, სპეციფიკას: სხვადასხვა ხელნაწერებში ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთსა და იგივე დეკორატიულ მოტივებს, კომპოზიციურსა და იკონოგრაფიულ სქემებს; როგორც ჩანს, ერთი ხელნაწერის მორთულობა ნიმუშს წარმოადგენდა სხვათათვის.

ამ წერილში ჩვენ განვიხილავთ შუა საუკუნეების ქართული წიგნის მხატვრობის ორ ძეგლს — ადიშისა და ალავერდის ოთხთავებს, კერძოდ კი, მახარებელთა სამ პორტრეტს. ნაწარმოებების შერჩევისას გავითვალისწინეთ ის, რომ ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით მასალის სიმცირის მიუხედავად ქართული წიგნის მინიატურა



თავისი სავსებით გამოკვეთილი სახით მანც გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ცალკეული მხატვრული სკოლები და გამოვავლინოთ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში საქართველოს კულტურული კავშირები ახლო აღმოსავლეთთან, ბიზანტიასთან, სომხეთთან და სხვა ქვეყნებთან. ამიტომ შევეცადეთ წარმოდგენილი ძეგლების მაგალითზე რამდენადმე მრავალფეროვანი სურათი შეგვექმნა, რათა უფრო დამაჯერებლად გამოკვეთილიყო ქართული მინიატურის ისტორიის კონკრეტული მონაკვეთის, კერძოდ, IX—X საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ტენდენციები და გავითვალისწინეთ რა საქართველოს მჭიდრო კულტურული ურთიერთობები საზღვარგარეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან, განსახილველად ავირჩიეთ როგორც საქართველოში არსებულ სკრიფტორიუმში გადაწერილი ძეგლი, ისე საზღვარგარეთის სკოლასთან დაკავშირებული ნაწარმოები. აღნიშნული პერიოდით დაინტერესება გამოიწვია იმან, რომ იგი ფაქტიურად წარმოადგენს ქართული მინიატურის განვითარების დასაწყისს ეტაპს, ხოლო ქვემოთ განხილული ერთ-ერთი ძეგლი, ადიშის ოთხთავი, კი არის ქართული წიგნის მხატვრობის დღემდე შემორჩენილი პირველი ნიმუში. ამ პერიოდში ხდება ქართული მინიატურის სახის ჩამოყალიბება, მისი ძირითადი ნიშნების გამოკვეთა და დახვეწა. ამასთანავე ეს ნიშნები ყალიბდება აღმოსავლეთისა და ბიზანტიის მხატვრულ ტრადიციებთან მჭიდრო ურთიერთობაში, როცა შემკულობის დეკორატიულ სისტემას, იკონოგრაფიას და კომპოზიციის სქემას ძირითადად შემოტანილი ორიგინალი განსაზღვრავს; მაგრამ ქართული წიგნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მის ყოველ ნიმუშში მეტ-ნაკლებად ყოველთვის ჩანს ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებთან დაკავშირებული ნიშნები, როგორცაა კომპოზიციის ლაკონიურობა, თავშეკავებადი ფერადოვანი გამა, მკაფიო ნახატი და ზოგჯერ მონუმენტურობაც, რამდენადაც ეს მინიატურის ფარგლებშია შესაძლებელი. ეს ნიშნები სხვადასხვა პერიოდში მეტ-ნაკლები ძალით ვლინდება და დამოკიდებულია როგორც იმ მხატვრული სკოლის ტრადიციებზე, ისე წმინდა ეპოქალურ ნიშნებზე, იმაზე, თუ რამდენად ძლიერად იყო გამოხატული ამა თუ იმ ეტაპზე, საზოგადოდ მთელ კულტურულ ცხოვრებაში, ეროვნული თვითმყოფადობა და რამდენად ძლიერი იყო მოთხოვნა უცხოური კულტურის იმპორტზე.

მახარებელთა მინიატურები ქართულ ოთხთავებში კოდექსის მხატვრული შემკობის ერთ-ერთ აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს. იმისდა მიხედვით, თუ განვითარების რომელ ეტაპზეა შესრულებუ-

ლი ნაწარმოები, ან ერთად აკინძულნი წინ უსწრებენ ტექსტს, ან სახარების მიხედვით ნაწილდებიან თითოეული თავისი შესაბამისი ტექსტის წინ. კერძოდ, IX—X საუკუნეების ხელნაწერებში ადიშის, ბერთის, წყაროსთავის სახარებებში, გარდა ჯრუჭის პირველი სახარებისა (რომელშიც კომპოზიციები ტექსტის შესრულებიდან მოგვიანებით, ოთხი წლის შემდეგ ჩაურთავთ), მახარებელთა პორტრეტები კოდექსის დასაწყისშია მოთავსებული. XI საუკუნიდან ისინი ტექსტის მიხედვით ნაწილდებიან.<sup>2</sup>

ეს ცვლილება შეიძლება განვიხილოთ როგორც წიგნის ხელოვნების დახვეწის შედეგიც, რადგან ასეთი აწყობა ხაზს უსვამს ოთხთავის აგებულებას, მის დაყოფას ოთხ წიგნად.

იმის გამო, რომ ჩვენამდე მოღწეული ქართული მინიატურის ნიმუშები მხოლოდ X საუკუნის ბოლოს განეკუთვნებიან, მონუმენტური ფერწერისა და სკულპტურისაგან განსხვავებით, ქართული წიგნის მხატვრობა არ გვაძლევს საშუალებას დავაკვირდეთ ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული ახალი მხატვრული ხერხების, ხაზობრივ-სიბრტყობრივი სტილის დანერგვის შედეგად ანტიკური ტრადიციების თანდათანობით განდევნის პროცესს.

ქართული მინიატურის ყველაზე ადრეული ნიმუშები იმ პერიოდს განეკუთვნება, როცა ქართულ ხელოვნებაში უკვე დამთავრდა ანტიკური ტრადიციების ვადამუშავება, ჩამოყალიბდა ახალი სტილის ნიშნები, მაგრამ მინიატურის ხელოვნების რამდენადმე „კონსერვატიული“ ბუნებიდან და დედანთან დამოკიდებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, ქართული წიგნის მხატვრობის პირველ ნიმუშებში ამ ახალი მხატვრული ხერხების გვერდით მაინც ვხვდებით ანტიკური ნიშნების რემინისცენციებს. ამის თვალსაჩინო სურათს გვიქმნის ადიშის ოთხთავის მინიატურები. ხელნაწერი 897 წელს არის შესრულებული შატბერდის მონასტერში (კლარჯეთი) მწერალ მიქაელის მიერ<sup>3</sup> და ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება. იგი წარმოადგენს სადღესასწაულო ხელნაწერს, რომელიც მდიდრულადაა შემკული მხატვრულად გაფორმებული კანონებით, კვადროფილით და მახარებელთა პორტრეტებით. ისინი ქართული მინიატურისათვის დამახასიათებელ მასალაზე, პერგამენტზეა შესრულებული და წინ უძღვის ტექსტს, თანახმად ადრეული შუა საუკუნეების ბერძნული, ქართული და ლომხური ტრადიციებისა.<sup>4</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფურცელი, რომლის ერთ გვერდზე მათე მახარებელი უნდა ყოფილიყო გამოსახული,

დაკარგულია და ჩვენ მხოლოდ მარკოზ, ლუკა და იოანე მახარებელთა გამოსახულებებს განვიხილავთ. ისინი ერთ ფურცელზე არიან გამოსახულნი. ერთი გვერდი მარკოზის მჯდომარე გამოსახულებას ეთმობა, მეორე კი ლუკას და იოანეს წყვილ პორტრეტს. პირველი მინიატურა ძლიერ არის დაზიანებული: ჩამოხეულია ნაპირები, აყრილია საღებავის ფენა, ისე რომ მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია ვისაუბროთ კოლორიტსა და იკონოგრაფიულ რედაქციებზე. მეტნაკლებად დაზიანებულია მეორე კომპოზიციაც, მაგრამ აქ საერთო სურათი მაინც ნათელია, მახარებელთა გამოსახულებებიც თითქმის მთლიანად იკითხება და, ამდენად, საერთო შთაბეჭდილება სრულყოფილია.

მინიატურები სწორკუთხა ფორმის თითქმის კვადრატულ ჩარჩოებშია მოთავსებული. სასურათო სიბრტყეთა უმეტესი ნაწილი წინა პლანზე გამოტანილ მახარებელთა გამოსახულებებს ეთმობა. მათ უკან მოჩანს ლურჯი და მწვანე ფონი. კომპოზიციების ზედა ნაწილში ვხედავთ განმარტებით ასომთავრულ წარწერებსაც. ისინი მახარებელთა სახელებს აღნიშნავენ და მინიატურათა ქართულ წარმომავლობაზე მიგვითითებენ. წარწერები მხოლოდ მსუბუქ აქცენტებად აღიქმება და ამდენად ჩვენი ყურადღების კონცენტრირებაც მთლიანად მახარებელთა ფიგურებზე ჯდება.

ჩვენს ყურადღებას თავიდანვე იპყრობს ის მომენტი, რომ ისინი სხვადასხვა რედაქციით არიან წარმოდგენილნი, კერძოდ, მარკოზი — მჯდომარე, წერის დროს, ლუკა და იოანე კი — ფეხზე მდგომნი. ეს მოვლენა გამონაკლისი არ არის მინიატურის ისტორიაში. იგი უკვე VI საუკუნის სირიულ ძეგლში — რაბულას სახარებაში გვხვდება და თვალსაჩინოდ მიგვითითებს ორი სხვადასხვა ტრადიციის — ალექსანდრიულისა და ანტიოქიურის — შეჯახებაზე. ფრანგი მკვლევარი ა. მ. ფრენდი ამ ტიპების წარმომავლობაზე მიუთითებს, რომ ორივე ტიპი მახარებელთა გამოსახვისა, — ფეხზე მდგომიც და მჯდომარეც, — წარმართული პორტრეტებიდან იღებს სათავეს, რომელსაც შემდგომ ქრისტიანი მხატვრებიც მიმართავენ. ამასთან, თავდაპირველად ვრცელდება პირველი ტიპი, რაც ხელნაწერი წიგნის უძველეს ფორმასთან, გრაგნილთან არის დაკავშირებული, რადგან არც ერთი პოზა ისე არ უხდებოდა ტექსტის ვიწრო სვეტს, როგორც ფეხზე მდგომი ფიგურის მაღალი, ვიწრო ბლოკი. ეს მოვლენა ალექსანდრიულ სკოლასთან არის დაკავშირებული. მოგვიანებით, დროთა განმავლობაში, ხელნაწერი წიგნის სისტემაში ადგილს იკავებს კვადრატული ფორმის კოდექსი და შესაბამისად მკვიდრდება წერის დროს წარმოდგენილი





ადიშის ოთხთავი. 897 წ. ლუკა და იოანე მახარებლები.



მკდომარე მახარებლის ტიპი. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ქართული წიგნის მხატვრობაში შედარებით გვიან მკვიდრდება. განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ მინიატურებში უპირატესობა ენიჭება აღმოსავლეთისა და ბიზანტიის ხელოვნებაში ჯერ კიდევ VI—VII სს. (როსანოს კოდექსი) დამკვიდრებულ ტრადიციას. კერძოდ, ასეა ადიშის ოთხთავის თანადროულ ძეგლებში: ჯრუჭის, მარტვილის და წყაროსთავის სახარებებში, ბერთის, სინაის კოდექსებში, სვანური ხელნაწერების ფრაგმენტებშიც კი, რომლებიც უკვე XI—XII სს. მიჯნაზეა შექმნილი. თუმცა XI ს. შუა ხანებში გვხვდება ახალი, ალექსანდრიული ტიპის გამოყენების ნიმუშებიც მესტიისა და ალავერდის სახარებებში.

ამდენად, ზემოთ აღნიშნულ ნიშანდობლივ მოვლენას უნდა დავმატოს ის ფაქტიც, რომ „ადიშის ოთხთავში“ ჩართულია ის ახალი ტიპი, რომელიც შედარებით გვიან დამკვიდრდება საქართველოში. თუმცა ისიც ნათელია, რომ მხატვარი ძველ ადრექრისტიანულ ტრადიციას მიჰყვება. ამის დასტურია უკვე აღნიშნული ტიპი ფეხზე მდგომი მახარებლისა და ილუსტრირების სისტემაც, აგრეთვე იოანე მახარებლის ახალგაზრდა იკონოგრაფიული ტიპი. ეს ტენდენცია უფრო მეტად ვლინდება მინიატურათა შესრულების მანერაში, კოლორიტში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი ფურცლის დაკარგვის გამო, „ადიშის ოთხთავში“ მახარებელთა გამოაახლებები მარკოზის პორტრეტით იწყება. სასურათო სიბრტყე, ისევე, როგორც მეორე მინიატურაში, სამფერი ჩარჩოთია შემოსაზღვრული (ნარინჯისფერი, ოქროსფერი, წითელი).

ძლიერი დაზიანების გამო, ჩვენ საშუალება არ გვაქვს დაწვრილებით განვიხილოთ კომპოზიცია, ვისაუბროთ შესრულების მანერაზე, დეტალებზე, მაგრამ შემორჩენილი ფრაგმენტი მაინც გვიქმნის ზოგად შთაბეჭდილებას კომპოზიციის საერთო მოხაზულობასა და კოლორიტზე. საკმაოდ კარგად იკითხება სავარძელში მკდომარე მახარებლის სილუეტი. იგი ოდნავ წინაა გადახრილი მუხლებზე გადაშლილი სახარებისაკენ.

აღსანიშნავია, რომ მარკოზი, მკდომარე მახარებლის დამკვიდრებული რედაქციისაგან განსხვავებით, მარცხნივაა მიბრუნებული, რაც მას ბერძნული მინიატურების კოდექსებთან აკავშირებს. ამ მხრივ ძეგლს ქართულ ხელნაწერებში არსებულ მასალაში პარალელები არ მოეპოვება. მარკოზის წინ, მარცხენა ჩარჩოსთან ვხედავთ სოსნისფერ



ადიშის ოთბთაუი. 897 წ. მარკოს მახარებელი.



საწერ მაგიდას და სამსაფეხურიან ნარინჯისფერ კვარცხლბეკზე და-  
ფუძნებულ, მთელ სიმაღლეზე აღმართულ ოქროსფერ ჯვარსა-  
ლად პიუპიტრისა, როგორც ამას მესტიის, ალავერდის, გელათის  
სახარებებში ვხვდებით. აქ იგი გაიზარება როგორც გოლგოთის ჯვრის  
სიმბოლო. ჯვარი თავისი სიმაღლით და ფერით კიდევ უფრო გამო-  
ირჩევა, რაც რაღაც მნიშვნელოვანსა და განსაკუთრებულს ზღის მის  
გამოსახვას და ასეთ იშვიათ მისტიურ გააზრებას. ჯვრის შესაბამისად,  
მარჯვენა მხარეს, მახარებლის ზურგს უკან, ავსებს დეკორატიული  
ნახატი შემკული სავარძლის მოვარდისფერო ზურგი და წარწერა  
ზედა კუთხეში. აქა-იქ მოჩანს ლურჯი და მწვანე ფერის ფრაგმენტე-  
ბი. სასურათო სიბრტყე საკმაოდ დატვირთულია, შემორჩენილი ფრაგ-  
მენტებიდან ჩანს, რომ იგი გადატვირთული არ უნდა ყოფილიყო,  
რადგან კომპოზიციის განლაგება მიჰყვება ჩარჩოს ფორმას და მის  
ფარგლებში მთლიანად მოწესრიგებულია.

მარკოზის გამოსახულება ძლიერ დაზიანებულია, ძალზე ზოგადად  
აღვიქვამთ მის სილუეტს, ვხედავთ პარალელურად მიმართული ხე-  
ლების ნახატს, ტერფს. როგორც ჩანს, ოდნავ შესამჩნევად იყო გაზრ-  
დილი სახისა და ხელების მნიშვნელობა, მაგრამ მაინც ნათელია, რომ  
ფიგურა უნდა ყოფილიყო პროპორციული, პოზა — გამართული, დამა-  
ჯერებელი. ოქროსფერი შარავანდედის ფონზე მოჩანს მისი სახე. ნა-  
კვთები არ იკითხება, მაგრამ ჩანს, რომ იგი ახალგაზრდა კაცის სა-  
ხით იყო წარმოდგენილი, ყავისფერი თმითა და წვერით. აქა-იქ  
შემორჩენილი საღებავის ფერის ფრაგმენტები კი მიგვითითებს, რომ  
ტანზე მწვანე ქიტონი და ყვითელი ქიმატიონი უნდა სცმოდა. საერ-  
თოდ, კომპოზიცია ფერადოვნად ძალზე მდიდრულად უნდა ყოფილი-  
ყო გადაწყვეტილი. ფერები ისეა შერჩეული ერთიმეორის გვერდით,  
რომ თითოეული ფერი ერთმანეთის ფონზე კიდევ უფრო მეტერადი  
ჩანს. ცხადია, რომ ეს მინიატურა მნიშვნელოვნად განსხვავდება თა-  
ვისი კოლორიტით შუა საუკუნეების ქართული მინიატურებისაგან. მის  
სუფთა, ნათელ კოლორიტში ჩანს მისწრაფება ადრეული ზელნაწე-  
რებისათვის დამახასიათებელი ნათელი პალიტრისაკენ, რომელშიც  
ჯერ კიდევ შენარჩუნებულია გვიანი ანტიკური ხელოვნების ნიმუშები.

ყოველივე ეს უფრო გარკვევით იკვეთება მეორე მინიატურაში,  
რომელიც არსებითი დაზიანების გარეშე შემოგვრჩა. მასზე, როგორც  
ვთქვით, ლუკა და იოანე მახარებლები არიან წარმოდგენილნი. ისინი  
მთელი ტანით, ფეხზე მდგომნი არიან გამოსახულნი. ორივეს ხელში  
სახარება უჭირავს და ასე ოდნავ წინ წამოწევით წარუდგენენ მას



მაყურებელს. ჩვენს ყურადღებას ამახვილებს მშხინავი ოქროსფერი და გეომეტრიული ორნამენტით შემკული სახარების ყდაც. სახარების წარდგენის ეს ხერხი შემდეგ გვხვდება ჯრუჭის, წყაროსთვის და სვანეთიდან ჩამოტანილ ხელნაწერშიც. აღსანიშნავია ხელების ზომის გაზრდის ტენდენცია. აზრობრივად მნიშვნელოვანი დეტალების, თავის, ხელების, ამგვარი უტრირება, რაც ემოციური გამომხატველობის ტენდენციასთანაა დაკავშირებული, გვხვდება ქართულ რელიეფში (ოპიზის რელიეფი, აშოტ კურაპალატის გამოსახულებით — 826 წ. — ე. ა.). პოზები მშვიდია, ძალდაუტანებელი, ორივე ფიგურა თავისუფლად არსებობს მათთვის განკუთვნილ არეში, ისინი ოდნავ ბრუნდებიან ერთმანეთისაკენ. რითაც ხდება მათი ერთგვარი დაკავშირება. რენე შმერლინგი თვლის, რომ აქ შეიძლება ადგილი ჰქონდეს თავდაპირველად ცალ-ცალკე გააზრებულ მახარებელთა გამოსახულებების შექანიკურ შეერთებას, რადგან ლუკას გვერდით მიმართული მხერა გარკვეულად ასუსტებს მათ შინაგან კავშირს. სახეების მნიშვნელობა, ისევე როგორც ხელებისა, ოდნავ გაზრდილია. მიუხედავად ამისა, ფიგურები საკმაოდ ბუნებრივი პროპორციებისაა. ისინი შემოსილნი არიან გრძელი ქიტონებითა და ფართე ქიმატიონებით. მათ სხეულებზე უხვ ნაოჭებად დაფენილ ტანისამოსში კარგად ჩანს ფიგურათა აღნაგობა, ძირითადი პლასტიკური აქცენტები. ფორმათა გამოვლენა, ტანისამოსის ფერადოვნება, წერის მანერა აშკარად მიუთითებს ანტიკურ ტრადიციებზე.

ამ ანტიკურ რემინესცენციებში მსუბუქად გამოკრთის გრაფიკული სტილის ნიშნუები: სუფთა, მსუბუქი ხაზი, რომლითაც შესრულებულია სხეულის მიშველი ნაწილების ნახატი. თუმცა მკაფიოდ არ იკითხება, მაგრამ აქა-იქ მაინც არის ჩართული სილუეტის ხაზი. მოგვიანებით ეს ნიშნები უფრო ძლიერდება და აღიშის შემდეგ ჯერ კიდევ მაინც გვიან ანტიკურ ხელოვნებასთან დაკავშირებულ ჯრუჭის სახარებაში უკვე აშკარად ჩანს კალიგრაფიულად სუფთა ნახატის როლი. ნახატის მნიშვნელობა, მისი გამომსახველობა, როგორც ამას შემდგომი ძეგლები გვიჩვენებენ, ეროვნულ ტრადიციასთანაა დაკავშირებული. ამის შესანიშნავი გამოვლინებაა ზატიკი — საგალობელთა კრებული, აგრეთვე სვანური ხელნაწერების მინიატურები. მაღალი კალიგრაფიული ოსტატობა ყოველთვის განასხვავებდა ქართულ მინიატურებს „ცხოველხატული“ ბერძნულისაგან, რომლებშიც, მიუხედავად ხაზობრივი და სიბრტყობრივი საწყისის მომძლავრებისა, არასოდეს არ შეზღუდულა ფერადოვანი დამუშავების ეფექტი.





ადიშის ოთხთავის მინიატურების სახეები ძალზე ფერწერულადაა შესრულებული. ლოყებთან შეპარებულია გამჭვირვალე, ვარდისფერი, ჩრდილებში კი — ძალზე მქრალი მონაცრისფერო-მომწვანო. სახეები საოცრად მეტყველია, რასაც ხელს უწყობს ფართო თვალები. იოანე ახალგაზრდაა, უწვერული, წაბლისფერი თმით, პირობითად მინიშნებული კულულებით, ფართო ყვრიმალეებით, ოდნავ წაგრძელებული ნიკაპით და სქელი ტუჩებით. აქ გამოყენებული ადრეული იკონოგრაფიული ტიპი ისევ ძველ ტრადიციებზე მიუთითებს. იგი მართო აქ არ გვხვდება. გავრცელებულია IX—X სს. ქართულ მინიატურებში: ჯრუჭის პირველ და ბერთის სახარებაში. განვითარებული შუა საუკუნეების რედაქციებში კი მკვიდრდება თეთრწვერა მოხუცის ტიპი. ასეა ალავერდის სახარებაში, სვანურ ხელნაწერში. ადრეული ტიპის სახითაა წარმოდგენილი ადიშის ოთხთავის ლუკა მახარებელიც. იგი მოხუცია, თეთრი თმითა და წვერით მოსილი; ძალზე ფერწერულადაა შეპარებული ერთმანეთში გარდამავალი ცისფერი, მწვანე და თეთრი ფერი. ასეთ ფერადოვნებას მახარებელთა მშვიდ, განზოგადებულ სახეებში განსულიერება შეაქვს.

ფონი ლურჯით და მწვანე ფერით არის გადმოცემული. ეს ორი ფერი გაიაზრება როგორც ცა და მიწა. ქვედა ჩარჩოსთან, ფეხებთან კომპოზიციის მთელ სიგანეზე ვხვდავთ რამდენიმე ფართო თავისუფალი მონასმით დადებულ ლურჯ ფერს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ლურჯი ფერის მონასმები წარმოშობით ფიგურებისაგან არეკლილ ჩრდილებთანაა დაკავშირებული, რომელიც ანტიკური ხელოვნების ნიმუშებში გვხვდება, მაგრამ ეს მნიშვნელობა მათ დაკარგული აქვთ, ვინაიდან მათი მდებარეობა ფიგურების მიმართ არაკანონზომიერია და ბორცვის აღმნიშვნელ ზოლებად ჩანან. აქა-იქ ოდნავ შესამჩნევად გამოსტკივის ნარინჯისფერი და ვარდისფერი, თითქოს მახარებელთა ტანისამოსის ფერთა გამოძახილი. ასეთი ლაკონური ფერწერული ნიუანსების საშუალებით გადასვლა ერთი ფერიდან მეორეზე რამდენადმე შერბილებულია. ამასთან, ხდება გარკვეულად დიფერენცირება ფონითაც: სულ უკან — საკმაოდ მკლერადი ლავარდისფერი ლურჯი, უფრო წინ — შედარებით ღია მწვანე, მასზე მინიშნებული ნილადავით, ყოველივე ამის ფონზე კი ნათელ მკლერად ფერებში წარმოდგენილი მახარებლები.

მიუხედავად „იმპრესიონისტული“ ხერხებისა, რომლებიც გამოყენებულია ფონის გადაწყვეტისას, ფერადოვნება აქ მაინც თავშეკაეებულია, მისი თავმოყრა ხდება მახარებელთა გამოსახულებებში. ასეთი



სქანური ხელნაწერი. XI—XII სს. მიჯნა. იოანე მახერებელი.



გადაწყვეტა კიდევ უფრო წინ სწევს მათ მაყურებელთა მზერასა და  
 ამ მინიატურის განხილვამ საშუალება მოგვცა. უფრო ნათლად  
 გამოგვევლინა ის ნიშანდობლივი მომენტები, რომლებმაც უზრაღდება  
 მიიპყრო წინა კომპოზიციებში. აქ უკვე კონკრეტული ნიშნების მაგა-  
 ლითზე მივუთითეთ ისეთ მხარეზე, როგორცაა ფერის როლი, ნათე-  
 ლი, მედრადი კოლორიტი, ფიგურათა აღნაგობის გამოვლენა. ეს მნი-  
 შვნელოვანია იმითაც, რომ ანტიკური ხელოვნების ამგვარ რემინის-  
 ცენციებს ეს ნიმუში ქართულ მინიატურისა ავლენს მაშინ, როცა  
 ქართულ სკულპტურაში უკვე დამკვიდრებულია სიბრტყობრივ-ექსპ-  
 რესიული სტილი, თამამად დარღვეული პროპორციებით, რაც გამო-  
 წვეული უნდა იყოს ადრეული ნიმუშებით, რომლებზეც არის დამო-  
 კიდებული ეს მინიატურა. ამ შემთხვევაში ნათელია, რომ აღიშის  
 ოთხთავი მიჰყვება აღმოსავლურ ნიმუშს, რომელშიც შემორჩენილია  
 გვიან ანტიკური ნიშნები. ეს ნიშანდობლივია იმითაც, რომ მოგვიან-  
 ნებით საქართველო სწყვეტს კავშირს აღმოსავლეთის ქრისტიანულ  
 ქვეყნებთან, რომელნიც, როგორც კულტურის კერები, კარგავენ თა-  
 ვის აღრინდელ მნიშვნელობას და ორიენტაციას იღებენ ბიზანტიის  
 ეკლესიაზე. შესაბამისი ტენდენციაა ხელოვნებაშიც და, კერძოდ, წიგ-  
 ნის მხატვრობაშიც.

შემორჩენილი ნიმუშების სიმცირის გამო ჩვენ საშუალება არ  
 გვაქვს თვალი გავადევნოთ ერთი მხატვრული ტრადიციის შეორეთი  
 შეცვლის რამდენადმე ხანგრძლივ პროცესს. აღიშის ოთხთავის შემდ-  
 გომ X საუკუნეში შესრულებულ ჯრუჭის პირველ სახარებაში, სი-  
 ნაის, წყაროსთავის ხელნაწერებში ჭერ კიდევ ჩანს აქა-იქ, იკონოგრა-  
 ფიული ტიპის შერჩევაში, მოჩარჩოებასა თუ ფორმათა დამუშავე-  
 ბაში გამოვლენილი აღმოსავლური ტრადიციებიდან გამომავალი ნიშ-  
 ნები. XI საუკუნიდან კი ბიზანტიური მხატვრობის სკოლასთან დაკავ-  
 შირებული ტენდენციები ძლიერად მოიცავს ქართული წიგნის მხატვ-  
 რობას და სხვადასხვა ძალით ვლინდება მის ამა თუ იმ ნიმუშში. აღ-  
 ნიშნული მოვლენის უფრო ნათლად დასანახად შეგვიძლია განვიხილოთ  
 ა ლ ა ვ ე რ დ ის ო თ ხ თ ა ვ ი.

ეს ძველი განვითარებული შუა საუკუნეების ხანის ქართული  
 წიგნის ხელოვნების ნიმუშია. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკა-  
 დემიის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, სადაც ქართული მუზე-  
 უმიდან ვადაიტანეს. მანამდე კი ხელნაწერი კახეთში, ალავერდის ტა-  
 ძარში ინახებოდა.

სახარება გადაწერილია ანტიოქიის მახლობლად შავ მთაზე მდე-

ბარე კალიპოსის ლეთისმშობლის ქართულ მონასტერში. კონსტანტინე მონომახისა და აფხაზეთის მეფისა და ნოველისიმუსის ბაგრატ IV-ის მმართველობის და ანტიოქიის პატრიარქის, პეტრეს მოღვაწეობის დროს. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის სვიმონ მღვდლის ჩანაწერი, რომელიც ხელნაწერის ტექსტს ერთვის. ამავე ტექსტიდან ვგებულობთ, რომ ხელნაწერის გადაწერაში რამდენიმე აღამიანს მიუღია მონაწილეობა. კერძოდ, მოხსენებული არიან მღვდლები: იოანე დვალი და მისი შვილი გიორგი.<sup>5</sup> აქვე მითითებულია, რომ 1059 წ. პროედროსმა იოანე ორბელმა ეს კოდექსი შეიძინა კონსტანტინოპოლში და ამავე წელს იგი საქართველოში ჩამოიტანა. ძეგლის შესრულების დროდ მიჩნეულია 1054 წელი, როდესაც ბაგრატ IV კონსტანტინეპოლს ჩავიდა.

აღნიშნული მინაწერიდან ვგებულობთ ოთხთავის მომხატველის ვინაობასაც. ალავერდის სახარების მინიატურები შესრულებულია იოანე მელიას მიერ. ეს ცნობა ფრიად მნიშვნელოვანია ძეგლის ქართული წარმოშობისათვის, რადგან ცალკეულ მინიატურებში ქართული ტენდენციების გვერდით საკმაოდ ძლიერად ჩანს სიახლოვე ბერძნული მხატვრობის ტრადიციებთან. მხატვარი ზედმიწევნით კარგად ფლობდა ბერძენ ოსტატთათვის დამახასიათებელ წერის ხერხებს. ეს ხელნაწერი არაა ერთადერთი, რომლის წარმოშობა საზღვარგარეთის კულტურის ცენტრთანაა დაკავშირებული. საზღვარგარეთ შესრულებული ქართული ხელნაწერის ნიმუშები უკვე X საუკუნეში მოგვეპოვება. ამის მაგალითია შემქმელი კრებული, რომელიც 978 წელს არის შესრულებული ოლიმპოს მთაზე.

როგორც ჩანს, ქართულ მინიატურულ მხატვრობაში იმდენად დიდი იყო სურვილი ბიზანტიური მინიატურის ბრწყინვალე ნიმუშებთან გათანაბრებისა, რომ ხშირად საქართველოში გადაწერილი წიგნების შესამკობად ბერძენ მხატვრებსაც მიმართავდნენ. ამის თვალსაჩინო ნიმუშია კონსტანტინოპოლის სკოლასთან დაკავშირებული XI ს. ქართული მინიატურის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში, ზაქარია ვალაშკერტელის სვინაქსარი. აგრეთვე ტბეთის ოთხთავი (გადმოწერილია ტბეთში, შავშეთი). ასეთ კულტურულ საქმიანობას ხელს უწყობდა საზღვარგარეთ, ქრისტიანულ სამყაროში, ფართოდ გავლილი სამონასტრო ცხოვრება.

კულტურის ეს ცენტრები არასოდეს ყოფილა მოწყვეტილი ეროვნულ ნიადაგს და ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქარ-



თულ ტრადიციებთან. ამის ერთ-ერთი დასტურია იქ შექმნილი მინიატურები.

ილუსტრირების სისტემის მიხედვით ალავერდის ოთხთავი შეიძლება მიეკუთვნოს ოთხთავთა იმ ჯგუფს, რომელიც თავისი წარმოშობით ალექსანდრიასთან, ელინისტური მხატვრული ტრადიციების ძირითად ცენტრთანაა დაკავშირებული. ეს ხელნაწერები უპირატესად შეიცავენ მდიდრულად გაფორმებულ კანონებსა და მახარებელთა გამოსახულებებს.<sup>6</sup> მახარებელთა გამოსახულებები, როგორც ეს XI საუკუნისთვისაა დამახასიათებელი, თითოეული შესაბამისი სახარების დასაწყისშია მოთავსებული. ოთხივე მინიატურა კარგადაა შემორჩენილი, რაიმე მნიშვნელოვანი დაზიანების გარეშე, ისინი ძირითადად ერთნაირ კომპოზიციურ გადაწყვეტას ექვემდებარებიან — მახარებელთა ოთხივე ფიგურა პიუპიტრთან მჯდომარეა გამოსახული. გამოყენებულია გვიან ანტიკურ ტრადიციებთან დაკავშირებული მახარებელთა ე. წ. ეფესური ტიპი, როგორც მას უწოდებს ა. ფრენდი. კერძოდ, მახარებლები წარმოდგენილი არიან წერის დროს, ჩაფიქრებულნი.<sup>7</sup> მინიატურები შესრულებულია მაღალ ტექნიკურ დონეზე ერთი ავტორის მიერ, რომელიც კარგად ფლობდა დედაქალაქის სკოლის ბერძნული მინიატურის ტრადიციებს. სტილისტური ან იკონოგრაფიული თვალსაზრისით არც ერთი მათგანი არ გამოირჩევა დანარჩენებისაგან რაიმე განსაკუთრებული ნიშნებით. ამიტომ ერთ-ერთი მათგანის მაგალითზეც შეგვიძლია დავინახოთ ის სურათი, რასაც გვიქმნის ალავერდის ოთხთავი, რომელიც უშუალოდ ინდივიდუალური ნიშნების გვერდით შეიცავს ისეთ მხატვრულ-სტილისტურ ნიშნებსაც, რომლებიც დამახასიათებელია ამ პერიოდის ქართული წიგნის მხატვრობისათვის. მაგალითისათვის შეგვიძლია ავიდეთ პირველივე კომპოზიცია მათე მახარებლის გამოსახულებით, რომელიც ყველაზე უვნებლად გადარჩენია ყამთა სიაცეს. თავისი ზომებით და მდიდრული ელფერით იგი უმაღლეს იპყრობს მნახველის ყურადღებას. ნათელია, რომ ჩვენს წინაშე დედაქალაქური სკოლას ნიმუშია. წიგნის გადაშლისას მინიატურა ტექსტის გვერდით ხვდება და საწერ მაგიდასთან მჯდომი მარჯვნივ მიბრუნებული მახარებლის გამოსახულება ბუნებრივად უკავშირდება თავისი სახარების დასაწყისს. ასეთი განაწილება ტრადიციულია XI საუკუნის და მომდევნო პერიოდის სახარებებისათვის. ასევე ტრადიციულია ფიგურის მარჯვნივ მიბრუნება ტექსტისაკენ, როგორც ამას მოცემულ ნიმუშში ვხედავთ, და მისი სამ მეოთხედში წარმოდგენა.





ალავერდის ოთხთავი. 1030 წ. მათე მახერებელი და სასარგბის  
 დასაწყისი გვერდი.



სანამ აღნიშნული მინიატურის მხატვრულ ანალიზს შევეცდებით, მოკლედ და თანმიმდევრულად შევეხთ მის კომპოზიციურ აგებას. ნახატი, როგორც საერთოდ მკდომარე მახარებლის გამოსახვის დროს იყო მიღებული, სწორკუთხა ფორმის ჩარჩოშია მოთავსებული.<sup>8</sup> მინიატურის ზომა საგრძნობლად აღემატება ტექსტის სვეტის ზომას, იგი მისთვის განკუთვნილი გვერდის უმეტეს ადგილს ავსებს, მხოლოდ მცირე მინდორი რჩება ოთხივე მხრიდან. საერთო სიბრტყის მეტი ნაწილი ეთმობა პიუპიტრთან მჯდომი მახარებლის გამოსახულებას, რომელიც ერთნაირად ოქროსფერ ნეიტრალურ ფონზეა წარმოდგენილი. მის თავზე მოთავსებული ბერძნული წარწერა Α ΜΑΤΘΑΙΟC ცხადად მიგვანიშნებს ამ მინიატურის კავშირზე ბერძნულ ტრადიციებთან, რაც შემდგომი ანალიზის დროს უფრო მეტად გამოჩნდება. აქვე, ზედა მარჯვენა კუთხეში, ვხედავთ ცის სევამენტს მატხოვრის მათესაკენ მიმართული მაკუროთხებელი მარჯვენით.<sup>9</sup>

ფურცლოვანი ოქრო, რომლის ღირსება და მდიდარი ფერი კარგად არის შემორჩენილი, განსაკუთრებულის და მნიშვნელოვანის გრძნობით ადავსებს კომპოზიციას.

მათე მახარებელი წერის დროსაა წარმოდგენილი. მარცხენა ხელით მუხლებზე გადაშლილი სახარება უკავია. წარწერა წიგნზე ქართული ასომთავრულითაა შესრულებული, რაც დამაჯერებლად მიუთითებს მინიატურის ქართულ წარმოშობაზე. გადაშლილი წიგნის ორივე გვერდზე ჩანს მათეს სახარების დასაწყისი. პირველი მუხლი — წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა აბრაჰამისა.

მარჯვენა ხელი, რომელშიც კალამი უკავია, მაგდისაკენ აქვს გაწვდილი, სადაც სამელნე და სხვა საწერი ნივთები აწყვია. თვითონაც ოდნავ წინ არის გადახრილი. ხდება საგნების მოჭმედებით დაკავშირება.

თავიდანვე თვალში საცემია და რამდენადმე ჩრდილავს მხატვრის ოსტატობას ის, რომ საწერ მაგიდას პიუპიტრით და ყველა თავისი მოწყობილობით იმდენივე ყურადღება ეთმობა, რამდენიც მახარებლის გამოსახულებას. იგი თავისი მოუხეშავი ფორმით და ყავისფერით უპირისპირდება ამ მინიატურული ხაზითის გამოსახულებას და საოცარ დისონანსს ქმნის. ამდენად დარღვეულია მთავრისა და მეორეხარისხოვანის ურთიერთობა. გრძელი ცისფერი ქიტონითა და მონაცრისფრო ქიმატიონით მოსილი მათე მახარებლის ფიგურა ერთი შეხედვით თითქოს ანტიკური ტრადიციების პრინციპზეა აგებული. იგი, როგორც წესი, სამი მეოთხედით არის მობრუნებული და ამდენად



უფრო დასრულებულად და მთლიანად აღვიქვამთ პოზა თავისუფა-  
ლია, ფიგურა პროპორციული, ტანისამოსი 'უზე' ნაოჭებად ეფინება  
სხეულს; მაგრამ ეს ნაოჭები ნაკლებად არის დაკავშირებული ფორ-  
მასთან, მხოლოდ რამდენიმე პლასტიკური ხეცენტია მინიშნებული  
(მუხლი, თეძო). ტანისამოსი მთლიანად ფარავს სხეულს, რომლის  
მატერიალურობა თითქმის დაკარგულია ჩასაცმელის მიღმა. არც სხე-  
ულის შიშვლად დარჩენილი ფორმები გამორჩევიან თავისი ზომე-  
ბით. ფიგურა მინიატურულია. ამ მინიატურულობის განცდას ისიც  
აძლიერებს, რომ ანტიკური ფერადოვნების მიღმა, ნაოჭების ნახატსა  
და სილუეტში, თუმცა შეფარვით და ძალზე თავშეკავებულად, მაინც  
გამოსჭვივის ქართული მხატვრული ტრადიციებისათვის ასე დამახა-  
სიათებელი ხაზის როლი, რომელიც თავისთავად უფრო ამსუბუქებს  
ფორმას.

ეს მინიატურა თავისი კოლორიტით მართლაც ამყლავნებს სიახ-  
ლოვეს ცხოველხატულ ბერძნულ მინიატურასთან. ანტიკურ ტრადი-  
ციებთანაა დაკავშირებული ფურცლოვანი ოქროს გამოყენება და,  
საერთოდ, ფერთა სიმრავლეც, რომლითაც ეს კომპოზიცია გამოირ-  
ჩევა და სიმდიდრის გრძნობა, რომელსაც სწორედ ფერთა სიუხვე,  
მათი უღერადობა და საგანთა გარეგნული სახე, მათი გარეგნული  
დამუშავება ქმნის. კერძოდ, მხატვარი აქ მიმართავს მკდერად წითელ,  
ცისფერ ფერებს, რომლებსაც ჩარჩოს დეკორატიულ ორნამენტშიც  
ურთავს, ხოლო ფორმათა დამუშავებისას იყენებს ფერწერულ ხერ-  
ხებს, როგორცაა გამოთეთრებები და რეფლექსი. ნაოჭების გადმო-  
საცემად მიმართავს იგივე ფერის შედარებით მუქ ტონებს, გლუვ  
ზედაპირებს, მაგალითად, მუხლთან, გამოთეთრებით გადმოსცემს.  
მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში ფერის როლი ძლიერია, ზოგან,  
კერძოდ, ტანისამოსზე, მხატვარი მიმართავს შედარებით მუქ ტონებს,  
რამდენადმე არბილებს, აქრობს ფერის ეფექტს. ეს შეიძლება ანტი-  
კური მოტივის ქართულ გააზრებასთან იყოს დაკავშირებული.

ცალკე აღნიშვნის საგანია ნახატის შემოქმედებითი მხარე. რო-  
გორც რენე შმერლინგი აღნიშნავს, იმ მინიატურაში მხატვრის „ხე-  
ლოსნური განსწავლულობა უფრო ჩანს, ვიდრე მისი ოსტატობა“.   
კომპოზიცია თითქოს დაშლილია ფერწერულად. იგრძნობა ცისფერი,  
წითელი, ნაცრისფერი და ყავისფერი ტონების შეუხამებლობა, რო-  
მელიც უფრო მკვეთრად ჩანს ოქროსფერ ფონზე. დისპარმონიას  
ქმნის ყავისფერ მაგიდაზე დალაგებული ცისფერი და წითელი საგ-  
ნები; ჩვენს ყურადღებას ფანტავს და კომპოზიციას ხშირად ანაწიე-



რებს გამოყენებული ცისფერი, რომელიც ჩარჩოს დეკორატიული ნამენტშიც არის ჩართული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მხატვარი მექანიკურად, შემოქმედებითი გააზრების გარეშე მიჰყვება პროტოტიპს და მხოლოდ ტექნიკური სრულყოფით კმაყოფილდება. იგი ზედმეტ ყურადღებას უთმობს სხვადასხვა წვრილმანი საგნის გამოსახვას. ყოველივე ამის ფონზე იკარგება მთავარი ფიგურა — მათემახარებელი. თუმცა გარეგნული გულმოდგინება და სისუფთავე არც მისი გამოსახულების შესრულებას აკლია, მაგრამ ჩვენ არ გვეუფლება განცდა ამ ფიგურის მნიშვნელობისა. მახარებელს თითქოს გამოცლილი აქვს სული. დავაკვირდეთ თეთრი თმა-წვერიბი. მოსილ მის სახეს, იგი კარგად ჩანს ოქროს ფონზე. წითელი წრიული ზოლი შარავანდედად ევლება მას. მხატვარი ცდილობს სიცოცხლე შესძინოს სახეს. ლოყები ოდნავ შეფაკლულია. გამოთეთრების საშუალებით იგი ცდილობს გამოავლინოს პლასტიკური აქცენტები; რამდენადაც ეს მინიატურის ფარგლებშია შესაძლებელი. აღნიშნავს ყვრიმალებს, წარბების კოპებს, მაგრამ ეს არ არის ის, რაც ღვთაებრივ სულს ჩაუდგამს მახარებლის სახეს. მათეს მზერაში არ ჩანს ის დიდებული სიმშვიდე, რომელიც ასე გვჩიბლავს ადიშის ოთხთავის მახარებლებში და სვანეთიდან ჩამოტანილ ფრაგმენტებში.

შედარებისათვის სჯობია ქრონოლოგიურად ახლოს მდგომ მესტიის ოთხთავის მინიატურას მივმართოთ მათემახარებლის გამოსახულებით. იგი 1030 წლით არის დათარიღებული, ე. ი. მხოლოდ ორი ათეული წლით ადრეა შესრულებული. ნათელია, რომ ადიშის, ჭრუჭის სახარებებისა და სხვა ადრეული ნიმუშებისაგან განსხვავებით, აქაც ისევე, როგორც ალავერდის მინიატურაში, არ იგრძნობა ლაკონურობა და განსაკუთრებულობა. მხატვრის ყურადღება განაწილებულია სხვა დეტალებზე. რამდენადმე ზდება მოქმედების ადგილის დიფერენცირება. მაგრამ, თუ დავაკვირდებით, მსწრაფლ აღვიქვამთ: ამ საგანთა გამოსახვა ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს, შეიქმნას რაღაც გარკვეული გარემო, რომლის ფონზეც მთავარი მაინც მახარებლის ფიგურაა. მხატვარი კარგად გადმოსცემს პოზის დამაჯერებლობას, რასაც ვერ ვიტყვით ალავერდის მინიატურის ავტორზე. მესტიის მინიატურაში სხეულის აგებულების გადმოცემისას ვლინდება ანტიკური ტრადიციებიდან მომავალი ნიშნები. მკაფიოდ და ლაკონურად არის მოცემული სხეულის აღნაგობა. მოქნილი მონასმით შესრულებული ტანისამოსის ნაოკები ბუნებრივად არის დაკავშირებული ფორმებთან. ფიგურა გარკვეული მონუმენტურობითაც გამოირჩევა, რაც გამოსახულების მნი-

შენელობის წარმოჩინებას უწყობს ხელს. ამ მონუმენტურობაში ვლინდება ქართული დამოკიდებულება მხატვრული ფორმისადმი. ეს თვისება, თავისი სრულყოფილი სახით ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობისათვის არის დამახასიათებელი, ანუ ხელოვნების იმ დარგისათვის, რომელშიც ყველაზე უფრო ლაღად გამოვლინდა ქართული სულის შემოქმედებითი ხასიათი. მაგრამ ზოგჯერ იგი მინიატურულ მხატვრობაშიც იჩენს ხოლმე თავს. შუა საუკუნეების ქართული წიგნის მხატვრობაში მეტ-ნაკლებად ყოველთვის ჩანს მხატვრული ხედვის ნიშნები, რომლებმაც თავის სრულყოფილ ხორცშესხმას მონუმენტურ მხატვრობაში მიადწიეს: მკაფიო, ლაკონური კომპოზიცია, ზომიერად დატვირთული სასურათო სიბრტყე. ეს თვისებები იმდენად არის გამოკვეთილი სურათში, რამდენადაც ძლიერია მასში ეროვნული ნაკადი. ამიტომ გასაგებია, რომ მათ ვერ ვხედავრ ბიზანტიური მანერისადმი სწრაფვით გამორჩეული ალავერდის მინიატურაში.

ქართველ ოსტატთათვის უცხო არ ყოფილა არც კოდექსის ფორმის ხელნაწერებისათვის შესაბამისი მახარებლის ახალი, მჯდომარე იკონოგრაფიული ტიპი, რომელიც შემდგომ ხელნაწერებში მკვიდრდება. მომდევნო ძეგლში მხატვარი სწორედ ამ ტიპს მიმართავს. ეს ხელნაწერი გამოირჩევა ახალი ტრადიციებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. მახარებელთა გამოსახულებები უკვე წინ კი არ უძღვის ტექსტს, როგორც ეს ადიშის ოთხთავშია, არამედ შესაბამისი თავების მიხედვით ნაწილდება. აქ კომპოზიციები მეტადაა დატვირთული მეორეხარისხოვანი დეტალებით, ფონის საშუალებით შექმნილია „პირობითი გარემოც“. ეს ნიშანი, როგორც მესტიის სახარების მაგალითზეც ვნახეთ, დამახასიათებელია მინიატურის მხატვრობის ამ ეტაპისათვის, მაგრამ აქ, მხატვრის შედარებით დაბალი ოსტატობის გამო, დაკარგულია მნიშვნელოვნების განცდა, მთავრისა და მეორეხარისხოვანის გრძნობა. ალავერდის ოთხთავში, ისევე როგორც ადიშის მინიატურებში, ჩანს ქართული წიგნის მხატვრობისათვის ნაკლებად დამახასიათებელი ფერადოვნება, რაც ანტიკური ხელოვნების რემინისცენციებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ აქ იგი, ბიზანტიური ხელნაწერებისაგან განსხვავებით, რამდენადმე შერბილებულია და აქა-იქ, სილუეტსა თუ ნაოჭებში, მინც გამოსჭვივის ნახატის მნიშვნელობა.

მინიატურული მხატვრობის ეს ნიშანი აღმოსავლური წარმოშობისაა, მაგრამ იმის გამო, რომ იგი თან გასდევს, როგორც მონუმენტური, ისე მინიატურული ქართული მხატვრობის ნიშნებს, ეროვნ-



ნულ თვისებად განიხილება. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ საუკეთესო ნაშრომებში ქართველი მხატვრები ნაკლებად მიმართავენ ასლის მექანიკურ გადალებას და ყოველთვის ცდილობდნენ დედნისაგან ნაკარნახევი ტენდენციები ადგილობრივი ტრადიციების ნიშნებთან შეეხამებინათ.

## შ ე ნ ი შ ვ ე ნ ა ბ ი :

<sup>1</sup> შიომღვიმის მონასტერში ინახებოდა V საუკუნის მდიდრულად მორთულ ვახტანგ გორგასლის სახარება, რომელიც ჯერ არ აღმოუჩენიათ (თ. ჟორდანიასა და ს. ჯანაშიას) ისტორიის ქრონიკები და სხვა მასალები. ტ. I, თბილისი, 1892 წ. გვ. 55).

<sup>2</sup> არის შემთხვევები, როცა მახარებლები ამავე დროს სატიტულო ფურცლებზე არიან გამოსახული. ასე მაგალითად, აღიშის ოთხთავში კვადროფილიაში ჩართულია მახარებელთა მკერდამდე გამოსახულებები, ხოლო ვანის ხელნაწერში ვხვდებით წყვილ-წყვილად გამოსახულ მახარებლებს, რომელთაც მათ შორის მდგარი ქრისტე აკურთხებს.

<sup>3</sup> ხელნაწერს ერთვის ორი ბოლოსიტყვაობა: ერთი ეკუთვნის გადაწერ მიქაელს, მეორე — დამკვეთ სოფროსს.

<sup>4</sup> ბიზანტიური და შესაბამისად სომხური ხელნაწერებისაგან განსხვავებით აქ პორტრეტები წინ უსწრებს კანონებს.

<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ კოდექსის ტექსტი ეკუთვნის ოთხთავის ქართულ თარგმანთა იმ იშვიათ ნიმუშებს, რომელიც ექვთიმე მთონელისეული (მთაწმინდელი) რედაქციის მიხედვითაა შესრულებული.

<sup>6</sup> XI ს. ბოლოსა და XII ს. დასაწყისში ბიზანტიურსა და ქართულ ხელნაწერებში მახარებელთა გამოსახულებებს კიდევ ოთხი სიუჟეტი დაემატა მაცხოვრის ცხოვრებიდან: შობა, მირქმა, ნათლისღება და ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა. არსებობს მეორე ჯგუფიც. იგი გამოირჩევა თითოეული სახარების ტექსტის დაწვრილებითი ილუსტრაციებით. გ. მილლეს აზრით ეს ტიპი ანტიოქური წარმოშობისა უნდა იყოს.

<sup>7</sup> როგორც წესი, ქართულ და ბერძნულ მინიატურებში სწორედ ამ ტიპს მიმართავენ. მეორე ტიპს, ე. წ. ანტიოქურს, კითხვის დროს მქადაგებელი მახარებლისა, მეცნიერი სირიულ-ეგვიპტურ ხელოვნებასთან აკავშირებს.

<sup>8</sup> გამოჩაყლის წარმოდგენს მხოლოდ აღიშის და წყაროსთავის სახარებები, სადაც შეწყვილებულად მდგომარე ფიგურები ოთხკუთხა ჩარჩოშია წარმოდგენილი. შეიძლება ეს ფიგურათა წყვილად წარმოდგენითაა გამოწვეული. თუმცა არის შემთხვევები, კერძოდ, მიქაელ მოღრეკლის ჰიმნოგრაფიულ კრებულში, როცა ორი ფიგურა, წ. ბასილ კესარიელისა და იოანე მტბევარისა, ორ შეწყვილებულ თა-


ლებშია წარმოდგენილი. ადრეულ ნიმუშებში, სადაც უმეტესად მდგომარე ფიგურა  
რებია, მიმართავენ თაღოვან მოჩარჩოებას (სინაის ოთხთავი, ჯრუჟის I ოთხთავი).

<sup>9</sup> დანარჩენ მახარებლებთან — მარკოზ, ლუკა და იოანესთან — შესაბამისად  
წარმოდგენილნი არიან პეტრე მოციქული, ღვთისმშობელი და მამადმერთი. ეს  
საინტერესო შემთხვევაა, რადგან გამონაკლისს წარმოადგენს. ქართულ ხელნაწე-  
რებში, როგორც წესი, ისინი უმეტესად ცალკე არიან წარმოდგენილნი, იშვიათი  
გამონაკლისის გარდა. არის ორიარუსიანი კომპოზიციების მაგალითებიც, სადაც  
მახარებლის გამოსახულებას თან ერთვის რომელიმე სცენა სახარების სიუჟეტიდან.  
მაგრამ ეს წმინდა ბერძნული მოვლენაა, ჩვენს მიერ განსახილველ პერიოდს არ  
შეეხება და მხოლოდ გვიანი პერიოდის ძეგლებში აღინიშნება (ვანის სახარება,  
XII ს.). ცალკე უნდა გამოვყოთ იოანე მახარებლის ტიპი, რომელიც როგორც  
ქართულ, ისე ბერძნულ ხელნაწერებში ხშირად გამოსახება თავის მოწაფე პრო-  
ხორთან ერთად უდაბნოში, როცა ღვთის ზმისადმი ყურმიპყრობილი კარნახობს  
მოწაფეს სახარების ტექსტს. ალბომში „ქართულ ხელნაწერთა შემკულობის ნი-  
მუშები“, რენე შმერლინგი მიუთითებს, რომ ეს ტიპი ქართულ მინიატურაში აღ-  
მოსავლური იკონოგრაფიდანაა შემოსული.

## გალაკტიონ ტაბიძე

\* \* \*

არის მკითხველი  
მშვენიერ წიგნის  
და არის მხოლოდ  
გადამკითხველი...  
ის ფურცლავს, ნიშნავს,  
ადარებს, ჩიჩქნის,  
მაგრამ ვინაა  
აქ გამკითხველი?




---

მსოფლიოს  
გეოგრაფია  
ანუგუ

აღამიანები რომ აღამიანურად ვცხოვრობთ  
და ჩვენში მოგონებებს ვტოვებთ, ავას ჭაღალღს  
უნდა ვუგადადლოდეთ.

გაიუს პლინიუს სეკუნდუსი



საქართველოს  
განმანათლებლო  
სისტემა



პიეტრო დელა ვალეს მუსიკალურ-დრამატული  
 ნაწარმოები „განახლდა ვალე!“

ეს მუსიკალურ-დრამატული სამნაწილიანი ნაწარმოები დაწერილია 1629 წლის 17 დეკემბრის უძილო ღამეს, მისი პირმშოს, რომიბერას დაბადების წინ. პიეტრო დელა ვალე ამ ნაწარმოებს უძღვნის თავის მეუღლეს, მის უბრწყინვალესობა სინიორა თინათინ მარია დელა ვალეს პირველ მშვიდობიან მოლოგინებას.

ეს ალეგორიული ნაწარმოებია. რისთვის დასჭირდა პიეტრო დელა ვალეს ალეგორია? როგორც მასზე დაწერილი წიგნებიდან ირკვევა, და ისინი ძალზე ბევრია, არც რომის პაპი და არც პიეტროს ნათესავეები არ იყვნენ მომხრე ამ ქორწინებისა. „Senza beneplacito di Pápa“, „პაპის სურვილის წინააღმდეგ“, ეს კი ცოტას როდი ნიშნავდა. მის დეიდას პიეტროსთვის შერჩეული ჰყავდა საცოლე — მდიდარი რომაელი პატრიციუსის ოჯახიდან, თანაც თინათინი ასაკით უმცროსი იყო მის არაკანონიერ ქალიშვილზე, რომელიც აღმოსავლეთში მოგზაურობიდან დაბრუნებისას დაახვედრა დეიდამ. როგორც ჩანს, ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა პიეტროს, სანამ თინათინს ცოლად შეირთავდა. თინათინსაც ბევრჯერ ატკინეს გული. რაც ჩანს „მიძღვნის“ ტექსტიდან: „ტიბრიც გაიზარებს და თავის ნიშნებთან ერთად, რომის ცნობილ ბორცვებთან ერთად ზარზემით აღნიშნავს მის დაბადებას (იგულისხმება შვილი), კვლავ ხოტბას უძღვნის შენს ღირსებებს, დაგავიწყებს ძველ გულისტკენას და კვლავ ცაღდავლენს შენს ქება-დიდებას“.

ნაწარმოების მთავარ მოქმედ გმირებად გამოყვანილი არიან მდ. ტიბრი, რომი, პროტევისი\*, ჰიმენოსი\*, წმინდა სიყვარული, ნიშნები, კავკასია, იბერია. როგორც ალეგორიულ ნაწარმოებს სჩვევია, ისინი პერსონიფიცირებულნი არიან. იგი ასეთ ხმებზეა აწყობილი: ტიბრი — ბანია, რომი — სოპრანო, პროტევისი — ტენორი, ჰიმენოსი — კონტრალტო, წმინდა სიყვარული — სოპრანო, კავკასია — ბანი, იბერია — სოპრანო.

იტალიაში, სამეცნიერო მივლინებაში ყოფნის დროს, მოდენის ბიბლიოთეკაში მოვიძიე ხსენებული ნაწარმოების ხელნაწერი.<sup>1</sup> იქ წასვლამდე დაინტერესებული ვიყავი ამ თემით, თითქმის ორი წელი ვმუშაობდი მასზე და ძალზე მაინტერესებდა საკითხი ქართველი ქალისა, რომლის გვარი ჯერჯერობით კვლავ უცნობად რჩება. ამის გამო მე მიმოწერა მქონდა ანდრეა დელა ვალეს ბაზილიკის არქივარიუსთან მისი უსამღვდელოესობა ფრანჩესკო ანდრეუსთან და მის მიერ გამოგზავნილი ლიტერატურის საშუალებით მივაკვლიე ამ ნაწარმოებს. ავტოგრაფის ასლი წარმოადგენდა ნეგატივს. რომის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დავიწყე მისი კითხვა. რა თქმა უნდა, ძნელი იყო ხელნაწერის გარჩევა, ნაწარმოები შექმნილია 300-ზე მეტი წლის წინათ. თუმცა შემდეგში, მოგვიანებით, ის ძალზე გამომადგა ვატიკანის არქივში პ. დელა ვალეს დღიურზე მუშაობის დროს.

ამ თემით დიდიხანა დაინტერესებულნი იყვნენ და არიან ჩვენი მეცნიერები, ისტორიკოსები, ფილოლოგები — კ. კეკელიძე, ნ. ბერძენიშვილი, რ. თაბუკაშვილი, თ. ნატროშვილი, ლ. სანიკიძე და სხვ., ვისაც კი ამ ეპოქაზე უმუშავია და ქეთევან დედოფლის ისტორიას სწავლობდა ან იკვლევდა. ამიტომ აქ თინათინის თავგადასავალს აღარ მოვყვებით, მოკლედ მიმოვიხილავთ იმ ფაქტებს, რომლებმაც შემდეგ ასახვა ჰპოვეს ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებში.

სპარსეთში გაიცნო პიეტრო დელა ვალემ ალავერდელი მიტროპოლიტის დები — სილამაზითა და გონიერებით განთქმული ქართველი ქალები — ნესტან-დარეჯანი, თინათინი და მარიამი. ნესტან-დარეჯანს და მის მეუღლე ზაქარაას ნათლიადაც კი მოეკიდა. დები შაჰის კარზე ბრწყინავდნენ, მაგრამ შემდგომ ქართველმა შეთქმულებმა გააქციეს მათი ძმა მიტროპოლიტი, რის გამოც მათთვის სამუდამოდ დაიხურა შაჰის კარი. შაჰმა მათ რჯულის გამოცვლა მოსთხოვა, მაგრამ დებმა კატეგორიული უარი შეუთვალეს. სანამ საქართველოდან წაღებული ნივთები ეყოფოდათ, იმით ირჩენდნენ თავს, შემდეგ დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ, მაგრამ ქრისტიანული რწმენის შენარჩუნე-

<sup>1</sup> Catalogo dei codici e degli autografi posseduti del narchese Giuseppe Campori, Modena, 1875.

ბისათვის ყველაფერს იტანდნენ. მათთან სახლში იზრდებოდა მათი შორეული ნათესავი, პატარა თინათინი, ობოლი გოგონა, რომლის მამა კახეთის ერთ-ერთი ბრწყინვალე თავადის შვილი იყო. იგი ვაჟკაცურად დაიღუპა სპარსელებთან ბრძოლაში. პატარა თინათინმა დედა სპარსეთში დაკარგა და დარჩა სრულიად მიუსაფარი. იგი ზემოხსენებულმა ნათესავებმა შეიფარეს. პიეტრო დელა ვალე და მისი ასირიელი მეუღლე სიტი ჯოერიდა მათი ზნობრივი სტუმრები იყვნენ ქართული ქალებისა. ცნობილია, რომ პიეტრო დელა ვალე ბევრ გაჭირვებულს ეხმარებოდა, მათ შორის, გამორჩეულად ქართველებს. ეს იქნებოდა მატერიალური თუ მორალური დახმარება. პიეტრო დელა ვალე შაჰის საპატიო სტუმრად ითვლებოდა, შაჰი დიდად პატივს სცემდა მის გამჭრიახ გონებას და სიმამაცეს. ერთ-ერთ ლაშქრობაში თან ახლდა კიდევ და თავიც გამოიჩინა. დებმა ერთ დღეს შესთავაზეს თავისთან შეეფარებინათ ობოლი გოგონა, რადგან მალე, ალბათ, თვითონაც სრულიად უსახსროდ დარჩებოდნენ. სხვა შემთხვევაში თინათინს შაჰის ჰარამხანა ან სპარსელი წარჩინებულის ცოლობა ელოდა. პიეტრომ და მანიმ სიხარულით წამოიყვანეს შინ პატარა თინათინი და სასიყვარულოდ „მარიუჩა“ შეარქვეს. ქართველი ძიძაც აუყვანეს, რომელსაც დედამისის სახელი მზისთანდარი ერქვა. თინათინს ქართული გარემო შეუქმნეს და კარგი განათლებაც მისცეს. ერთ დღეს ისინი ქეთევან დედოფალსაც ეწვივნენ.

1621 წელს ქ. მინაში დიდი უბედურება დაატყდა პიეტროს. ცხელებისაგან გარდაიცვალა მისი მეუღლე — სიტი მანია. 4 წელი ატარა პიეტრომ მისი დაბალზამებული ნეშტი ზღვაზე და ზმელეთზე, შემდეგ რომში ჩაიტანა და თავის საგვარეულო საძვალეში — წმ. მარია დ'არაკოელის ეკლესიაში დამარხა. რომში გამგზავრების წინ პიეტრომ ტყვეობიდან გამოიხსნა თინათინი და თან წაიყვანა.

ვფიქრობთ, აქედან უნდა წარმოსდგებოდეს მისი სახელი თინათინ დი ზიბა. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას“<sup>1</sup> ქართულ-იტალიურ ლექსიკონის ნაწილში ვხვდებით სიტყვა „ზიბე“-ს, რაც ასეა ახსნილი — „საზორგელი ბრწყინვალეთაებრ“, იქვე საზორგელი ახსნილია, როგორც შესაწირავი, ბრწყინვალე ტყვე. რაც შეეხება იმას, რომ დაბოლოება არ ემთხვევა, მსგავსი შემთხვევები იმ ლექსიკონში ბევრია, ჩანს, სულხან-საბა ისევე იწერდა იტალიურ სიტყვებს, როგორც ესმოდა საუბრის დროს. მაგალითად: ათი — „დიეჩი“;

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციით. სახელგამო, 1949 წ., გვ. 223.



უწერია — „დიეჩე“, „ანდა — ანძი“, „ზანტი“ — „პონტრონე“ უნდა იყოს „პოლტრონე“ და სხვ. მაგრამ რომში მოპოვებული წიგნის, პიეტრო დელა ვალეს ბიოგრაფის Giovanni Pietro Bellori-ის წაკითხვის შემდეგ ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ ზიბა თინათინის მამა ყოფილა — „თინათინ დი ზიბა“ ნიშნავს „ზიბას ასულს“, ასეთ სახელს კი ვერ მივაკვლიე კახელ თავადიშვილთა შორის.

დიდხანს იგლოვა პიეტრომ საყვარელი მეუღლე, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა, როგორც იტყვიან, „დრო ყველაფრის მკურნალია“, თინათინიც წამოიზარდა, მშვენიერ ქართველ საპატარძლოზე ბევრს ეპირა თვალი რომში და... პიეტრომ მასზე იქორწინა.

პიეტრო დელა ვალე თავის გადაწყვეტილებას ორი გარემოებით ხსნის. ჯერ მიუთითებს, ჩემს საგვარეულოში ჩემს გარდა აღარავინ დარჩენილა და გვარს მემკვიდრე სჭირდებაო. მაგრამ რაღა მაინცდამაინც „სინიორა მარიას“ უნდა შეესრულებინა დელა ვალეთა უძველესი გვარისათვის მემკვიდრეთა გაჩენის საპატიო მისია?

ორმოცდაოთხი წლის პიეტროს თავისი გრძნობების გამჟღავნება წერილში, ეტყობა, ეუხერხულება და მაინც იძულებულია სიტყვა-ძუნწად შეეხოს იმ დიდ სიყვარულს, ყველა ცრურწმენა და ჭოჭმანი რომ ჩაახშო. შესაძლოა გვეჩოთიროს პიეტროს მიერ ცოლად შერთვა მარიუჩასი, რომელიც მის ოჯახშივე იზრდებოდა, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ სწორედ მისმა პირველმა მეუღლემ, სიკვდილის წინ (1621 წ.) მარიუჩას მოვლა-პატრონობა უანდერძა პიეტროს და მიღებული გადაწყვეტილება, ალბათ, საუკეთესო გზა იყო ამ ანდერძის პირნათლად შესასრულებლად.

პიეტრო ერთგვარი სიამაყით წერს, რომ „სინიორა მარია“ დათანხმდა ამ ქორწინებაზე, მიუხედავად იმისა, რომ თვით პიეტროს აღიარებით იგი საკმაოდ ზნიერი იყო მარიუჩაზე (დაახლ. ოცი წლით უფროსი იქნებოდა), და იქვე დასძენს: ამასთან ერთად ათასი სხვა ნაკლიც არ მაკლიაო.

უნდა ვიფიქროთ, რომ რომში გადახვეწილი ქართველი ქალისათვისაც ბუნებრივი იყო სურვილი — არასოდეს განშორებოდა პიეტროს, ვისთანაც აკავშირებდა აურაცხელი ტკბილი თუ მწარე მოგონებები. მათი სიყვარული თუ ოჯახური ბედნიერება დაამშვენა მრავალრიცხოვანმა შთამომავლობამ (დელა ვალეს ბიოგრაფის სიტყვით, სულ თოთხმეტი შვილი შესძენიათ).

რამ აღმოაცენა ეს სიყვარული, რამ გადალახა ასაკობრივი ბარიერი? ქართველი გოგონა ბავშვობიდანვე პიეტროს თვალწინ იზრდებოდა. ჭირი და ლხინი საერთო ჰქონდათ. ერთად დასტიროდნენ მანის ცხედარს, ერთად უხაროდათ შირაზის ტყვეობაში მყოფი ქართველების, კერძოდ, ენაწყლიანი ხუცესი გიორგისა და თავისი გულსხმიერებითა და სათნოებით სახელგანთქმული ქეთევან დედოფლის გაცნობა. ერთადვე ემშვიდობებოდნენ წამებისა და სიკვდილისათვის თავდადალებულს. მარიუჩას, რასაკვირველია, მადლიერების კანონზომიერი გრძნობა ჩაესახებოდა გულში იმ ადამიანისადმი, რომელმაც დაობლებულს, უცხოეთში მოხვედრილს, რომელიმე ყიზილბაშის ჰარამხანაში გამოსაკეტად განწირულს, თავშესაფარი მისცა და ტყვეობის მოსალოდნელი ფათერაკებისაგან საშუალოდ იხსნა.

ხოლო პიეტროს სიყვარულის წარმოქმნას, ალბათ, სიბრალულმაც შეუწყო ხელი. დაჩაგრული და აოხრებული ქვეყნის შვილი თავისი ბედით თითქოსდა გამოხატავდა საერთო სატყივარს. ირანში ყოფნისას დელა ვალემ დაწვრილებით შეიტყო ის ჭირ-ვარამი, რაც საქართველოს გადახდა. ათასნაირ უბედურებათა ნიმუშად ესეც კმაროდა — უცხოა და მტრულ ქვეყანაში თითქმის უპატრონოდ დარჩენილი ქართველი გოგონა, წარჩინებული გვარისა, რომლის შორეულმა ნათესავებმა, უზომო გაჭირვებაში ჩავარდნილმა ოდესღაც მდიდარმა ქართველმა ქალებმა ყველაზე გონივრულსა და ეფექტურ ხერხს მიავანეს — ობლის მოვლა-პატრონობა მიანდვეს რომაელ ერთმორწმუნეს, მგზნებარე ქრისტიანსა და ყველა ქრისტიანის კეთილსმყოფელს თავისუფალსა და შეძლებულ პიროვნებას.

პიეტრო დელა ვალე თავის „მოგზაურობაში“ მრავალ გულითად სიტყვას ამბობდა ქართველების შესახებ, აღფრთოვანებული იყო მათი ძლიერებით, ღრმა ქრისტიანული რწმენით, განათლებითა და, განსაკუთრებით, ქართველი ქალების სილამაზით.

„...სიმართლე რომ ითქვას, — სწერდა პიეტრო დელა ვალე უახლოეს მეგობარს ექიმ მარიო სკიპანოს ნეაპოლში, — ქართველი ქალები ძალზე ლამაზნი არიან მთელს აზიაში. შავგვრემანი სპარსელები ვერ შეედრებიან მათ. ქართველი ქალები არიან იმდენად ტანმალანი, რომ სიმალლე ქალბატონ ფაუსტინა ალბერინისა, დეიდაჩემისა, ძალზე ჩვეულებრივია მათ შორის. თითქმის ყველას შავი თმა აქვს და თვალებიც შავი — დიდრონი და მომხიბლავი, პირისაზე —



თეთრი, ხოლო ლოყები ვარდისფერი... მე ვთვლი ქართველებს ერთ ულამაზეს ხალხად მთელს მსოფლიოში.“<sup>1</sup>

„...პიეტრო, რომელსაც არაფერი აკლდა იმ სიკეთეთაგან, რასაც ბუნება იმეტებს ხოლმე, როდესაც სურს შექმნას ყოველმხრივ სრულყოფილი ადამიანი“ (მისი ბიოგრაფის პიეტრო ბელორის სიტყვებით), რომანტიკული სულისკვეთებითაც იყო დაჯილდოებული. სეფიანთა ირანში მყოფი იტალიელი მოგზაური ხანდაზან განუხორციელებელ ოცნებასაც ეძლეოდა და „ახალი მოსე“ ელანდებოდა, ვისაც ეგვიპტის ტყვეობიდან უნდა ეხსნა ჩაგრული ქართველი ხალხი, ანდა „ახალი ვოტფრიდების“ (იგულისხმება პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წინამძღოლი ვოტფრიდ ბელონელი) გამოჩენას ელოდა დასავლეთიდან დახმარების ხელის გასაწვდენად აღმოსავლეთის ქრისტიანებისათვის.

„...1621 წელს, როდესაც ძალზე ახლოს იყო საქართველოს „გათათრებისა“ თუ ამოგდების შაჰ-აბასისეული პროექტის უკანასკნელი აკორდები, რის წარმოდგენასაც დიდი ფანტაზია არ სჭირდებოდა, ხოლო მარტყოფი და მარაბდა იმდენად შორს იყო, რომ თითო-ორო-ლა კაცი თუ დაიჭერებდა ამგვარ მომავალს, დელა ვალე, შთაგონებული ირანში გაცნობილ ქართველთაგან მოსმენილი ამბებით ყიზილბაშთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის შესახებ, ოპტიმისტური სინათლით აზივებდა შავბნელი ფერების მოძალებას თავის წერილებში: „რაც შეეხება საქართველოს, მე მახსენდება, რომ წინათაც იყო ბარბაროსთა მსგავსი შემოსევანი, მაგალითად, თემურლენგისა, ჩვენ რომ ტამერლანს ვეძახით, და საქართველომ გადაიტანა არახაკლები ტანჯვა, შესაძლოა — უფრო მეტიც, ვიდრე დღეს, მაგრამ გადაუვლია მძვინვარე ქარიშხალს, ნაომარი ქვეყანა ისევ აღმდგარა და არ დაუქარგავს ქრისტიანული საოწმუნოება.“<sup>2</sup>

პატარა ქრისტიანული ქვეყნის ტრაგიკული ზვედრით აღძრული თანაგრძნობა და იმავე ქვეყნის შესაშური ბრძოლით წარმოთქმნილი ალტაცება, ალბათ, განაპირობებდა ზემოხსენებულ მიკერძოებას, რაც დელა ვალეს თხზულების გულდასმით განჩხრეკისას შეიძლება თვალში მოხვდეს მკითხველს.

იტალიელი მოგზაური ჩახვასით აღნიშნავს, რომ ქართველებმა

<sup>1</sup> თ. ნატროშვილი — მაშრიყით მღერობამდე, „საბჭოთა საქართველო“, 1978, გვ. 166.

<sup>2</sup> თ. ნატროშვილი, „სახელად დავარქვი „რომიბერა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1 მაისი, 1987 წ.

დღემდე დაიცევს თავისი რჯული, თუმცა „ურჯულო“ მტრებით გამოემორტყმულნი არიანო. ირანსა და ოსმალეთის იმპერიებს შორის მარტოდმარტო დარჩენილნი, თითქმის სასოწარკვეთამდე მისულნი, იცავდნენ თავს და არსაიდან არავითარი შემწეობა არ ჩანდა. დელა ვალეს ეჭვიც კი არ ეპარება, რომ ზემოთქმულის გამო ქართველები იმსახურებენ ქებას, მაგრამ ის მეტსაც ამბობს: ქრისტიანული ეკლესია დავალებულია მათგან ამ მხნეობის გამო, რაც ქართველებს მაჰმადიან აგრესორებთან ბრძოლაში გამოუჩენიათო“.

რომში, ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მუშაობისას, ბუნებრივია, ქართულ მასალებთან ერთად კვლავ ვეძებდი ცნობებს პიეტრო დელა ვალეს შესახებ, შემთხვევით მუსიკალურ ჟურნალში წავაწყდი პიეტრო დელა ვალეს გამოუქვეყნებელ წერილებს იმ დროის ცნობილი მუსიკალური მოღვაწის ჯ. დონისადმი და იქვე იყო დაბეჭდილი ჩემს მიერ ზემოთ ნახსენები პიეტრო დელა ვალეს ნაწარმოები „La Valle rinverditა“<sup>1</sup>, რომელსაც კვლავ ჩემი იტალიელი მეგობრების დახმარებით ვარჩევდი.

სამწუხაროდ, პიეტრო დელა ვალეს ლიტერატურულ მოღვაწეობაზე, მის პოეტურ შემოქმედებაზე ენციკლოპედიებში ვერაფერს მივაკვლიე (დროც არ იყო), მხოლოდ „Enciclopedia dello Spettacolo“<sup>2</sup>-ში იყო მცირე ცნობა პიეტრო დელა ვალეს შესახებ. და ის ფაქტი ჩემთვის ფრიად საინტერესო აღმოჩნდა, ხსენებული ნაწარმოები შეტანილი იყო აღნიშნულ ენციკლოპედიაში. აი, ეს პატარა ცნობაც: „პიეტრო დ. ვ. იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში 1614—1626 წწ. მან მონაწილეობა მიიღო, როგორც სამხედრო პირმა, ტუნისში ლაშქრობაში. იყო რომის ჰუმორისტების აკადემიის წევრი, წერდა ლექსებს, სონეტებს. მარტო მანის მიუძღვნა 33 სონეტი, არის მრავალი ფილოლოგიური ნაშრომის ავტორი, რომლის დიდი ნაწილი დაკარგულია. პიეტრო დელა ვალეს კალამს ეკუთვნის ალეგორიული მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები „განახლდა ვალე!“, რომელიც 1629 წელს წარმოდგენილი იქნა მის საკუთარ სახლში, მუსიკა უცნობია.

„განახლდა ვალე!“ იწყება მიძღვნი თინათინისადმი ლექსად, თითოეული ტაეპი 6 სტრიქონიანია.

<sup>1</sup> RMIC Rivista Musicale Italiana, vol. 12, 1905 Torino, Fratelli Bocca editori, fascicolo 2, pag. 314—338.

<sup>2</sup> Enciclopedia dello Spettacolo, Roma, vol. 1V, pag. 411.

## განახლდა ვალე!

### I

შენ, შენ გეკუთენის ეს მზურვალე  
მიძღვნაც და ქებაც,  
შენ, ვინც სიცოცხლე განუახლე  
ღაშრეტულ ვალეს.  
ეს მშვენიერი თაიფულიც შენ  
შითვალე  
ნიშნად მადლობის, ჩემს გულთან ერთად,  
რომ შენს ამაყ თავს ყვევილების  
ნაზი გვირგვინი  
დაედგას ნათელ შარავანდუდდ.  
უამრავ გმირთა მშობელი რომი  
თავზე დაგადგამს გვირგვინს ალერსით,  
რადგან იხსენი გაჭრობისაგან  
ჭიში და გენი დიდი ვალესი.  
შენ გაიფანტე დამთრგუნველი  
ნალეველი კრული,  
შენ სანუევიარი იმედებით ამივსე  
გული.  
შავი სიკვდილის ბოროტი და მსახვრალი ხელით  
ქრება ამქვეყნად დიდება ყველა.  
არც ბრძენს, არც მამაცს, არც  
მშვენიერს იგი არ ინდობს,  
არვის შეარჩენს ნეტარებას, სიცოცხლის  
სიტკბოს.  
ვაი, რომ ზულაც ვერაზს შველის  
ვერც მას, ვის სულსაც სიმალღე  
შვენის.

შენ კი ვერასდროს შეგვებება  
დასაფიწყებლად  
ვერც ღრო და ჟამი, ვერც სიკვიდილი  
და წარმავლობა,  
რამეთუ დიდი ვალებების შთამომავლობა  
შენს სადიდებლად ილაღადებს  
ლოცვებს უწმინდესს,  
შენ მის ყამირში თესლი ჩადე  
გასაღვივებლად.  
მისი ნაყოფი მიწად აღარ დაედირება.

1 მიძღვნისა და ნაწარმოების პროზაული თარგმანი ეკუთენის ზ. სტურუას.

შენი პირში რომ ამ ქვეყნის  
მოეცლინება,  
მაშინვე მზეებზე გაბრწყინდება შენი  
დიდება,  
აღტაცებული ტიბრია და მისი  
ნიმფებიც  
რომის ბორცვებზე მხიარულად  
იზივებენ.  
ასე ილხენენ, სიხარული ფრთებს ვერ  
კეცაედეს.  
შენს სადიდებელს აღაფლენენ მალა,  
ზეცამდე.

შენც ვაერიც ამ ნიმფების  
მხიარულ დასში,  
ნუ შეგშურდება ბედი ტურფა  
არიადნასი,  
ვისი გვირგვინის ოქროს სხვიც  
მარადისობამ  
წერილ ვარსკვლავებად დაამსხვრია  
და ცაღ ისროლა,  
შენთვის ცოტაა ეს გვირგვინი, სავსე  
ალმასით,  
სხვა უკვდავებას განამზადებს  
შენთვის პარნასი.

**პირველ ნაწილში სცენა წარმოადგენს კამპიდოლიოს,\* რომელიც თავიდან სამგლოვიაროდაა მორთული, მის ფერხთით — სევდიან პო- ზაში ზის შავ ძაძვებში გამოწყობილი რომი.**

ტიბრი მიმართავს რომს: „ქალაქთა მეფევ, ნაყოფიერო დედავ სახელგანთქმული გმირებისა, ამაყო დედოფალო, მრავალ გამარჯვება- თა მომსწრევ, ახლა რატომ გხედავ ასე დამწუხრებულად, კამპიდო- ლიოზე მალალ დაფნის ზეების ნაცვლად საცოდავი კიპაროსები იძ- ლევიან ჩრდილს, რა მოხდა, ამიხსენიო, რაზედაც რომი პასუხობს: მიზეზია სიკვდილის მსახერალი ხელი, რომელმაც დამამწუხარა და აღრინდელი მხიარულება დარდით შემეცვალა. ვერაფერს იზამ, სიკვდილის კანონი ისეთია, ვერაფრით თავს ვერ დააღწევ, რადგან იგი ცაშია დაწერილიო. შემდეგ რომი უყვება თავისი დარდის მი- ზეზს, რაც აქტობიოგრაფიულია. ჩვენი დარდი საერთოა, რადგან იგი ჩვენს შვილს, ვალეს ეხება, რომელიც აქ, ჩვენს წინ გაიზარდა, ჩემს



ბორცვებს შორის, პატარაობიდან ვიცნობ მას, ვიცი მისი კეთილშობილება, სიმამაცე, იგი ბევრი ჭირისა და თავგადასავლის გადაძტანია, ახალგაზრდობაში შორს, აღმოსავლეთში გამექცა, იქ მოუხმობ ბედისწერამ, მოილოცა წმინდა ადგილები, ბევრი შრომა, ბრძოლა და გარჯა შეხვდა, სანამ რომში დაბრუნდებოდა, ბევრი რამ შეისწავლა, ჩამოიტანა აუარებელი ხელნაწერი და უცნობი რელიცია. ტბრი ჩაურთავს — ვიცი, იგი ნამდვილად ქების ღირსია და არის კიდევ დაფასებულიო. შემდეგ, — განაგრძო რომმა, — სიყვარულმა და ჰიმენეოსმა მოისურვეს, რომ შეეყვარებინა მესოპოტამიის ქალიშვილი, მთელ აღმოსავლეთში სიმშვენიერით და სიბრძნით განთქმული, შეირთო კიდევ. ჩვენი პილიგრიმი იმედით ცოცხლობდა, რომ მალე იხილავდა მემკვიდრეს, მისი გვარის გამგრძელებელს, მაგრამ უსამართლო სიკვდილმა იგი მოცელა და მშვენიერ რძლის მაგიერ ჩამოგვიტანეს მისი დანაცრებული სხეული, რომელსაც ჩამოჰყვა ჩვენი შვილი. ძნელია ქვეყნად მონახო უფრო ერთგული ქმარი, იგი მისცემია უიმედობას და ვშიშობ უძეოდ არ გადააშენოს გაუქაცრიელებული ვალეს მამული. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ ტბრი და რომი, ციდან ჰეკა-ქუხილის, წვიმისა და სეტყვის მარცვლების სახით, ჩამოდის პროტევისი. იმანაც იკითხა მათი ცრემლების მიზეზი და როცა ის შეიტყო, ანუგეშა — ენდეთ ჩემს სიტყვას, ის, ვისაც თქვენ იგლოვთ, არ მომკვდარა, მოკვდა მხოლოდ მისი სხეული, სული კი უკვდავებაში გადავიდა და მაშინ როცა თქვენ აქ მოთქვამთ და ტირით, ის ანგელოზებთან უკვდავებითა ტკბება. დედამიწა არ იყო მისი ღირსი და ის ცამ წაიყვანა. რათა იმავე მშვენიერი სახით შემორჩეს და არ შეიცვალოს, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი. იმას გლოვა არ სჭირდება, ვინც ცაში განცხრომით ცხოვრობსო. ამ სიტყვებმა ძალზე გაახარეს რომი და ტბრი და პროტევისს უთხრეს: კარგი ამბის მაუწყებელი ხარ, მაგრამ ამ ჩვენს ვალეს რაღა ეშველება, დარდით თავს რომ იკლავსო. — ნუ გეშინიათო, მალე ვალე სიკვდილსა და დროს თინს მოუწყობსო, კვლავ აღორძინდება ვალეს მამული, აყვავდება, აბიბინდება და სულ მალე დაიბადება ახალი სიცოცხლეო. ეგ როგორო, — ეკითხება ტბრი, — ვალე ხომ ქვრივია და ასე მარტობაში უნდა დაამთავროს თავის სიცოცხლეო? პროტევისი ჰპირდება, რომ მოუხმობს ჰიმენეოსს, რომელიც ახალ საქორწინო ჯაჭვს მოუშზადებს მას მეორე ბედნიერ ქორწინებისას. მარტო ჰიმენეოსი რას ეყოფა — თუ ნამდვილი სიყვარულიც არ დაეხმარაო. პროტევისი დაამბედებს მათ: — ჰიმენეოსს სიყვარულიც დაეხმარება და ორთავე შეძლებენ დაგიბ-



რუნონ დამწუხრებული შვილი, ამისათვის კი საჭიროა კამბილოლი-  
მაც და რომმაც ჩაიცვათ მხიარული ტანსაცმელი, გაიზადოთ ძაძები,  
ხოლო შენ, ტიბრო, — მიმართავს მდინარეს, — ცოტა უნდა დაიწმინ-  
დო, თორემ შენი წყალი ძალიან ამღვრეულია ცრემლებისაგანო. ახლა  
კი ვიმღეროთ და ვიცეკვოთ ამ საქმის ბედნიერი დაბოლოების გა-  
მოთ. რომი, ტიბრი და პროტევისი ერთად ცეკვავენ.

**მეორე ნაწილი. ღრუბლით ციდან ეშვებიან ჰიმენოსი და წმინდა  
სიყვარული.**

ჰიმენოსი ესაუბრება წმინდა სიყვარულს: — რას უნდა იმ შენს  
უწმინდურ ძმას, რომ დაბლა არ მიშვებდაო, სხვებსაც აქეზებდა, მა-  
გას არ წაჰყვეთო, არც მჭირდება მაგათი ხლება, მე მარტო შენ მე-  
ყოფი, რადგან წმინდა სიყვარული გულწრფელია, შენს ცის ნებას  
ამცნობ ხოლმე ადამიანებს და ერთგულებას უნერგავო. ჩვენს დახ-  
მარებას ელიან რომი და ტიბრი, უსაზღვროა მათი მწუხარება, დღე  
და ღამ ტირიან და მოთქვამენ, ეშინიათ, ვალე, მათი შვილი. უძეოდ  
არ გადაშენდესო. სიყვარული ყველაფერზე ეთანხმება და მზად არის  
ჰიმენოსთან ერთად დაეხმაროს რომს და ტიბრს ვალეს მამულის  
აღორძინებაში — მალე ნახავენ ისინი ვალეს კვლავ აყვავებულს და  
მასში ათასი გედის სიმღერას მოისმენენო. რომი და ტიბრი დიდი  
პატივით ეგებებიან ჰიმენოსს და ქათინაურს ეუბნებიან, თქვენ ყო-  
ველთვის ჩვენთან ხართ, ჩვენო მარადიულო ღმერთებო, მხოლოდ  
თქვენ შეგიძლიათ კვლავ გააცოცხლოთ ლათინთა სისხლი, რომელიც  
ახლა ჩვენს შვილს — ვალეს დაშრეტილი აქვს. ჰიმენოსი და სიყვა-  
რული მათ აიმედებენ; ჰიმენოსი იფიცება — მზად ვარ ჩემი სამსა-  
ხური შემოგთავაზო და კვლავ ავაყვავო და ავალორძინო თითოეული  
მინდორი თუ მოედანიო, თავის მხრივ სიყვარული ჰპირდება — ჩემი  
ნელ-ტკბილი ცეცხლი უნდა შევიყვანო მის გულში, უკვე ვამზადებ  
მისთვის ქალწულს, რომელიც ჩემი თხოვნით შეარჩია ჩემმა მეგო-  
ბარმა ბედისწერამო.

რომს და ჰიმენოსს კითხვა გაუჩნდათ — ვინ არის ის ასული,  
ვინც ამდენ ბედნიერებას გვპირდებაო, გვითხარი — ისინი ხომ მე  
უნდა შევეართო ქორწინების მყარი ჯაჭვით და თავზე გვირგვინი და-  
ვადგაო. სიყვარული უყვება მათ: (ეს პიეტრო დელა ვალეს თავგადა-  
სავალია) მაშინ, როცა სპარსელებმა თავისი მრავალრიცხოვნებითა და

საუკეთესო იარაღით ააოხრეს იბერია, ამ ბრძოლაში მტრის ბევრი დაიღუპა, სარდალი თუ ბეგი, ბევრიც ტყვედ წაასხეს, ამ დროს ჩვენმა რომაელმა პილიგრიმმა, რომელიც თვითმხილველი იყო ქართველი ხალხის თავს დატეხილი უბედურებისა, თავისი კეთილშობილებით, თავისი მეგობრების დახმარებით შეძლო გადაერჩინა ერთი დიდგვაროვანი გოგონა, რომელიც პირისპირ აღმოჩნდა განარისხებული ბედისწერის წინაშე. მან იგი დაიცვა, ათასი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა, რომ იგი უვნებელი წამოეყვანა, მისი ასაკი მზრუნველობას მოითხოვდა და შინ წამოიყვანა და თავის ანგელოზ მეუღლეს — სიტი მანის ჩააბარა აღსაზრდელად. ღირსეულად უპასუხა გოგონამ მათ სიყვარულს, თვითონაც შეიყვარა ისინი, როგორც ნამდვილი შობილები, რადგან მამა სპარსელებთან ბრძოლაში დაეცა, დედაც ცოტახნის შემდეგ დაკარგა და დარჩა უცხო მიწაზე, ურწმუნოთა შორის; მე შევკარი სამთა გული შეთანხმებული, ჰარმონიული სიყვარულით, მაგრამ, როგორც უკვე იცით, მანნი მოიხმო ცამ, მწარე იყო მისი გამოთხოვება საყვარელ ქმართან და შემდეგ თინათინთან (ეს სახელი ერქვა მშვენიერ იბერიელს). მხურვალე ლოცვას აღავლენდა გოგონა დაღუბული დედის მაგიერის გამო, სანამ მანნი მიიცილებოდა, პირობა ჩამოართვა ქმარს, რომ ცა მას უძღვნიდა თავის რჩევას და სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც თინათინზე უნდა ეზრუნა, — თვითონ კი კიბე შეიშალა ცისკენ ასავლელად, როგორც ნამდვილ ღვთის მორწმუნეს შეეფერებოდა. შემდეგ, — განაგრძო ამბავი სიყვარულმა, — გოგონას რომელი კავალერი ერთი წუთით არ მიუტოვებია თავის უსაზღვრო დარდსა და ვარაშში, ყოველთვის მზრუნველობით თავს დასტრიალებდა, მასთან ერთად მისტიროდა ამ ქვეყნიდან უდროოდ წასულ მანის, ყველგან თან დაჰყვებოდა ვალეს — წყალსა თუ ხმელეთზე, რამდენიმე წლის განმავლობაში, გადმოლახეს ოკეანე, შემდეგ მიწაზე გადმოდგეს ფეხი, ვინ მოთვლის რამდენი გზა და ბილიკი, გაიარეს ერთად, მოვლეს ინდოეთი, ქალდეა, არაბეთი და სირია, გაუძღეს ყოველგვარ განსაცდელს, გამძვინვარებულ ნეპტუნს, ზღვის ღმერთს, მოტიტელებულ უდაბნოებში გარეულ მხეცებს, რამდენჯერ შეხვდნენ ყაჩაღებს და ზღვის ავაზაკებს. ახალი იბერიელი ამორძალი შეიარაღებული მარჯვენით იგერიებდა მტერს, რომაელ პილიგრიმთან ერთად ხმლითა და მახვილით იცავდა მანის ძვირფასს ნეშტს და, ბოლოს, აღთქმის თანახმად, ჩამოიტანეს კიდევ აქ, რომში, მათი აზრით, ქვეყნად ყველაზე ღირსეულ ადგილას. აქ საუბარში რომი ჩაერთა: — მე ვნახე იგი მანის დასაფლავებაზე, როგორ მწარედ ტი-



როდა და როგორ ჩავიდა აკლდამაში პიეტროსთან ერთად, ვნახე ამა-  
სი კოცნითა და ოხვრით რომ დატოვა საძვალეო. — ჰოდა, სწორედ  
ეგ არის, ჩემს მიერ შერჩეული საცოლე, ცისგანაც ნაწინასწარმეტყ-  
ველევია, როგორც მისი ბედისწერა, ასინი ერთად ივლიან ცხოვრების  
ეტლით. სხვას ვის შეუძლია ღირსეული პატივი მიაგოს მაანის ხსოვ-  
ნას, ილოცოს მის სულზე, და შეუმსუბუქოს ვალეს მწუხარება და  
დარდიო. ეგ ყველაფერი კარგო, — შეედავა რომი, — მაგრამ პიეტრო  
დელა ვალეს ის უყვარს, როგორც შვილი, ეს ცხოვრების წესია, რომ  
შვილებს უნდა უყვარდეთ თავისი მშობელი. ვფიქრობ, არ იქნება  
სწორი ჩვენმა პილიგრიმმა ასეთი ფიქრიც კი გაივლოს გულში, ასაკ-  
შიც დიდი ზხვაობაა, განა ერთია საქმროსი და მამის ასაკი? ამაზე  
სიყვარული პასუხობს — მამობრივი სიყვარულია თუ საქმროსი, ეგ  
სულერთია, თუ ის წმინდა და ღვთიურია, იგი შეიძლება შეიცვალოს  
არანაკლებ ჭეშმარიტ და ნამდვილ სიყვარულად და მისმა სიყვარულმა  
მიიღოს სულ სხვა სახე — ეს ჰიმენოსის საქმეა და გააკეთებს კიდევ.  
ჰიმენოსი ეთანხმება: — მამობრივ სიყვარულს შეყვარებული მამაკა-  
ცის ნაზ გრძნობებზე შევეცვლიო, რაზეც ბოლოს რომიც თანხმობას  
განაცხადებს: — იბერიელი ქალიშვილი ჩემთვისაც სასურველი პატარ-  
ძალი იქნებაო.

**• ცვლება სცენა, კამბლილიოს ნაცვლად სცენაზე გამოჩნდება რომის  
შვიდი ბორცივი და მათ შორის ვალეების საგვარეულო სამფლობე-  
ლოები მთლიანად გაფურჩხნილი და აყვავებული.**

სიყვარული, ჰიმენოსი, რომი და ტიბრი ერთად ცეკვავენ, წყვე-  
ტენ ყვავილებს და აქეთ-იქით მიმოაბნევენ, თან მდერიან: მოდი, მო-  
დი, ბედნიერო ტურფავ იბერიელო ასულო, რათა სიხარული მოჰგ-  
ვარო რომსა და ტიბრს, თქვენს სიყვარულს დალოცავს ზეცა; ყოველი  
ბოროტი ვარსკვლავი თუ ვერაგი ძალა, რაც კი მათ შეერთებას ხელს  
უშლიდა, ფარ-ხმალს დაჰყრის და ბრწყინვალე საქორწინო ცერემო-  
ნილის მოლოდინში უკვალოდ გაქრება და გაუჩინარდება.

**მესამე ნაწილში სცენაზე არიან კავკასია და იბერია.**

კავკასია ესაუბრება იბერიას: ჩემ ციცაბო მთებს და ფერდობებს,  
ცადამწვდომ მწვერვალებს და შენი მშვენიერი მდინარეთა სანაპი-  
როებს, იბერია, რომელიც თამამად შეიძლება გვერდით დაუყენო  
აკვილონს (საბერძნეთის უდიდესი მდინარე), ჩვენ, ჩემს ბნელ გამო-



ქვაბულებს, შიშის მომგვრელ საშინელებებს შორის ყოველ წუთს გვესმოდა პრომეთეს ხმა, გაუმაძღარი არწივი რომ უკორტნიდა გულს და რომელიც კვლავ სასწაულებრივ მთელდებოდა. ათასი უღმობელი ქლეტვის მომსწრენი ვართ ველური, უწმინდური მტრის შემოსევებისა: მე ვაწოვე ძუძუ აზიას. ახლა ეტოვებ ამაყ კავკასიონს, რომ შენ გამოგყვე იტალიაში. იმ სახელგანთქმულ შეიდ ბორცვთან, რომ რაიმეში გამოგადგე, ამის ნიშნად მორჩილად გიხრი თავსო.

იბერია პასუხობს: — ძალზე დიდმა მიზეზმა მაიძულა შემეწუხებინა ევროპა და მისი უკიდურესი კუთხეები,\* რათა კვლავ მეხილა ანტიკური სამყაროს საყვარული შთამომავალი და ოკეანის ნაპირებზე, ევროპის უკიდურეს საზღვარზე მყოფი ქვეყანა. ჩემი სახელი ვფიქრობ იქ კიდევ ახსოვთ. და თუ დაგვეხმარებიან, მსურს შური ვიძიო იმ შეურაცხყოფისათვის, რაც ბარბაროსმა სპარსელებმა დაგვმართეს.\*

ამაზე კავკასია პასუხობს: — მართლაც მოვალე ხარ, რომ იმ უღმერთოებს და ურწმუნოებს მოსტებო სიამაყის მაღალი რქები, შენ ყოველთვის მამაცურად იბრძოდი საუკუნეთა მანძილზე შიიტების და სპარსელების წინააღმდეგ, შენი ვაჟკაცობა მუდამ ბრახს ჰგვრიდა ტირანებს, მაგრამ თუ მოხდებოდა, რომ მათთან შეტაკებაში დამარცხდებოდი, ეს შენი შვილების სისუსტით როდი იყო გამოწვეული, არამედ ძალთა უთანასწორობით ამ ბრძოლაში. ყოველივე ამის მიუხედავად, დღემდე შეინარჩუნე შენი რწმენა და ძველებური ვაჟკაცობა და სიქველე. იბერია განაგრძობს თავის თავგადასავალს: — გულმკერდი დამიფლითეს, ბრძოლის ველი სისხლით მირწყეს, დარჩა დამწვარი და შევიწროებული ტაძრები, ჩემი კეთილშობილი შთამომავლობა უღირს მდგომარეობაში ჩავარდა — ჩემი უიღბლო ლუარსაბის სიცოცხლე სპარსეთში ჩაქრა, ანდა დედოფალი ქეთევანი, უიარალო, უსამართლოდ დაატყვევეს და შემდეგ სისხლიან გზას გაუყენეს. მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ იგი ცად ავიდა, მაგრამ მე მჯერა, სპარსეთს ეს არ შერჩება. აქ, ვატიკანში, უწმინდესი და უნეტარესი ურბანუსი ცის სამყოფელს გაუხსნის და ზეციურ სასუფეველს დაუმკვიდრებს ქეთევანსო.

ბედისწერის წყალობით ვიბოვე ჩემი დაკარგული შვილიც, ჩემი იმედი, თინათინი, რომელიც ცოცხალი აღარ მეგულებოდა და ამის გამო ბევრს ვოხრავდი და ვიტანჯებოდი. თუ არ ვცდები, ვიღაც რომაელმა მეომარმა, ლაციუმიდან, დაიკვა იგი ბარბაროსთა შეურაცხყოფისაგან და საიმედოდ შინ წაიყვანა. აღტაცებული კავკასია ქებას

უძღვნის იმ მეომარს და ამბობს: — ყველა მორწმუნე და ნამდვილი ქრისტიანი ეგრე მოიქცეოდა. რომელი მეომარი შეჰპირდა: — მე ვიქნები ფარი შენი პატიოსნების და თუ ზეცა დამეხმარება, უფრო ბედნიერს გაგხდიო. ამ ლაპარაკში გამოჩნდება ცეცხლი, რომელსაც ციდან ჩამოჰყვება პროტევისი, სცენაზე სურნელოვანი კვამლი დადგება, რომელიც მალე გაიფანტება. პროტევისი იბერიას და კავკასიას აუწყებს, ვისზეც თქვენ ლაპარაკობთ, იმას აქ ნახავთ, მაგრამ არა როგორც პოლიგრიმს და უცხო სტუმარს; არამედ თქვენ რჩეულ შვილთან დაწყვილებულს, რომმა რომ დალოცა. ამასთან ერთად მან საუკეთესო განძით და რჩეული საჩუქრებით დატვირთული ნუნციები გამოუშვა თქვენთან, ისინი ალბათ უკვე თქვენი ქვეყნის საზღვარს მიტანებული იქნებიან, ნუნციები მშვიდობის, ჯანმრთელობის, და სიყვითის ნუნციები, რომლებმაც თან წამოიღეს ათასი რამ, რათა ცხოველი სხივებით გაანათონ ქართველთა გონება. მალე გაიფანტება გაუგებრობათა ბურუსი და განათდება სიმართლათა და ჭეშმარიტებით, ეს ლიტონი სიტყვები არ გეგონოთ, გახსოვდეთ, რასაც პროტევისი იწინასწარმეტყველებს, ის ყოველთვის ნაღდია და წყალი არ გაუვაო.

კავკასია და იბერია ალტაცებას გამოხატავენ ამ სასიხარულო ამბის შეტყობით. პროტევისი იხსენებს ყველა იმ უბედურებას, რაც ქართველებს აქამდე ვადუტანიათ (ამ მონაკვეთში კარგად ჩანს საქართველოს ისტორიის ცოდნა), ეხება თეიმურაზის მეფობის იმ პერიოდს, როდესაც გიორგი სააკაძის მახვილის შემწეობით იგი ქართლ-კახეთის მეფე გახდა. იბერია და კავკასია მადლობას უხდნიან პროტევისს, თუმცა ავერ არიან რომი და ტიბრი, მიეახლეთ და თაყვანი ეცითო.

იბერია და კავკასია მიეახლებიან და მალაღმარდოვანი სიტყვებით მიმართავენ რომს: — „ო, ქალაქთა დედოფალო, დღეს კიდევ უფრო ბრწყინვალევე, ვიდრე ძველად, იმპერიის დროს, თქვენ ფეხით ვდებთ ჩვენს საჩუქრებს და მოგესალმებით დიდი პატივით“. რომი ამაზე თვითონაც ქათინაურებით პასუხობს და, ბოლოს, იბერიას მიმართავს: ჩვენ ახლა ახალი, სხვა კავშირი გვაერთიანებს და ამიერიდან სისხლისმიერი ნათესავეებიცა ვართ, შენი სისხლი ჩემსას შეერწყა, მობრძანდი და დედობრივად გულში ჩაიკარი ჩემი შვილი, ღირსეული და გამორჩეული, შენს ხელმეორედ ნაპოვნ და უკვე გამოტირებულ ასულთან ერთად. ისინი ახლა ჩვენი საერთო შვილები არიან. აქ საუბარში ტიბრიც ჩაერევა და იბერიას და კავკასიას მიმართავს: — ტკბილი ჯაჭვით შეკრულაა მათი სახელები, სხვა რა უნდა ინატროს ქვეყნად აღამიანმა? აქ პროტევისი ამცნობს მათ, რომ იბერიელი პატარძალი უკვე





ნაყოფით დამძიმებულა და ყველას მიმართავს, ახლა ერთად შევედრეთ  
 ვით ღმერთს ადვილი იყოს მისთვის ამ ტვირთის ტარება და მის  
 მოლოგინება გაუადვილდესო.

რომი, იბერია, ტიბრი, კავკასია და პროტევისი ერთად წარმოსთქ-  
 ვამენ: „შორს, შორს მისგან ტკივილები, შორს მისგან შიშე და სა-  
 ფრთხევ, მშვიდობიანად მოილოგინოს და გაახაროს თავის საყვარელი  
 მეუღლე, ქვეყნად მოავლინოს არსება, რომელშიც შეერთებული იქნება  
 რომი და იბერია, ორივეს სისხლი ამ სახელში უკვდავპყროთ (მართ-  
 ლაც გოგონას დაარქვეს რომიბერა). მათ შემოუერთდებათ სიყვარუ-  
 ლი და ჰიმენეოსი. პროტევისი იწყებს ცეკვას, მას სხვებიც აპყვებიან.  
 სიმღერითა და ცეკვით ახარატებენ და რთავენ აკვანს. აკვანისთვის  
 თავის ტყეებიდან სურნელოვანი კედარი ჩამოუტანია კავკასიას, მათ  
 ყოველ მოქმედებას ახლავს მისამღერი). იბერიას აბრეშუმის საბანი  
 და ნატიფი მოვის ქსოვილი ჩამოუტანია ახალშობილის ქვეშაგებისა-  
 თვის. ტიბრი თავის წყლებიდან მოტანილ ძეწნის ტოტს მშვილდივით  
 ღუნავს და წინ აკვანზე ამაგრებს, რათა ზედ პირსაფარი ჩამოეფაროს,  
 დილის მზე რომ მოეჩრდილოს პატარას. პროტევისი თავისი ლაყვარ-  
 დოვანი ზღვებიდან ამოღებული მარჯნისა და სადაფის ყელსაბამს  
 ჩამოუკიდებს, ზოლო სიყვარული ჩუქნის ახალშობილს თავის ოქროს  
 ისრებისაგან მორკალულ საჩხაკუნოს, რომელსაც თვითონ „სიყვარუ-  
 ლის ვულკანს“ ეძახის, რომელშიც ჩაყოლებულია მხიარული ხმები,  
 მოსაფერებელი სიტყვები, პროტევისის ნაჩუქარ მძივებთან ერთად  
 ჩამოუყვიდოთ აკვანზე პატარას გასართობად და სათამაშოდო. რომი ტი-  
 რიის ძოწეულს, გამორჩეულ სელს და ოქრომკერდით გაწყობილ სა-  
 ბანს მოიტანს, ჩემთან ერთად მის შეკერვაზე ნიმფებმაც გაათენესო.  
 ჰიმენეოსი ურბილეს, ფაფუკ ბუმბულს უმზადებს, რომ მძინარემ  
 ნაზად და უშფოთველად დაიძინოს. ბოლოს სიყვარული დასძენს: —  
 ჩემი ფრთოსანი ძმები, მოალერსე პატარა ამურები იმაზე იწრუნებენ,  
 რომ ბავშვმა არ იტიროს, უმღერებენ ტკბილ იავნანასო.

ბოლოს ყველანი ერთად ხელში გაწყობილ აკვანს აიღებენ და  
 მიდიან მისალოცად და საჩუქრების გადასაცემად, უკვე ხელახლა  
 აღორძინებულ ვალეს მამულში.

გვ. 145. პ რ ო ტ ე ვ ს ი — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ზღვის ღმერთია, როგორც პოსეიდონის შვილს, მას ზღვის ღმერთების ყველა ტრადიციული ნიშნები გააჩნია (ღრმა მოხუცებამდე სიცოცხლე, შვილა სიმრავლე; მან ყველა ეს თვისება თინათინსაც მიანიჭა — დიდხანს იცოცხლა და 14 შვილი შეეძინა). აქვს უნარი მიიღოს სხვადასხვა არსებათა სახე და, ცნობილია, როგორც ბევრისმცოდნე. ერთი მითი პროტევსს თვლის პირველშობილად (პროტოგენესს), რომელმაც მოაწყო ქვეყანა და მიანიჭა საოცარი გარდასახვის უნარი“. (ა. გელოვანი, „მითოლო-

გვ. 145. ჰ ი მ ე ნ ე ო ს ი — ბერძნულ მითოლოგიაში ქორწინებისა და საქორწინო კავშირთა ღმერთი — დიონისეს და აფროდიტეს ვაჟიშვილი, რომელს რელიეფზე, პოსპეის ფრესკებზე ჰიმენეოსი გამოსახულია წარმოსადგე შიშველ ყმაწვილკაცად, სახის მკაცრი გამომეტყველებით, ერთ ხელში ცეცხლით, მეორე ხელში — გვირგვინით. მისი სახელის უკვდავსაყოფად, ჰიმენეოსს ასახელებდნენ ქორწილებზე და საზეიმო სიმღერას ახალგაზრდა ცოლ-ქმრისადმი დაერქვა ჰიმნი. მითი ჰიმენეოსის შესახებ მიეკუთვნება ეთოლოგიურ ტიპებს და თვით მისი სახელი წარმოადგენს უძველესი საკულტო სიმღერა-ჰიმნის პერსონიფიკაციას.

გვ. 153. კ ა მ პ ი დ ო ლ ი ო — ერთ-ერთი უბანია რომის ცენტრში, სადაც მდებარეობდა ვალეს მამული, ვენეციის მოედანთან.

გვ. 158. შ ე მ ე წ უ ხ ე ბ ი ნ ა ე ვ რ ო პ ა და მ ი ს ი უ კ ი დ უ რ ე ს ი კ უ თ ხ ე ბ ი — იგულისხმება ქართველი ელჩი, რომელიც რომში ჩავიდა 1628 წელს მისი უწმინდესობა პაპის სანახავად. მას ჯერ ესპანეთში მოუხდა წასვლა. რომის პაპისათვის უნდა მოეხსენებინა აღმოსავლეთში მის მეფეზე და სპარსეთის მეფეზე, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ქრისტეს რჯულს და ქართველთა სახელით მიმართა ორივე ქვეყანას (იგულისხმება ესპანეთი და იტალია).

გვ. 158. რ ა ც ბ ა რ ბ ა რ ო ს მ ა ს პ ა რ ს ე ლ ე ბ მ ა და გ ვ მ ა რ თ ე ს — იგულისხმება პორმუზის აღება და საქართველოს აოხრება, ერთივ და მეორეც ჩადენილი სპარსელების მიერ.

ანა კალანდანიძე

**მარიამ დედოფლის ფრესკასთან**

სიბრძნით ნაშუქი შენი თვალები  
კვლავ სასოებას შენეულს გვფენენ.  
გარდასულ ეამთა სიღრმეებიდან  
ზარივით რეკავს

გულისთქმა  
შენი:

უნდა შეეკეთდეს სვეტიცხოველი,  
აღდგეს ქართული წესი და რიგი.  
უნდა ისმოდეს ქართული სიტყვა,  
გადაიწეროს ქართული წიგნი!  
მშვიდობა ბრძანებს — გამეჩხრდა ქართლი:  
ძვირად დაგვიჯდა სისხლის ტბორები...  
ვინ. თუ არა შენ,

უწყის,  
რომ იგი

ქვეყნის დაღლილ სულს ეამბორება?

. . . . .

სიბრძნით ნაშუქი შენი თვალები  
კვლავ სასოებას შენეულს გვფენენ.



---

ნერსულის  
ფურცლები

„სიყვარულმან მამულისამან განაღვიძა“ —  
სოლომონ დოდაშვილი

სოლომონ დოდაშვილი ეკუთვნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთა საქმიანობის ხასიათსა და მიმართულებას განსაზღვრავს არა საკუთარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ შემოქმედებითი ინტერესები, არამედ ეპოქის ხასიათი და სამშობლოს მდგომარეობა ამ ეპოქაში. ამდენად, სანამ უშუალოდ სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებამოღვაწეობის დახასიათებას შევუდგებოდეთ, საჭიროა ზოგადად მოიხაზოს პოლიტიკური ვითარება XIX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში.

XVIII საუკუნის დასასრულს, როგორც ცნობილია, ყოველმხრივ შევიწროებული და სრული ნაციონალური კატასტროფის საშიშროების წინაშე მდგარი ერეკლე II იძულებული გახდა რუსეთი გაეხადა მფარველად და მოკავშირედ. მაგრამ მალევე გამოირკვა, რომ რუსეთი არ დასჯერდებოდა მფარველისა და მოკავშირის როლს. ამდენად, ალექსანდრე I-ის მიერ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართული სამეფო ტახტის გაუქმება და საქართველოში სახელმწიფოებრიობის მოსპობა, სამწუხაროდ, მოვლენათა განვითარების ლოგიკური გავრძელება იყო.

რუსეთის იმპერიამ, რომელსაც ამ დროისთვის უკვე ჰქონდა კოლონიური ჩაგვრის „მდიდარი გამოცდილება“, ადვილად შეძლო სისხლისგან დაცლილი ქვეყნის დაპყრობა. ჩვენმა ერთმორწმუნე ჩრდილოელმა მეზობელმა და „მფარველმა“ მალევე გააუქმა თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და გადააქცია იგი რუსული სინოდის საეგზარქოსოდ. ამით ქართველმა ხალხმა ის სულიერი საყრდენიც დაკარგა, რომელიც საუკუნეების მანძილზე კრავდა და აერთიანებდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სულ ცოტა ხანში, — ნიკო ბერძენიშვილის სიტყვებით, — „საქართველოს მმართველობა უკვე რუსული იყო და ქართულ ელემენტს აქ დამხმარე, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა... საქართვე-



„სიხვარულმან მამულისამან განმალვიძა“ —  
სოლომონ დოდაშვილი

სოლომონ დოდაშვილი ეკუთვნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთა საქმიანობის ხასიათსა და მიმართულებას განსაზღვრავს არა საკუთარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ შემოქმედებითი ინტერესები, არამედ ეპოქის ხასიათი და საშვობლოს მდგომარეობა ამ ეპოქაში. ამდენად, სანამ უშუალოდ სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებამოღვაწეობის დახასიათებას შევეუდგებოდეთ, საჭიროა ზოგადად მოიხაზოს პოლიტიკური ვითარება XIX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში.

XVIII საუკუნის დასასრულს, როგორც ცნობილია, ყოველმხრივ შევიწროებული და სრული ნაციონალური კატასტროფის საშიშროების წინაშე მდგარი ერეკლე II იძულებული გახდა რუსეთი გაეხადა მფარველად და მოკავშირედ. მაგრამ მალევე გამოირკვა, რომ რუსეთი არ დასჯერდებოდა მფარველისა და მოკავშირის როლს. ამდენად, ალექსანდრე I-ის მიერ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართული სამეფო ტახტის გაუქმება და საქართველოში სახელმწიფოებრიობის მოსპობა, სამწუხაროდ, მოვლენათა განვითარების ლოგიკური გაგრძელება იყო.

რუსეთის იმპერიამ, რომელსაც ამ დროისთვის უკვე ჰქონდა კოლონიური ჩაგვრის „მდიდარი გამოცდილება“, ადვილად შეძლო სიხლისგან დაცლილი ქვეყნის დაპყრობა. ჩვენმა ერთმორწმუნე ჩრდილოელმა მეზობელმა და „მფარველმა“ მალევე გააუქმა თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და გადააქცია იგი რუსული სინოდის საეგზარქოსოდ. ამით ქართველმა ხალხმა ის სულიერი საყრდენიც დაკარგა, რომელიც საუკუნეების მანძილზე კრავდა და აერთიანებდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სულ ცოტა ხანში, — ნიკო ბერძენიშვილის სიტყვებით, — „საქართველოს მმართველობა უკვე რუსული იყო და ქართულ ელემენტს აქ დამხმარე, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა... საქართვე-



ლო პოლიტიკურად აღარ არსებობდა, რეალურად ის რუსეთის გუბერნია იყო“.

მალევე შემუშავდა ამ „ახალი გუბერნიის“ ადმინისტრაციული რეფორმის პროექტი, რომლის ძირითადი მიზანი ასე ჩამოყალიბდა: „სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით შევაკავშიროთ რუსეთი და საქართველო ერთ მთლიან ორგანიზმად. ვაიძულოთ „ტუზემცე-ბი“ ილაპარაკონ და იაზროვნონ რუსულად“.

სოლომონ დოდაშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 1820-იან წლებში, როდესაც რამდენიმე უშედეგო გაბრძოლების შემდეგ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აშკარად გამოიკვეთა რუსი-ფიკაციასთან თანდათანობითი შეგუების უაღრესად საშიში, — არსებითად საქართველოსა და ქართველობის დამღუპველი, — სიმპტომები. ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთს ეჯახებოდა ირან-ოსმალეთისა და რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ინტერესები, რაც, თავის მხრივ, უმძიმეს პირობებს უქმნიდა ქართველი ხალხის ფიზიკურ არსებობასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

აი, ესაა ის ისტორიული გარემო, რომლის ფონზეც მკაფიოდ და რელიეფურად ჩანს სოლომონ დოდაშვილის, — ქეშმარიტად დიდი ეროვნული მოღვაწის, — წარუვალი მნიშვნელობის წვლილი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

სოლომონ დოდაშვილი დაიბადა 1805 წლის 17 მაისს ქიზიყში, სოფელ მაღაროში. სოლომონის მამა, — ივანე (იგივე იოანე) დოდაშვილი, — წარმოშობით გლეხი იყო. დავითგარეჯის მონასტერსა და შემდეგ ბოდბის სამონასტრო სკოლაში სასულიერო განათლების მიღების შემდეგ იგი მღვდლად იქნა განწესებული სოფელ მაღაროს წმინდა გიორგის ეკლესიაში. ივანე დოდაშვილი თავისი დროის კვალობაზე საკმაოდ განათლებული და მწიგნობრობის მოყვარული კაცი ჩანს. აღსანიშნავია, რომ მას ცხრიდან შვიდი შვილი შერჩა და შვიდივეს მიაღებინა განათლება. ივანე დოდაშვილის პიროვნების წარმოსადგენად საინტერესო დეტალს ვპოულობთ მისი შვილის, სტეფანეს, წერილში სოლომონისადმი: „მამამან ჩვენმან რაღაცა პოლიტიკა იცოდა, ისიც დაუტევა. რუსებთან გავლა დიდათა სძულს, სუდში ასის თუმნის საქმე რომ ჰქონდეს, არ წავა და ესრეთვე ფოჩტაშიაც წიგნს ვერა ჰგზავნისო“.

პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სოლომონი შეიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1822 წელს, — ისე რომ სემინარიის კურსი არც კი ჰქონდა დასრულებული, — იგი დანიშნეს

სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად.

სოლომონ დოდაშვილმა სემინარიაშივე იგრძნო განსაკუთრებულ ღვაწლსა ფილოსოფიური მეცნიერების დაუფლებისაკენ. ამასთანავე, მისი ნიჭის, ინტერესებისა და დიაპაზონის კაცს, ცხადია, სიღნაღში მასწავლებლობა ვერ დაუქმყოფილებდა სულიერ მოთხოვნილებებს. იგი მალე დარწმუნდა, რომ მისი ცხოვრებისეული პრინციპების განხორციელებისთვის აუცილებელი იყო უმაღლესი განათლების მიღება, ე. ი. რუსეთში წასვლა. პირველი დაბრკოლება იყო სიღარიბე — ივანე დოდაშვილი ძლივს აუდიოდა მრავალრიცხოვანი ოჯახის გამოკვებას. მაგრამ სოლომონი არ შეეპუა შექმნილ ვითარებას. 1823 წელს იგი თავს ანებებს მასწავლებლობას და ითხოვს სასულიერო წოდებიდან განთავისუფლებას. ხოლო მომდევნო 1824 წელს 19 წლის სოლომონ დოდაშვილი, — 18 მანეთით ჯიბეში, — რუსეთს მიემგზავრება. თავდაპირველად იგი ჩავიდა მოსკოვში, სადაც მოძებნა ცნობილი მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე და მოგზაური გიორგი ავალიშვილი. ამ უკანასკნელმა კი სოლომონი სარეკომენდაციო წერილით გაგზავნა პეტერბურგში, იმ დროს ფრიად სახელგანთქმულ თეოლოგთან და მქადაგებელთან, — სხვათა შორის, იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მთავარ პერსონაჟთან, — იონა ხელაშვილთან.

სოლომონი ძლიერ დაუახლოვდა ბედის უკუღმართობით რუსეთში გადახვეწილ იონა ხელაშვილს. შემდგომში ეს დაახლოება სულიერ ნათესაობაში გადაიზარდა. იონა გახდა სოლომონის მოძღვარი და მასწავლებელი. მათი ურთიერთობა მოწაფის სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც გაგრძელდა. კერძოდ, სოლომონი ხშირად სწერდა წერილებს იონას — უზიარებდა თავის გულისთქმას, აცნობდა გეგმებს, სთხოვდა რჩევა-დარიგებას, თვითონაც ეხმარებოდა ამა თუ იმ ფილოსოფიური დებულების გამორკვევაში. სოლომონი თავის მასწავლებელს ასე მიმართავდა: „მამაო სულისა ჩემისაო“, თანაც ხშირად შესთხოვდა — ილოცე ჩემთვის, რომ მომეცეს ძალა ვემსახურო მამულს და ამით ღვთის ნება აღვასრულოო. თავის მხრივ იონა ხელაშვილი სოლომონს უკავშირებდა ყველაზე სანუკვარ მიზნებს, წვრთნიდა და ამზადებდა მას საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის მეთაურად და წინამძღოლად.

სოლომონ დოდაშვილის წერილები იონა ხელაშვილისადმი უძვირფასესი წყაროა იმდროინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ინტერესების გამოსარკვევად. შემთხვევითი არ იყო, რომ პროფესორ სოლომონ ხუციშვილის მიერ შეკრებილი და სათანადოდ კო-



მენტირებული ეს წერილები პირველად დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სერიაში — „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. ისინი ფასდაუდებელ მასალას იძლევა სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობის, — მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო შეხედულებების, — წარმოსადგენად. ამასთანავე, ეს მიმოწერა გამსჭვალულია უდიდესი სულიერი სითბოთი, ქეშმარიტად მამულიშვილური სულისკვეთებითა და უდავო ლიტერატურული ღირსებებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოლომონ დოდაშვილის წერილები იონა ხელაშვილისადმი ქართული ეპისტოლური ლიტერატურის უბრწყინვალესი ნიმუშია.

პეტერბურგში სოლომონ დოდაშვილი შევიდა უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად და შეუდგა თავაულებელ შრომას „სიყვარულისათვის მამულისა, სარგებელად სულისა და კეთილდღეობისათვის მემამულეთასა“. ეს შრომა მძიმე იყო და მტანჯველი. სოლომონი განიცდიდა უკიდურეს მატერიალურ სივიწროვეს. ამასთან, მისი ორგანიზმი ვერ შეეგუა ჩრდილოეთის მკაცრ ჰავას და იგი მძიმედ დაავადდა — დააკლდა თვალისჩინი და ყურთასმენა, გამუდმებით აწუხებდა თავის ტკივილი, ზოგჯერ გულის წასვლამდეც კი. დასჭემდა თავბრუსხვევა, რის გამოც ქუჩაშიც კი ვერ გამოდიოდა: „მე, მღებარე სარეცელსა ზედა სნეული სენისაგან სენთასა, რომელსა მაკლის სასმენელი და სახილველი მტკივნეულებისა გამო თავისა... ესრეთ მიბნელებდა თვალი, რომელ არა ძალმიძს ერთი მეორისაგან გარჩევა და ერთის სახლიდამ მეორისა შინა გასვლა...“ — ატყობინებს იგი იონა ხელაშვილს. ერთხელ იგი ავადმყოფობამ მთელი ექვსი თვით მიაჭაჭვა ლოგინს. მიუხედავად ამისა, სოლომონი, — მისივე სიტყვებით, — „იკრფდა სიბრძნეს მამულისათვის“. იგი ბეჯითად ეუფლებოდა საუნივერსიტეტო საგნებს, ლათინურ, ბერძნულ, გერმანულ, ფრანგულ ენებს და, რაც მთავარია, პარალელურად მუშაობდა ფილოსოფიურ ნაშრომებზე.

პეტერბურგში სოლომონ დოდაშვილმა ახლო ურთიერთობა დაამყარა ქართული კოლონიის წევრებთან. განსაკუთრებული ახლობლობა აკავშირებდა მას იქ მცხოვრებ იონანე, ბაგრატ, ოქროპირ, მიხეილ, თეიმურაზ, ფარნაოზ, დიმიტრი ბატონიშვილებთან, ანა იმერეთის დედოფალთან და სხვებთან. ამ წრეში ჯერ კიდევ ძალუმაღ ფეთქავდა ქართული სამეფო ტახტისა და საქართველოში სახელმწიფოებრიობის აღდგენის იმედი. სოლომონი ამ წრეში ითვისებდა





თავისუფლებებისთვის ბრძოლის იდეებს. აქ ჩამოყალიბდა საბოლოოდ მისი პოლიტიკური მრწამსი და წმინდა მიზანი. ამ მიზანზე იგი უწყველ იღვა და მის განხორციელებასვე შესწირა თავი.

საჭიროა აქვე შევაჩეროთ ყურადღება ერთ მეტად საყურადღებო გარემოებაზე. კერძოდ, სოლომონ დოდაშვილის დამოკიდებულებაზე დეკაბრისტულ მოძრაობასთან. მეცნიერებაში უკრიტიკოდაა მიღებული თვალსაზრისი დეკაბრისტული იდეების არსებითი ზეგავლენის შესახებ სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობაზე. ეს თვალსაზრისი წვესს მეცნიერებაში ჩამოყალიბებული იმ სტერეოტიპის გავლენით უნდა აიხსნას, რომლის მიხედვითაც ყველა ქართველ მოღვაწეს უთუოდ უნდა განეცადა რუსული პოლიტიკური თუ სოციალური მოძრაობის „ცხოველყოფელი“ გავლენა. ზოგიერთ შემთხვევაში ასეც იყო, მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევები უფრო გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს. ვიდრე კანონზომიერებად.

დოდაშვილისთვის, შესაძლებელია, მისაღები ყოფილიყო დეკაბრისტთა ზოგიერთი შეხედულება სოციალურ საკითხებზე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ დეკაბრისტული იდეების არსებითი გავლენა სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობაზე. ჯერ ერთი, დოდაშვილის სოციალური შეხედულებები და, კერძოდ, მისი დამოკიდებულება ბატონყმობისადმი საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური სტრუქტურების ღრმა ანალიზის შედეგია. მეორე და მთავარი კი ისაა, რომ სოლომონ დოდაშვილისთვის უმთავრესი და უპირველესი იყო ეროვნული საკითხი. მის ნამოღვაწარში სწორედ ეროვნულ საკითხს ექვემდებარება ყველა დანარჩენი. დეკაბრისტებს კი რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების სრული ასიმილაცია ბუნებრივ და აუცილებელ პროცესად მიაჩნდათ.

დოდაშვილის კავშირი დეკაბრიზმთან იმითლა ამოიწურება, რომ პეტერბურგში მას თანაკურსულ კრუჰსკისგან გადმოუწერია კონდრატი რილეევის მიერ დაპყრობილიდან მეუღლისადმი გამოგზავნილი წერილის ტექსტი და მისივე „ნალივიაკოს აღსარება“. ეს ერთადერთი ფაქტი სრულებით არ იძლევა საფუძველს, ვამტკიცოთ დეკაბრისტული იდეების გავლენა სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობაზე.

სოლომონ დოდაშვილი გვიან შუა საუკუნეებში მოშლილი ქართული ფილოსოფიური სკოლის ამადორძინებელი და მისი უდიდესი წარმომადგენელია. ნიშანდობლივია, რომ შალვა ნუცუბიძე დოდაშვილის ფილოსოფიური მემკვიდრეობის კვლევისას ხაზგასმით ამ-





ბობს: „საკითხი — რა ადგილი ეკუთვნის სოლომონ დოდაშვილს ქართული ფილოსოფიის ისტორიაში პირდაპირაა დაკავშირებული საკითხთან: რა ადგილი ეკუთვნის სოლომონ დოდაშვილს მსოფლიო ფილოსოფიაში?“ შემდეგ შალვა ნუცუბიძე გვაფრთხილებს — „ეს განდიდებად ნურავის მოეჩვენება, რადგან... ახალგაზრდა ქართველი მოაზროვნე თავისი ხანმოკლე, მაგრამ საკვირველი სიძლიერის მქონე აზროვნების დასაწყისშივე თანამედროვე ევროპული აზროვნების სიმალლეზე აღმოჩნდა და აქედან სცადა მან საკუთარი გზით წასვლა“.

მართალია, სოლომონ დოდაშვილი იონა ხელაშვილისადმი მიწერილ წერილებში თავის თავს ხშირად უწოდებს „მორჩილ შვილს“, „მორჩილ მოწაფეს“, მაგრამ სინამდვილეში იგი ფილოსოფიაში, — და პოლიტიკაშიც, — არ აღმოჩნდა „მორჩილი მოწაფე“. კერძოდ, ფილოსოფიაში მოწაფე შეუდარებლად შორს გასცდა მასწავლებელს, რომლის აზრითაც „ფილოსოფიაცა არს უფროსლა ღვთისმეტყველება“. იონა ხელაშვილის აზროვნებამ ვერ გაარღვია შუასაუკუნეობრივი წარმოდგენები. შალვა ნუცუბიძის სიტყვებით, დოდაშვილი ისეთი დიდი საქმეებისთვის იყო დაბადებული, რომ ვერც იონამ და ვერც სხვა ვინმემ მისი გარემოცვიდან ვერ მოახდინა ვერავითარი გავლენა მის ფილოსოფიურ შეხედულებებზე.

ს. დოდაშვილის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე ქართულ მეცნიერებაში ნაირგვარი თვალსაზრისია გამოთქმული. უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებით ირკვევა, რომ მისი ნააზრევი ყველაზე ახლოს გერმანულ კლასიკურ იდეალიზმთან დგას. მკვლევარ კახა კაციტაძის აზრით, დოდაშვილის ფილოსოფიური შეხედულებები არ იყო მოწყვეტილი მშობლიურ ნიადაგს, ვინაიდან გერმანული კლასიკური იდეალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო ნეოპლატონიზმიც იყო. ნეოპლატონიზმი კი, როგორც ცნობილია, საუკუნეების მანძილზე კვებავდა ქართულ ფილოსოფიურ და ლიტერატურულ აზროვნებას.

საერთოდ, სოლომონ დოდაშვილისთვის დამახასიათებელი იყო ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მიღწევათა ქართული გააზრება. ამასთანავე, მან საქართველოში ადადგინა და აღორძინა ჰემმარიტი ფილოსოფოსობის ტრადიცია.

დოდაშვილის ფილოსოფიური თხზულებებიდან მხოლოდ სამია შემორჩენილი — „ლოგიკა“, „ლოგიკის მეთოდოლოგია“ და „რიტორიკა“ (ეს ორი უკანასკნელი ნაშრომი მხოლოდ ჩვენს დროში, 1955 წელს, გამოქვეყნდა).

ეკვიპოტანლად დასტურდება, რომ დოდაშვილს ჰქონია აგრეთვე

„პიტიკა“ და ზოგიერთი სხვა თხზულება, რომლებიც დღესდღეობით დაკარგულად ითვლება. ასეთი ცნობაც არსებობს, თითქოს 1876 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკაში ინახებოდა ს. დოდაშვილის „ფილოსოფიის“ ხელნაწერი ექვს ტომად, მაგრამ ეს საკითხიც ჭრჭერობით ვარაუდების სფეროში რჩება.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ს. დოდაშვილის პირველი და მის სიცოცხლეში ერთადერთი გამოქვეყნებული ფილოსოფიური ნაშრომია „ფილოსოფიის კურსი. ნაწილი პირველი. ლოგიკა“. იგი ანა დედოფლის, იონა ხელაშვილისა და სხვათა ხარჯით გამოიცა პეტერბურგში 1827 წელს. ამ წიგნის გამოსვლას დიდი რეზონანსი მოჰყვა. გამოქვეყნდა რეცენზიები „მოსკოვსკი ტელეგრაფში“, „მოსკოვსკი ვესტნიკში“, „სევერნაია პჩელაში“. რეცენზენტები ერთხმად უწოდებდნენ წიგნს „შესანიშნავ თხზულებას“, „უდიდეს სიახლეს“, „ახალ მოვლენას რუსეთის ფილოსოფიურ აზროვნებაში“, ხოლო აღფრთოვანებული იონა ხელაშვილი ამაყად აცხადებდა: „უწყოდეს ევროპამ, რომ ძველისძველი ნათესავი ჩვენი ჰფხიზლობს და გაჰყურებს წინ!“ სოლომონ დოდაშვილის ეს ნაშრომი იყო რუსულ ენაზე შექმნილი პირველი წიგნი ლოგიკაზე, როგორც სამეცნიერო დისციპლინაზე. რამდენიმე წლის შემდეგ ავტორს დაუწყია ზრუნვა „ლოგიკის“ ქართულად გამოცემაზე, მაგრამ ამ საქმეს ხელი შეუშალა მისმა დაპატიმრებამ 1832 წელს.

სოლომონ დოდაშვილს უკვე პეტერბურგშივე ჰქონდა ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ფართო პროგრამა, რომლის პრაქტიკულ ხორცშესხმასაც საქართველოში აპირებდა. მან არ მიიღო ფაკულტეტის დეკანის წინადადება, — უნივერსიტეტშივე დარჩენილიყო პროფესორობისთვის მოსამზადებლად, — და სწავლის დასრულებისთანავე გამოემგზავრა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ შემოადინებული პროგრამის განხორციელებაზე ზრუნვა სამშობლოსკენ მომავალ მოღვაწეს გზაშივე დაუწყია. იგი შეჩერდა მოსკოვში — დაუახლოვდა იქაურ ინტელიგენტურ წრეებს, გაიცნო მწერლები, რაც მთავარია, შეხვდა მოსკოვის ლიტერატურული პრესის რედაქტორებს და დაამყარა მათთან საქმიანი ურთიერთობა. კერძოდ, იკისრა მათი კორესპონდენტობა და დაჰპირდა საქართველოს წარსული და თანამედროვე ცხოვრების ამსახველი მასალების მიწოდებას. აქვე მოინახულა მან ოქროპირ ბატონიშვილის მიერ ჩამოყალიბებული „ქართველ შეთქ-



მულთა მოსკოვის უკრედი“, მიიღო სათანადო კონსულტაციები და ვალეები.

შემდეგ სოლომონი შეჩერდა ხარკოვში. იმ დროს თბილისის სასწავლებლები ხარკოვის უნივერსიტეტს ექვემდებარებოდა და ს. ლოდაშვილს იმედი ჰქონდა, რომ ამ გარემოებას გამოიყენებდა საქართველოში სასწავლო-აღმზრდელობითი საქმის წინ წასაწევად. საგულისხმოა, რომ „ლოგია“ ავტორმა სწორედ ხარკოვის უნივერსიტეტისა და მისი სასწავლო ოლქის მზრუნველს ალექსი პეროვსკის უძღვნა ასეთი წარწერით: კავკასიის შვილთა აზრი და გონება საზრდოს ეძებს. თქვენ, იმედია, ხელს შეუწყობთ მათი მისწრაფებების დაკმაყოფილებას და ამით ამ აზიური ქვეყნის ევროპული განათლების საფეხურზე აყვანასო.

სოლომონ ლოდაშვილის სახელი უკვე ცნობილი იყო და ამიტომ მას ხარკოვის უნივერსიტეტში უაღრესად თბილი და გულითადი შეხვედრა მოუწყვეს.

და აი, 1827 წლის ივლისში ევროპულად განსწავლული და რუსეთის სამეცნიერო და პედაგოგიურ წრეებში ცნობილი 22 წლის მოღვაწე სამშობლოშია.

რა ვითარებაა ამ დროს საქართველოში?

საქართველოში გამალებით მიმდინარეობს ქვეყნის საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების რუსიფიკაცია. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები, — მისი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა, — რუსეთშია გადასახლებული. თუ ვინმეს ურჩობას შენიშნავენ, მყისვე ციმბირში უკრავენ თავს, მათ შვილებს კი პეტერბურგის „სამხედროთა ობლების სახლში“ გზავნიან, აქ რუსული არმიის ოფიცრებად ზრდიან და შემდეგ შიდა რუსეთში განლაგებულ პოლკებში გზავნიან. მმართველობის სისტემას ჩამოშორებულია ადგილობრივი ძალები. ქვეყანას რუსი მთავარმართეელი მართავს, ხოლო თუ როგორ მართავდნენ ისინი საქართველოს, ამის საილუსტრაციოდ მრავალთაგან ერთ მაგალითს მოვიხმოთ. აი, რას ამბობდა მთავარმართებელი ერმოლოვი ერთ-ერთი უკმაყოფილების ჩაქრობის შემდეგ: „სოფლები დაწვით და გავანადგურეთ. ბალები და ვენახები ძირიანად ავჩეხეთ... უკიდურესი სიღატაკე იქნება მათი სასჯელი“.

მიმდინარეობს ქართული მიწების გაშმაგებული კოლონიზაცია: საქართველოს ძირძველ მიწებზე კომპაქტურად ამკვიდრებენ რუს სექტანტებს, რასკოლნიკებს და დუხობორებს, გერმანელებს, ბერძნებს, ოსმალებიდან და სპარსეთიდან გადმოსახლებულ სომხებს...

ქართული ენა კარგავს ფუნქციებს, შეცვლილია განათლების ტრადიციული სისტემა, რუსული კანონმდებლობა უცხო და შეუთავსებელი აღმოჩნდა ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან. რუსი მოხელეების აბსოლუტური უმრავლესობისთვის საქართველო მორიგი „სადოვარი“ იყო. უმეტესად აქ იგზავნებოდნენ სხვადასხვა დანაშაულისთვის დასჯილი მოხელეები, რომელთა ძირითადი მიზანი იყო გამდიდრება, რასაც ახერხებდნენ კიდევ ძარცვა-გლეჯით, მექრთამობით, ჯაშუშობით, ზაზინის ქურდობით... წვრილფეხობას არც უმაღლესი მოხელეობა ჩამორჩებოდა. ყოველივე ეს იწვევდა საზოგადოებრივი მორალის გახრწანასა და გადაგვარებას.

თბილისში, — და, საერთოდ, მთელს საქართველოში, — ჩამკვდარი იყო კულტურულ-ინტელექტუალური საქმიანობა. ახალმა სოციალურ-პოლიტიკურმა და ზნეობრივმა გარემომ ხალხში ჯერ დაბნეულობა, შემდეგ კი აბათია გამოიწვია. გამოიღვია და ამოქმედდა ქვენა გრძნობები. იმ დროის ერთი ცნობილი პირის, ივანე აფხაზის, სიტყვებით: „ქართველობა ცხოვრობდა უსაგნოდ, დაეხეტებოდა უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა“.

საქართველოში შექმნილმა ვითარებამ მაღალი იდეალებით აღძრულ სოლომონ დოდაშვილზე შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი შეძრწუნებული სწერს იონა ხელაშვილს: „ვერცა ერთსა ვიხილავ თანამემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობასა მამულისასა, მხოლოდ თავის თავის გამოზრდას სცდილობენ დღიურად... არა არს მათსა სულსა შინა ჭეშმარიტება, არამედ დანერგილ არს ყოველი ვნება... არა არს სიყვარული სწავლისა და სწავლულთა, არამედ ყოველი სიძულვილი და მტერობა... არა მოყვარენი არიან შრომისა, უკანონოდ და უწესოდ და ფრიად შერევნილად მდგომარეობენ... რაი ვჰყო მუნ, სადაცა ვერ მომიძიებია არა რაი ღონე და საშვალობა“. ზოლო სხვა წერილში იმავე იონა ხელაშვილს სწერს: — გუშინ „უამსა განთიადისასა“ თბილისში მიწა ისე ძლიერ იძრა, რომ ყველა გააღვია და ლოგინიდან წამოყარაო, მაგრამ „განღვიძება ესე“ მხოლოდ ფიზიკური იყო. სულიერად ქართველებს ისე ღრმად სძინავთ, რომ ვშიშობ, მათ ვერანაირი მიწისძვრა ვერ გამოაღვიძებსო.

მაგრამ, საბედნიეროდ, სოლომონ დოდაშვილმა მოძებნა „ღონე და საშვალობა განღვიძებისათვის ქართველთა“. იგი მიხვდა, რომ ახლა საქართველოში არ იყო ფილოსოფიურ პრობლემათა ჭკრეტის დრო. საჭირო იყო თავგანწირული შრომა და ბრძოლა, ბრძოლა ქარ-





თველთა გამოფხიზლებისთვის. ამ დღიდან დაპატიმრებამდე, — ციხე-  
ებამდე და გადასახლებამდე, — სოლომონს დარჩენილი აქვს სულ ხუთი  
წელიწადი. ამ ხუთ წელიწადში მან შეუძლებელი შეძლო — მოახერ-  
ხა ჯერ კიდევ შემორჩენილი, მაგრამ გაბნეული ინტელექტუალური  
ძალების შემოკრება, პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო  
საქმიანობის გაშლა და ამით ქართველთა ეროვნული თვითშეგნების  
გამოღვიძება და ამოძრავება.

სოლომონ დოდაშვილის, როგორც დიდი ეროვნული მოღვაწის,  
რამდენადმე სრული პორტრეტის წარმოსადგენად აუცილებელია მი-  
სი, როგორც პედაგოგის, ჟურნალისტის, მეცნიერის, მწერლის, პო-  
ლიტიკოსის დახასიათება. მაგრამ სანამ ამ საკითხებზე გადავიდოდეთ,  
საჭიროა ამთავითვე განვიხილოთ მისი ორი კარდინალური თეზა, ორი  
ბურჯი, რომელზედაც, არსებითად, დგას სოლომონ დოდაშვილის  
მსოფლმხედველობა. ერთია ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი  
ერთიანობის იდეა. ხოლო მეორე — ევროპეიზმის პროპაგანდა და  
პრაქტიკული დამკვიდრება ქართულ სინამდვილეში.

სოლომონ დოდაშვილის ნააზრევის ზერელე გადათვალეობაც  
კი გვარწმუნებს, რომ აქ უკვე მოცემულია ეროვნული იდეოლოგიის  
ის მონახაზი, რომელმაც შემდეგ განვითარება და სრულყოფა პოვა  
ილია ჭავჭავაძის პროგრამაში. დოდაშვილი თანამიმდევრულად ავი-  
თარებდა აზრს, რომ თავისუფლების მიღწევის ერთადერთი გზაა ყვე-  
ლა საზოგადოებრივი ფენის გაერთიანება მხსნელი მიზნის გარშემო —  
მიუხედავად მათი სოციალური თუ 'საზოგადოებრივი მდგომარეობისა  
და ინტელექტუალური შესაძლებლობებისა: „არა გვართა იქების  
კაცი. არამედ გონებითა და მოქმედებითა ზელოვნად“. ძნელი არაა,  
აქ ჩანასახის სახით დავინახოთ ქართული აზროვნების უდიდესი მიღ-  
წევა და მონაპოვარი — ილიასეული „საერთო ნიადაგის“ თეორია.  
ამას გარდა, სოლომონ დოდაშვილისთვის ეროვნული, სოციალური და  
ზოგადადამიანური თავისუფლების იდეები ბუნებრივ მთლიანობაშია  
მოცემული, ზოლო ამ იდეების პრაქტიკული ზორცშესხმის უმთავრესი  
საშუალება განათლება და მეცნიერებაა. აქაც იგი „თერგდალეულთა“  
საგანმანათლებლო პროგრამის წინამორბედად გვევლინება.

გვიანი შუა საუკუნეების წყვილიაღის შემდეგ სოლომონ დოდა-  
შვილი იყო საქართველოში ევროპეიზმის ყველაზე მხურვალე პრო-  
პაგანდისტი და დამამკვიდრებელი. რა საქმისთვისაც არ უნდა მოე-  
კიდა მას ხელი, ყველგან საბოლოო მიზნად ისახავდა ქართული სა-  
ზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის დაკავშირე-





ბა-დაახლოებას ევროპულ აზროვნებასა და ცივილიზაციასთან — დაგება ქართული ენის განვითარების აუცილებლობასა და ხალხში განათლების გავრცელებას „მიახლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა“, ხაზს უსვამდა ძველი ქართული ფილოსოფიური და ლიტერატურული აზროვნების შესწავლის აუცილებლობას, „რომელიცა აქამომდე წყვედიადასა შინა სიბნელისასა დაფარულ იყო მხედველობათაგან განათლებულის ევროპიისათა“, ხარკოვის უნივერსიტეტის მზრუნველს შემწეობას სთხოვდა სასწავლო-აღმზრდელობითი საქმის წინ წაწევაში, რათა „ეს აზიური ქვეყანა ევროპული განათლებულობის საფეხურზე“ ასულიყო და ა. შ.

როგორც ცნობილია, რუსეთთან პოლიტიკური დაკავშირების მომხრეთა ერთ-ერთი არგუმენტი ევროპულ სამყაროში გაღწევაც იყო. მაგრამ, შემდგომში რუსეთის მონარქიამ მოინდომა საქართველოში ევროპეიზმის ერთადერთ წყაროდ მის მიერ შემოტანილი კულტურა გადაექცია, რაც მას, თავის მხრივ, ხელსაყრელ ვითარებას შეუქმნიდა ჩვენში ასიმილაციური პოლიტიკის განხორციელებისთვის.

ამდენად, ქართველების სწრაფვა ევროპისკენ პეტერბურგსა და მოსკოვს არ გასცილებია. ასეთ პირობებში სოლომონ დოდაშვილის მცდელობა, — ეზიარებინა ქართველობა უშუალოდ ევროპულ აზროვნებასა და ცივილიზაციასთან, — განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ევროპეიზმი სოლომონ დოდაშვილისთვის იყო არა პოლიტიკური ან კულტურული ორიენტაციის საკითხი, არამედ ქართული აზროვნების, კულტურისა და ცივილიზაციის დაბრუნება მშობლიურ წიალში, ვინაიდან ქართული კულტურა (ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით) ტიპოლოგიურად იმთავითვე ევროპული ხასიათისა იყო. ასე რომ, სოლომონ დოდაშვილისთვის ევროპეიზმი ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების საშუალებაც იყო.

სოლომონ დოდაშვილი თვითონვე შეუდგა საკუთარი კონცეფციის პრაქტიკულ განხორციელებას. კერძოდ, ქართული ფილოსოფიური და ლიტერატურული აზროვნების მიღწევათა გატანა-გავრცელებას საქართველოს ფარგლებს გარეთ. მხედველობაში მაქვს მისი ნაშრომი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, რომელიც 1832 წელს გამოქვეყნდა ეურნალში — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, ითარგმნა და გადაიბეჭდა „ტიფლისსკიე ვედომოსტიში“, შემდეგ „მოსკოვსკიე ვედომოსტიში“, აქე-



დან კი შევიდა ქარრი დე მანსის წიგნში — „ძველი და ახალი ტერატურის, მეცნიერებათა და ნატიფი ხელოვნების ისტორია“. მალე დოდაშვილი დააპატიმრეს და მას არც ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის გაგრძელება დასცალდა.

პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნებულმა სოლომონ დოდაშვილმა სამსახური დაიწყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც მოგვიანებით გიმნაზიად გადაკეთდა. აქ იგი ასწავლიდა ქართულ ენასა და სიტყვიერებას, აგრეთვე, გეოგრაფიას კეთილშობილთა სასწავლებელში შექმნილ ატმოსფეროს შესანიშნავად გვიხატავს დიმიტრი ყიფიანი: „მთელი მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე ორი უმთავრესი და ამასთან ერთადერთი წესით გამოიხატებოდა, — გაკვეთილების სწავლა ზეპირად, ე. ი. შეუგნებლად, მექანიკურად და ყოველი დანაშაულისთვის ხელის გულზე სახანავით ცემა“.

სასწავლებელში შექმნილმა ვითარებამ სოლომონ დოდაშვილზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. „მოწაფეთა ჩემთა არა აქვსთ სული აღძრული და განღვიძებული მისწვდნენ ჭეშმარიტსა კეთილსა და საამო აღმკობილებასა. არა აქვსთ მიდრეკილება განათლებისადმიო“, — სწერდა იგი იონა ხელაშვილს. მაგრამ მასწავლებლის დაუღალავმა შრომამ მაინც გამოიღო ბედნიერი ნაყოფი. სოლომონ დოდაშვილმა შეძლო მოწაფეებში ეროვნული გრძნობებისა და ბუნებისაგან ბოძებული ნიჭის გამოღვიძება და ამოძრავება. რამდენიმე წლის შემდეგ ბედნიერი მასწავლებელი აღფრთოვანებული წერს: „მოწაფენი, რომელნიცა აწ იზრდებიან სასწავლებელთა შინა, აღგვითქმენ ფრიად მრავალსა სარგებლობისათვის მამულისა... გული ჩემი მარად დღე ტრფიალებს, ვინაითგან მრავალთა ახალგაზრდათა კაცთა იწყეს თხზვა შევნიერთა სტიხთა და აღწერა პროზად სხვადასხვათა საგანთა“.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სწორედ სოლომონ დოდაშვილის გამოზრდილმა და გამოწვრთნილმა თაობამ იკისრა მისი სიკვდილის შემდეგ ეროვნული მოძრაობის მესვეურობა. მისი მოწაფეებიდან მარტო დიმიტრი ყიფიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის დასახელებაც კმარა.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ სოლომონ დოდაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობაზე. თანამედროვეთა გადმოცემით — „ბარათაშვილი სულ დოდაშვილის გვერდით იყო — ან გიმნაზიაში, ან სახლში, ანდა სტამბაში და ყველგან, სადაც დოდაშვილი იქნებოდა“. თავის მასწავლებელზე მლოცველ ნიკოლოზს მამა ხშირად

ენიშებებოდა თურმე: — „დოდაშვილს თავი გაანებე, თორემ გაგათყვევნი“. „ნიკოლოზ ბარათაშვილი სოლომონ დოდაშვილთან გამოიწვრთნაო“, — დაბეჯითებით ამბობდა ვახტანგ ორბელიანი, თან დასძენდა: — დოდაშვილი რომ არა, ალბათ, არც ბარათაშვილი გვეყვოლებოდაო. ამ სიტყვებში, ცხადია, არის გადაჭარბება — ნიკოლოზ ბარათაშვილის გენია ყველა შემთხვევაში გაიკვლევდა გზას. თუმცა, ვახტანგ ორბელიანის სიტყვებში ჭეშმარიტების მარცვალაც უთუოდ არის. მასწავლებელი და მოწაფე ხასიათითაც ჰგავდნენ ერთმანეთს... ორივე საზოგადოების სული და გული იყო, ორივე გამოირჩეოდა გონებამახვილობითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით, ორივეს უყვარდა სხვადასხვა უწყინარი საოხუნჯო სცენების გამოგონება და გათამაშება. ამასთანავე, ორივეს ღრღინდა მეღანქოლია და სურვილი განმარტოებისა. მასწავლებელსა და მოწაფეს სიკვდილიც ერთნაირი არგუნა ბედმა: ორივე სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, ორივე უცხო მიწაზე აღესრულა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას ექვიმუტანლად აზის დოდაშვილის მსოფლმხედველობისა და ეროვნული იდეოლოგიის ღრმა კვალი.

სოლომონ დოდაშვილი პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად ზრუნავდა მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფაზე. 1830 წელს მან თბილისში გამოსცა „შემოკლებული ქართული ღრამშატიკა“, რომელიც, ალექსანდრე ცაგარლის აზრით, გაცილებით უფრო დემოკრატიზებულია, ვიდრე მის წინამავალთა ანალოგიური ხასიათის თხზულებანი. სრულიად უდავოა სოლომონ დოდაშვილის გრამატიკული სისტემის დიდი ზეგავლენა მისი მოწაფეების, — განსაკუთრებით ნიკოლოზ ბარათაშვილის, — ენასა და ორთოგრაფიაზე.

სოლომონ დოდაშვილის, როგორც პედაგოგის, პორტრეტი სრული არ იქნება, ორიოდ სიტყვით თუ არ შევჩერდით მის „შესხმაზე“. ენაა სიტყვა, რომლითაც მას საჯაროდ მიუმართავს მოსწავლეებისათვის მორიგი სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით. „შესხმაში“, როგორც იმდროინდელი სავალდებულო ეტიკეტი მოითხოვდა, არის რამდენიმე რევერანსი მონარქიული ხელისუფლების შესამკობად. ამ რევერანსებს შორის კი გადმოცემულია მხურვალე ქადაგება, რომ ქართველმა ახალგაზრდობამ, — „სასოებამან საქართველოსა“, — როგორც ორატორი ამბობს, — თავაუღებლად იშრომოს და თავგანწირვით იბრძოლოს მამულის კეთილდღეობისათვის. „შესხმაში“ იდეალიზებულია ძველი საქართველო, შემდეგ ორატორი ყრუდ კიციხავს ჩვენი უკანასკნელი მეფეების საგარეო პოლიტიკას, რომელ-



მაც „მიიყვანეს საყვარელი მამული ჩვენი ესევეითარ ხარისხადმდე დამდაბლებისა“. მაგრამ ამ სიტყვაში დიდი ოპტიმიზმიცაა. ჩვენ ძალგვიძსო, — მიმართავს დოდაშვილი საზოგადოებას, — მივალწიოთ წარსულ დიდებას და გავუთანასწორდეთ დღევანდელ ყველაზე განვითარებულ ევროპელ ხალხებს. ამ სიტყვაში დიდი იმედიცაა: — თქვენი სიბეჯითე, თქვენი სიყვარული სიბრძნის დაუფლებისა მაფიქრებინებს, რომ „მამული ესე ჩვენი მოისთვლებს ოდესმე ნაყოფსა კეთილდღეობისა და დიდებისა თვისისასაო“.

„შესხმა“ ქართული პედაგოგიური აზროვნებისა და ორატორული ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლია. ამასთანავე, იგი იმასაც ნათლად გვიჩვენებს, თუ რას ეუბნებოდა და როგორ წვრთნიდა სოლომონ დოდაშვილი თავის მოწაფეებს.

სოლომონ დოდაშვილის საგანმანათლებლო პროგრამაში შედიოდა აგრეთვე საქართველოში მწიგნობრობისა და საბიბლიოთეკო საქმის აღორძინება და განვითარება. იგი ცდილობდა თბილისში სახალხო ბიბლიოთეკის დაარსებას, ხელნაწერთა გადაწერა-გამრავლებას, ლიტერატურული ჯგუფებისა თუ სალონების დაარსებას და ა. შ. ზოგი რამ აქედან მან მოასწრო კიდევ, ზოგს კი წერტილი დაუსვა მისმა დაპატიმრებამ და გადასახლება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დოდაშვილის მიერ ძველ ქართულ ხელნაწერთა კატალოგის შედგენა. მას აღუწერია რიცხვით ექვსასამდე ხელნაწერი წიგნი, ამასთანავე, — როგორც მისი კერძო მიმოწერიდან ჩანს, — ეს იყო არამარტო ხელნაწერების უბრალო აღწერა, არამედ მათი დარგობრივი კლასიფიკაციაც. დღესდღეობით ეს კატალოგიც დაკარგულად ითვლება.

თვითონ სოლომონ დოდაშვილს იმ დროის კვალობაზე უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჰქონდა. აქ თავმოყრილი იყო სხვადასხვა ენაზე გამოცემული მრავალფეროვანი, მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურა, ძველი ქართული ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნები. დოდაშვილის ნაქონი ზოგიერთი ხელნაწერი თუ ხელნაწერთა კრებული შემდეგ სხვადასხვა კოლექციაში მოხვდა, ხოლო რა ბედი ეწია თვითონ წიგნსაცავს პატრონის გადასახლების შემდეგ, ცნობილი არ არის.

სოლომონ დოდაშვილი იყო პირველი ქურნალისტი, რომელმაც ქართული პრესა ეროვნულ ინტერესებს დაუმორჩილა. თავიდან იგი რედაქტორობდა რუსული „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ ქართულ ვარიანტს, — „ტიფლისის უწყებანს“, — სადაც ახერხებდა კიდევ ზოგიერთი მნიშვნელოვანი სტატიისა თუ ცალკეული ცნობის გაპარებას.



მაგრამ ეს გაზეთი ეროვნული იდეების გამავრცელებელი მაინც ვერ  
გახდებოდა — იგი ოფიციალური გამოცემა იყო და, ამდენად, ცა-  
რინზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის პროპაგანდისტვის იყო მო-  
წოდებული. დოდაშვილმა გადაწყვიტა ჟურნალის გამოცემა საკუთა-  
რი ხარჯებით, მაგრამ, ვინაიდან დამოუკიდებელი ორგანოს დაარსება  
შეუძლებელი შეიქნა, ფორმალურად დაუკავშირდა ის „ტფილისის  
უწყებანს“. კერძოდ, დაარქვა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის  
უწყებათანი“. მიუხედავად ასეთი საბელწოდებისა, ჟურნალი არსე-  
ბითად დამოუკიდებელი გამოცემა იყო. უნდა აღინიშნოს, რომ სო-  
ლომონ დოდაშვილი ჟურნალს თანამოაზრეებისაგან შეკრებილი ფუ-  
ლით სცემდა. მთელ თავის შემოსავალსაც მას ახმარდა, თვითონ კი  
იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ საკუთარი სახლიც არ გა-  
აჩნდა.

შეიძლება ითქვას, რომ „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის  
უწყებათანი“ წინაარსით, მსოფლმხედველობრივი მთლიანობით, ეროვნულ-  
ადგილობრივ მიზანდასახულობით, პუბლიცისტური სულისკვეთებით, ლიტე-  
რატურული და მეცნიერული დონით თამამად უსწორებს თვალს იმ-  
დროინდელი რუსეთისა და ევროპის საუკეთესო გამოცემებს. ამას-  
თანავე იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართული ეროვნულ-  
იდეოლოგიური ლიტერატურის ღირსეული წინამორბედი და ბალავერია.

დოდაშვილი თავისი ჟურნალის ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულე-  
ბას მომავალი შეიარაღებული აჯანყებისთვის ქართველი საზოგადო-  
ებრიობის პოლიტიკურ და მორალურ შემზადებაში ხედავდა. ამდენ-  
ად, ჟურნალი შეიძლება შეთქმულთა პერიოდულ გამოცემადაც კი  
ჩაითვალოს. აქ დაიბეჭდა გიორგი ერისთავის „ოსური მოთხრობა“,  
გიორგი იესეს ძე ერისთავის, — „სენატორად“ წოდებულის, — „მო-  
წოდება ივერთა მამულის დაცვისათვის...“, თადეოზ გურამიშვილის  
„საყვარელო მამულო!“ და სხვ. რაც მთავარია, ჟურნალში სისტემა-  
ტურად იბეჭდებოდა თვითონ სოლომონ დოდაშვილის თხზულებები —  
მეცნიერულიც და მხატვრულიც.

ორიოდე მათგანზე აუცილებლად უნდა შევჩერდეთ.

ჟურნალის პირველ-მეორე ნომრებში გამოქვეყნდა დოდაშვილის  
ნაშრომი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვი-  
ერებისა“, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის ქრონოლოგიუ-  
რი პრინციპით მიმოხილვის პირველი ცდაა. ვინაიდან იმ დროს ჯერ კი-  
დეც არ არსებობდა ძველ ქართულ ლიტერატურულ თუ ფილოსოფი-  
ურ ძეგლთა აბსოლუტური უმრავლესობის ბეჭდური გამოცემა, ბუ-





ნებრივია, რომ ნაშრომის ავტორს ისინი ხელნაწერებში აქვს შესწავლილი. დოდაშვილი, გარდა წმინდა მეცნიერულისა, სხვა მიზნებსაც ისახავს. კერძოდ, მას სურს დაარწმუნოს ქართველი საზოგადოებრიობა, რომ იგი უდიდესი ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრეა. ამასთანავე, დაუმტკიცოს ზოგიერთ ქართველ თუ არაქართველ დილექტანტსა და ნიპილისტს ძველი ქართული მწერლობის საკაცობრიო მნიშვნელობა.

„მოკლე განხილვაში“ ავტორი მსჯელობს, აგრეთვე, ქართული სალიტერატურო ენის საკითხებზე. იგი იბრძვის არაქართული ლექსიკის მექანიკური გადმოღების წინააღმდეგ და ასაბუთებს ეროვნული ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად ათვისების და გამოყენების აუცილებლობას. აქვეა მსჯელობა ქართული ანბანის წარმოშობაზე. ავტორი მხარს უჭერს თვალსაზრისს ეროვნული დამწერლობის ფარნავაზის მიერ შემოღების შესახებ და ასახელებს ძვ. წ. აღ. 327 წელს. კატეგორიულად უარყოფს ქართული დამწერლობის სომხურ წარმოშობას და დასიყენს: ამ საკითხზე სომეხ მეცნიერებთან კამათი შეუძლებელი გახლავთ, ვინაიდან მათ რომ კითხოს კაცმა, თვით ადამიც კი სომხურად ლაპარაკობდაო.

სოლომონ დოდაშვილის პოლემიკური ოსტატობის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ მისი ნაშრომი „შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოსათა“. ესაა პასუხი თბილისში მცხოვრები ჟურნალისტის გორდეევის წერილისა „საქართველოს უკანასკნელ მეფეთა დამარხვის წესები“, რომელშიც მთლიანადაა დამახინჯებული და გაყალბებული ქართული სამეფო კარის ისტორიულად ჩამოყალიბებული ეტიკეტი. დოდაშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა „უფალი გორდეევის“ უვიცობა, უსინდისობა და თაღლითობა. ამით მან ბევრს დაუკარგა ქართულ საისტორიო წყაროებში ცხვირის ჩაყოფისა და საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციის სურვილი.

უაღრესად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1835 წელს თბილისის გიმნაზიის მოსწავლეებმა თავიანთ ხელნაწერ ჟურნალში, — „ტფილისის გიმნაზიის ყუავილი“, — გამოაქვეყნეს სოლომონ დოდაშვილის ორი ნაშრომი: „მეფობა ირაკლი მეორისა“ და ზემოხსენებული „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“. ესაა პერიოდი, როცა სოლომონ დოდაშვილის არათუ ნაწერების გამოქვეყნება, მისი სახელის ხსენებაც კი სასტიკადაა აკრძალული. თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა ეს საოცრად გაბედული ნაბიჯი არაა მხოლოდ მოწაფეთა მიერ მოსწავლეების ღვაწლის დაფასება. იგი ეროვნულ

მოდრაობაში თაობათა კავშირისა და სოლომონ დოდაშვილის ერთგულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიის უკვდავების მაჩვენებელია.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ სოლომონ დოდაშვილის მონაწილეობაზე 1832 წლის შეთქმულებაში.

თვითონ იდეა შეთქმულებისა 1825 წელს ჩაისახა საქართველოდან გადასახლებული და პეტერბურგში მცხოვრები ბატონიშვილების წრეში. სწორედ იმ წრეში, რომელთანაც ძლიერ დაახლოებული იყო იმჟამად პეტერბურგში მყოფი სოლომონ დოდაშვილი. 1827 წელს დოდაშვილის სამშობლოში დაბრუნების კვალდაკვალ შეთქმულების ცენტრმა საქართველოში გადმოინაცვლა.

შაერთოდ, შეთქმულებას იმთავითვე დაჰყვა ორგანიზაციული ხარვეზები. კერძოდ, ძირითადმა ჯგუფმა ვერ შენიშნა იასე ფალავანდიშვილის ორპირი ბუნება და ძალზე დაიახლოვა იგი, ვერა და ვერ გადაწყდა შეიარაღებულ აჯანყებაში ფართო მასების ჩაბმის საკითხი, დოდაშვილის რესპუბლიკურმა იდეებმა საფუძველი მისცა ქართველთა ვადებს ირონიულად ალაპარაკებულიყვნენ მის გლახურ წარმოშობაზე და ა. შ. რაც მთავარია, შეთქმულება იდეურადაც არ იყო ერთგვაროვანი. ერთი ჯგუფი — უმრავლესობა — ავითარებდა საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამყარების თვალსაზრისს. მეორე კი — სოლომონ დოდაშვილის მეთაურობით — პარლამენტური სახელმწიფოს შექმნის იდეას იცავდა. და მაინც 1832 წლის შეთქმულებას იდეურ ხელმძღვანელად დოდაშვილი უნდა ჩაითვალოს. მასვე ეკუთვნის, სხვათა შორის, ტექსტი იმ მოწოდებისა, რომლითაც აჯანყების ორგანიზატორებს უნდა მიემართათ ხალხისთვის. ეს მოწოდება ქართული ეროვნული მოძრაობის შესანიშნავი დოკუმენტია და ამიტომ თავს უფლებას მივცემ მთლიანად მოვიყვანო იგი:

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არც მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი. და ჩვენი ხმა, სახელი და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყულულ იყო და დამხობილ მათგან.

წოლო აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთა შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა?!

რაისათვის არს ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?! ნუ უკვე

ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა? ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესეოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?!

მაშა რაისათვის ვცოცხალვართ!“

1832 წლის დეკემბერში იასე ფალავანდიშვილმა გასცა შეთქმულე-ბა. მისი ყველაზე აქტიური მონაწილეები ერთ დღეში შეიპყრეს.

შეთქმულათვის ცხადი გახდა, რომ საქართველო ეროვნული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. სულ დაპატიმრებულ იქნა 145 კაცი. ეს იყო ქვეყნის ინტელექტუალური ნაღები და მისი განადგურება ეროვნულ მოძრაობას უეჭველ დაღუპვას უქადდა. ამიტომ, ტაქტიკური მოსაზრებით, შეთქმულებმა უკანდახევა გადაწყვიტეს. ისინი ჩვენებებში საგულდაგულოდ ავითარებენ აზრს, რომ ებრძოდნენ არა ცარისტულ ხელისუფლებას, არამედ ადგილობრივ ბიუროკრატიას. ამდენად, ამ ჩვენებებზე დაყრდნობით შეთქმულების ძირითადი მიზნისა და იდეური მიმართულების, აგრეთვე, მასში მონაწილეთა პოლიტიკური შეხედულებების გარკვევა შეუძლებელია. რაც შეეხება ძირითად წყაროს, — კერძო მიმოწერას, — მისი უმრავლესობის განადგურება შეთქმულებმა მოასწრეს.

ერთი შეხედვით უცნაური ჩანს შეთქმულებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება. გამოძიების მასალათა ზერეღე გადათვალიერებითაც კი ჩანს, რომ საგამომძიებლო კომისია მაინცდამაინც არაა დაინტერესებული, საფუძვლიანად გაარკვიოს მოვლენების არსი, ხშირად თვალს ხუჭავს მრავალ შეუსაბამობაზე პატიმართა ჩვენებებში და დ. შ. უფრო მეტიც, ზოგან კომისიას იმის სურვილიც კი ეტყობა, რომ შეარბილოს შეთქმულთა ზრახვები, მიაფუჩჩნოს ისინი. ამ გარემოებას პროფესორი გიორგი გოზალიშვილი, — მთავარმართებელ როზენისა და რუსეთის სამხედრო მინისტრის ჩერნიშოვის კონფიდენციალურ მიმოწერაზე დაყრდნობით, — ასე ხსნის: „რუსეთის ხელისუფლება არ იყო დაინტერესებული შეთქმულებისთვის სერიოზული ხასიათი მიეცა და მისი ნამდვილი ბუნება გამოემყდენებინა. მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო იგი თავადიშვილების ერთი ჯგუფის ფუქსავატურ ოცნებად გაესაღებინა. მთავრობამ განგებ მიჩქმალა ქართველთა შეთქმულების ამბავი, რათა იგი საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი არ გამხდარიყო“.

აქ ზოგიერთი სხვა მომენტიცაა გასათვალისწინებელი: ერთია და, ევროპა ჯერ კიდევ არ იყო გამოსული შოკიდან, რაც გამოიწვია იმ ბარბაროსულმა მეთოდებმა, რომლითაც რუსეთმა პოლონეთის აჯანყე-

ბა ჩაახშო, და მეორეც, რუსეთი ამ დროს ეწეოდა დამპყრობლურ ომს ჩრდილოეთ კავკასიაში. ასეთ პირობებში მისთვის, ცხადია, ხელსაყრელი არ იყო სერიოზული კონფლიქტი საქართველოში.

ერთი სიტყვით, სასჯელი არ გამოდგა ისეთი სასტიკი, როგორც ნიკოლოზ პირველისგან იყო მოსალოდნელი. მართალია, შეთქმულები მთელს იმპერიაში გაფანტეს, მაგრამ მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ რამდენიმე წლის შემდეგ შეძლო სამშობლოში დაბრუნება. საუბედუროდ, მათ შორის არ იყო სოლომონ დოდაშვილი.

ხელისუფლება დარწმუნდა, რომ სანამ დოდაშვილი ცოცხალი იყო, საქართველოში სიმშვიდე ვერ დაისადგურებდა. ამიტომ მას მიესაჯა სამუდამო გადასახლება და დაუწესდა უმკაცრესი მეთვალყურეობა. და აი, ავლაბრის ყაზარმებში 18 თვის პატიმრობის შემდეგ სოლომონ დოდაშვილი ცოლ-შვილთან ერთად შორეული ვიატკის გზას გაუყენეს. პეტერბურგში კი შეძრწუნებული და მუხლებზე დაცემული იონა ხელაშვილი მოსთქვამს და ჰგოდებს: „ვკსტირ კაცსა მას სოლომონ დოდაშვილს... ვკსტირ და ვგოდებ დღეთა და ღამეთა შინა... განვილიენით, განვილიენით“.

ვიატკაში სოლომონი საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიაში განამწყესეს გადამწერად. ამავე კანცელარიაში მსახურობდა, სხვათა შორის, გადასახლებაში მყოფი გერცენი, რომელიც აქ შექმნილ ატმოსფეროზე შემდეგს წერდა: გუბერნატორის კანცელარია საპყრობილეზე უარესი იყო — სავსე მექრთამე, ქურდი, თვალთმაქცი და გაიძვერა მოხლეებით. ხოლო თვითონ გუბერნატორზე რეგვენ და გაუნათლებელ ადამიანს ცხოვრებაში სხვას ვერ შეხვდებოდით. თან გოცებული დასძენს: „ნეტა რას აღარ შექმნის რუსული ცხოვრებაო“.

ბედმა სოლომონ დოდაშვილს ვიატკაში კიდევ ერთი უმძიმესი დარტყმა მიაყენა, მას გარდაეცვალა მცირეწლოვანი ქალიშვილი — ანა. სოლომონს და მის მეუღლეს ელენე კობიაშვილს ორი ვაჟიშვილიც ჰყავდათ — ივანე და კონსტანტინე. უმცროსი — კონსტანტინე — მოესწრო მამის სიკვდილს, მაგრამ დოკუმენტების მიხედვით იმავე წლის ბოლოს იგი უკვე გარდაცვლილია. ჩანს, ხუთი წლის კონსტანტინეს ვიატკიდან უკან, საქართველოში, მგზავრობის სიმძიმე ვერ აუტანია და გზაშივე დაღუპულა. 1838 წელს ელენე კობიაშვილიც გარდაიცვალა. ასე რომ, სოლომონ დოდაშვილის ოჯახიდან მხოლოდ ივანე გადაურჩა ცხოვრების ქარტეხილებს. იგი 60-იან წლებში გარდაიცვალა.

! მაგრამ, დავუბრუნდეთ ვიატკას...



სოლომონ დოდაშვილის შერყეული ჯანმრთელობა, ცხადია, დიდხანს ვერ გაუძლებდა ჩრდილოეთის მკაცრ კლიმატს. იგი ქლეკით დაავადდა. გადარჩენილია მისი ერთ-ერთი საექიმო შემოწმების ჩანაწერი. აი, რას ვკითხულობთ აქ: „თვალეები ამღვრეული და ღრმად ჩაცვენილი, სახე გაყვითლებული, ტყვიისფერი... იმდენად გამხდარი, რომ ზოგ ადგილას ძვლებზე მხოლოდ კანია გადაკრული. მოკლე სუნთქვა ყელში ხიხინით, რომელსაც ზშირად აჩერებს ხველა... სიტყვის გამოთქმა უჭირს. ხველას, საუბარს და მოძრაობას თან სდევს გულის წასვლა. ეს ნიშნები აშკარად მოწმობენ ფილტვების დაჩირქებაზე ან ჩირქოვან ქლეკზე, რომლის განსაკურნავად მედიცინას არ მოეპოვება არავითარი საშუალება“.

ასეთ მდგომარეობაში ინახულა დოდაშვილი გერცენმა და გაცეხული დაჩირქა მისი ოპტიმიზმით. მაგრამ ეს ოპტიმიზმი დიდხანს არ გაგრძელებულა. ავადმყოფი მალე მიხვდა, რომ ხსნა არსაიდან იყო. ერთ-ერთი თვითმხილველის სიტყვებით, სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე სოლომონ დოდაშვილი დანებდა ავადმყოფობას. ის ერთი კვირა მან ლოცვასა და საოცარ სულიერ სიმშვიდეში გაატარა, შემდეგ გამოემშვიდობა ცოლ-შვილს და ასევე მშვიდად და უშფოთველად შეეგება სიკვდილს. ეს მოხდა 1836 წლის 20 აგვისტოს. სოლომონ დოდაშვილი მამის მხოლოდ 31 წლისა იყო.

### ბამრახეიანი წყაროები და ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965.
2. ბერძენიშვილი მაქს., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980; II, თბ., 1983.
3. გაწერელია ა., რჩეული ნაწერები, II, თბ., 1978.
4. გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, I, თბ., 1935.
5. გოცაძე მ., სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1955.
6. გოცაძე მ., ქართული ეურნალისტიკის ისტორია, I, თბ., 1954.





7. ზუგუშვილი პ., საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. (ქართული სტიამბის წიგნი. 1629—1979), VII, თბ., 1984.
8. დოდაშვილი ს., თხზულებანი (შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი თ. კუკაეა), თბ., 1989.
9. თავაძევილი გ., რჩეული ნაწერები, I, თბ., 1974.
10. კალანდაძე ალ., გვაქვს საგანძური... თბ., 1986.
11. კაციტაძე კ., სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობის საკითხისათვის, „ციცქარი“, 1985, № 10, გვ. 145—150.
12. ნუცუბიძე შ., შრომები, IX, თბ., 1985.
13. სოლომონ დოდაშვილი (საიუბილეო კრებული), თბ., 1986.
14. სოლომონ დოდაშვილის წერილები. 1825—1832 (ს. ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1944, ნაკვ. II, თბ., 1945.
15. ყიფიანი დ., მემუარები (რედაქცია, შენიშვნები და პირთა სახელების საძიებელი ს. ხუციშვილისა), თბ., 1990.
16. ჯოლოჯუა თ., ერთი უმართებულო მტკიცების გამო, „კლდეკარი“, 1992, № 1, გვ. 184—187.
17. დოდაშვილი ს. თხზულებანი, რედაქტორები ანგია ბოჭორძეშვილი, სოლომონ ხუციშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961.

ნინო ნაკაშიძე ვაჟა-ფშაველას შესახებ

გამორჩეული თვისებებით შემკულ მწიგნობარ-ინტელიგენტთა წყების ღირსეული წარმომადგენელია გემოვნებით, სათნოებითა და მაღალი შინაგანი კულტურით დაჯილდოებული მწერალი ქალი ნინო ნაკაშიძე (1872—1963). იგი იყო მწერალი, რედაქტორი, საყმაწვილო წიგნების გამომცემელი, მეცენატი. მას ურთიერთობა უხდებოდა თავისი დროის მრავალ დიდ პიროვნებასთან. ცხადია, ასეთი მაღალი სულიერი მონაცემების მქონე ადამიანის შთაბეჭდილება და აზრი საგულისხმოა ყოველგვარ მოვლენაზე. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორ შემოგვინახა ნინო ნაკაშიძის მეხსიერებამ ქართული მწერლობის მშვენება და სიამაყე ვაჟა-ფშაველა, რანაირი დამარწმუნებლობით აღადგინა მწერალმა ქალმა მის ირგვლივ არსებული მწიგნობრულ-ლიტერატურული გარემოს მიმართება გენიოსი მგოსნისადმი და როგორი სიმართლით წარმოსდგა მომავალ თაობათა წინაშე ნინო ნაკაშიძის თვალით დანახული დიდი ვაჟას პიროვნულ-მხატვრული ინდივიდუალობის გამომხატველი ზოგიერთი შტრიხი.

ნინო ნაკაშიძემ მეტად საინტერესო მოგონება დაგვიტოვა ვაჟა-ფშაველას შესახებ. მას ხანგრძლივი დროის მანძილზე ჰქონდა ურთიერთობა ვაჟასთან. ნინო ნაკაშიძის მეუღლე, ცნობილი ლიტერატორი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ილია ნაკაშიძე (1866—1923) გახლდათ ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი, რომელმაც დიდი მგოსნის შემოქმედება 1896 წელს გაარჩია და განიხილა ის გენიალური ჰომეროსის სახელთან მიმართებაში; გარდა იმისა, რომ ყურადღება გაამახვილა მისი შემოქმედების არაერთ პრობლემურ მხარეზე, ილია ნაკაშიძეს, როგორც ნინო ნაკაშიძის მოგონებიდან ჩანს, ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ვაჟასთან; საყოველთაოდ ცნობილია, რომ ილია ნაკაშიძე ქართველთაგან ის პიროვნება იყო, რომელსაც ჰქონდა ბედნიერება გენიალური ლევ ტოლსტოის სიახლოვეს ყოფილიყო და დიდი რუსი მწერლის მოძღვრებისადმი განსაკუთრე-

ბული ერთგულების გამო გარემოსილიყო „რუსეთის მიწის დიდებუ-  
ლი შვილის“ (ი. ტურგენევი) ყურადღებითა და სიყვარულით. ბუნებ-  
რივია, ვაჟა-ფშაველას მხრივ ილია ნაკაშიძისადმი თბილ-დამოკიდე-  
ბულებას სხვა მომენტებთან ერთად ეს გარემოებაც განაპირობებდა.  
მართალია, თავის მოგონებაში ნინო ნაკაშიძე ამტკიცებს: „ვაჟა... არ  
იზიარებდა ტოლსტოის აზრებს, ვფიქრობ, არც ჰქონდა სავსებით შეთ-  
ვისებული მისი მსოფლმხედველობა და არც აინტერესებდა არსები-  
თად გაეგო ის“, — დამარწმუნებლობას მოკლებულია. თუნდაც იმი-  
ტომ, რომ ვაჟას შემოქმედებაში არაერთგზის ვლინდება თაყვანის-  
ცემითი მიმართება დიდ რუსი მწერლისადმი. ნინო ნაკაშიძე, რო-  
გორც ჩანს, სათანადოდ არ იცნობს, ან მისი მეხსიერების გარეთ დარ-  
ჩა ლევ ტოლსტოის სამყაროსადმი გამოვლენილი ვაჟას დიდი სიმპა-  
თია და, რაც მთავარია, ჩვენი მგოსნის მხრივ ჰუმბარტი ცოდნა იმ  
დიდი სულიერი მემკვიდრეობისა, რომელსაც ლევ ტოლსტოის შემოქ-  
მედება ჰქვია. სამაგიეროდ, სავსებით ზარწმუნო ჩანს ნინო ნაკაშიძის  
ნაამბობი იმ სიახლოვის შესახებ, რაც ვაჟასა და ილია ნაკაშიძეს ერთ-  
მანეთთან აკავშირებდა. „ვაჟას უყვარდა ილიაკო ნაკაშიძესთან ბა-  
ასი“, — აღნიშნავს მწერალი ქალი და იხსენებს ამ სიყვარულის წარ-  
მომავლობის საფუძველს: „1896 წელს ილიაკომ „კვალის“ ფურცლებ-  
ზე („კრიტიკული ცდა“) გააჩნია ვაჟას ნაწარმოებები, ძალიან მაღლა  
აყენებდა ვაჟას მწერლობას, როგორც შინაარსით, ისე ფორმით... გარ-  
და მისი ნაწარმოებებისა, ი. ნაკაშიძეს ვაჟა უყვარდა მისი პირადი  
ცხოვრებისათვის. ვაჟა თითქოს ახორციელებდა მის შეხედულე-  
ბას ცხოვრებაზე... და როდესაც მოვიდოდა, ყოველთვის სიამოვნე-  
ბით ბაასობდნენ სხვადასხვა ზნე-ჩვეულებისა და ლეგენდების შე-  
სახებ. სხვადასხვა ბუნების ადამიანები იყვნენ ვაჟა და ილიაკო. ილი-  
აკო იყო კოსმოპოლიტურად განწყობილი... ვაჟა კი — პატრიოტიზმით  
აღვზნებული“... საფიქრებელია, გენიალურ მგოსანს, დახვეწილი ევ-  
როპული ყაიდის ინტელიგენტი ილია ნაკაშიძეში, რომელიც მართლაც  
მისგან განსხვავებული ნატურა იყო თავისი ყოფითი ცხოვრების სტი-  
ლით, იზიდავდა ერუდიცია, მდიდარი შთაბეჭდილებანი, რასაც ილია  
ნაკაშიძე ფლობდა რუსეთის იმპერიაში საქვეყნოდ ცნობილ ადა-  
მიანებთან ურთიერთობის გამო და ბოლოს ისიც, რომ ასეთი პი-  
როვნება ვაჟას პოეზიის თაყვანისმცემელიც იყო და შემფასებელიც.  
ალბათ, ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ 1901 წელს გაზეთ „ივერია-  
ში“ (№ 46) დაბეჭდილი ვაჟას ერთ-ერთი ბრწყინვალე წერილის პირ-  
ველი ვარიანტი (იხ. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინს-

ტიტუტის ვაჟას ფონდი № 27) წარმოადგენს სწორედ პატრიოტულ ანუ როგორც აქ ვაჟა უწოდებს „ნაციონალისტურ“ პოზიციაზე მდგარი პოეტის მწვავე პოლემიკას „კოსმოპოლიტურ“ ნიდაგზე მყოფ ილია ნაკაშიძესთან. უნდა ვივარაუდოთ, რომ რაკი ვაჟამ ნაბეჭდ ტექსტში ამოიღო პოლემიკური ნაწილი, ესაა სწორედ იმ პიროვნულ-ახლოობლური ურთიერთობის გამოძახილი, რაც დიდ პოეტს ილია ნაკაშიძესთან აკავშირებდა. გარდა ამისა, ეს პოლემიკა ძალაუნებურად ძირითადი პრობლემიდან გადახვევასაც იწვევდა. საფიქრებელია, რომ ილია ნაკაშიძის სიმპათიური პიროვნება მაინც ერთგვარად „დაზოგა“ ვაჟამ, როცა შოერიდა სტატიის გამოქვეყნებას. უნდა ითქვას, რომ იმდენად საინტერესო პრობლემებზე აქვს ყურადღება გამახვილებული ვაჟას, რომ წერილის აღნიშნულ მონაკვეთს თავისთავადი ღირებულებაც გააჩნია. აქ სწორედ ილია ნაკაშიძის გამოქვეყნებული სტატიის ის ნაწილი არ მოსწონს ვაჟას, სადაც შეაფიოდ ჩანს ავტორის „კოსმოპოლიტური“ მრწამსი, მრწამსი, რომელიც არ ეთანხმება „პატრიოტიზმსა“ და „კოსმოპოლიტიზმზე“ ვაჟას შეხედულებას. ნინო ნაკაშიძე აღადგენს მის მეუღლესთან ვაჟას შეხვედრის მრავალ შემთხვევას, რომელთაგან ყურადღებას იქცევს ერთი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ეპიზოდი: „ერთ საღამოს ვაჟა შემოვიდა ჩვენთან... და მხიარულად უთხრა ილიკოს: „ილიკო, შენთან მოვედი, ჩემი „გველის მკამელის“ შესახებ მინდა მოგელაპარაკო, დღეს მქონდა ამის შესახებ საუბარი“; ვაჟამ ორი ქართველი ლიტერატორი დაასახელა, ზოგიერთ რამეში იმათ არ ვეთანხმები, შენი აზრიც მინდა გავიგო“. როგორც ვხედავთ, ვაჟა მეტად ანგარიშგასაწევ პიროვნებად თვლის ილია ნაკაშიძეს, რაკი ისეთი უფაქიზესი სფეროს გარშემო თხოვს თავისი შეხედულების გამოთქმას, როგორც საკუთრივ ვაჟას შემოქმედებითი სამყარო და, კერძოდ, დიადი ქმნილება, „გველის მკამელი“.

ნინო ნაკაშიძის მოგონებებიდან ირკვევა, რომ ილია ნაკაშიძეს „გველის მკამელის“ პირველი ნაწილი ძალიან მოსწონდა, მეორე ნახევარი უფრო მდარედ მიაჩნდა. დიდხანს ილაპარაკეს ამის შესახებ... ვაჟა ელაპარაკებოდა:

— ილიკო, შენ ხევისბრად ასარჩევი კაცი ხარ, მაგრამ ხევისბერი ჯვრით და ხმლით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ, შენ კი მარტო ჯვარი გიჭირავს ხელში, ჯვრით გინდა გამარჯვება მოიპოვო... მაგრამ, არ ვიცი, მტერი რომ მოგადგეს კარზე, რას იზამ, მოიშველიებ ხმალს თუ არა?

ამ ნაამბობში ერთის მხრივ გარკვეულად არის არეკლილი XX სა-



უკუნის 10-20-იანი წლების ქართული ინტელიგენციის მიმართება  
 „გველის მკამელის“ იდეურ-მხატვრული სამყაროსადმი, როცა თვით  
 მოწინავე, ევროპულ ფილოსოფიურ-ლიტერატურულ სკოლაგამოვლი-  
 ლი მოაზროვნეებიც კი ვერ ახერხებდნენ იმ სიახლის ახსნას, რაც  
 მხატვრული სტრუქტურისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით ამ გე-  
 ნიალურ პოემას ახასიათებდა. გარდა ამისა, ნიშანდობლივია ის ფაქ-  
 ტიც, რომ ფაქიზი გემოვნებისა და თეორიულად მომზადებულ ლიტე-  
 რატორთა ერთი ნაწილი (მაგალითად, იპოლიტე ვართაგავა, გერონტი  
 ქიქოძე, სერგი დანელია და სხვ.) არა თუ იწუნებდა ამ პოემას, არამედ  
 ზოგიერთი მათგანი რჩევასაც კი აძლევდა მგოსანს, რანაირად შეიძლე-  
 ბოდა დაეწერა ნაწარმოები. ილია ნაკაშიძე ეტყობა ნაწილობრივ  
 ასეთ მწიგნობარ-ინტელიგენტთა რიგს მიეკუთვნებოდა... მეორეს  
 მხრივ, პოემის ბოლო ნაწილის დაწუნების საფუძვლად, საფიქრებელია,  
 ილია ნაკაშიძის ტოლსტოვური მოძღვრებისადმი გამორჩეული ერთ-  
 გულეობაც გამოდის, როცა ის ადამიანთა ბედნიერების პირობად „მხო-  
 ლოდ ჯვრით“ და არა „ხმლით“ მოქმედებას სახავს, რაც, რასაკვირვე-  
 ლია, ვერ ეგუება ვაჟას შემოქმედების სულს, მის მრწამსს, — სწორედ  
 „ჯვრისა“ და „ხმლის“ ერთიანობით სწვდეს თავის იდეალს...

\* \* \*

ნინო ნაკაშიძის ნაამბობში გაცოცხლებულია ვაჟას გარეგნობა, რო-  
 მელიც მრავალი შტრიხით ემთხვევა დიდ პოეტზე არსებულ თანამედ-  
 როვეთა მოგონებებს. მწერალი ქალი სიამოვნებით იგონებს წვიმიანი  
 შემოდგომის დილას, 1895 წელს, როდესაც თბილისის ქუჩებში პირ-  
 ველად იხილა ვაჟა: „ჩემს წინ მიდის კაცი, ვფიქრობ, ვინ არის ეს  
 ძველნაბდიანი კაცი, რომელსაც წულები აცვია და თეთრი შალის წინ-  
 დები მოუჩანს, თავზე ბოხოხი ხურავს და მხრებზე აქლემის ყელის  
 ფერი ყაბალახი აქვს გადმოგდებული. ყველა ჩემი ნაცნობი, რომელიც  
 შორიდან, მგონია, მე მიცინის, თურმე მე ვერც კი მამჩნევს, უცინის  
 ჩემს წინ მიმავალ ძველნაბდიანს და სალამსაც იმას აძლევს“...

როცა ახალგაზრდა ნინო ნაკაშიძე იგებს, რომ მის წინ მიმავალი  
 კაცი ვაჟა-ფშაველაა, უკვე მისი პიროვნებით იხიბლება: „მე ვაჟა-ფშა-  
 ველას ვხედავ, მის ღია თაფლისფერ თვალებს და მის შეუღარებელს,  
 ბავშვურ, ალერსიან ღიმოილს... მაშ, ეს ვაჟა-ფშაველაა, დიდი პოეტი,  
 რომელიც ასე უყვარს ჩემს მეუღლეს, ილია ნაკაშიძეს და რომელიც  
 მას პომიროსს ადარებს... მე მახარებს ნახვა ვაჟასი, სახელგანთქმული,





პოეტის, თუმცა იმის ნაწერების შესახებ მსჯელობას ჯერჯერობით ვერ ვებედავ. ჩემი გურული სმენა არაა შეჩვეული მისი რითმების ბგერებს... მფავარი ისაა, რომ მას დიდად აფასებს ადამიანი, რომლის გემოვნებასაც ვენდობი, ვუჭერებ და ვცდილობ მეც გავიგო „ბუმბერაზი და დიდებული მთების ჩურჩული“... აჰ, გარდა იმისა, რომ შთამბეჭდავდაა აღწერილი ვაჟას გარეგნობა, გულწრფელად არის გადმოცემული მამინ ახალგაზრდა მწერალი ქალის განცდები; ვაჟას ბევრი თანამედროვის მოგონებათაგან განსხვავებით ნინო ნაკაშიძე არ იჩივებს ვაჟას შემოქმედების სიდიადის შეცნობის უნარს, ის იმ დროისათვის ფავრცელებული შეხედულების კვალობაზე არც იმას უარყოფს, რომ მისი „გურული სმენა“ ვერაა შეჩვეული ვაჟას პოეტურ ენას, რომლის სიდიადის მფეხნებას, ახალგაზრდა, მომავალ მწერალში, თურმე, მისი მეუღლე — ილია ნაკაშიძე ამკვიდრებდა. მოგონების ავტორი იმ სახეცვლილებასაც გვიდგენს, რომელიც პოეტის გარეგნულმა იერ-სახემ განიცადა რამდენიმე წლის მანძილზე... „შემდეგ ვაჟა აღარ მინახავს 1903 წლამდე, მაგრამ ამ წელს ის უკვე აღარ იყო ძველი ვაჟა... ხალი-სიანი, ლამაზ ვაჟას მაგიერ ვნახე პოეტი, რომელსაც ცალი ლოყა ჟანგისფრად ჰქონდა გასიებული. მართალია, ღიმილი, ბავშვური და აღერსიანი, ისევ უხდებოდა მისი სახის დაუმახინჯებელ მხარეს, მაგრამ ვაჟა ახლა არც ისე ხშირად იღიმებოდა“... ნინო ნაკაშიძის მიერ აღწერილი ვაჟას ამ ორი პორტრეტიდან მკაფიოდ იკვეთება, თუ გაუხარებლმა ყოფითმა ცხოვრებამ ხანმოკლე დროის მანძილზე როგორ შესცვალა დიდი მგოსნის გარეგნობა და როგორ დარჩა უცვლელი მისი ბუნების თვითმყოფადი ნიშანი — ბავშვური ღიმილი, სიკეთის მთესველი დიდი ადამიანის პოეტური სამყაროს სპეციფიკური მხარე... შთამბეჭდავია ნინო ნაკაშიძის მიერ ბოლო ხილვა ვაჟა-ფშაველასი... ჩვენაზე ის მხოლოდ კუბოში, მისი მოკლედ შეკრეჭილი ჭადარა თმა, დამშვიდებით იწვა ყვავილებში, თითქოს სძინავსო... მის მეტყველ გამხდარ სახეზე, თითქოს არასოდეს არ აღბეჭდილიყოს არავითარი უკმაყოფილება და წყენა. მას ამშვენებდა მისი განსაკუთრებული ბავშვური ღიმილი და ამ ღიმილით ის, თითქოს ამხნევებდა ირგვლივ თავმოყრილ საქართველოს ყოველი კუთხიდან მოზღვავებულ, მგლოვიარე ხალხს“. ნინო ნაკაშიძის მწერლურ თვალს ვაჟას „ბავშვურ ღიმილში“ დაჭერილი აქვს მისი პიროვნების გამომხატველი ის თვისება, რომელიც მგოსნის პოეტურ რაობას გამოხატავს და რასაც ესთეტიკოსები „უშუალობასა და გულუბრყვილობას“ უწოდებენ; ეს უშუალობა და შიამიტობა კი როგორც ცნობილია, დიადი ნიჭის თავისებურებაა,

მის ცარეშე გენიოსიც წარმოუდგენელია (ფრ. შილერი). სწორედ ამ კონტექსტში აქვს დანახული ნ. ნაკაშიძეს უკვდავი ვაჟას გარეგნობაში გამოხატული მისი ნიჭის სპეციფიკური ნიშანი — ბავშვური უშუალობა და ღიმილში გაშლილი სიყვარული სამყაროსადმი.

ნინო ნაკაშიძის მოგონება საგულისხმო ლიტერატურული დოკუმენტია იმ მხრივაც, რომ დაცულია ვაჟა-ფშაველას ურთიერთობის ამსახველი ცნობები ისეთ სახელოვან ქართველ მწერლებთან, მწიგნობარ-ინტელიგენტებთან, მოაზროვნეებთან, ლიტერატორებთან, პოლიტიკურ მოღვაწეებთან, როგორც იყვნენ: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, არჩილ ჯორჯაძე, იროდიონ ევდოშვილი, ვასილ წერეთელი, გიორგი ლასხიშვილი, ვალოდია ლორთქიფანიძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, თედო რაზიკაშვილი, ბაჩანა, კიკნა-ფშაველა...

განსაკუთრებით ძვირფასია ნ. ნაკაშიძის ნაამბობი არჩილ ჯორჯაძესთან ვაჟა-ფშაველას შეხვედრის შესახებ. ცნობილია, თუ რა დიდ პატივს სცემდა ვაჟა გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეს. გადმოცემით, პოეტი ახლო მეგობრებს, ინტელიგენტური და მამულიშვილური ცხოვრების მავალითად უსახავდა არჩილ ჯორჯაძის პიროვნებას. მის გარდაცვალებას მგოსანმა 1914 წელს, მშვენიერი ლექსიც უძღვნა — სათაურით „ჭანდარი“, სადაც სიმბოლურად არის გამოხატული „მშრომელი ხალხის მფარავი“ ადამიანებისათვის შვების მიმცემ „ჭანდარში“ ნაგულისხმევი ამ გამოჩენილი მოღვაწის სახე. მხოლოდ ნინო ნაკაშიძის მოგონების მიხედვით ვიცით, თუ რა აზრისა იყო ვაჟას ნიჭის შესახებ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ეს დიდებული ისტორიკოსი, ევროპულ ფილოსოფიურ-ლიტერატურული აზროვნების სკოლაგამოვლილი ეს შესანიშნავი პიროვნება. ნინო ნაკაშიძე ამაღლევებლად აღწერს კონსპირაციულად მცხოვრებ ავადმყოფ არჩილ ჯორჯაძესთან ვაჟას შეხვედრას, მათ სიყვარულიან საუბარს და, რაც მთავარია, საკუთრივ არჩილ ჯორჯაძის სიტყვებს: „ვაჟა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარეთ თქვენი მოსვლით, დიდი ყურადღებით გკითხულობდი უცხო ქვეყანაში თქვენს „ბახტრიონს“, „სტუმარ-მასპინძელს“, „სისხლის ძიებას“, „ალუდა ქეთელაურს“... შედეგია, შედეგებია... საზღვარგარეთ თქვენი ბადალი მწერალი არ ყავთ. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს ძალიან დაეცა ფრანგული მწერლობა“... ამ სიტყვების მიხედვით ჩანს, თუ რამდენად სწორი პოზიციიდან აფასებს ვაჟას ჟენომენს მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით, ევროპულ კულტუროლოგიურსა და ფილოსოფიურ პრობლემებში ღრმად ჩახედული არჩილ ჯორჯაძე. გაივლის მცირე დრო და გრ. ყიფშიძის, შალვა



ამირეჯიბის, დავით კასრაძის, გრიგოლ რობაქიძის მიერ ვაჟას ჯარდცხულში  
 ვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილებში, სადაზღვე-  
 ბოდ იქნება ყურადღება გამახვილებული დიდი პოეტის ლიტერატურ-  
 რული მემკვიდრეობის საკაცობრიო მნიშვნელობაზე... ხოლო შემდეგ  
 და შემდეგ, გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, შალვა აფხაიძის,  
 კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჩიქოვანის ნარკვევებში, ხოლო  
 შემდგომ მიხეილ კვესელავას „ფაუსტურ პარადიგმებში“ კვლავ  
 იქნება ხაზგასმული ევროპული კულტურის დეკადანსის ხანაში „სი-  
 ცოცხლის წყურვილის“, „სიცოცხლის სიყვარულის“ (გრ. კვიციანი)  
 გამომხატველი ვაჟას ესთეტიკური მრწამსი.

არჩილ ჯორჯაძის ბოლო სიტყვა ვაჟასადმი — „თქვენი უფრო მეტი  
 დაფასება კი მომავალს ეკუთვნის“, — მშვენივრად ასახავს დიდი შე-  
 მოქმედის გაგება-შესწავლის პერსპექტივას და ძალაში რჩება დღესაც.  
 რადგან ვაჟას სახით ხომ ისეთ ხელოვანთან გვაქვს საქმე, რომელიც  
 შესწავლის ამოუწურავი ობიექტია ყოველი დროის მკვლევრისათვის.

ნინო ნაკაშიძე გადმოგვცემს 1905 წლის რევოლუციის შემდეგ,  
 კერძოდ, 1907 წელს, მის ოჯახში შეკრებილი ქართველი ინტელიგენ-  
 ციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შეხედულებებს ვაჟას პიროვნება-  
 სა და პოეზიაზე. საინტერესოა მოგონების ეს ნაწილი იმ მხრივაც, რომ  
 აქ გამჟღავნებულია იმდროინდელ ქართველ ინტელიგენციაში არსე-  
 ბული განსხვავებული დონის, გემოვნების, პოლიტიკური მრწამსის,  
 ესთეტიკური პრინციპების მქონე მწიგნობარ-მოღვაწეთა ღირებულე-  
 ბათა ორიენტაციები. ასე, მაგალითად, ილია ნაკაშიძე ესთეტიკის თვალ-  
 თახედვით აფასებს, გაგებისა და ახსნით მიდგომას ავლენს ვაჟას დი-  
 დი პიროვნებისა და ნაღვაწისადმი, ის იშველიებს ამერიკელი ფილო-  
 სოფოსის ჰენრი თოროს აზრს: „მწერალი ისაა, რომელიც წერს მხო-  
 ლოდ მაშინ, როდესაც აუცილებელ მოთხოვნილებად გადაეჭყევა  
 ხოლმე რაიმე აზრის გამოთქმა“ — და ამ წანამძღვრებზე დაყრდნო-  
 ბით — ერთგვარად ამართლებს ვაჟას საარსებო გარემოს როლს პოე-  
 ტის შემოქმედებითი პროცესისათვის, რითაც გარკვეულად ილია ჭავ-  
 ჭავაძის პოზიციას უცხადებს სოლიდარობას; ხოლო ვალოდია ლორ-  
 თქიფანიძე კი იწუნებს გენიალურ პოეტს, რაკი იზიარებს ერთ დროს  
 ქართული საზოგადოების გემოვნების თვალსაზრისით არა ელიტარულ,  
 არამედ საშუალო დონის მკითხველთა წრეში გავრცელებულ აზრს:  
 „ვაჟა მეტად კუთხურია, ქართველი ხალხის უმეტესობას არ შეუძლია  
 მისი ლექსების და პოემების შეთვისება“. ვაჟას ნაკლად ეს მოღვაწე  
 თვლის იმასაც, რომ ის „არც ერთ სოციალისტურ პარტიას არ ეკუთ-

ვნიშ და, მაშასადამე, რევოლუციონერად არ ჩაითვლება“. ვასილ წერეთელს ვაჟას შემოქმედების პატრიოტული მგზნებარება ზიბლავს, გიორგი ლასხიშვილს — მისი პოეზიის ხატოვანება; ქართველი ინტელიგენტები იხსენებენ მრავალ ეპიზოდს პოეტის ცხოვრებიდან, მისი ნასიათის უსწორმასწორო მომენტებზეც ამახვილებენ ყურადღებას. თუ ზოგიერთი ფიქრობს, რომ „ვაჟას დიდ ნიჭთან ერთად სასტიკი ბუნებაც ახასიათებდა“, სხვების (მაგ., ილია ნაკაშიძე) აზრით, „ვაჟას იმდენი ღირსება აქვს, ისეთი დიდი ნიჭი, რომ მისი ნაკლოვანებანი მოსახსენებელი არ არისო“. როგორც ვხედავთ, შედარებით მშვიდი ცხოვრებით მცხოვრებ თუნდაც ინტელიგენტი ადამიანების უმეტესობის გონება იქითკენ ყოფილა მიმართული, რომ რაიმე ხინჯი აღმოეჩინა მუხლჩაუხრელი, ფიზიკური და ინტელექტუალური შრომით ქანცგაცლილი, ყოველდღიური წვრილმანებისაგან სვეგამწარებული მაღალი პოეტური აღმაფრენის დიდ მგოსანში, რომელიც 1912 წელს ნინო და ილია ნაკაშიძეებს შესჩივის: „გამოვყრუვდი მთაში... სულ ერთი და იგივე, ერთნაირი ცხოვრება. მიიდა ერთი წლით მაინც მოსკოვს წავიდე. ამბობენ: შანიავსკის სახელობის უნივერსიტეტში საინტერესო ლექციებს კითხულობენ, მოვისმენ, ქვეყანას ვნახავ, სხვა ხალხს, სხვა ცხოვრებას გავეცნობი“. ილია ნაკაშიძისა და იროდიონ ზვდომვილის მიერ შეგულიანებულ ვაჟას, რომელიც თავდაპირველად სკეპტიკურად იყო განწყობილი ამ საკითხისადმი, გულს იმედი ჩაესახა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში მის მიერ შეტანილ თხოვნას, სტიპენდიის დანიშვნის შესახებ, მხარს დაუჭერდნენ.

როგორც ვიცით, განუხორციელებელი დარჩა პოეტის ახალგაზრდობისდროინდელი ოცნება და ქართველ მოღვაწეთა ერთი ნაწილის გარჯა, სწავლის მისაღებად გერმანიაში გაეგზავნათ ვაჟა... ასრულება არ ეწერა მგოსნის სიცოცხლის ბოლო წლებში გამოვლენილ ცოდნის დაუფლების დაუოკებელ წყურვილს, მოსკოვში წასვლას რომ ისახავდა მიზნად. ნინო ნაკაშიძე წერს: „ჩვენ მაშინ დარწმუნებული ვიყავით, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა უარს არ ეტყოდა, მაგრამ როდესაც ვაჟას თხოვნა განვიხილეთ გამგეობის სხდომაზე (მე იმ დროს გამგეობის წევრი ვიყავი), მომხრე არავინ აღმოჩნდა ჩემს მეთი. უარის მოტივი ის იყო, რომ სარაჯიშვილის თანხა მხოლოდ ახალგაზრდაზე, გიმნაზიაში კურსდამთავრებულ, უნივერსიტეტის ნამდვილი სტუდენტებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ ორიოდ წლის წინ (1910 წელს) სასტიპენ-





დიო ფონდმა „ვერ მოახერხა“ წარმატებით გიმნაზიადამთავრებული პოეტის ვაჟის — ლევანის სახელმწიფო ხაჯრზე სასწავლებლად გაგზავნა. ასეთი იყო ბედი გენიოსი პოეტისა, რომელსაც არათუ ყოველდღიური ცხოვრება აყენებდა ტკივილს, არამედ არცთუ იშვიათად მისი ახლო ლიტერატურული წრეც, მეგობრებიც ვერ უგებდნენ სულიერ მიზანსწრაფვას“.

ვაჟას სამყაროს ამგვარი გაუგებრობის ერთი ნიმუში ასეა აღწერილი ნინო ნაკაშიძის მიერ: „კაბინეტში ისხდნენ ვაჟა, იროდიონი და ილიკო და ბაასობდნენ. საუბარი ვაჟას შემოქმედების გარშემო იყო. „შენ დიდი პოეტი ხარ, — ეუბნებოდა იროდიონი, — შენი მთა, შენი მდელი და ხევი სიცოცხლის ფეთქვაა. შენი გმირები მძლავრნი, ადამიანისათვის ცხოველმყოფელი სულის ჩამდგმელნი არიან, მაგრამ სავალალო ისაა. რომ ისინი, ე. ი. გმირები კვდებიან ისე, რომ ცხოვრებაში ვერ იმარჯვებენ... თუ გმირი ცხოვრებაში ვერ იმარჯვებს, — ამბობდა იროდიონი, — მარტო გმირული თავის განწირვა და სიკვდილი არ არის საკმაო ცხოვრების გასაუმჯობესებლად და წინ წასაწევად, და გმირებმა კი ცხოვრება უნდა წინ წასწიონ, როგორც გარიბალდიმ, ნაპოლეონმა და სხვებმა“. იროდიონ ევდოშვილის შეხედულებაში გარკვეულწილად არეკლილია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი წევრის პოზიცია, როცა ის მხატვრული ფაქტებისადმი არალიტერატურულ მიდგომას ავლენს. ბუნებრივია, ეს ვაჟას მწვავე რეაქციას იწვევს: „როგორ თუ ვერ იმარჯვებენ? მაშ, ტყუილი ყოფილა ჩემი შრომა! ვაი, საწყალო ლუხუმო, ჩემო ზეზავ, ჩემო ქიჩირბეი, კვირიავ... მაშ, ისე მოკვდით, რომ კვალი ვერ დასტოვეთ?... ვაი, შე საწყალო ვაჟავ, როგორ ვერ მოახერხე იროდიონის მოსაწონი გმირების გამოჩახვა ცხოვრებაში?“

როგორც ჩანს, ვაჟასთვის უცხო არ იყო ფუყე ოპტიმიზმის მოთხოვნაც და პესიმიზმის ჰეშმარიტი ესთეტიკური ღირებულების გაუგებრობის ნიადაგზე შექმნილი წინააღმდეგობანი, რამაც თავისი გამოძახილი ჰპოვა არა მხოლოდ ამ მოგონების მიხედვით იროდიონისადმი გაცემულ პასუხში, არამედ მის „სიმღერებში“: „მე ჩანგურს აღარ ვაჟღერებ“ (1908) და „ათასნაირი ნაღველი“ (1912). როცა ვკითხოთ უბოლობთ ვაჟას ლექსიდან სტრიქონებს: „წაიღეთ ჩანგი, თქვენ ჯქონდესთ!... თავში ვცემ გუშინდელს სატრფოს: მთასა, წყაროს და იასა, აღუდას: ზვიადაურსა და ლუხუმს თავაზიანსა, ლელასა შუბით აღკურვილს, კვირიას კონკებიანსა. ვცემ და დავყვირი: მე ჩემი ყოველივე ესთქვი სათქმელი... თქვენ გაანათეთ სამყარო, მე ზომი გამოქრა



სანთელი... მაგრამ პასუხი არა სჩანს...“ ან კიდევ: „ტანჯვა ვერ გამტევს, ავიტან. უმადურობას მრავალსა“... ვხედავთ განწყობილებათა და აზრთა იმ თანხვედრას, რაც პოეტს ასე პირდაპირ გამოუხატავს იროდიონ ევლოშვილთან კამათის დროს.

ნინო ნაკაშიძე გვიამბობს ვაჟას ძმათა — თედოსა და ბაჩანას დამოკიდებულებაზე გენიოს პოეტთან. ამ მოგონების მიხედვით, თედო წარმოჩენილია როგორც ვაჟასადმი დიდი სიყვარულით გამსჭვალული, საკუთარი შემოქმედებითი გეგმების და დღიური საზრუნავით დატვირთული მწერალი და მოღვაწე; ამ „დინჯ, სიმპატიურ და სასიამოვნო მოლაპარაკე“ პიროვნებას, ძალიან უყვარს მწერლობა, მაგრამ იმდენადაა გატაცებული მეფუტკრეობით, რომ შემოქმედებით წვას უკანა პლანზე გადაუნაცვლებია და თავისთავად ძალზედ კეთილშობილ, მაგრამ მაინც პრაქტიკულ საქმიანობას შთაუთნქავს მისი მხატვრული ენერჯია. თედოს შემოქმედებითი ცხოვრება, გარკვეული აზრით, პრაქტიკულ ყოველდღიურობითაც არის სტიმულირებული, როცა ყოფაში მეფუტკრეობით გატაცებული, ფუტკრის ცხოვრების პოეტურ აღწერას ისახავს მიზნად. მაშინ, როცა ვაჟა-ფშაველა პრაქტიკულ წვრილმანებით აღსავსე ყოფაშიც გენიალურ პოეტად რჩება. სხვადასხვაგვარად წარმოსახავს ნინო ნაკაშიძე ბაჩანას დამოკიდებულებას გენიოსი ძმისადმი. რასაკვირველია, ბაჩანა გრძნობს ვაჟას ნიჭის სიდიადეს, უყვარს ის, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს უმცროს ძმან გარკვეულად რალაცნაირად აღიზიანებს უფროსი ძმის მდგომარეობა... ვაჟა, ბაჩანას ძმეშში უფრო „გაბედულ და უზრუნველყოფილ“ კაცად მიაჩნია... მაგრამ არც იმას უარყოფს, რომ „ვაჟა გმირიც არის“, რადგან თანამოძმეებს თავდაუზოგავად ეხმარება. მან დიდი წინააღმდეგობა გაუწია მთავრობის მოხელეებს, რის შედეგადაც შირაქის საძოვრები ხალხს ღარჩა.

ნინო ნაკაშიძის მეხსიერებამ შემოგვინახა აკაკისა და ვაჟას შეხვედრის ერთი სცენაც, სადაც ამ ორი დიდი მგოსნის ხასიათის თავისებურება რელიეფურადაა ასახული:

„1912 წელს, სოხუმში წასვლის წინ რედაქციაში შემოვიდა იროდიონ ევლოშვილი... რედაქციაში აკაკი იჯდა. გახარებული გადაეხვია აკაკის... ლაპარაკის დროს შემოვიდა ვაჟა. ჰაა, ჩვენ მთის არწივს გაუშარჯოს! — შესძახა მხიარულად აკაკიმ. მთის არწივიც შენ ბრძანდები და ბარის ბუღბულიც! — უთხრა ვაჟამ ღიმილით, მაგრამ როგორღაც არასასწამრენო კილოთი და ხელი ჩამოართვა. მე ახლა არწივი კი არა, ჯაჯაც არა ვარ, წიწილას მოტაცებაც კი არ შემიძლია. აგერ, ამათ ერთი



პატარა ყვინჩილა მოვუტანე და უკანვე გამატანა რედაქტორმა, არ ვარგაო, — თქვა სიცილით აკაკიმ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ნაკადულის სარედაქციო კომისიას გარდაუვალ წესად ჰქონდა, ვისი მასალაც უნდა ყოფილიყო, თუ კომისიის აზრით, შესაფერისი არ იყო ჟურნალისთვის, არ დაიბეჭდებოდა. დაბრუნება აკაკის არაოდეს არ სწყინდა. ვაჟას კი სწყინდა, თუმცა ჰონორარს დაწუნებულის ანგარიშშიც ვაძლევდით, რადგანაც ვიცოდით მისი ხელმოკლეობის ამბავი“.

ამ ნაამბობში ორი მომენტი იპყრობს ყურადღებას: ერთის მხრივ სიმპტომატურია ყოველი დროის რედაქციების უმრავლესობისათვის დამახასიათებელი ერთგვარი სენი — გაზეთის თუ ჟურნალის გემოვნებისა და მოთხოვნილების კვალობაზე მოახდინოს ნიჭის ინდივიდუალობის უნიფიკაცია, თუნდაც ისეთი გენიალური მხატვრული ინდივიდუალობისა, როგორიც აკაკი და ვაჟა იყო. კეთილშობილი მწერალი ქალი გულწრფელი, სწორედ ქალური მიამიტობით, ერთგვარი თავმომწონეობითაც კი აცხადებს ამას. მეორეს მხრივ, მის მოგონებაში კარგად ჩანს ემოციური, ლირიკული ბუნების აკაკის გახსნილი ხასიათი, ცხოვრებისეულ ტკივილებს სიცილით რომ ხვდება, სიცილით, რომელიც „ზოგჯერ ცრემლზე მწარეა“. აქვე თვალნათლივ იკვეთება ვაჟას დინჯი, ეპიკური წყობის ბუნება, პირქუში და მყარი — წყენას ვერ მალავს არათუ ასეთ წვრილმანებთან შეხებისას, არამედ ერთ დროს მისი პოეზიის ენის აკაკისეული შეფასების გამოც. თვით ამ დიდ თანამედროვესთან შეხვედრისას ვერ ახერხებს ნიღბის ტარებას, კომპლიმენტს ეუბნება აკაკის და ხმაში მაინც კრთის წყენის ინტონაცია. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ამ მოგონებიდან ყურადღებას იქცევს ერთი დეტალი... ვაჟას ნაწყენი ტონის ნიუანსები უყურადღებოდ არ რჩება აკაკის, — ეს მის სიტყვებშიც ილანდება, დიდი ტაქტით გადააქვს ყურადღება სხვაზე. იროდიონი და აკაკი ერთმანეთს ესიყვარულებიან, ნინო ნაკაშიძის სიტყვით, „აკაკი აღგა, ყველას თავი დაგვიკრა და უცებ წავიდა, იროდიონი გაპყვა გასაცილებლად“... უკვე ვაჟაც გრძნობს სიტუაციის დაძაბულობას: „ჩემი მოსვლა ხომ არ ეწყინა ნეტავი, ასე უცებ რომ წავიდა? — თქვა ვაჟამ“ და თან თავისსავე იჭვის გასამართლებლად ამ ნათქვამს ასეთ კომენტარს უკეთებს: „თუ რამე საწყენია, მე უნდა მეწყინოს“... რაც, რასაკვირველია, ნინო ნაკაშიძის გულწრფელ გაკვირვებას იწვევს, თუ „რა უნდა სწყენოდა ვაჟას აკაკისაგან“.

ვაჟას ზოგიერთ ნაწარმოებთა ბედის და პოეტის პიროვნულ თავისებურებათა შესახებ ნინო ნაკაშიძე ძვირფას მასალას გვაწვდის. მისი



გაცნობისას ვრწმუნდებით თუ ყოველ დროში რაოდენ მძიმე იყო ხედრი დიდი ხელოვანისა, გარეგნულად პატივისცემით მოსილი, შინაგანად კი მარტოსული რომ რჩებოდა ამ ქვეყანაზე. ხშირად შესანიშნავ თხზულებათა გამოქვეყნება-არგამოქვეყნების საკითხი შემთხვევით სიტუაციებზე იყო აგებული. უჭირდა ვაჟას ცხოვრება მატერიალურად, სულიერად და რედაქციებთან ურთიერთობისას ხშირად ღიზიანდებოდა მისი დიდი პოეტური სული. ნინო ნაკაშიძე იგონებს „ნაკადულის“ რედაქციაში დასაბეჭდად გამიზნული ვაჟას ერთი თხზულების განხილვის ისტორიას. რედაქციის წევრი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ფედერალისტი ვალოდია ლორთქიფანიძე კითხულობს ვაჟას მასალას. ადრე პოეტს ნინო ნაკაშიძისათვის უთქვამს: „მოვიტანე ერთი მოთხრობა, უკვე რედაქციას გადავეცი. მინდოდა მეც დავესწრებოდი კითხვას, მაგრამ დრო არა მაქვს და მგონი ვერ დავესწრო“.

და აი, ვალოდია ლორთქიფანიძე იწყებს ვაჟას ნაწარმოების კითხვას, უჭირს ხელნაწერის გარჩევა და აცხადებს: „არ ვარგა, რა წასაკითხავია ქათამ-კვერცხის მოვაკრე ჩარჩების ამბავი. რა საჭიროა ბავშვებისათვის ასეთი მოთხრობები, თანაც ისეთი ხელითაა დაწერილი... და ვალოდიამ გადადო იქით ხელთნაწერი. აბა, მაჩვენე, იქნებ მე გავარჩიო, — ვუთხარი მე... ხელნაწერი გავარჩიე და წავეიკითხე. ეს იყო მშვენიერი მოთხრობა „სათაგური“. რედაქციის შემადგენლობას ძალიან მოეწონა და გადაწყდა მისი დაბეჭდვა. ვალოდია სიცილით ამბობდა: „კინამ არ დავლუპე საუცხოო მოთხრობა“; და ასეთ შესანიშნავ მოთხრობებში 3 კაპიკის ნაცვლად პატივისცემის ნიშნად სტრიქონში 5 კაპიკს უხდიან ვაჟას, ლექსში — 7 კაპიკს, თანაც ასეთ კურიოზულ შემთხვევებზეა დამყარებული მისი მკითხველამდე მისვლა. ეს იყო ქართველთა მძიმე მატერიალური და სულიერი სიდუხჭირის შედეგი, რაზეც ბუნებრივია, სუფთა, ბავშვური სულის პოეტი მძაფრ რეაქციებს ახდენდა, რაც ზოგჯერ რედაქციებთან მწვავე კონფლიქტშიც გადადიოდა. ასეთი გაუგებრობა დიდ მგოსანს მის კეთილისმყოფელ რედაქტორთან, ნინო ნაკაშიძესთანაც მოსვლია. „1912 წლის შემოდგომაზე ვაჟამ მრავალი მოთხრობა და ლექსი მოიტანა“, — იგონებს ნინო ნაკაშიძე. — ორი მოთხრობა... დაიბეჭდა... სხვა ლექსები და მოთხრობები, სახელდობრ, მოთხრობა „ქართველი კაცი, ღვინის ქვევრი და ბოჩკა“ და მოთხრობა „კაკალი“ რედაქციამ საბავშვო ჟურნალისათვის შესაფერად ვერ ცნო“. ამ გარემოებას „გულისწყრომა“ გამოუწვევია ვაჟასი. ერთ დღეს ის რედაქციაში მისულა და ნ. ნაკაშიძისათვის მწყრალად უთქვამს: — „ეს მითხარი, აკაკი მართლა ლებუ-



ლობს „ნაკადულის“ რედაქციიდან პენსიას?... „აბა, რა პენსიაა ტუ-  
 მანი თვეში, რედაქციამ გადაწყვიტა აძლიოს თვეში თუმანი იმ მასალე-  
 ბისათვის, რომლებიც შეიძლება მოიტანოს აკაკიმ და არ დაიბეჭდოს-  
 მეთქი. ვაჟა განაწყენებული აცხადებს: „მე კი არაფერი ვიცოდი“. ნი-  
 ნო ნაკაშიძის სიტყვით, „ვაჟა ცოტახანს ჩუმად იყო. შემდეგ ცივად  
 გატრიალდა და უსიტყვოდ გავიდა. ამ შემთხვევის შემდეგ არ გასულა  
 დიდი ხანი... „სახალხო გაზეთში“ ვაჟამ გამოაქვეყნა „წერილი რედაქ-  
 ციის მიმართ“, სადაც ის უარს აცხადებდა „ნაკადულში“ თანამშრომ-  
 ლობაზე. რედაქციას გადაუწყვეტია ნინო ნაკაშიძის, როგორც რედაქ-  
 ტორის, ხელმოწერით გამოქვეყნებინა პასუხი დიდი პოეტის წერილ-  
 ზე, მაგრამ მოგონების ავტორის თქმით, ილია ნაკაშიძის დაყენებული  
 მოთხოვნით, „რომელსაც ვაჟა უყვარდა და რომლის ხათრი მქონდა  
 ყოველთვის“ პასუხი არ დაბეჭდილა. ილია ნაკაშიძეს კარგად დაუნა-  
 ხავს და აუხსნია კიდევ ვაჟას განაწყენების მიზეზი, როცა უთქვამს;  
 „ნუ ვაწყენინებთ ვაჟას, ნუ დავებუდავთ ამ წერილს, მოითმინეთ წყე-  
 ნა ვაჟასაგანო. „ნაკადულის“ ამბავი ვინც იცის და ვაჟას ფიცხი ხასი-  
 ათი, ის მიხვდება, რომ მიზეზი მასალის დაუბეჭდაობა იქნებოდაო. და-  
 ვუჭერდა წერილი აღარ დავებუდე“, — იგონებს ნინო ნაკაშიძე. რო-  
 გორც ჩანს, ილია ნაკაშიძისთანა ჭეშმარიტი ინტელიგენტი, რომელიც  
 ყოველნაირად ზრუნავდა, რომ გული არ დაეთუთქა დიდი ნიჭის ადა-  
 მინანისათვის, მცირე იყო ვაჟას გარშემო; ამიტომაცაა, რომ მრავალნა-  
 ირად არის უკმაყოფილო გენიოსი პოეტი იმ გარემოცვაზე, რომელიც  
 ხშირად ხასიათის წვრილმან გაუგებრობებსაც კი არ პატიობდა „მარ-  
 გალიტების მთესველ“ გენიოსს. ნინო ნაკაშიძე იმასაც მოგვითხრობს,  
 ამის შემდეგ როგორ შეურიგდა ვაჟა; აღწერს პოეტის სტუმრობას  
 ოჯახში, სადაც უსაუბრიათ გურიის მკვიდრთა დამოკიდებულებაზე  
 ვაჟას ნაწერების მიმართ. ვაჟას გადაწყვეტილი ჰქონია, 1905 წლის  
 აჯანყების დროს რაზმით ჩასულიყო გურიაში, ვაჟა მასპინძლებს უმ-  
 ყდავენებს ჩანაფიქრს: მოიაროს გურია-აჭარა და ისეთი ნაწარმოები  
 დაწეროს, რომ „მასში ასახული იქნას როგორც მთის, ისე ბარის სატ-  
 კივარი, სიბრძნე და სიხარული. მინდა ჩემს გმირს საქართველო დავა-  
 ტარო და ყველას ჰირ-ვარამი გავაგებინო“, — უთქვამს პოეტს, მაგ-  
 რამ ეს ჩანაფიქრი, სხვა დიდ ზრახვებთან ერთად, ნაადრევი გარდაც-  
 ვალების გამო, განუხორციელებელი დარჩა.

საძალზეც შთაბეჭდავია ნინო ნაკაშიძის მოგონების ის ნაწილი, სა-  
 დაც გაცოცხლებულია ვაჟასა და მისი შესანიშნავი შვილის — ლევან  
 რაზიკაშვილის სტუმრობა რედაქციაში. ამ ეპიზოდში ამაღელვებლად



არის გაცოცხლებული ცხოვრების ვარამისა და საზოგადოების გულგრილობისაგან სვეგამწარებული გენიოსი პოეტის გულისწუხილი. ნინო ნაკაშიძის გადმოცემით, „მოიყვანა მან ჩვენთან რედაქციაში თავისი ვაჟი, გამხდარი, ლამაზი ბიჭი, რომელიც თბილისში ჰყავდა სასწავლებელში. ძალიან კარგი ბიჭია, თქვა მან სიყვარულით. ამაზე მეტად აღარავინ მიყვარს ქვეყანაზე, ჩემს ძმასთან ცხოვრობს სანდროსთან... ტელეგრაფისტია... როგორ, გამიკვირდა მე, თქვენ, ძმები ყველა პოეტები ხართ, დედაც პოეტი გყოლიათ... სანდრო რატომ არის ტელეგრაფისტი? ვაჟამ ოდნავ ამოიოხრა და ნელა წარმოთქვა: მე და ჩემმა ღმერთმა, პოეტობას ტელეგრაფისტობა სჯობია... ამ ჩემ ბიჭსაც ვეუბნები, არ გაბედო ლექსების წერა-მეთქი. და არ წერს? მადლობა ღმერთს, არ წერს და სწორედ ამიტომაც კაი ბიჭობაში ბადალი არა ჰყავს. ჰა, შენ რას იტყვი? — მიუბრუნდა ის თავის ვაჟს. ყმაწვილი ნელა იცინოდა. მისი ღიმილი მამას მოგაგონებდათ, მაგრამ მამაზე უფრო ლამაზი და ნაზი იყო. და, როდესაც ვიგონებ, ყოველთვის წარმომიდგება თვალწინ, როგორ იჯდა სკამზე რედაქციის დიდ მაგიდასთან შავთვალწარბა, გამხდარი ბიჭი, თავზე გიმნაზიელის ქუდი, ოდნავ თავდახრილი, და როგორი სიყვარულით და სიხარულით შესცქეროდა მას, მისი ჩოხიანი დიდი პოეტი-მამა და როგორ ნატრობდა, რომ ეს საყვარელი შვილი პოეტი არ გამოსულიყო!

გული მეტკინა, რატომ უნდა ეთქვა ეს სიტყვები ვაჟს? იყო თუ არა ვაჟა ქართველი ხალხის მიერ უყურადღებოდ მიტოვებული? — მრავალმნიშვნელოვნად სვამს კითხვას ნინო ნაკაშიძე და თაობათა წინაშე აყენებს ხელოვანისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების კონტექსტში ვაჟა-ფშაველასა და ქართული საზოგადოების დამოკიდებულების გარკვევის აუცილებლობას.



ვაჟა-ფშაველა

ღვეზის ქორწილი

ღამით ცა ჰქუხდა, გრგვინავდა,  
მთებს მოედრიკათ თავიო.  
ტყეს გასდიოდა ფოთოლი,  
ზღვა ბობოქარობს შავიო.  
ღვეზებსა აქვის ქორწილი,  
დიდი დარბაზი ზრიალებს.  
მეც დამპატიყეს, შევედი, —  
რა მქისე სუნი ტრიალებს!  
სამ პირად ცეცხლი დაენტოთ,  
ზედ სამი ქვაბი უხიოდა,  
სტუმრების წინა ხონჩებზე  
კაცის თავ-ფეხი დიოდა.  
უკვენას ყურეშიითა  
კვენესის ზმა გამოდიოდა:  
„ძმის ხორცი როგორა ვსჭამო?“ —  
ყმა, ვინმე გამოჰკიოდა.  
უსმელ-უჭმელად გავსტეხი,  
ყელშიაც ამომდიოდა.

1886 წ.



---

რვენი  
იუბილარები

მითხვავს ჰვირგვინსა დიდობისას მთითონ ბადი...  
შამი ჩემია ღა შამისა მთ ვარ იმადი!

**ნიკოლოზ ბარათაშვილი**

პაოლო იაშვილი

(1894—1937 წწ.)

პაოლო იაშვილი იმერეთის პატარა სოფელ არგვეთში დაიბადა, ჯიბრაილ იაშვილისა და ბაბილინა მდივნის ოჯახში. მამა აფთიაქარი ჰყავდა; თავისი ხელობით, იგი, როგორც ჩანს, ჩინებულად ინახავდა დიდ ოჯახს, რადგან, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიასა და ანაპის გიმნაზიებში სწავლის შემდეგ პაოლო პარიზში გაამგზავრა ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში მხატვრობის შესასწავლად. ჰაბუკი პაოლო მაშინ თანაბრად იყო გატაცებული პოეზიითა და მხატვრობით; გიმნაზიაში სწავლისას, 1911 წელს რედაქტორობდა ხელნაწერ ჟურნალს რუსულ ენაზე „Стрелы Колхиди“, ამავე წელს ქუთაისის გაზეთ „კოლხიდაში“ პირველი ლექსი „ღმერთო, ღმერთო“... გამოაქვეყნა. შემოხსენებულ ჟურნალს ჩვენამდე არ მოუღწევია; ვიცით მხოლოდ, რომ „კოლხიდაში“ მწვავედ გააკრიტიკა „ახლადგამოჩენილი ჩვენებური მოპარუსკეები“, მათ შორის — „პაოლიკო“ იაშვილიც. „Стрелы Колхиди“ და მისი გიმნაზიელი ავტორები იქნებ მართლაც იყვნენ ვასაკრიტიკებელნი. ჩვენთვის ეს ცნობა მაინც ძვირფასია, რადგან მიგვანიშნებს, რომ პაოლომ გიმნაზიაშივე გამოავლინა პოეტური ნიჭიც და თავკაცობის უნარიც (გაივლის ორიოდ წელი და იგი უკვე ნამდვილი ლიტერატურული ჟურნალი „ოქროს ვერძის“ რედაქტორად მოგვევლინება); საინტერესოა ისიც, რომ მან, ტიციან ტაბიძისაგან განსხვავებით, გიმნაზიაშივე „გადაიკეთა“ ნათლობის სახელი პავლე — პაოლოდ. ტიციანი არამცთუ ადრინდელ ლექსებსა და მინიატურებს, არამედ 1916 წელს „ცისფერ ყანწებში“ გამოქვეყნებულ თხზულებებსაც კი „ტიტე ტაბიძეს“ აწერდა.

პაოლო იაშვილის პირველი, 1911-13 წლებში გამოქვეყნებული ლექსები — „ღმერთო, ღმერთო...“, „წითელი დღე“, „ზარის ხმა ქარში“, „მეორეს“ — იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით, ქართული ტრადიციული პოეზიის რკალში თავსდება.



პოეტის შემოქმედებითი გზის დასაწყისის ორმა უმნიშვნელოვანესმა ფაქტმა — 1913 წელს ქუთაისში „ოქროს ვერძის“ გამოცემა და ე. წ. „ახალი პოეზიის“ მექაში — პარიზში გამგზავრებამ განსაზღვრა პაოლო იაშვილის პოეზიის შემდგომი მიმართულება — ლტოლვა ავანგარდიზმისადმი, რაც 1915 წლის დამლევს „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა.

უფრო ადრე კი პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძესთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან და სხვა მომავალ „ცისფერყანწელებთან“ ერთად, მოდერნისტული პოეზიისა და უახლესი ევროპული ფილოსოფიისადმი ინტერესი გაუღვივა გრიგოლ რობაქიძის ბრწყინვალე ლექციებმა, აგრეთვე, კიტა აბაშიძისა და არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიურ-ესთეტიკურმა ნააზრევმა.

ჯერ კიდევ „ოქროს ვერძში“ გამქლავნდა ჭაბუკი რედაქტორის პაოლო იაშვილის შემოქმედებითი სითამამე და ორგანიზატორული ნიჭი. მან მოახერხა შეექმნა თავისი დროისათვის ღირსსაცნობი ჟურნალი, მიეზიდა ბრწყინვალე მომავლის ახალგაზრდობა — გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიპჩელი, შალვა დადიანი, სერგო კლდიაშვილი... შედარებით უფროსი თაობის უკვე სახელმძღვანელო მოღვაწეთაგან „ოქროს ვერძს“ ორმა დასდო პატივი — ნიკო ლორთქიფანიძემ და გრიგოლ რობაქიძემ.

გრიგოლ რობაქიძემ მისთვის ჩვეული პირუთვნელობით შენიშნა „ოქროს ვერძის“ ღირსებაც და ნაკლიც: „არც მგონია ასეთი ვერძისათვის იაზონმა მოაცუროს თავისი გემი კოლხეთის ნაპირს, მაგრამ მასში არის ისეთი რაღაც, ხელუხლებელი, გამოუთქმელი, რომელიც სიამოვნებას ჰგვრის ხელოვნების მოყვარულს: ეს არის ყვავილოვანი სიყმაწვილე, რომლის ლაღად ნაკვეთ შუბლზე ჯერ კიდევ არ გაუტრენია ჭკნობის ფიქრის ფრთას“ („ოქროს ვერძი“, № 3).

ძველი კოლხების ჩამომავალთ, რა თქმა უნდა, შეეძლოთ თავიანთი ჟურნალისათვის „ოქროს ვერძი“ ეწოდებინათ, მაგრამ ეს სახელწოდება გარკვეულწილად მეტყველებს რუსული სიმბოლიზმისადმი გამყვანებულ ინტერესზეც (მოსკოველი სიმბოლისტები 1906-09 წლებში გამოსცემდნენ ჟურნალს „Золотое Руно“ — „ოქროს საწმისი“). ჟურნალში მოთავსებული ვილიე დე ლილ ადანის, ლეონიდ ანდრეევის, იგორ სევერიანინის თხზულებათა თარგმანები, ცნობები ვაბრიელე დ'ანუნციოს, ვალერი ბრიუსოვის, კონსტანტინე ბალმონტის, იურგის ბალტრუშაიტიშის შესახებ გვაფიქრებინებს, რომ ჭაბუკი რე-





ქართული  
გრაფიკული

პაოლო და ტიტოანი, 30-იანი წლები.

დაქტორი კარგად იცნობდა მის თანამედროვე დასავლეთ ევროპულსა თუ რუსულ მწერლობას; რომ მას, ეპიგონებისაგან განსხვავებით, აღარ აკმაყოფილებდა კარგად გაკვალულ გზაზე სიარული და უახლესი ევროპული პოეზიის მიღწევათა ათვისებასა და მათ ქართულ ნიადაგზე დანერგვას ცდილობდა.

1913 წლის ივნისში „ოქროს ვერძის“ გამოცემა შეწყდა, პაოლო კი პარიზში გაემგზავრა. ჭაბუკი პოეტი ოფიციალურ სწავლებას ნაკლებად უღებდა გულს, იგი კვლავ თავის საყვარელ სფეროში ტრიალებდა; ღრუბელივით იწოვდა იქაურ გარემოს, ე. წ. „ახალი პოეზიის“ სიტკბოთი თუ „შხამით“ იუღინებოდა. დიდი გულმოდგინებით ეუფლებოდა მონმარტრის ბოკემურ ცხოვრებასაც.

გერონტი ქიქოძე იგონებდა: პაოლო ცხოვრობდა პარიზის ლათინურ უბანში, მის „ფიქრთა მფლობელნი“ შეიქმნენ ფრანგი სიმბოლისტი პოეტები — ბოდლერი, მალარმე, რემბო, ვერლენი... იგი „ადვილად ხიბლავდა და იზიდავდა ადამიანებს, თვით ისეთებს, რომელთა ენა მან კარგად არ იცოდა.“ ადვილად დაუახლოვდა იგი სხვადასხვა ეროვნების მხატვრებსა და პოეტებსაც.

მაგრამ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. პაოლო იაშვილი „ევროპის წარღვნას“ გამოექცა და, რის ვაი-ვაგლახით, ინგლისის, სკანდინავიის ქვეყნებისა და რუსეთის გავლით დაბრუნდა საქართველოში.

მის პოეზიაში ახალი ზანა დაიწყო: პაოლოს აღარ აკმაყოფილებს ტრადიციული სალექსო საზომები, იგი მიმართავს სონეტის ფორმას, რაც ძალზე ტევადად მიაჩნია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „სონეტი ელის“ (1915 წ.), პირველ სონეტს მის პოეზიაში.

1915 წლის აგვისტო-სექტემბერში სალიტერატურო სარბიელზე ქართველი პოეტი ქალი „ელენე დარიანი“ გამოჩნდა. მაშინ ეჭვიც კი არა ეის ეპარებოდა, რომ ამ სახელს პაოლო იაშვილი ამოეფარა; საზოგადოების ერთი ნაწილი მტრულად შეხვდა „ურცხვ“ ლექსებს, რომელნიც მიწიერ სიყვარულსა და ვნებას ქადაგებდნენ. „ელენე დარიანის“ ლექსებით პაოლომ პირველად გაიბრძოლა „დაკანონებული“ პოეტური ნორმების წინააღმდეგ.

ევროპისა და რუსეთის უახლესი პოეზიის გაცნობამ, აგრეთვე, მიმბაძველთა მოძალებამ 10-იანი წლების ქართულ პოეზიაში, განაპირობა თანამოაზრე ახალგაზრდა პოეტთა მიერ ავანგარდისტული ჯგუფის შექმნა. 1915 წლის შემოდგომის მიწურულს ქუთაისში ჩამოყალიბდა „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფება, რომელმაც საზოგადოებას ამცნო ქართული სიმბოლიზმის აღმოცენება. მისი პირველი

ალმანახის „ცისფერი ყანწების“ (გამოვიდა 1916 წლის 28 თებერვალს) რედაქტორი პაოლო იაშვილი იყო.

მეხის გეარდნის ეფექტი ჰქონდა „ცისფერ ყანწებს“, განსაკუთრებით კი მანიფესტს — პაოლო იაშვილის „პირველთქმას“, მისივე უსათაურო ლექსს — „პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე“... ამ ლექსში პოეტი საკმაოდ რეალისტურად გადმოგვცემდა სიმბოლიზმის მიერ კლასიკური მწერლობის უარყოფას.

ჩვეუფის ერთგვარად „სკანდალურ“ პოპულარობას ხელი შეუწყო თამამმა საჯარო გამოსვლებმაც, რომელთაც ძირითადად პაოლო იაშვილი წარმართავდა.

1916 წლის დეკემბრის დამლევს გამოვიდა „ცისფერი ყანწების“ მეორე და უკანასკნელი ნომერი. ამ დროისათვის შერბილდა ის მტრული გარემოცვა, რომელშიც უხდებოდათ ყოფნა „ცისფერყანწელებს“. ახლოვდებოდა 1917 წელი... ახალ დროებას ლიტერატურული პაექრობისათვის აღარ ეცალა.

„ცისფერ ყანწებსა“ და ჩვეუფის სხვა გამოცემებში, იმდროინდელ ქუთაისურ თუ თბილისურ პრესაში დაიბეჭდა პაოლო იაშვილის ავანგარდისტული სულისკვეთების ლექსები, რომელთაც წარმოაჩინეს პოეტის ორიგინალური ხელწერა. „წმინდა ხელოვნების“ მსახურად გვევლინება პოეტი, როცა „ქორწილის“ (1915 წ.), „სვედრანი ზურმუხტისა“ (1916 წ.) და „პირამიდების“ (1916 წ.) ზღაპრულ-ეგზოტიკურ სამყაროს ქმნის.

არტიტული პოზა და მანერულობა, თვითგანდიდების სურვილი და ერთგვარი ფაშილარული დამოკიდებულება წარსულის დიდ ხელოვანთა მიმართ იგრძნობა ლექსებში „პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე“ (1916 წ.), „ავტობორტრეტი“ (1917 წ.), „სონეტი“ (1918 წ.).

პოეტის შემოფოთება, გაორება, სულის მიუსაფრობა, სიგჟისა და ნიკვდილის წინათგრძნობაა გადმოცემული ლექსში „თორმეტი წლიდან აღარ მაცლიდნენ“ (1918 წ.). ფატალიზმისა და განწირულების, პოეტის ტრაგიკული ხვედრის თემა აწვალებს პოეტს.

ვალერიან გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილი ლექსებიდან („ვალერიან გაფრინდაშვილს“, 1915 წ.; „ვალერიან გაფრინდაშვილს“, 1919 წ.). წარმოგვიდგება „ოფელის ორდენის ერთადერთი კავალერი, ცხოვრებისაგან განდგომილი პოეტი, რომელიც ოცნების გამოგონილ სამყაროში ტრიალებს.

პაოლოს ბრწყინვალე ურბანისტულ ლექსში „ფარშავანგები ქა-

„ლაქში“ (1916 წ.), პოეტს თანამედროვე ქალაქი ურჩხულად ესახნება: ქალაქში სიციხეა და რეტიანი ფიქრები, მღვრია კვამლი და სნეული ძაღლები...

ქალაქის შემხარავ სურათში პაოლო იაშვილმა უხვად ჩაღვარა წითელი ფერი. ეს კი ბოროტი „სისხლისფერი გველუშაპის“, გააფიქრებული მზის ფერია, რომლის დამანგრეველ ძალას ასეთი ექსპრესიით გადმოგვცემს პოეტი. მზე პაოლო იაშვილის პოეზიის დიდმნიშვნელოვანი სახეა. ის, ერთის მხრივ, პოეტის სიმბოლისტურ ძიებებს უკავშირდება, მეორეს მხრივ კი — ქედმოხრია სიცოცხლის ამ დაუშრეტელი წყაროს წინაშე.

წითლადაა შეფერილი პ. იაშვილის „წითელი ხარიც“ (1916 წ.). გავიხსენოთ ამ ლექსის „წითელი“ და „ყვირთელი“ ფერი, „ცეცხლიანი ყვავილები“, „ნაკვერცხლები“ და „ოქროს მტვერი“, „ცეცხლის ფრთა“ და „ალური ნადიმი“.

წითელი ხარის მზისკენ სწრაფვა მიწისაგან გაქცევას უდრის. მზისკენ მქროლავ ხარს, პოეტის განდიდებისა და ხოტბის საგანს, თან მიჰყვება პოეტის მთელი არსება.

მზე ბოროტი ძალაა ორსავე ლექსში და მისი აპოლოგია არ ეწინააღმდეგება სიმბოლისტების მართლწერას.

ლექსში „ფარშავანგები ქალაქში“ პოეტის აპოკალიფსური ჩვენება თანამედროვე ქალაქის ფონზე წარმოგვიდგება, „წითელ ხარში“ კი ფონი უფრო გავრცობილია: აქ მზე დალუპვას უქადის დედამიწას. სამყაროს დასასრულის აპოკალიფსური მოლოდინი საერთოდ დამახასიათებელია სიმბოლისტებისათვის.

სიმბოლისტი პოეტებისათვის დამახასიათებელია ბგერწერით გატაცება. პაოლო იაშვილის „ასო ლასი“ (1917 წ.) და „დარიანული“ (1923 წ.) ალიტერაციაზე დაფუძნებული თამამი ფორმალისტური ექსპერიმენტი. სიმბოლიზმის დოგმატს არ ეწინააღმდეგება „ელენე დარიანის დღიურების“ (1915—1924 წწ.) ეროტიზმიც.

„დარიანული“ ლექსები, უწინარეს ყოვლისა, პ. იაშვილის პოეტური გარდასახვის იშვიათ უნარზე მეტყველებდა. პოეტი ორმაგი სიძნელის წინაშე იდგა: მას უნდა დაენახა სამყარო არარსებული ლირიკოსი პოეტის და თანაც პოეტი ქალის თვალით. ეს ლექსები, მიმართულნი ბანალური სატრფიალო ლირიკის წინააღმდეგ, პოეტის ნოვატორულ ბუნებაზე მიგვანიშნებდა.

\* \* \*

„ცისფერყანწელები“ ერთხმად აღიარებდნენ პაოლო იაშვილს „ცისფერი ორდენის“ თავკაცად, თუმცა იმასაც სამართლიანად შენიშნავდნენ, რომ თეორიული ბრძოლის სიმძიმე ძირითადად ტიციან ტაბიძესა და ვალერიან გაფრინდაშვილს აწვიათ მხრებზე. პაოლო მართლაც ლიდერი გახლდათ ახლადშექმნილი ჯგუფისა: „ღირიყორი ყველგან — პაოლო იაშვილი არის გაბედული არქიტექტორი ორდენის, ატლანტივით ორივე ხელით უჭირავს „ცისფერი ყანწების“ სიმძიმე,“ — წერდა სანდრო ცირეკიძე 1924 წელს.

პაოლოს როლი განსაკუთრებით საგრძნობი იყო ჯგუფის შექმნის პირველ წლებში. შემდეგში, შალვა აფხაიძის გადმოცემით, პაოლო წინანდებურ აქტიურობას აღარ იჩენდა ჯგუფის განსამტკიცებლად: „ჩვენ ერთხელ უკვე მოვახდინეთ გარდატეხა პოეზიაში, მოვახდინეთ ერთგვარი რევოლუცია და მიამიტობა იქნება ჩვენის მხრივ ახლა მეორე რევოლუციის მოხდენის ცდას შევუდგეთ“.

„ცისფერი ორდენი“, ჯგუფის წევრების დადგენილებით, ფორმალურად გაუქმდა 1930-31 წლებში.

საქართველოს ანექსიამ 1921 წელს, განსაკუთრებით კი 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობამ, რამაც პაოლოს ერთ-ერთი ძმაც შეიწირა, შემოქმედებითი კრიზისის წინაშე დააყენა „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი.

პოეტური ჩანგის „ახლებურად აწყობა“ „ცისფერყანწელებს“ ძალზე გაუჭირდათ.

პაოლო იაშვილი ქმნიდა უმთავრესად ქართული პოეზიის ისეთ მარგალიტებს („ლალი მეუნარგის“, 1922 წ.; „ნასაყდრალის გალავნიდან“, 1922 წ.; „ევროპა“, 1922 წ.; „ტანიტ ტაბიძე“, 1922 წ.; „ღარიანული“ ლექსები, 1922-24 წწ. და სხვ.), რომლებშიც ვერ პოულობდა გამოხატულებას ე. წ. „საბჭოური“ ცხოვრება.

„ღანავსებული ქვეყნის“ მიტოვებას პოეტი მტკივნეულად განიცდიდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც პაოლოს შემოქმედების სიღარიბე 1928-1932 წლებში.

თანდათანობით, ზოგჯერ მერყეობით, ზოგჯერ კი ზედმეტად სწორხაზობრივად ვითარდებოდა ჩვენი მწერლობა. ახალი ცხოვრების ასახვა პოეზიის „მოდველებული“ საშუალებებით თითქოს არ ხერხდებოდა, ახალი მხატვრული ენა კი ყოველთვის როდი იყო ნამდვილად „ახალი“ და ნამდვილად პოეტური.





ასეთ ვითარებაში ყურადღებას იქცევენ პაოლოს 1924-28 წლებში შექმნილი ლექსები: „თბილისი“, „პოეზია“, „არგვეთის ღამეები“... პოეტის ხმა კვლავ წრფელია და ხალასი, ყალბი პათოსი უცხოა მისთვის.

30-იანი წლების დასაწყისში საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების სირთულე და სისასტიკე განსაზღვრავდა და დრამატიზმის ელფერს ანიჭებდა ლიტერატურულ პროცესსაც.

„ცისფერყანწელები“ დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდნენ. ვაი-კრიტიკოსებმა, რომელთაც საერთოდ უარყვეს ლირიკა (?!), მხოლოდ „მაგნე“ ინდივიდუალიზმი შენიშნეს პაოლოს ბრწყინვალე ლექსებში — „როგორც აფრის ტკაცუნი“, „მაგიდა — ჩემი პარნასი“, „ბაღის ამბავი“, „ორი ნამღევა“ (ყველა 1932 წლით თარიღდება).

მტრულმა და უმართებულ კრიტიკამ თავისი დაღი დააჩნია პოეტის მგრძნობიარე სულს. მეგობრების გადმოცემით, სიცოცხლის ბოლო წლებში იგი საოცრად განმარტოვდა, რაც სრულიად არ შეეფერებოდა მის ბუნებას.

ავადმოსაგონარი 1937 წელი საბედისწერო აღმოჩნდა პაოლოსათვის. იგი ყოველთვის გამძაფრებული ალლოთი გამოირჩეოდა: მან აქაც „იჩქარა“, მოვლენათა მსვლელობას დაასწრო და თავისი ხელით, თავისი საყვარელი სანადირო თოფით, თავის ოდესღაც საყვარელ მწერალთა სასახლეში მოისწრაფა სიცოცხლე...

„ვაჟკაცი ყოფილა, ვაჟკაცი ყოფილა“... — უთქვამს ნერვებდაწყვეტილ, ნიადაგ დაჭერის მომლოდინე მიხეილ ჯავახიშვილს, პაოლოს თვითმკვლელობა რომ გაუგია... სამიოდე თვეში გაანადგურეს „ხალხის მტრები“ — ტიცინ ტაბიძე და მიხეილ ჯავახიშვილიც.

\* \* \*

პაოლო იაშვილის პოეტური მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი წილი ეძღვნება პოეზიის დანიშნულებას, პოეტის საქმეს, ხელოვანის შემოქმედებით წვას. ლექსებში — „ვალერიან გაფრინდაშვილს“ (1915 წ.), „მაღარმე“, „ვერლენ“, „ვერპარნ“ (1916 წ.), „ავტობორტრეტი“ (1917 წ.), „პრეტურ რემბო“ (1920 წ.), „პოეტი და ადამიანი“ (1921 წ.), „დატრიალება“ (1923 წ.), „პოეზია“ (1926 წ.), „პოეტის საქმე“ (1931 წ.), „როგორც აფრის ტკაცუნი“ (1932 წ.), „მაგიდა ჩემი პარნასი“ (1932 წ.), „ბაღის ამბავი“ (1932 წ.), „საკუთარ თავს“ (1934 წ.) და

სხვ. შეგვიძლია გავეცნოთ პაოლო იაშვილის შეხედულებებს პოეზიის, ხელოვნების თაობაზე და რიგ შემთხვევაში, დავინახოთ ამ შეხედულებათა ევოლუცია.

სიმბოლისტური განწყობილების ლექსებიდან საკმაოდ გამოკვეთილად წარმოჩნდა პაოლოს იმეამინდელი იდეალი — ოცნებისა და ქიშკრების მოტრფიალე, არტისტული პოზის მქონე, დევნილი და ტანჯული, ცხოვრების უარყოფელი და ბრბოსაგან განდგომილი, მაგრამ „პოეზიის შნოდ“ ქცეული, „დიადი“, უკვდავებას ზიარებული პოეტი („ვალერიან გაფრინდაშვილს“, „ავტობორტრეტი“, „ტიციან ტაბიძეს“ და სხვ.).

სრულიად განსხვავდება პირვანდელი იდეალისაგან უკვე დაბრძენებული პოეტის კრედო. მისი აზრით, ჭეშმარიტი ხელოვანი ყველგან და ყოველთვის „რჩეულია“; მაგრამ ის პოეტი-მოგვი როდია, რომელიც „ბრბოს“ ჭირ-ვარამზე მალა დგას. პოეტი მოწოდებულია „სიცოცხლის ქადაგად“ იქცეს, „უეცარ ზარშიც“ კი გაუადვილოს ყოფა „აცობრიობას („მწვერვალებიდან“).

ჭეშმარიტი პოეზიის, პოეტური შთაგონების წრფელი ჰიმნია პაოლო იაშვილის ლექსი „პოეზია“. პოეზია ადამიანის სულის შემძვრელი, ყოველისმომცველი და წამლექავი სტიქიაა, რომელსაც ერთხელ ზიარებული ვეღარ გაექცევა. პოეზია იმონებს პოეტს, „შთაგონებით ასწეულებს“ მას, მაგრამ ეს ტკიბილი წვალებაა ხელოვნისათვის, რადგან შთაგონების გარეშე ის არარაა:

„გაგიება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი,  
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ვეღარ დახედები,  
ლექსო, გულიდან ხორცად რომ ხარ გამონატანი,  
თუ უნაპიროდ, სამუდამოდ არ გაჩაღდები...“

პაოლოსათვის შემოქმედებითი პროცესის უპირველესი მეტოქე თვით ცხოვრება იყო. „მოზიემე სიცოცხლის“ ჰიმნია გადმოცმული ლექსში — „მაგიდა — ჩემი პარნასი“.

პაოლოს პოეზიის წყაროდ იქცა ახალი თბილისის თუ ქუთაისის ინდუსტრიული მაჯისცემა, კოლხეთის ჭაობების ამოშრობა, რიონჰესის მშენებლობა...

პოეტმა ამ თემატიკასაც ასე თუ ისე გაართვა თავი, თუმცა ვერ შეინარჩუნა მისი ლექსებისათვის ნიშანდობლივი სიწრფელე და ბუნებრიობა.



„დიადი სოციალისტური აღმშენებლობის“ წარმოსახვა „სოფლის-  
ლისტური რეალიზმის“ მეთოდებით — ამას მოითხოვდა გააფთრებით  
პოეზიისაგან ბოლშევიკური კრიტიკა; ამას მოითხოვდა ის პაოლოსგა-  
ნაც.

პაოლო იაშვილის პოეზიაში ყურადღებას იპყრობს სოფლის, მისი  
ბუნების, მის ბინადართა თავისებური წარმოსახვა.

შედარებით ნაკლებ ინტერესს იჩენს პოეტი ქალაქისადმი. უნდა  
ითქვას, რომ ქალაქის თემა მის შემოქმედებაში ევოლუციას განიცდის:  
„გაგიჟებული მზის“ („ფარშავანგები ქალაქში“, 1916 წ.), კინტოებისა  
და სალახანების („წერილი დედას“, 1917 წ.), მეძავეებისა და მათხოვ-  
რების (მოთხრობა „ფერადი ბუშტები“, 1924 წ.) ქალაქს სცვლის თა-  
ნამედროვე თბილისისა თუ ქუთაისის ნათელი და ხალისიანი სურათე-  
ბი („თბილისი“, 1924 წ.; „ქუთაისისათვის“, 1934 წ.).

„სოფლის სიწმინდით“ გატაცება პაოლო იაშვილის მთელ შემოქ-  
მედებას გასდევს. სოფელთანაა დაკავშირებული პოეტის ბავშვობის  
უნეტარესი წლები. იგი გასაოცარი სინაზითა და ინტიმით იგონებს ამ  
ნათელ დროებას; მოგონება ზოგჯერ სევდითაა დაფარული, მაგრამ ეს  
ტკბილი სევდაა. ლექსში „ნასაყდრალის გალავნიდან“ (1922 წ.) ცოცხ-  
ლდება სოფლური ცხოვრების უკიდურესი წვრილმანები; დასასრულ,  
ვხედავთ მოწყენილ, მიუსაფარ პოეტს, რომელიც ადგილს ვერ პოუ-  
ლობს თავისი ბავშვობის ნირშეცვლილ სამყაროში. ლექსში „ზემოუ-  
ზი რთველი“ (1934 წ.) პოეტი ხოტბას ასხამს კალთამადლიან შემოდ-  
გომას, ბარაქიან შრომასა და საყოველთაო მხიარულებას.

ცნობილ ლექსში „წერილი დედას“ (1917 წ.) დაპირისპირებულია  
„სოფლის სიწმინდე“ და ქალაქის უკულმართობა. მასში გამოსავალს  
ნახულობს „ქალაქში დაკარგული“ პოეტის სევდისა და მიუსაფრობის  
გრძნობა:

„დედა! ინახლე  
შენ წმინდა ხახული!  
წადი ფეხშიშველი,  
ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე,  
ღმერთო! აპატიე, —  
მე თუ ვერ მიშველი —  
დედას, რომ დაგინთო ჩემს სიგარძე სანთელი,  
მისთვის, რომ ჩემს გულში  
დაუუჩიდეს გრიგალი და კორიანტელი.“

პაოლო იაშვილის პოეზიაში „სოფლის სიწმინდეს“ ბუნების სილამაზეც უკავშირდება. „ცისფერყანწელთა“ მოთავემ სიჭაბუკის უამს უარყო „გაზაფხულის ყვავილებისა“ და „საღამოს მყუდროების“, „ტყის იღუმალებისა“ და „ფრინველთა გალობის“ წარმოსახვა პოეზიაში და არა მხოლოდ უარყო, არამედ განახორციელა კიდევ ეს „დოგმატი“ თავის ადრინდელ ლექსებში: ბუნების ნათელი სურათების ნაცვლად — ფანტასმაგორიული „პეიზაჟი უკულმა“ („ფარშავანგები ქალაქში“, „წითელი ხარი“), ზღაპრული დარბაზების ხელოვნური ბრჭყვიალი („ქორწილი“, „სევდიანი ზურმუხტი“), ყვითელი ორპირის ციებ-ციხლება („ტანიტ ტაბიძე“) და ეგზოტიკური პირამიდები „მზისფერ სილაში“ („პირამიდებში“) — ასე გვესახება გამოგონილი სამყარო პაოლოს ადრინდელი პოეზიისა, სადაც აქა-იქ მაინც გაიღვებს „ტყემლის რტოები“ და „ლეკვები“ („ალი არსენიშვილს“), „იისფერ ზღვაში მზე ჩაბავალი“ („დაცემულ ბათომს“), ანდა ელენე დარიანის მოთქმა:

„ამალამ მგონი იქნება ქარი...  
ვაი, დედოფალ ტყემლების ბრალი.“  
(„ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად“).

პოეტი ბუნების სილამაზის ტყვეა და მისი სიდიადის მომღერალი:

„დიდო ბუნებავ, სიტყვა მომანდე  
შენი დიდების გამოსატანად...“  
(„პოეტის საქმე“).

მხოლოდ შემოქმედებითი წვა, ბუნების ჩვეულებრივ მოვლენათა ლექსის ქურაში გატარება, „ოქროს დადნობას“ საჭირო, რათა ბუნების საოცრება პოეზიის საოცრებად იქცეს:

„მორთმეულია სამყარო გობით,  
მხოლოდ აკლია ოქროდ დადნობა,  
და ყოველ ყვავილს, ვარსკვლავს და კოპიტს  
ჩემი ლექსისთვის მართებს მადლობა.“  
(„როგორც აფრის ტაკუნია“).

ბუნების ჭკრეტა ძალდაუტანებლად გადაიზრდება შემოქმედებით პროცესში. ბუნებით ტკბობას შემოქმედებითი წვა ენაცვლება. პაოლო

იაშვილის გასაოცარი ლექსი „ბაღის ამბავი“ სწორედ ბუნების კვრეტისა და ლექსის თხზვის ერთიანობის უნიკალურ სურათს წარმოადგენს.

პაოლოს პოეზიაში გვხვდება პეიზაჟი „სუფთა“ სახით. ასეთია ლექსები „არგვეთის ღამეები“, „შემოდგომის დღე ფოთში“, „მალთაყვა“. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა „არგვეთის ღამეები“; უნდა ითქვას, რომ ღამის ეს უბრწყინვალესი სურათი ერთადერთია მის შემოქმედებაში. პოეტი განსაკუთრებული აღმაფრენით უმღერს მზის ამოსვლას, გათენებას, რაც ხალისისა და იმედის მომგვრელია მთელი სამყაროსათვის. პაოლო იაშვილის გატაცება დილის პეიზაჟით მარტო გარიჟრაჟის ულამაზესი სურათით ტკბობა როდია, ის მიგვანიშნებს პოეტის ხალისიან, ოპტიმისტურ ბუნებას, რომელსაც ვერ ეგუება ღამის ბინდი და აპათია. ამ მხრივ საინტერესოა „დილა“ (1933 წ.) და „დებედაჩაის ღამე“ (1934 წ.); ორივე ლექსი წრფელი ხოტბაა ბუნების დიდებული „სასწაულის“ — მზის ამოსვლისა. ქართული პოეზიის ეს განუმეორებელი „ლილე“ — უნაზესი პოეტური საღებავებითაა შესრულებული.

პაოლო პოეტი-ფერმწერია, მისი გამახვილებული ხედვა სამყაროს უმთავრესად ფერებში აღიქვამს. ერთ-ერთ ლექსში იგი მიგვანიშნებს ფერის განსაკუთრებულ მნიშვნელობას პოეზიაში:

„შეხიზნული ვართ საქართველოს თვალტანად მთებში  
და მივსდევთ ფერებს, ხმებს და სიტყვას მგელური მადით.“  
(„მწვერვალებიდან“)

სიმბოლიზმით გატაცების პერიოდში პაოლო იაშვილი ფერებს ზოგჯერ არარეალისტურად აღიქვამდა, მხოლოდ საკუთარ, მკითხველისათვის მიუგნებელ ასოციაციებს ეყრდნობოდა. გავიხსენოთ „ყვითელი დანტე“, „ყვითელი სიკვდილი“, „ყვითელი ორპირი“, „ყვითელი საშინელება“, „ყვითელი ლექსები“. „ყვითელი“ აქ ყველგან განწირულების ფერია. უკვე ითქვა — ლექსებში „ფარშავანგები ქალაქში“ და „წითელი ხარი“ — უხვად ჩაღვრილი წითელი და ყვითელი ფერის ნაირსახეობებზე. წითელი და ყვითელი აქაც „ბოროტი“ ფერია. პაოლო იაშვილის ადრინდელ ლექსებში ვხვდებით ფერის მეტისმეტად სუბიექტურ, ზოგჯერ ირეალურ აღქმას. შემდეგში „ახალი ფერით“ შეიარაღებული პოეტი დიდ ეფქტს აღწევს „ბუნებრივი“ საღებავების



გამოყენებით; მტრდისფერი, ქარვისფერი, თავთუხისფერი, დაისისფერი, ზღვისფერი, სანთლისფერი და სხვ. — თავისებურ ელფერს ანიჭებს მის პალიტრას.

ბგერწერით გატაცება საერთოდ დამახასიათებელი იყო სიმბოლისტური პოეზიისათვის. პაოლო იაშვილს თვით სიმბოლიზმით გატაცების პერიოდშიც არ ღალატობდა ზომიერების გრძნობა. მაგალითად, „ცანისა“ და „ხანის“ განმეორება:

„საყდრის გუმბათები  
ცას ეშურებიან, ვით ცეცხლის ენები,  
მხურვალე ცახცახით დაჰქრიან ცხენები...“  
(„ფარშავანგები ქალაქში“)

ცეცხლიან ყვავილებში მოჩვენება წითელი  
ცხელი ცახცახით ელის...  
(„წითელი ხარი“)

„ნოხთა ყვავილებს გადაესხა ოქროს სასხური...“  
(„სევდიანი ზურმუხტი“)

„დედა! ინახულე შენ  
წმინდა ხახული!  
წადი ფეხშიშველი...“  
(„წერილი დედას“)

„პარისა“ და „ტარის“ განმეორება ჭაობისა და ტალახის ასოციაციას იწვევს:

„ცხენი ვერ აპობს აზელილ ტლაპოს,  
მდუღარე საპონს ჰგავს ტბორზე ტბორი.“  
(„კოლხიდის პირველ მოსახლეს“)

„კანის“ განმეორება მოულოდნელ ეფექტს ქმნის:

„კერენსკი...  
კაპასი კივილით კიოდა —  
ბოლომდე ომი.“  
(„თივის ურმული“)

ამ სიტყვებში თითქოს ომის კაკოფონია ისმის.

პაოლო იაშვილის პოეზია საინტერესოა ლექსთაწყობის თვალსაზრისითაც. მას ეკუთვნის სონეტები და ტრიოლეტები; კარგად „იმორჩილებს“ თავისუფალ ლექსსაც. თავისუფალი ლექსითაა გამართული პ. იაშვილის „ვერობა“, ნაწილობრივ — „ფარშაევანგები ქალაქში“, „წითელი ხარი“, „წერილი დედას“, „აფთიაქარი“, „სამასი არგვეთელი“, ვ. მიაკოვსკის ლექსთა ზოგიერთი თარგმანი...

საინტერესოა პაოლოს პოეზია რითმის თვალსაზრისითაც. მკვლევარები ასახელებენ მის ე. წ. „ახალ რითმებს“. ვალერიან გაფრინდაშვილი: ქართული-უკუღმართული, ასეთია — ოსეთია, ნახევარი — ყვეარი, ფართალი — იარდალი, მუხლები — შეუღლებით, დაფეთება — გადაკეთება, მოგიყვები — იხვები, სოკოს — გოგოს, უცებ — ვახუცებ; შალვა აფხაიძე: დერიდახოლებს — გადააყოლებს, ტაკუნე — ვაყვაცური; გურამ ასათიანი: უკაცრავად — გაუკაწრავად...

კიდევ ბევრი საინტერესო სარიტმო სიტყვების დასახელება შეიძლება:

გარნიზონები — მოსაგონები („პავლე ინგოროყვა“), საბრალო-მოზაფრანო („კოლხიდის პირველ მოსახლეს“), შეითვალა — სინდიოფალა („შემოდგომის დღე ფოთში“), ხველა — ჭიანჭველა („ლილი მეუნარგიას“), წუხელი — წუხილი („ნასაყდრალის გალავნიდან“), ცის დარდი — ნისკარტი („მაგიდა — ჩემი პარნასი“), უეცრად — აეცრათ („აფთიაქარი“), პირამიდები — მომინდები („პირამიდებში“), კალმანი — მახე („ნასაყდრალის გალავნიდან“), ინახულე — ხახული („წერილი დედას“).

პაოლო იაშვილი ქმნის ახალ სიტყვებს: მოშვილდაობს, დერიდახოლი, მოერთბაშენი, აელერილი... თამამად შემოაქვს უცხო სიტყვები: Salto-Mortale, მაკადამები, დენდი, ლევკოები, რევანში, აბსენტი. აქვს კუთხური გამოთქმებიც: ქვიშნები, თაველა, ლორთქა, ლანღალი.

პოეტი ექსპრომტებისა და იმპროვიზაციების დიდი ოსტატი ყოფილა. ამაში გვარწმუნებს დღემდე შემონახული მისი ექსპრომტების ჩანაწერები და თანამედროვეთა გადმოცემებიც. „საკვირვლად დაუზოგველი მფანტველი იყო მარგალიტებისაო“, — გადმოგვცემს სერგო კლდიაშვილი.

პაოლო იაშვილის შემოქმედების მნიშვნელოვან წილს თარგმანები შეადგენს. თარგმანი, პოეტურ ოსტატობასთან ერთად, დიდ შრომასა და თავდადებასაც მოითხოვს და უცნაურია, რომ პაოლო იაშვილი, რომლის ორიგინალურ შემოქმედებაში „წმინდა შთაგონებას დაკისრებული აქვს მაქსიმუმი“ (გურამ ასათიანი), იშვიათი გულმოდგინებით

თა და მოთმინებით თარგმნიდა. პუშკინსა და რემბოს, მაიაკოვსკისა და ბალმონტს, ბოდლერსა და უაილდს...

თანამედროვენი აღნიშნავენ პაოლო იაშვილის ერთგვარ დაუდევრობას საკუთარი შემოქმედების მიმართ. უკვე სახელმოხვეჭილი, აღიარებული პოეტი არ ჩქარობდა წიგნის გამოცემას; მხოლოდ 30-იანი წლების ბოლოს, მისი თხოვნით, ახალგაზრდა ლიტერატორმა შალვა დემეტრაძემ თავი მოუყარა პაოლოს ლექსებს. პოეტის ტრაგიკულმა აღსასრულმა მაშინ შეუძლებელი გახადა წიგნის გამოცემა. პაოლოს სახელზე მრავალ წელს ტაბუ იყო დადებული. მხოლოდ 1955 წელს გამოქვეყნდა პირველად მისი პოეტური კრებული. პაოლო იაშვილის თხზულებათა ყველაზე სრული კრებულია „პოეზია, პროზა, წერილები, თარგმანები“, 1975 წ.

პაოლო იაშვილი, რომლის სამწერლო მოღვაწეობა მეოთხედი საუკუნით შემოიფარგლა, მუდამ იყო პოეზიაში ახლისმაძიებელთა შორის.

ვეროპის უახლესი პოეზიის მიღწევათა გამომხაურება, ძალისხმევა ქართული სიტყვის მხატვრულ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლენისათვის, დასასრულ, ქართული პოეზიის ღრმა ეროვნულ ნიადაგზე დამკვიდრება — ასეთი იყო ჩვენი საუკუნის ქართველი პოეტების, მათ შორის პაოლო იაშვილის დიდი საზრუნავი.

**დიდი მწერლობისთვის დაბადებული**

(გურამ რჩელიშვილის დაბადების 60 წლისთავისათვის).

გურამ რჩელიშვილის სახელი განვლილმა დრომ რომანტიკული შარავანდდით შემოსა. ახალგაზრდა მწერალი ლეგენდარულ პიროვნებად იქცა. განვლილმა წლებმა მას ფართო აღიარება და ქართველი ხალხის დიდი სიყვარული მოუტანა.

გურამ რჩელიშვილის ფენომენი, მისი ღრმა და ძლიერი სამყარო, მძაფრი შინაგანი ენებები და დაუოკებელი შემოქმედებითი სწრაფვა სხვებისთვის ყო არაა, ჩვენთვის, უახლოესი მეგობრებისთვისაც ბოლომდე არ იყო გახსნილი და გაგებული. ასეთი ზვედრი რგებია თავის დროზე ბევრ დიდ ტალანტს.

დღემდე ქართველი მკითხველი იცნობდა მის სამოცდაათამდე ნოველასა და მოთხრობას, ორ პიესას, დიოურს, ახლა კი გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების დიდ ნაწილსაც ეცნობა, რაც ქვეყნდება გაზეთებში, ჟურნალებში და შევა მის სრულ გამოცემებში, ეს კი ოთხ-ხუთ შობრდელ ტომს შეადგენს.

სწრაფმავალმა დრომ და განვლილმა მეოთხედმა საუკუნემ ყველას ნათლად უჩვენა გურამის, როგორც მწერლის სიდიდე, სიმაღლე, საოქმელისა და ნააზრევის ახლებური ძალა, რამაც განუზომელი ფასი დასდო მის ყოველ სტრიქონს და ის დაუცხრომელი ინტერესის საგნად აქცია.

მითუმუტეს სასიხარულოა და საამაყო, რომ ახალგაზრდა მწერლის არქივში აღმოჩნდა ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებიც ახალი შუქით აჩრადნებენ გურამ რჩელიშვილის თვითმყოფად შემოქმედებას. უკვე დაიბეჭდა გურამის ოცდათხუთმეტზე მეტი ახალი, გამოუქვეყნებელი მოთხრობა, ნოველა, მინიატურა და პიესა. მათ შორის ბევრია ისეთი საუცხოო ნაწარმოები, რომლებმაც ღირსეულად დაუმშვენეს მხარი გურამ რჩელიშვილის ცნობილ და აღიარებულ

ნაწარმოებებს: „ბათარეკა ქინჯარაული“, „ალავერდობა“, „ირინა“  
„სიკვდილი მთებში“, „ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ“, „ნათელა“...  
ამგვარ ნაწარმოებებს შორის აუცილებლად უნდა დავასახელოთ  
„ახალწლის დამე“, „მოხუცი მონადირე“, „თეთრი მონები“, „ულელ-  
ტეხილი“, „მარტი-გიჟობის თვე“, „სეთია“, „შუა ზაფხულში ყველგა-  
ნა ცხელა“, პიესები „იულონი“, „მარინე“ და სხვები.

ის ძალზე სწრაფად და გაბედულად შემოვიდა უმდიდრესი ტრადი-  
ციების მქონე ქართულ ლიტერატურაში. მის ნაწარმოებებს ისეთი ახ-  
ლის სურნელი, ისეთი უშუალობა, ისეთი სინედლე, ისეთი ვაჟკაცური  
სული და სათქმელისაღმი თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასია-  
თებელი მიდგომის უნარი მოჰყვა, რომ ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ  
სულ რამოდენიმე წლის მანძილზე იგი ჩვენი პროზის სამოციანელთა  
ნოქიერი თაობის ტონის მიმცემად, მედროშედ და მომავალი დიდი  
ტრადიციების საფუძვლის ჩამყრელად იქნა მიჩნეული. მას სურდა სა-  
კუთარი თავის პრიზმაში ღრმად და ზუსტად გაერკვია ადამიანის რაო-  
ბა ჩვენს დროში, დაძაბულობით, უნდობლობისა და წინააღმდეგობე-  
ბით სავსე დროში, სადაც ადამიანი ძლივს ინარჩუნებს სულიერ სიწ-  
მინდეს, სიმაღლეს, მომავლის იმედს, და მის კეთილშობილ თვისებებ-  
ზე ბევრად არის დამოკიდებული სამშობლოს წინსვლა და განუწყვე-  
ტელი აღზევება.

მას ქართველი ადამიანის შინაგანი ბუნების, ძირების, სულისა თუ  
არტისტიზმის საწყისების ანალიტიკური გამოკვლევაც სურდა და  
ზოგჯერ საოცრად მეჩვენება ის ფაქტი, რომ ამას აკეთებდა ოცდა-  
ოთხი-ოცდახუთი წლის ბიჭი, რომლის დაუოკებელი სული ნიადგ  
უხილავს და შეუცნობელს მიეღტვოდა.

წერა, ვნება, ძიება, შექმნა, სწრაფვა, არდაოკება და არდასვენება  
მის ბედსა და მოწოდებას წარმოადგენდა, შემოქმედებითი მაქსიმა-  
ლიზმი ბრწყინვალე ნოველებად იფრქვეოდა, სწრაფი აღსასრულის სა-  
ოცარი შეგრძნება თავდაუზოგავი შრომისაკენ მოუწოდებდა, უხვად  
მომადლებული ნიჭი სიახლით აღბეჭდილ ნაწარმოებებში სხეულდე-  
ბოდა.

გურამის დიდ შემოქმედებით წარმატებას სიყვარული და ერთგუ-  
ლება ედო საფუძვლად. მან საერთოდ არ იცოდა უგულო და ცალ-  
მხრივი სიყვარული.

მთელი გულით უყვარდა საქართველო, წინაპრები, მშობლები, მახ-  
ლობლები, მეგობრები, მთელი გულით უყვარდა მწერლობა, რაც მისი  
უპირველესი მოწოდება და სისხლხორცულად სწორი არჩევანი იყო.



ქეშმარიტი მწერლობის სამსახურისათვის კი მან ყველაფერს დასტოვა, წერასა და ახლის დამკვიდრებას მიუძღვნა სიცოცხლის ყველაზე ნაყოფიერი წლები და დაგვიტოვა მარადიულ ანდერძად, „რომ ვენების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“.

გურამი ბევრს წერდა, წერდა რასაც განიცდიდა, საკუთარი უვალ ბილიკით მთამსვლელებით მიიწევდა წინ.

დაუოკებელი ვნება მისთვის აზროვნებას წარმოადგენდა, მაღალი რანგის აზროვნება კი იყო იდეის გამოხატულებაც და განსაზიერების საშუალებაც, ეს იყო მშობელი, საყვარელი ხალხისათვის თავდადებული სამსახურის იარაღი, რომელიც შინაგანად, სწორად, ბუნებრივად ერგო მას, ერგო ისევე ორგანულად, როგორც სუნთქვა ან წყურვილი.

შთამბეჭდავად წერდა იგი იდეისა და აზროვნების რთული კატეგორიების შესახებ პიესა „იულონში“:

„ყველაფერს თავისი იდეა აქვს. რო გინდოდეს, უიდეოდ ერთ სიტყვასაც ვერ დაწერ... არ არსებობს ვნება აზრზე დიდი და შებრუნებით: აზრი არის ვნებათა შორის ყველაზე დიდი ვნება“.

ერთ-ერთი გამოუქვეყნებელი ნოველის ბოლოს დღიურის სახით მინაწერში, სადაც ბუნებასთან სისხლხორცეულ სიახლოვეს კვლავ და კვლავ გვიდასტურებს გურამი, ერთ გვერდზე ნაკლები მინაწერის ნახევარზე მეტი ზღვის და ზღვისპირა ბუნების ლამაზი სურათების აღწერას უკავია. აქვე ჩანს ისიც, რომ მასზე ბუნებასთან სიახლოვე შემოქმედებითად, დამატობლად მოქმედებდა, მის წიაღში ყოფნა ახალ სასიცოცხლო ძალებს მატებდა და წერისათვის განაწყობდა: გურამს წერა და შექმნა კი, როგორც ვთქვი, ყველაფერს ერჩივნა.

წერისა და გამალებული ძიების დროს თავისი სამშობლოს ისტორიაშიც იყო ჩაღრმავებული და მის გარეშე აწმყო ვერ წარმოედგინა, ახალთან ერთად ძველი და შუა საუკუნეები იზიდავდა, შედარებით უფრო ბურჟუაზიული მოცული საუკუნეები, სადაც დაკვირვებული, მზრუნველი ხელით გადაწმენდილ ფერფლს წარსულის მოვლენები, ადამიანის ბედი, წინაპრების მიერ განვლილი მძიმე გზის ამა თუ იმ მონაკვეთის გამომზეურება, ჩვენი აღზევებისა თუ დაცემის საიდუმლოებები მოჰყვებოდა.

შესანიშნავ „უსახელო უფლისციხელთან“ და სხვა ნაწარმოებებთან ერთად ამგვარ სიყვარულს ვხედავთ უკვე 1956 წელს დაწერილ ღრმა შინაარსიან ნოველაში „პროფესორი ლევან ჯანდიერი“:

„დიდხანს ფიქრობდა არმაზის დასახლების წარმოშობის პირვანდელ თარიღზე, მისი გაძლიერების დროზე, ახლა ასპარუგ ერისთავის



არაბული წარწერა მოაგონდა და ივ. ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორია“ გადაშალა. აშკარა იყო, რომ ჩვენს ერამდე დაახლოებით მე-5 საუკუნეში არმაზს ან ამავე ადგილზე მყოფ დასახლებულ პუნქტს უკვე საკმაო წონა უნდა ჰქონოდა. ამის დასტურად თუნდაც მარტო ის იყო საკმარისი, რომ არმაზის კერპს ასეთ თავყვანსა სცემდნენ ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე...“

მამულისა და მშობელი ხალხის ისტორიისადმი სიყვარული მას ადრე გაუღვივდა. ამას ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის დის შვილიშვილი იყო და მისი სულსკვეთებით სავსე წრეში, დროში და სახლში ცხოვრობდა.

მუშაობდა თავდადებით, ფიქრობდა, წერდა, მაგრამ თუ ისე არ გამოსდიოდა ჩანაფიქრი, როგორც მას სურდა, ცოტა ხნის შემდეგ წყვეტდა და რაიმე მძიმე ფიზიკურ სამუშაოზე გადაირთვებოდა. აი, ერთი ძალზე დამახასიათებელი ნაწყვეტი იგივე ნოველიდან:

„დიდხანს ჩეხა ჯირკვები, თანაც დიდი სიამოვნებით, ბოლოს დაიღალა, თანაც ხელებზე წყლულები გამოუვიდა, ცოტა წელიც ეტკინა. ნელა აუყვა კიბეებს, სამზარეულოში ხელ-პირი დაიბანა და კაბინეტში შევიდა. ღიმილით გადახედა წიგნებს, გამართული მიუჯდა საწერ მაგიდას და გაწყვეტილი წინადადება განაგრძო“.

ასე ხდებოდა ნოველაში, ასე ხდებოდა ცხოვრებაშიც, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მის ნაწარმოებებში ბევრი რამ იყო პირადი და ავტობიოგრაფიული.

ძალზე ბევრს კითხულობდა და ბევრს ეძებდა. მრავალი ქვეყნის პროზა და პოეზია ჰქონდა წაკითხული. თავისი დაუცხრომელი აზრების პასუხებს პოეზიაშიც ეძებდა და ჰპოვებდა. გერმანულ ენაზე დაწერილ წიგნებს დედანში ეცნობოდა, გერმანულ ფილოსოფიას ეწაფებოდა, დასმულ კითხვებზე პასუხის პოვნას ცდილობდა.

თავისი თავიდან გაქცევისა თუ დაკანონებულ ადგილას დაბრუნების პრობლემა დიდი ფიქრებითა და სურვილებით ავისილი ახალგაზრდა მწერლის ერთ-ერთ ცხოვრებისეულ დილემას წარმოადგენდა. მას არ შეეძლო რიგითი ადამიანის ჩარჩოებში ჩაკეტილიყო, ყოფილიყო ჩვეულებრივი და ასევე ჩვეულებრივი მოთხოვნილებების მქონე. მას ხან ბაკურიანი ეძახდა, ხან სვანეთი და ხევსურეთი, ხან ზღვა, მოსკოვი და დიდი ქალაქები, შემდეგ კი თბილისში დაბრუნება უხაროდა, რომ ძალზე ხშირად საკუთარ ოთახსა და სამყაროში ჩაკეტილს ახალი ბრწყინვალე ნაწარმოებები შეექმნა.

ეს შეცნობის, სიახლის ნახვის, ხალხისა და მამულის გაცნობის



სურვილი სიყრმის ადრეულ წლებშივე გაუჩნდა, ვფიქრობ, ამასვე დიდი როლი ითამაშა მამამ, აკადემიკოსმა მიხეილ რჩეულიშვილმა, რომელსაც თავისი სამსახურებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობის გამო ხშირად უხდებოდა საქართველოს მთების, ბარისა თუ იალაღების მოგლა და ადვილად წარმოსადგენია რა სიხარულით მიჰყვებოდა მას ჯერ კიდევ პატარა გურამი, როგორ აკვირდებოდა, ითვისებდა და ისისხლხორცებდა ნანახს.

ძია მიშა კარგი მონადირეც იყო, რაც გურამისათვის საოცნებო სფეროს წარმოადგენდა. მონადირის ასე თუ ისე ზიფათიანმა ცხოვრებამ, ცხენით ხანგრძლივმა გადასვლებმა, ტყეში ღამის თენებამ და მიზანძი უფროსების მხრივ, როგორებიც იყვნენ ძია მიშას უახლოესი მეგობრები, მამულისადმი ძლიერი, ვაყკაცური, ტრადიციული სიყვარულის ხილულმა გამოვლინებამ ბავშვობის ადრეული წლებიდან შეაყვარა მას კახეთი, ქართლი და მთელი საქართველო.

მერვე-მეცხრე კლასელი უკვე უბელო ცხენს დააქროლებდა ხევსურეთის ქარაფებზე, ქარივით დაყვებოდა ველკეთილს, შატილსა და გულანისჯვარში საკარგყმოს უსინჯავდა გემოს, ოცნებით წარმოიდგენდა პატარა მზია ბათარეკას ასულს, რომელსაც შემდეგ სამუდამო ადგილს დაუმკვიდრებდა ქართული ლიტერატურის საგანძურში.

სწორედ ამიტომ იყო, რომ სიყრმის წლებიდან შესისხლხორცებული ხევსურეთი თუ სვანეთი, ვაყკაცური ადათ-წესებითა და ტრადიციებით, ბუნებითა და ადამიანებით შემდეგ ორგანულად შეიჭრა მის შემოქმედებაში და არა ერთი მშვენიერი მოთხრობა დაიწერა.

თავისი თვლით უნდოდა ყველაფერი ენახა, შეეგრძნო და მერე მხოლოდ საკუთარი წარმოდგენით დაეხატა საგნები. ნებისმიერი მოთხრობისა თუ ჩანახატის კითხვის დროს ნათლად იგრძნობა თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა გურამი სათქმელს.

საერთოდ, გურამი უმიზნოდ არაფერს არ აკეთებდა: ბევრს კარგად ახსოვს, როგორ ისროლა მან თოფი დღისით-მზისით თბილისის ცენტრში, როგორ აჭენა ცხენი თელავის მთავარ ქუჩაზე და მერე ცხენდაცხენ შევიდა აფთიაქში, ანდა თავის ბრწყინვალე „ალავერდობაში“ როგორ აფარდა უმაღლესი გუმბათის ლავგარდანზე, დაღმა ახლად მოვლენილ ღვთაებასავით და დროებით მაინც გამოაფხიზლა უსაგნო ვნებებსაც; თუ ფუჟ დროსტარებას აყოლილი ხალხი.

ეს იყო ახალგაზრდა გურამ რჩეულიშვილის ამბოხება ყოველგვარი რუტინის, უმიზნო სიმშვიდისა და უაზრო თვითკმაყოფილების წი-



ნააღმდეგ და რაც მან პირადი მოქმედებით ბოლომდე ვერ შესძლო, თავისი დიდი ზემოქმედების მომხდენი შემოქმედებით გააკეთა.

მაშინ ეს ბევრს პოზად და თამაშად ეჩვენებოდა, იმ დაუბრუნებლად ვაფრენილ და ტკივილად ქცეულ წლებში ძნელი იყო წარმოდგენა, რომ 24-25 წლის ახალგაზრდა კაცი უკვე იყო ჩამოყალიბებული მოაზროვნე, იყო დიდი მწერალი, რომელიც სულ სხვაგვარად განიცდიდა გარესამყაროს.

ბევრჯერ მითქვამს და ახლაც სიამოვნებით ვიმეორებ, რომ გურამ რჩეულიშვილი მეგობრობის სული და გული, უპირველესი მეგობარი იყო. ეს გრძნობაც უწყობდა ხელს ნაწარმოებებში წმინდა და ნაღდი მეგობრობა ექადაგა.

მეგობრობისათვის ყველაფერს გააკეთებდა, ნებისმიერ წინააღმდეგობას ვადალახავდა, ვაჭირვებაში ვაეყატურად დაეხმარებოდა და ისე ბუნებრივი, შინაგანი ვაეყაცობით გააკეთებდა ყოველგვარ გასაკეთებელს, რომ მერე გიკვირდა, ყველაფერი როგორ ლამაზად გამოსდიოდა.

დღეს შეიძლება ვინმეს წერილმანად მოეჩვენოს ზოგი რამ, მაგრამ მაშინ სულაც არ იყო წერილმანი ის, რაზედაც ახლა მოგახსენეთ.

ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ გურამს თავისი ბათინკების, შარვლის, კოსტუმის თუ ქუდის ფული მიუცია მეგობრისათვის. კარგად მახსოვს, როცა პირველი ჰონორარი აიღო ახლად დაარსებულ ჟურნალ „ციკრიის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული თავისი ხუთი მოთხრობისათვის, რომლის თანხა 150 მანეთს ან ცოტა მეტს შეადგენდა, ქუჩაში ვინც კი შეხვდა, ნაცნობი თუ ამხანაგი, ყველას დაურთავა.

უსათაურო ნოველაში „ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა“, რომელიც 1958 წელსაა დაწერილი, იგი ხმამაღლა აცხადებს: „სიცოცხლე მაინც სულ სხვაა!“

სიცოცხლე მისთვის უპირველესი და უდიდესი სიკეთე იყო, იცოდა კიდევ ხალხისა და მამულის სასარგებლოდ როგორ უნდა გამოეყენებინა იგი, რაც ნათლად დაამტკიცა მისმა მალალმა და დიდებულმა შემოქმედებამ.

რაც თქმა უნდა, სიკვდილს გაუბრბოდა, მის არსებობას აუფასურებდა, ხშირად არაღ აგდებდა, ცდილობდა სულ მეგობრებთან ყოფილიყო და სიკვდილზე არ ეფიქრა, მაგრამ თურმე დიდი უბედურების ნიშანს ატარებდა და მისანივით გრძნობდა აღსასრულის მოახლოებას, რაც შემზარავი და შემადრწუნებელი სიზუსტით ახდა, თანაც ძალიან მალე.

მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრინციპი ლემა მან მკვეთრად და ფილოსოფიური სრლრმით დააყენა თავის წარმოებებში, მიუხედავად იმისა, რომ ტრაგიზმმა მრავალჯერ დააჩნია დალი მის პირად ცხოვრებასა და შემოქმედებას, იგი უაღრესად ობტიმისტური, ვაჟკაცური, მტკიცე, ოუმორითა და მეგობრული სიკეთით სავსე ბიჭი იყო.

იგი სხვებს უქადაგებდა სიცოცხლის მარადიულობას, ხალხის უკვდავებას და გამრავლეობის აუტორლებლობას, რაც სწორედ სიცოცხლის უკვდავების ძირითად საფუძვლად მიაჩნდა.

გავიხსენოთ გურამ რჩეულიშვილის პროტოტიპი. ვაჟა ჯანდიერი 1956 წელს დაწერილ მოთხრობაში „ასვლა“.

ვაჟა ყინულის ციკაბო ფერდობზე ათენებს ღამეს მეგობართან ერთად, აქ ყოველი ნაბიჯზე მოსალოდნელია დაღუპვა და მოულოდნელი სიკვდილი გაყინვით ან გადაჩეხვით. ასეთ რთულ ვითარებაში მოთხრობის ახალგაზრდა გმირი, თავად გურამ რჩეულიშვილი, რომელიც მაშინ ოცდაორი წლისაც კი არ იყო, ისეთი სიცოცხლის დამამკვიდრებელი აზრებით მიმართავს ყველას, რომ იმედით, სიხარულით ავსებს ადამიანთა გულებს და ამ საუკუნო დილემას დროებით მაინც გადაავიწყებს:

„კაცმა უნდა მთელი სულით იცოცხლო, — ან რა არის მუდმივობა, — სისულელე. ყველა ადამიანი მუდმივად ცხოვრობს: ყოველ შემთხვევაში მისი მარადიულობა ის წლებია, რომელსაც გაატარებს ამ ქვეყანაზე. კაცმა რომ თქვას, არც კვდება კაცი, იბადება სხვა, რომელიც ოდნავ განსხვავდება გარდაცვლილისაგან.“

1994 წელს 26 წლის მარადიულ ჭაბუკად დარჩენილ გურამ რჩეულიშვილს 60 წელი შეუსრულდა. 26 წლის გურამ რჩეულიშვილი თავის 60 წლის იუბილეს შეხვდა როგორც დიდი ქართველი მწერალი, როგორც მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის მშვენიება და ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი.

საიუბილეო დღეებში ცალკე წიგნებად გამოიცა გურამ რჩეულიშვილის დრამატული რომანი „იულონი“ და ვრცელი, საინტერესო პიესა „შაშას რევლუცია“, რამაც მკითხველი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

გურამის უმცროსმა და უძვირფასესმა დამ მარინე რჩეულიშვილმა ფალავანდიშვილისამ წლების მანძილზე თავდადებული შრომის შედეგად აკადემიური გამოცემისათვის მოამზადა ოთხი ტომი. მანვე დაწე-





რა მონოგრაფიული ხასიათის წიგნი „მწერალ გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის“. ასევე ღრმაშინაარსიანი მონოგრაფია დატოვა მიმდინარე წელს გარდაცვლილმა გურამის მამამ, აკადემიკოს-მა მიხეილ რჩეულიშვილმა.

სოფიო მარი

(დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)

1984 წელს გამოქვეყნდა შვედი მწერალი ქალის გერდ რეიმერსის საინტერესო წიგნი „ცოლები და მუზები“. შესავალში ავტორი შენიშნავს, რომ ყველა იცნობს მსოფლიო კულტურის ვარსკვლავებს რემბრანდტს, მოცარტს, გოეთეს... მათი ბიოგრაფიების უმცირეს დეტალს აშუქებენ მრავალრიცხოვანი მონოგრაფიები, მაგრამ ჩვენ თითქმის არაფერი ან ძალზე მცირედი ვიცით მათი მეუღლეების შესახებ, რომელთაც გაიზიარეს ამ მოღვაწეთა ხშირად მძიმე ხვედრი და ხელი შეუწყვეს მრავალი დიადი ჩანაფიქრის განხორციელებას.

ამ ბიოგრაფიათა დიდი ნაწილი დაწერილია მამაკაცთა მიერ. იქნებ ამიტომ არიან ერთგვარად ჩრდილში მოქცეულნი დიდ ადამიანთა თანამეცხედრე ქალები, რომელთა სუსტ მხრებს აწვა მძიმე ტვირთი ყოველდღიური ვალდებულებისა, სადილის კეთებისა, ბავშვების აღზრდისა, ხშირად ხელშემწყობი მდივნის მოვალეობის შესრულებისა. ბახს, მაგალითად, ოცი შვილი ჰყავდა, ვიღაც ზომ უვლიდა მათ, ზრდიდა, აცმევდა, აჭმევდა და არ აძლევდა ნებას ხელი შეეშალათ გენიოსი მამისათვის, როდესაც იგი თავის ღვთაებრივ მუსიკას ქმნიდა.

ავტორი არ მალავს თავის აღტაცებასა და პატივისცემას ამ მოკრძალებული და თავდადებული ქალების მიმართ, შემდეგ კი გატაცებით მოგვითხრობს მოლიერის მეუღლის არმანდა ბეჟარის, მოცარტის მეუღლის კონსტანცა ვებერის, გოეთეს მეუღლის, უჩინო მეყვავილის ქრისტინა ველბიუსის, ნანა სანდინსკაიასა და სხვათა შესახებ...

გერდ რეიმერსის წიგნმა კიდევ ერთი შეწირული მეუღლის სახელი გამახსენა. უნდა ითქვას, რომ არანაკლებ როლს ასრულებდნენ დიდ მეცნიერთა ცოლები, რომელთა წვლილი ხშირად ასევე შეუქმნეველია დიად აღმოჩენათა თუ გამოკვლევათა ფონზე. ამჯერად მინდა მოკლედ მოვუთხრო მკითხველს ცნობილი ირანისტის იური (გიორგი) ნიკოლოზის ძე მარის მეუღლის — სოფიო მარის შესახებ.

1950 წლის გაზაფხული იდგა. ქართველი საზოგადოებრიობა ემზადებოდა ნიკო მარისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის ჩასატარებლად ქუთაისში, სადაც მომავალმა გენიალურმა ფილოლოგმა წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სპარსული განყოფილების მესამე კურსის სტუდენტს ჩემმა მასწავლებელმა, ბატონმა ვლადიმერ ფუთურიძემ შემომთავაზა თემა: „იური მარის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა“. იური მარი იყო ნიკო მარის უფროსი და საამაყო ვაჟი (მეორე შვილი ადრე, პირველი მსოფლიო ომის დროს დაეღუპა). მიუხედავად ადრე გარდაცვალებისა (მაშის სიკვდილის შემდეგ მან სულ ერთი წელი იცოცხლა), იური მარს დარჩა მდიდარი, ნაკლებად შესწავლილი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელშიც განხილული იყო ირანისტიკის აქტუალური პრობლემები, მათ შორის, მამის მიერ საფუძველჩაყრილი ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები. ბატონი ვლადიმერი კი, რომელსაც პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, არა მარტო ნიკო მარის მოწაფე იყო, იგი მეგობრობდა მის ვაჟს, კარგად იცნობდა მთელ ოჯახს.

ცხადია, ჩემი რეფერატის დასაწერად ბატონი ვლადიმერის მონახრობი და მის მიერ მოწოდებული მასალაც იკმარებდა. ამ დროისათვის გამოქვეყნებული იყო იური მარის ნაშრომთა ორი ტომი, რომელიც გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო მარების ოჯახის უერთგულესმა ადამიანმა იოსებ მეგრელიძემ, მაგრამ ბატონი ვლადიმერი ამით არ დაკმაყოფილებულა და აი, ერთ მწვენიერ დღეს, ნელი ნაბიჯით გაიძღვა ძველი თბილისის ჩემთვის კარგად ნაცნობი, მშობლიური უბნისაკენ — სოლოლაკისაკენ.

აქ, ენგელსის ქუჩის (ამჟამად ლადო ასათიანის ქუჩა) № 44-ში ცხოვრობდა იური მარის მეუღლე სოფიო მარი. გვირაბით შევედით ეზოში, შემდეგ შევუყევით სიღრმეში მოთავსებული სადარბაზოს ხვეულ კიბეებს. სადარბაზოს კედლებზე აკრული იყო ძველი გაზეთები, მათ შორის, ოცდაჩვიდმეტი წლისა, გახმაურებული პროცესების ანგარიშებითა და ფოტოებით. როგორც ბატონმა ვლადიმერმა ამიხსნა, ეს მკვიდრად ნაგები ოთხსართულიანი სახლი ეკუთვნოდა უნივერსიტეტის პირველ რექტორს პეტრე მელიქიშვილს, რომელმაც დაუტოვა იგი უნივერსიტეტს. ამიტომ იყო, რომ მასში ძირითადად უნივერსიტეტის თანამშრომლები ცხოვრობდნენ. როდესაც ტუბერკულოზით და-

ავადებული იური მარი 30-იან წლებში საცხოვრებლად პეტერბურგიდან თბილისში გადმოსახლდა, მას, როგორც უნივერსიტეტის მშრომელს, ამ სახლში მისცეს ბინა.

კარი გამხდარმა, ქალარა ქალმა გაგვიღო, ენერგიულად მოგვესალმა. შემდეგ კი პირდაპირ შეუტია ბატონ ვლადიმერს, რატომ დამივიწყეთ, რამდენი საქმე მაქვს, თქვენ კი დამეკარგეთო. ბატონი ვლადიმერი მორცხვი ღიმილით თავდახრილი უსმენდა, შემდეგ კი ჩემი თავი წარუდგინა. ორი დიდი, მზით განათებული ოთახი წიგნებით იყო სავსე, დიდ მაგიდაზე რვეულები და ხელნაწერები ეყარა საკმაოდ უწყესრიგოდ. ქალბატონი სოფიო ჩაით გაგვიმასპინძლდა, შემდეგ საქმეზე გადავედით. შემირჩია მასალა და შევთანხმდით მორიგ შეხვედრაზე. რა ვიცოდი, რომ ეს ადამიანი მთელი მომდევნო ოცდაათი წლის მანძილზე ჩემი უახლოესი უფროსი მეგობარი გახდებოდა, ხოლო იური მარის არქივზე მუშაობა მეორე უნივერსიტეტად გადაექცეოდა.

კვირაში ორჯერ, ორშაბათსა და პარასკევს, დილით ან საღამოს, ავუყვებოდი ხვეულ კიბეებს, გზადაგზა კედელზე აკრულ გაზეთებს ვათვალიერებდი, შემდეგ კი სოფიო მარის ხელმძღვანელობით იური მარის არქივის ლაბირინთებში ვიკვლევდი გზას. რეფერატი მალე დავასრულე და ქუთაისში, სამეცნიერო სესიაზე წავიკითხე კიდევ. მაგრამ ჩემი მუშაობა არქივზე ახლა იწყებოდა. ამ ინტერესმა განაპირობა სადიპლომო თემის შერჩევა: „შირვანელი პოეტები და საქართველო“. საქმე ის გახლდათ, რომ იური მარმა პირველმა მიაქცია ყურადღება საქართველოს (შუა საუკუნეების აღმოსავლური ტერმინოლოგიით — აფხაზეთის) ასახვას XII საუკუნის შირვანელი პოეტების ნიზამის, ხაყანის, ფალაქის და სხვათა შემოქმედებაში. მანვე პირველმა მიაკვლია ქართულ ტოპონიმებსა და მთელ ფრაზებს შირვანელ პოეტთა სპარსულ ლექსებში. სიცოცხლეში იური მარმა მხოლოდ რამდენიმე წერილის გამოქვეყნება მოასწრო ამ საკითხებზე. დიდი ნაწილი მხოლოდ მონიშნული დარჩა მის ჩანაწერებში...

ვგრძნობ, რომ ისევ იური მარის საქმიანობამ გამიტაცა, ისევ ჩრდილში მრჩება მისი ცოლი, რომელმაც არა მარტო გადაარჩინა, ზრამედ ღირსეულად მოუარა და უპატრონა მეუღლის არქივსა და სახელს.

სოფიო მიხეილის ასული მიხაილოვა დაიბადა 1890 წელს თბილისში, სარკინიგზო ინჟინრის ინტელიგენტურ ოჯახში. განათლების მისაღებად მოზობლებმა იგი სანკტ-პეტერბურგში გაგზავნეს (აღსანიშნავია, რომ შემდეგში იქვე სწავლობდა მისი ძმა, ნიკო მუსხელიშვილთან ერთად). 1916 წელს სოფიო მარმა დაამთავრა ცნობილი ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსები. მისივე მონათხრობით ვიცი, როგორ გაიტაცა იმ წლებში ახალგაზრდა ქალიშვილი პოეზიამ, „ვერცხლის საუკუნის“ საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედებამ, რომელთა შორის პირველობა მაინც ალექსანდრ ბლოკს ეკუთვნოდა. ერთხელ სოფიოს წერილიც კი მიუწერია ალ. ბლოკისათვის, რომელმაც არა მართო უპასუხა მას, არამედ პაემანიც კი დაუნიშნა. სოფიოს შეშინებია და თავის ნაცვლად მეგობარი გაუგზავნია. დღემდე ვნანობ ჩემს სულელურ საქციელსო, ღიმილით ამბობდა იგი.

სოფიო მარი თავადაც წერდა ლექსებს. შემთხვევითი არ იყო, რომ მალე იგი შევიდა მსმენელად პეტროგრადის ხელოვნების ისტორიის შემსწავლელ კურსებზე, სადაც ასწავლიდნენ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმძღვანელო მკვლევარნი და მწერლები ვ. ჟირმუნსკი, ი. ტინიანოვი, ვ. კავერინი. რევოლუციის შემდეგდროინდელმა მიძიმე ვითარებამ აიძულა სოფიო მოზობლებს დაბრუნებოდა. თბილისში მან ჯერ დედამისის, ვერა მაკეევას კვალობაზე პედაგოგობას მიჰყო ხელი, შემდეგ კი ახალდაარსებული ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა.

20-იანი წლების თბილისი კულტურული ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. ბოლშევიკური რუსეთიდან გადმოხვეწილმა მწერლებმა, მხატვრებმა, მსახიობებმა აქ დაიდეს ბინა, ზოგმა დროებით, ზოგმა სამუდამოდ, იხსნებოდა სხვადასხვა პოეტური წრეები, კაფეები, ტონს მთელ ამ ცხოვრებას აძლევდნენ „ცისფერყანწელები“. სოფიო მარი აქტიურად მონაწილეობდა ერთ-ერთ რუსულენოვან პოეტურ წრეში, სადაც აიღვეს ფეხი შემდგომ ცნობილმა პოეტებმა და მთარგმნელებმა ნ. ვასილიევამ (ხელოვნებათმცოდნე დ. გორდევის მეუღლე), „ვეჩორკამ“ (ტ. ტოლსტაია) და სხვებმა. აქ შეჩვდა იგი თავის მომავალ მეუღლეს იური მარს.



იური ნოკოლოზის ძე მარი დაიბადა 1893 წელს პეტერბურგში. ოჯახურმა გარემომ (მამა — მსოფლიოში სახელგანთქმული კავკასიოლოგი, დედის ძმა — ცნობილი ირანისტი ვ. უუკოვსკი, დედის ქმარი — ცნობილი ისტორიკოსი ვ. ბარტოლდი) განაპირობა იურის ინტერესები. გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მან გაიარა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სრული კურსი არაბულ-სპარსული ფილოლოგიის განხრით. უნივერსიტეტის დამთავრება დაემთხვა ოქტომბრის ცნობილ არეულობას და მამამ მოარიდა შვილი მძიმე განსაცდელს, გამოგზავნა იგი დედულეთში, გურიაში. იური მარი ჯერ ჩოხატაურის სკოლაში უცხო ენას ასწავლიდა, შემდეგ კი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. აქ იგი სამუშაოდ მიიწვია ახალდაარსებულ უნივერსიტეტში ნიკო მარის ღირსეულმა მოწაფემ ივანე ჯავახიშვილმა. იურიმ დაიწყო, აგრეთვე ნიკო მარის მოწაფესთან, იუსტ. აბულაძესთან ერთად სპარსული ენისა და ლიტერატურის სწავლება და სამეცნიერო ბიბლიოთეკაში აღმოსავლური წიგნების კატალოგიზაცია.

იური მარი საოცრად ნიჭიერი და მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო, შესანიშნავად ხატავდა, წერდა ლექსებს, გატაცებით მისდევდა სპორტს. ცხენოსნობის სიყვარულმა მიიყვანა იგი ქართველთა საცხენოსნო პოლკში, სადაც ხშირად უნახავთ მეგობრებს საჯინიზმში „შაჰნამეს“ რომ უკითხავდა თივის ჭამით გართულ ცხენებს. ერთ-ერთი ლაშქრობა ირანის აზერბაიჯანში ტროპიკული მალარიით დაავადებით დასრულდა, რამაც შემდგომ საბედისწერო შედეგი გამოიღო.

აი ამ დროს გაიცნო მან თბილისის პოეტურ წრეში სოფიო მიხაილოვა. ძნელი სათქმელია, რითი მოხიბლა გარეგნობით არცთუ გამორჩეულმა ახალგაზრდა ქალმა სილამაზითა და ყურადღებით განებივრებული ჭაბუკი, მაგრამ სულ მალე ეს გონიერი, ჩუმი და მოკრძალებული ასული სოფიო მარი გახდა. აქვე უნდა ითქვას, რომ იურის ახალგაზრდული გატაცებისა და გულაცრუების შედეგი — პირველი ცოლი და მცირეწლოვანი ვაჟი პეტროგრადში ჰყავდა დატოვებული. ცხადია, ახალდაქორწინებულებს ეს გარემოებაც აკრთობდათ, მშობლების, განსაკუთრებით, იურის მკაცრი დედის, ალექსანდრას, რიდის შესახებ რომ არაფერი ვთქვათ.

1922 წელს იური და სოფიო დაბრუნდნენ პეტროგრადში. სოფიო

მარი იგონებდა, რომ თავიდან იგი მართლაც იმდენად ცივად მიიღეს, რომ ლამის სახლში არ შეუშვეს იურის მშობლებმა. ისევ ნიკო მარს მოუბრუნდა გული, თანაც იმთავითვე გამოიკვეთა სოფიოს ბუნება — მეუღლისადმი თავგანწირული ერთგულება. სხვათა შორის, მაგალითიც თვალწინ ჰქონდა. ნიკო მარს ოჯახური საქმის არაფერი ეკითხებოდა, ყველაფერს მეუღლე განაგებდა. ამავე დროს იგი იყო მისი პირადი მდივანი, საშინელი ხელით ნაწერი შრომების სასტამბოდ გადამწერი და ანაბეჭდთა პირველი კორექტორი.

იური გატაცებით შეუდგა სააზიო მუზეუმის ხელნაწერებზე მუშაობას, სოფიო კი ეთნოგრაფიამ გაიტაცა. სულ მალე „ჩრდილოეთის პალმირის“ შესამიანმა ჰავამ იძალა და მალარიით დასუსტებულ ორგანიზმს ტუბერკულოზის პირველი ნიშნები გამოაჩნდა. ექიმების რჩევით იურის დროებით სამხრეთში უნდა ეცხოვრა. გადაწყდა მისი მივლინებით ირანში გაგზავნა. 1925 წლის გაზაფხულზე იური და სოფიო თეირანში ჩავიდნენ. საელჩოში მათ დახვდა მთელი ჯგუფი ახალგაზრდა სპეციალისტებისა (ვ. ტარდოვი, ს. ვალუნოვი, ნ. ბელგოროდსკი). მათ შორის გამოირჩეოდა მთავარი თარჯიმანი, მოსკოვის აღმოსავლური სკოლის წარმომადგენელი, განათლებული და დახვეწილი ინტელიგენტი კონსტანტინე ივანეს ძე ჩაიკინი (1889—1939), რომელსაც იური ერთბაშად დაუმეგობრდა და ამ უნაზეს გრძნობას სიკვდილამდე ჩრდილი არ მისდგომია.

ამ კოლეგების დახმარებით იურის და სოფიოს მუშაობის საუკეთესო პირობები შეექმნათ. მათ მოიარეს ისფაჰანი, შირაზი, ირანის შრომინციები. აღსანიშნავია ირანის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან, უბრალო ხალხთან დამეგობრება და კონტაქტი. ამასთან, თუ იური მამაკაცების გარემოცვაში ტრიალებდა, სოფიო ქალებთან ამყარებდა ურთიერთობას. მეცნიერებათა აკადემიის დავალებით მათ შეიძინეს მდიდარი ბიბლიოთეკა და სამშობლოში გადაგზავნეს. ეს მასალა არაერთ სამეცნიერო ნაშრომს დაედო საფუძვლად. სოფიომ შეისწავლა სპარსული სასაუბრო ენა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის საკითხებს. მან შეაგროვა საინტერესო კოლექცია ილუსტრირებული ფარდებისა (ყალამქარებისა), მატერიალური კულტურის ძეგლებისა. მათი დიდი ნაწილი პეტერბურგის მუზეუმებშია, ზოგი რამ კი მოგვიანებით თბილისის ხელოვნების მუზეუმში მოხვდა.

ასე ნაყოფიერად გაიზრდინა თითქმის ორმა წელმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ინტენსიურმა შრომამ და ირანის კონტინენტურმა ჰავამ იურის



ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია. პეტერბურგში ცხოვრება უძლებელი შეიქნა. ამიტომ იურიმ და სოფიომ კვლავ საქართველოს მოაშურეს. 1929 წლიდან ისინი საბოლოოდ თბილისში დასახლდნენ, ზაფხულს კი აბასთუმანში ატარებდნენ. ამ დროს იჩინა თავი სოფიო მარის თავგანწირვამ და ერთგულებამ. მათი ურთიერთობის ამბავი ერთ-ერთი თვითმხილველის მონათხრობით ვიცი, მაგრამ აქ ერთი მცირე წიაღსვლა დამჭირდება.

! ოცდაათიანი წლებიდან იწყება შემზარავი სტალინური რეპრესიები. მილიონობით სიცოცხლე შეეწირა ამ უღმობელ რეჟიმს, ყოველი მათგანი კი განუმეორებელი ინდივიდუალური ბედის მქონე იყო. ხელთქმნილი ძეგლი დაუდგა ამ უდანაშაულო ბედკრულებს ალექსანდრ სოლჟენიცინმა თავისი განთქმული, საუკუნის წიგნით — „არქიპელაგ გულაგით“, ოღონდ სრულიად გაუმართლებელია მისი ტენდენცია ქართველების იგნორირებისა, თითქოს მათ არ შეხებია რეჟიმის მსახვრალი ხელი. ნუთუ სტალინის სამართლიანმა სიძულვილმა ასე დაუბნელა თვალი ნიჭიერ მწერალს! საქართველომ ხომ ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო ამ ურჩხულის სამსხვერპლოზე!

! ერთი ამ მსხვერპლთაგანი გახდა ოკუპაციების დიდი ოჯახი, რომლის მრავალრიცხოვან წევრთაგან ვერავენ გადაურჩა ჯალათის მახვილს. მიხეილ ოკუპავა და მისი მეუღლე რომ დააპატიმრეს და მოსპეს, მიაყოლეს პირველი, გარდაცვლილი მეუღლისაგან შეძენილი პირველკურსელი ვაჟი გივი, ცოლისდა ვერა ხალვაში, რომლებიც ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ, სასწაულებრივად გადარჩენილნი დაბრუნდნენ ბანაკებიდან. მეორე ცოლისდა, ექიმი-ფტიზიატრი ლუდმილა მოდებაძე, რომელმაც იშვილა სამი ობოლი ბავშვი, სამედიცინო ინსტიტუტიდან გააძევეს. მან თავი აბასთუმანს შეაფარა, სადაც მანამდე მუშაობდა. აი სწორედ ქალბატონ ლუდმილასაგან მოვისმინე სოფიო მარის თავდადებული სიყვარულის ისტორია.

! სოფიომ ყველაფერი იღონა, რომ იურის სამეცნიერო მუშაობა გაეგრძელებინა. სამეცნიერო ცენტრებს მოწყვეტილი, წიგნებსა და ხელნაწერებს მოკლებული მკვლევარი მხოლოდ მეუღლის მეშვეობით ამყარებდა წერილობით კონტაქტებს კოლეგებთან. სოფიო იყო მისი პირადი მდივანი, ექთანი, ექიმი, მზარეული, მომვლელი და სულის გამამხნევებელი მეგობარი. მათ პატარა ოთახს ხშირად აკითხავდა ევგენი ხარაძე, რომელიც იმხანად საფუძველს უყრიდა აბასთუმნის ობსერვატორიას, ჩადიოდნენ თბილისელი სტუმრები. ყველას მიღებასა

და გამასპინძლებას ახერხებდა იმ დროსაც მძიმე ეკონომიკურ პირობებში სოფიო მარი.

„წყვეული სენი“ ხან დროებით უკან იხევდა და მაშინ იწერებოდა საინტერესო ჩანაფიქრებით აღსავსე ბარათები, განსაკუთრებით ხშირად კ. ჩაიკინთან, გრძელდებოდა მუშაობა სპარსულ დოკუმენტირებულ ლექსიკონზე, პოეტური „დივანებისა“ და წყაროების ტექსტებზე. მაგრამ თანდათან უფრო მძლავრი ხდებოდა დაავადების შემოტევა, როდესაც სასოწარკვეთილ ავადმყოფს ასეთი სიტყვები აღმოხდებოდა: „19 იანვრიდან სიცხეები მაქვს 38—40°, წამსკდა სისხლი, საშინლად მახველებს, პროცესი მიდის ქენებ-ქენებით. ვკვდები ისე, რომ ვერ მოვასწარი ვერც ჰამიდის, ვერც ბეიჰაყის, ვერც რავენდის წაკითხვა, ვერ დავასრულე „შამს ო თოღრა“, რომლის ანალიზის ცდა ნოემბერში წავიკითხე. თქვენი ნაშრომები ყველა წესრიგშია, მშვიდად ბრძანდებოდეთ, მათ გამოსაქვეყნებლად გადაცემამდე თუ მოგვკვდი, სოფიო მინაილოვნა მოუვლის... პასუხი გადმოგზავნეთ თბილისში, ლერმონტოვის № 1, რადგან იმ დროისათვის მე უკვე აღარ ვიქნები. სული მიდგას ქაფურით, პანტაპონით, მორფით... მშვიდობით, ჩაიკინ ძვირფასო, მოკითხვა ყველას. იური“.

წერილი დათარიღებულია 1932 წლის 15 თებერვლით. სოფიოს თითქმის გადაეწურა იმედი და მშობლებს შეუთვალა, იური უკანასკნელ დღეშიაო. გულგახეთქილები ჩამოვიდნენ ნიკო მარი და მისი მეუღლე, მაგრამ მოხდა სასწაული, იურიმ მოიხედა, მომჯობინდა კიდეც. შვილი მამას აღმერთებდა და იქნებ მისმა ნახვამ შეჰმატა ძალა. ამ დროისათვის არაადამიანური შრომით გადაღლილ (დღელამეში 18—20 საათი) ნიკო მარსაც დარია ხელი ავადმყოფობამ და 1934 წ. დეკემბერში გარდაიცვალა. მამის სიკვდილმა თავზარი დასცა იურინს და ზუსტად ერთი წლის თავზე, 1935 წლის 1 დეკემბერს, ერთ-ერთი პროცედურის დროს (კალციუმის ნემსები) უეცრად განუტევა სული (არსებობს ეჭვი, რომ წამალი უვარჯისი იყო).

თვით სოფიოსა და მისი ახლობლებისაგან ვიცი, იმდენად დიდი იყო ვანცდა, ერთი პირობა თავის მოკვლაც კი გადაწყვიტა. მაგრამ ვერც სიკვდილის შემდეგ უღალატა მეუღლეს. ჯერ იყო და თბილისში ჩამოასვენა და უნივერსიტეტის შუამდგომლობით ვაკის სასაფლაოზე, გამოჩენილ მოღვაწეთათვის განკუთვნილ მაღალ ბორცვზე დაკრძალა. შემდეგ, თუმცა კი ძალიან უმძიმდა, არქივს მოჰკიდა ხელი. იმ დღეებში დაიბეჭდა ლითოგრაფიულად იურის ხელით გადაწერილი დოკუმენტირებული ლექსიკონის I ნაკვეთი, მოსაწესრიგებელი იყო დარჩე-





ნილი უზარმაზარი მასალა. იმავე წელს გამოქვეყნდა იური მარმა-ში-  
 ერ დაარსებული სერიის „ნიზამი, ხაყანი, რუსთაველის“ I კრებული,  
 შოსამზადებელი იყო მომდევნო კრებულების მასალა. წესრიგში იყო  
 მოსაყვანი ურიცხვი კორესპონდენცია. ცხადია, მარტო სოფიო ვერ გა-  
 უძღვებოდა ამ რთულ საქმეს. მისი თხოვნითა და კავკასიური ისტო-  
 რიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის სიმონ ჯანაშიას  
 შემწეობით მოსკოვიდან ჩამოვიდა კ. ჩაიკინი. მას ეხმარებოდნენ იუ-  
 რის თბილისელი მეგობრები ვ. ფუთურიძე, ი. მეგრელიძე, შ. ამირა-  
 ნაშვილი. საქმე დაიძრა.

მაგრამ დადგა 1937 წელი. იურის კორესპონდენტთა უმრავლესობა,  
 განსაკუთრებით საელჩოს ყოფილი თანამშრომლები, მათ შორის კ. ჩა-  
 იკინი, დაპატიმრეს. მათთან ერთად ქრებოდა ქალაქლები, ნაშრომე-  
 ბი, საკუთარი თუ სხვისი. ასე დაიკარგა კ. ჩაიკინის არქივთან ერთად  
 მისთვის გამოსაცემად გადაცემული ხაყანის „ქრისტიანული ყასიდის“  
 კრიტიკული სპარსული ტექსტი, რომელიც იური მარმა მოამზადა. სო-  
 ფიოს არაერთხელ უთქვამს მწარე ირონიით, იქნებ სიკვდილმა უშველა  
 იურის, თორემ მასაც არ ასცდებოდა ეს საშინელი ხვედრი.

საშიში იყო „ხალხის მტრების“ წერილების შენახვაც, არათუ ფიქ-  
 რი მათ გამოქვეყნებაზე. სოფიო მარმა გასაოცარი სიფრთხილე და წინ-  
 დხედულობა გამოიჩინა: მან არქივის უმნიშვნელოვანესი ნაწილის,  
 მათ შორის წერილების, ასლი გადაიღო, საკუთარი ხელით გადაწერა  
 და სხვადასხვა ადგილას შეინახა. მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ  
 წაიღო მან იურის არქივის ნაწილი პეტერბურგში (მაშინდელ ლენინ-  
 გრადში) და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არქივს ჩააბარა  
 (ფონდი № 95), დანარჩენი, დასამუშავებელი ნაწილი კი შინ დაიტოვა,  
 ამ ნაწილის დამუშავებასა და გამოსაცემად მომზადებაზე დავიწყეთ  
 ჩვენ ერთად მუშაობა ორმოცდაათიანი წლების დასასრულიდან.

1966 წელს, რუსთაველის საიუბილეოდ, გამოვეცით სერიის „ნიზა-  
 მი, ხაყანი, რუსთაველის“ მეორე ნაწილი, 200 გვერდიანი კრებული,  
 რომელშიც შევიდა იური მარისა და კონსტანტინე ჩაიკინის მიმოწე-  
 რის ნაწილი, იური მარისეული კომენტარებულ თარგმანი ხაყანის  
 „ქრისტიანული ყასიდისა“ და მისივე გამოუქვეყნებელი წერილები  
 ხაყანის ბიოგრაფიის უცნობი საკითხების შესახებ. კრებულმა სპეცია-  
 ლისტების ყურადღება დაიმსახურა.

არ დამავიწყდება ის საოცარი პასუხისმგებლობა, რომლითაც სო-  
 ფიო მარი ემზადებოდა ჩვენი ყოველი შეხვედრის წინ. ამ დროისათ-  
 ვის მან უკვე გაუცვალა თავისი დიდი ბინა მეზობელს, წვრილშვილის



პატრონს, თვითონ მის ერთ ოთახში გადავიდა და ისე ვიწროდ ცხოვრობდა, რომ ხშირად მხრის აქცევა ჰქონდა წიგნებსა და ქაღალდებს შორის. პატარა მაგიდაზე ჩაიდანი დულდა, საუბრის შემდეგ (ხანდაზმულობის მიუხედავად, სოფიო მარს საოცრად ფხიზელი ვონება და მეხსიერება შემორჩა სიცოცხლის ბოლომდე, ახალგაზრდული ცნობისმოყვარეობით აინტერესებდა ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების უახლესი ამბები) ვიწყებდით მუშაობას, ვარჩევდით და ვალაგებდით მასალას, ვურთავდით კომენტარს. ამ მუშაობის დროს გვეხმარებოდნენ როგორც თბილისელი, ისე პეტერბურგელი ირანისტები, განსაკუთრებით იური ბორშჩევსკი.

პირველი წიგნის წარმატებით წახალისებულებმა გადავწყვიტეთ სრულად გამოგვექვეყნებინა იური მარის მიმოწერა კოლეგებთან სპარსული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე. მართალია, ზოგი მოსაზრება, გამოთქმული თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, უკვე მოძველებულად გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც საინტერესო იყო პრიორიტეტის თვალსაზრისით, უმრავლესობა კი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ საკითხებს ეხებოდა. ასლებზე მუშაობის შემდეგ საჭირო გახდა დედნებთან შემოწმება. სოფიო მარის წერილით გავემგზავრე ლენინგრადს, მაგრამ არქივის გამგემ, დ. ბერტელსმა ცივი უარით გამომისტუმრა. მიზეზი ჩემთვის ნათელი შეიქნა: წერილებში, ზოგჯერ საკმაოდ მკაცრად, გაკრიტიკებული იყო მამამისი, ცნობილი ირანისტი ევგენი ბერტელსი. იძულებული გავხდი მიმემართა ინსტიტუტის დირექტორისათვის აკად. იოსებ ორბელისათვის. მახსოვს, რა სითბოთი მოიკითხა მან სოფიო, გაიხსენა ყრმობისდროინდელი მეგობარი იური, მაღლიერებით მოიგონა ძვირფასი მასწავლებელი ნიკო მარი. ჩვენი განზრახვა მხურვალედ მოიწონა, ხოლო უარის ამბავი რომ შეიტყო, მრისხანედ შეჰყარა ხშირი წარბები. მეორე დღეს მთელი მასალა მაგიდაზე დამხვდა.

1976 წელს დაიბეჭდა სოფიო მარისა და ჩემს მიერ მომზადებული ვრცელი, 300 გვერდიანი დიდი ფორმატის წიგნი „წერილები სპარსული ლიტერატურის შესახებ“. სოფიო მარს ბოლო წუთამდე არ ჰქონდა იმედი მისი გამოქვეყნებისა, წიგნი რთული იყო ასაწყობად, მისი გამოცემა გაჭიანურდა. მით უფრო დიდი იყო მისი სიხარული, როცა ი. მარისა და კ. ჩაიკინის ფოტოებით დამშვენებული სასიგნალო ცალი მივუტანე.

დიდი დახმარება გაუწია სოფიო მარმა ირანისტ თინათინ ჭავჭავაძეს, რომელმაც 1974 წელს საარქივო მასალების მიხედვით შეადგინა



იური მარის „მასალები სპარსულ-რუსული ლექსიკონისათვის“ დგენელი წინასიტყვაობის ბოლოს საგანგებო მადლობას უხდის სოფიო მარს. ასეთივე დახმარებას უწევდა სოფიო მარი ყველას, ვინც კი იური მარის პიროვნებითა თუ ირანისტიკის ამა თუ იმ საკითხით დაინტერესდებოდა. სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სპეციალისტები ზოგჯერ თვეობით ცხოვრობდნენ მასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფიო მარს ეკუთვნის ბევრი ორიგინალური ნაშრომი სპარსული ეთნოგრაფიის საკითხებზე. ჯერ კიდევ 1930 წელს „ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის კრებულის“ IX ტომში გამოქვეყნდა მისი წერილი „სპარსული ქორწინების ისტორიიდან“. აქ დეტალურადაა განხილული ავტორის მიერ 1926 წელს ისტაჰანში შეძენილი ოთხი ფარდა (ყალამქარი), რომლებზედაც ასახულია სპარსული ქორწინების (არუსი) სხვადასხვა სცენა მაჯანკლის (დალალის) მოსვლიდან ბავშვის დაბადებამდე. ძალზე საყურადღებოა სოფიო მარის გამოკვლევა, მიძღვნილი მოპარემის რიტუალისადმი ირანულ შიიტებში. მისი ნაწილი ა. კრიმსკის წარდგინებით გამოქვეყნდა კიევში უკრაინულ ენაზე. სოფიო მარმა შეადგინა ნიკო მარისა და იური მარის ბელეტრისტული ბიოგრაფიები, რომლებშიც ხატონად აღწერა მათი ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა. ერთი თავი ნიკო მარის ბიოგრაფიიდან ცალკე წიგნაკად გამოაქვეყნა თბილისში 1949 წელს: „ნიკო მარის მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში“ (შავშეთსა და კლარჯეთში 1904 წელს და ლაზისტანში 1909 წელს)“, რედაქტორი შოთა ძიძიგური. ნაწყვეტები იური მარის ბიოგრაფიიდან 1973 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია, № 3). ვფიქრობ, ამ წიგნების სრული სახით გამოქვეყნება სასარგებლო იქნება ამ ორი დიდი პიროვნებითა და საერთოდ მეცნიერების ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

\* \* \*

სოფიო მარმა ბოლომდე მოიხადა ერთგული მეუღლისა და მეგობრის ვალი. იგი გარდაიცვალა 1980 წლის შემოდგომაზე, ძილში. დაკრძალულია მეუღლის გვერდით, ვაკეში. მის მიერ დარჩული საროები მალა აზიდულან და თითქმის მთლიანად დაუჩრდილავთ საფლავი. საფლავის ქვას ოდესღაც მის მიერვე შერჩეული საადი შირაზელის ბეთი ამშვენებს:

„აზ ჩამან გოზიდამ სარვე აზად  
დასთე აჯალაშ „ბე ბად ბარ დად“.

„ამ წალკოტიდან ავირჩიე ნაზარდი სარო,  
სიკვდილის ხელმა უღმობელმა ქარს გაატანა“.

იური და სოფიო მარის არქივის დარჩენილი ნაწილი იოსებ მეგრელიძემ და მე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს ჩაეაბარეთ. ამ მასალის საფუძველზე ერევნიდან მოვლინებულმა ასპირანტმა ნუნე მირზოიანმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „იური მარი — სპარსული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი“. ახალგაზრდა ქართველმა ეთნოგრაფმა გ. გოცირიძემ ფერეიდნელთა ქორწინების შესწავლას მიუძღვნა თავისი ნაშრომი, რომელშიც გამოიყენა სოფიო მარის მასალა. მასვე ეკუთვნის ერთ-ერთი პირველი წერილი სოფიო მარზე („საქართველოს ქალი“, № 1, 1980).

მომავალშიც არაერთი მკვლევარი მიუბრუნდება და გამოიყენებს იური მარის გამოქვეყნებულ თუ საარქივო მასალას. ყოველ მათგანს მეგზურად და შთამბავონებლად ეყოლება სოფიო მარის აჩრდილი...

პაოლო იაშვილი


ლანდი სიცივეში

წვიმა და წვიმა, ცივი ველი, გამხდარი ლანდი.  
ვინ არი ლანდი? გზა სად არი?.. გამხდარ ლანდს სცივა,  
უნდოდა ბინა... გაციებულს დააგვიანდა,  
გაყინულ კვნესით დიდხანს ივლის და ვერსად მივა.

სიკვდილი მოდის... სად მიდიხარ ან სად იყავი?  
დახეულ თვალებს ძილი უნდა, ახლოა ბინდი.  
მგლოვიარე გუნდს ყვავებისას დასცილდა ყვავი,

არ იცის ქარმა ვის წაუღოს ველის ამბავი,  
არ იცის წვიმამ ვის კარებთან იტიროს მწარედ,  
მგზავრის ძონძებში, ცივ ლამეში გათბება ყვავი,  
მშვიდობა ყველას, ვინც ზამთარში მოკვდება გარეთ!

1915 წ.



---

წიგნი...  
წიგნი...  
წიგნი...



ბანათლება არს უმტკიცესი და უუსაიგიდო-  
სი საფუძველი კეთილფიქრობარეობისა ყოველისა  
საზოგადოების.

**სოლომონ დოდაშვილი**

მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს  
საარსებო ბრძოლაში, არის ცოდნა, ბანათლება.

**იაკობ გოგებაშვილი**

**დიდი მეცნიერის მემკვიდრეობა**

1993 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამოვიდა გრიგოლ წერეთლის ნაშრომთა კრებული სათაურით „Труды по истории античной литературы“.

გრიგოლ წერეთლის სახელი ფართო მკითხველისათვის, შესაძლოა, არც კი იყოს ცნობილი. ეს, ცხადია, არ ეხება საუნივერსიტეტო წრეებს, მაგრამ ამ დიდი მეცნიერის მემკვიდრეობა წლების მანძილზე მიუწვდომელი იყო სტუდენტებისა და სპეციალისტთა დიდი უმრავლესობისათვის და ეს მაშინ, როცა გრიგოლ წერეთელი არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული და დაფასებული ქართველი მეცნიერ-ფილოლოგი.

გრ. წერეთელი ქართული კლასიკური ფილოლოგიის სკოლის დამაარსებელია. მისი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ სიცოცხლის დიდი ნაწილი რუსეთში გაატარა, მაგრამ უკანასკნელი თვრამეტი წელი ქართული უნივერსიტეტის სამსახურს შეაღია და თბილისშივე პოვა აღსასრული.

გრ. წერეთელი დაიბადა 1870 წელს პეტერბურგში. მამამისი — ფილიმონ წერეთელი იურისტი იყო, წარმოშობით რაჭიდან. დედა — მარტინოვის ქალი — ტვერის გუბერნიიდან იყო. ფილიმონ წერეთელი ჯერ თბილისში, მსახურობდა, შემდეგ ვარშავაში და გრიგოლმაც თავისი ბავშვობა ამ ქალაქებში გაატარა. 11 წლისა იყო, როცა ოჯახი სამუდამოდ დასახლდა პეტერბურგში. 1893 წელს გრიგოლმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობით და იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1897 წელს გაგზავნეს ბერლინის უნივერსიტეტში. იქ იგი მუშაობდა ვილამოვიც-მოლენდორფისა და პერმან დიდის ხელმძღვანელობით, ხოლო პალეოგრაფიასა და პაპიროლოგიაში ემზადებოდა პაპიროლოგიის ფუძემდებლის ვილკენის სემინარებში, ევროპის უდიდესი ქალაქების მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში ეცნობო-



და ბერძნულ ხელნაწერებსა და პაპირუსებს. ისე, რომ ევროპაში გათავისუფლებული ხუთი წელი უღარესად ნაყოფიერი იყო.

1902 წელს გრიგოლ წერეთელი რუსეთში დაბრუნდა. ერთ ხანს მუშაობდა იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტში, სადაც 1914 წელს მიენიჭა ბერძნული სიტყვიერების დოქტორის ხარისხი, შემდეგ კი მიიწვიეს პეტერბურგში კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგედ და 1920 წლამდე ამ თანამდებობაზე იყო. 1917 წელს აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1918 წლის 18 ივნისს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ გრ. წერეთელი მოიწვია ბერძნული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე. 1920 წლის შემოდგომაზე იგი ჩამოვიდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა კლასიკური ფილოლოგიის კათედრას. 1923-31 წლებში ის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორი და დიდი ამაგიც დასდო ამ ბიბლიოთეკას.

თბილისში მუშაობის წლებში განახორციელა მეცნიერმა თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრი — 1925-35 წლებში 5 ტომად გამოსცა რუსეთის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცული პაპირუსები. რაკი მათ შორის იყო მისი კუთვნილი პაპირუსებიც, ამ გამოცემას უწოდა „რუსული და ქართული კოლექციების პაპირუსები“.

თბილისშივე გამოსცა იოანე იტალოსის გამოუქვეყნებელი ტრაქტატები ორ ტომად, 1924-26 წლებში. ეს იყო ამ ფილოსოფოსის ნაშრომთა პირველი გამოცემა.

1938 წელს გრიგოლ წერეთელი დააპატიმრეს. შემონახულია იმ წლების ერთ-ერთი მსხვერპლის მოგონებები, რომელიც ორთაქალის ციხეში მასთან ერთად მოხვედრილა კამერაში, სადაც თავმოყრილი იყო ათასი ჯურის ბოროტმოქმედი, მათ გარემოცვაში იყო რამდენიმე პროფესორი. გრ. წერეთელი შეკრებილ საზოგადოებას დროდადრო ლექციებს უკითხავდა თურმე ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში. იგი პატიმრობაშივე გარდაიცვალა ავადმყოფობით, როგორც ჩანს, 1938 წლის მაისში.

გრ. წერეთელს მემკვიდრე არ დარჩენია. მისი არქივი გულშემატკივრებმა საქართველოს ისტორიის მუზეუმში გადაიტანეს, სადაც ინახებოდა 1961 წლამდე, მას შემდეგ კი ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული.

ამ 14-15 წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე კათედრის მაშინდელი გამგის, აკაკი ურუშაძისა და პროფ. რისმაგ გორდენიანის თაოსნობით გადაწყ-

და, შესწავლილიყო და გამოსაცემად მომზადებულიყო გრიგოლ წერეთლის არქივი. არქივი მართლაც მდიდარი აღმოჩნდა. აქ დაცულია მეცნიერის თითქმის ყველა გამოქვეყნებული შრომის დედანი და ბევრი გამოუქვეყნებელი მასალაც. აქვეა მისი კუთვნილი პაპირუსები (ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნეიდან VI საუკუნემდე) და რამდენიმე პერგამენტი.

როგორც ცობილია, 1927 წელს ქართულ ენაზე დაიბეჭდა გრიგოლ წერეთლის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომი — ეპოსის და ლირიკა, 1935 წელს კი — II ტომი — ტრაგედია. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ორივე ტომის მასალა და, გარდა ამისა, აქ ინახება გამოკვლევები ბერძნულ კომედიაზე, ელინისტურ ლიტერატურაზე, ძველ ბერძნულ ისტორიოგრაფიასა და ფილოსოფიაზე, ლექციებში რომაული ლიტერატურის ისტორიაზე. ჩამოთვლილ ნაშრომთაგან ბოლო დრომდე გამოქვეყნებული არაფერი ყოფილა. გადაწყდა პირველ ეტაპზე სწორედ ეს მასალა მომზადებულიყო გამოსაცემად და კრებული ორიგინალის ენაზე გამოქვეყნებულიყო (გრ. წერეთელი რუსულად წერდა). ამ საქმეს ბევრმა ფაქტორმა შეუშალა ხელი: ჯერ — ა. ურუშაძის გარდაცვალებამ, შემდეგ — პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ, მაგრამ უნივერსიტეტის 75-ე წლისთავისათვის მაინც მოხერხდა ამ კრებულის გამოცემა. მასში შევიდა ნაშრომები როგორც ბერძნული, ისე რომაული ლიტერატურის წარმომადგენლებზე: პლატონზე, პროტაგორაზე, ჰერაკლიტზე, ქსენოფონტზე, ლუკიანეზე, ციცერონზე, კორნელიუს ნეპოტზე; ორი სტატია „Греческие пиры (симпози)“ და „Греческий палимпсест V века“ და თარგმანები: პლატონის ეპიგრამებისა, კალიმაქეს ჰიმნებისა და ეპიგრამებისა, იოანე დამასკელის I კანონისა.

გრ. წერეთლის თარგმანები ცალკე საუბრის საგანია. იგი, გარდა იმისა, რომ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი იყო, შესანიშნავი პოეტიც გახლდათ და ეს მის თარგმანებშიც კარგად ჩანს. სამწუხაროა, რომ ამ კრებულში არ მოხერხდა გრიგოლ წერეთლის ორიგინალური ლექსების გამოქვეყნება. არქივში დაცულია 300-მდე ლექსი, დათარიღებული 1883-1938 წლებით. ეს არის მშვენიერი პოეზია, რომელიც ტოლს არ დაუდებს ბევრი სახელგანთქმული პოეტის ქმნილებებს.

კრებული „Труды по истории античной литературы“, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ ლიტერატურით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის. მართალია, ამ შრომების დაწერის შემდეგ 60 წელზე მეტი გავიდა, ბევრი

რამ, იქნებ, მოძველდა კიდეც, შეიცვალა მეცნიერული კვლევების მეთოდები, მაგრამ არ შეცვლილა ის, რაც ამოსავალი იყო გრიგოლ წერეთლისათვის ანტიკური კულტურის შესწავლისას. მას აინტერესებს მარადიული მხატვრული ღირებულებანი და იმის წყალობით, რომ ამ ღირებულებათა ქვეშარტი დამფასებელია, მკითხველის გულსა და ვონებასაც იოლად იბყრობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიგოლ წერეთლის არქივში ბევრი გამოუქვეყნებელი მასალაა. ის, რაც ოდესღაც გამოიცა, უკვე დიდი ხანია, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ისე რომ, თუკი მოხერხდება ამ დიდი მეცნიერის მემკვიდრეობის სრულად გამოცემა, ერთი მხრივ, ეს იქნება ჩვენი მაღლიერების გამოხატვა მისადმი, ხოლო მეორეს მხრივ მისი შემოქმედება მომავალ თაობებს აზიარებს იმ შვენიერ, უკედავ სამყაროს, რასაც ანტიკური სამყარო ჰქვია და იქცევა მათთვის მაღალი ლიტერატურული გემოვნების, დახვეწილი მხატვრული აზროვნებისა და მეცნიერული კეთილსინდისიერების ნიმუშად.





---

ბიბლიოთეკები  
და  
ბიბლიოფილები



ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის  
ex libris-ი.

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის  
კოლექცია**

უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და რექტორი პროფ. ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: „ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე ღრთს სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მეთოდების და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება. ამ უნივერსიტეტის პროფესორები და ხელმძღვანელები მართო ლექციების მკითხველნი კი არ უნდა იყვნენ, არამედ, უპირველესად ყოვლისა, მეცნიერნი და მკვლევარნი, რომელნიც თავიანთ ნაშრომებით მეცნიერების წარმატებას ხელს უნდა უწყობდნენ და მეცნიერებაზე ცხოველ მისაბამ მაგალითადაც იყვნენ მოზარდ თაობისათვის“.<sup>1</sup>

ეს მისია რომ შეესრულება უნივერსიტეტს, სხვა ხელშემწყობ ფაქტორთა შორის, საჭირო იყო კარგად მოწყობილი ბიბლიოთეკა. მართლაც, უნივერსიტეტის დაარსებასთან ერთად დაარსდა მისი პირველი დამხმარე, სამეცნიერო და სასწავლო მუშაობისათვის საჭირო დაწესებულება — ბიბლიოთეკა ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, წიგნსაცავი, რომლის გამგედაც აირჩიეს გიორგი ახვლედიანი, მაგრამ წიგნსაცავს მაშინ არც ერთი წიგნი არ გააჩნდა.

უნივერსიტეტის გამგეობა იმთავითვე შეუდგა მიმოწერას როგორც დაწესებულებებთან, ისე კერძო პირებთან წიგნების შეძენის თაობაზე. სატრანსპორტო ხარჯებს უნივერსიტეტი თავის თავზე იღებდა.

უნივერსიტეტის გამგეობის მოწოდებას გამოეხმაურნენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მასობრივად დაიწყო წიგნების შემოწირვა დაწესებულებებისა და კერძო პირებისაგან.

1918 წლის მარტში საკათალიკოსო საბჭომ თბილისის სასულიერო

<sup>1</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. № 471/47.

სემინარიის წიგნსაცავიდან ათასამდე წიგნი გადასცა უნივერსიტეტს. ეს წიგნები თავისი ხელით გადაურჩევია პროფ. კორნელი კეკელიძეს. მიმღებ კომისიაში შედიოდნენ პროფ. ივანე ჯავახიშვილი, სემინარიის წიგნსაცავის გამგე და მასწავლებელი, მწერალი ვასილ ბარნოვი. ცოტა მოგვიანებით, სემინარიის გაუქმების შემდეგ, ბიბლიოთეკის მთლიანი ფონდი, რომელიც 20 000 ტომს აღემატებოდა, სრულად გადასცეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. იმავე წლის ზაფხულში მთავრობის დადგენილებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მიიღო თბილისის სამხედრო სასწავლებლის ბიბლიოთეკის 2212 წიგნი.

1919 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მრავალი დიდი კოლექცია შემოვიდა. მათ შორის: სამთო სამმართველოდან გეოლოგიისა და გეოგრაფიის დარგების სამეცნიერო ხასიათის — 3141 წიგნი; წყალთა სამმართველოდან — სამთამადნო და მეღვინეობის დარგის 246 წიგნი, ქუთაისის ვაჟთა პირველი გიმნაზიიდან — თეოლოგიის, კლასიკური ფილოლოგიისა და ისტორიის საკითხებზე — 328 ტომი.

ამ წლებში განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიიდან მიღებული წიგნები, რომელთა შორის იყო პლატონ იოსელიანის ბიბლიოთეკა — 1974 ერთეული, უმთავრესად ისტორიისა და ფილოსოფიის დარგებიდან, ბევრი მათგანი XVI საუკუნეშია გამოუცემული. მაგალითად, ერასმ როტერდამელის „კოლოკვიუმი“ (ამსტერდამი, 1526 წ.), ხოშენცოვ-გელამსკის ალეგორიული მოთხრობა „ვარდისა და ბუღბუღის შესახებ“, რუსულ და სომხურ ენებზე (პეტერბურგი, 1812 წ.), რომელსაც პლატონ იოსელიანის ავტოგრაფი ამშვენებს, XVII და XVIII საუკუნეების ფრანგი ლიტერატურული მოღვაწეების შრომების სრული კრებულები და სხვა.

ამავე წელს უნივერსიტეტის გამგეობის მოთხოვნით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უნივერსიტეტს თავისი ფონდიდან დროებითი სარგებლობისათვის გადასცა პროფ. პ. მელიქიშვილის ბიბლიოთეკის ქიმიური დარგის 1453 წიგნი, პროფ. ვ. პეტრიაშვილის ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავდა ქიმიურ დარგის 1437 ერთეულს და ექიმ სოლომონ მრეველიშვილის სამედიცინო ლიტერატურა — 1371 ერთეული. 1926 წელს უნივერსიტეტმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთელი ფონდი ჩაიბარა. ფონდში იყო ილია ჭავჭავაძისა და სხვა ცნობილ მოღვაწეთა პირადი ბიბლიოთეკების წიგნებიც. 1937 წელს ამ ძვირფასი ფონდის დიდი ნაწილი გადაეცა საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკას.

იმავე წლის აგვისტოში უნივერსიტეტს გადაეცა ყოფილი კავკასიის

სამხედრო შტაბის ბიბლიოთეკის ნაწილი. პროფ. აკაკი შანიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ბიბლიოთეკამ მიიღო ყოფილი კავკასიის საცენზურო კომიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. აქ დაცული იყო მეტად საინტერესო წიგნები და გაზეთების კომპლექტები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. აკაკი შანიძე ამ ფონდზე დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი არ გაუმართლდა. ბიბლიოთეკა გაძარცვული აღმოჩნდა, აღარ იყო ის წიგნები, რომლებსაც მოელოდნენ.

1920 წელს დიდი რაოდენობის წიგნები იქნა მიღებული „კავკასიის მედიკური საზოგადოებიდან“.

ქუთაისის I ვაჟთა კლასიკური გიმნაზიიდან შემოვიდა ფილოლოგიის დარგის 328 წიგნი. იგი ქუთაისიდან გადმოიტანა სიმონ ყაუხჩიშვილმა.

ამიერკავკასიის უნივერსიტეტის გაუქმების შემდეგ, ქალაქის თვითმმართველობამ მისი ბიბლიოთეკა — 13550 ერთეული მთლიანად გადასცა თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

1920 წ. 30 მარტს შემოვიდა დამფუძნებელი კრების წიგნსაცავის მიერ გადმოცემული 298 წიგნი, რომელიც ეკუთვნოდა ყოფილი კავკასიის სამხედრო შტაბის წიგნსაცავს.

აღსანიშნავია, რომ კერძო პირთა შემოწირულებიდან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პირველმა დაიდო ბინა ცნობილი ქართველი მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის, ქიმიურ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, დავით სარაჯიშვილის წიგნებმა. მისი ანდერძის თანახმად, 2309 წიგნი, ძვირფასი კარადებით, ბიბლიოთეკას გადასცა მისმა ცოლისძმამ — ადამ ფორაქიშვილმა. აქ უპირატესად წარმოდგენილია ეკონომიკისა და ისტორიის დარგები, მრავლადაა მხატვრული ლიტერატურა ქართულ და უცხო ენებზე.

იმავე წელს ქართული კულტურის დიდმა მოამაგემ ლუარსაბ ბოცვაძემ ბიბლიოთეკას შესწირა თავისი რედაქტორობით გამოცემული ყურნალ „განათლების“ 1910, 1911, 1912, 1914, 1917 წლების ყველა ნომერი ორ-ორ ცალად, წიგნები — „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“ და „სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება“.

აქვე დაიდო ბინა უნივერსიტეტის პროექტის ავტორის, ხუროთმოძღვრისა და მოქანდაკის სიმონ კლდიაშვილისა და მისი ძმის, აღექსანდრო კლდიაშვილის კოლექციებმა. თსუ-ს ბიბლიოთეკას წიგნები შესწირეს: ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ზდანევიჩმა (მაიაშვილმა), გენერალმა ვასილ გაბაშვილმა, საზოგა-





დო მოღვაწემ და პუბლიცისტმა ალექსანდრე ჯაბადარმა, მარიამ-გან-  
ტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანმა, დეკანოზმა ვასილ კარბელა-  
შვილმა, ისტორიკოს თედო ყორდანისა ვაჟმა გიორგი ყორდანამ, და-  
ვით ზაქარიას ძე მელიქიშვილის მეუღლემ რუსუდან მელიქიშვილმა,  
კიტა აბაშიძის მეუღლემ თეკლე აბაშიძემ, აგრეთვე ერობის კავშირის  
მოსამსახურეებმა.

1919 წელს ივანე ბერიტაშვილმა გამდიდრა ბიბლიოთეკა 101  
წიგნით, რომელთაგან აღსანიშნავია ლექსიკონები ინგლისურ და  
ფრანგულ ენებზე. გარდა ამისა, ბატონი ივანე მივლინებულ იქნა  
ქ. ოდესაში, სადაც ბიბლიოთეკისათვის შემოწირული თანხებით შეი-  
ძინა ბოტანიკოს იაკობ მედვედევის, იურისტ ლამბაროვის, ქრ. როლო-  
ვის, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და მისი ძმის დავით ყიფშიძის ბიბლი-  
ოთეკები.

იმავე წელს ბიბლიოთეკას რამდენიმე ათეული წიგნი გადასცეს  
შიხეილ ჩოჩიამ, დ. გაბრუაშვილმა, საქართველოს ელჩმა გერმანიაში  
ვლადიმერ ახმეტელაშვილმა, ვასილ გორდელაძემ. ბიბლიოთეკას გა-  
დაეცა აგრეთვე თსუ-ს მიერ გერმანიაში საპროფესოროდ მოსამზა-  
დებლად გაგზავნილი და ადრე გარდაცვლილი ნიჭიერი ახალგაზრ-  
დის — სევერიან ბუაძის წიგნები.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წიგნებს იძენდა კერძო პირებისა და  
დაწესებულებებისაგან.

1920 წელს საქართველოს მისიამ იტალიაში შეიძინა წიგნები უცხო  
ენებზე, რომელიც ბიბლიოთეკას გადასცა მიხაკო წერეთელმა. ძალიან  
ბევრი იყო ერთეული შემოწირულებანი. აკად. კ. კეკელიძე იგონებდა:  
„წიგნსაცავის გამდიდრებაში კერძო პირები და სხვადასხვა დაწესებუ-  
ლებები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენო, სწირავდნენ, როგორც  
კოლექციებს, აგრეთვე წვრილ-წვრილად, წიგნები შემოჰქონდათ რკი-  
ნიგზით, ურმით და რითაც კი მოეხერხებოდათ.“

1921 წელს შემოსული კოლექციებიდან აღსანიშნავია საქართვე-  
ლოს სამხატვრო გალერეის მიერ გადმოცემული წიგნები — 2615 ერ-  
თეული. აქ რუსულ და ევროპულ ენებზე გამოცემული ფილოლოგიის,  
ისტორიის და ხელოვნების დარგის ლიტერატურა. აღსანიშნავია აგრეთვე  
დავით გარეჯის მონასტრიდან შემოწირული 560 ტომი ძველი  
ქართული წიგნი, რომელიც გარეჯიდან ჩამოიტანა პროფ. გიორგი ჩუ-  
ბინაშვილმა. მათ შორის იყო: 1717 წელს ვახტანგ VI-ის სტამბაში და-  
ბეჭდილი „ლოცვანი“, 1744 წელს ზაქარის მიერ გამოცემული „წიგნი  
იოანე დამასკელისა“, მრავალადაა თბილისის, ქუთაისისა და მოსკოვის

სტამბებში გამოცემული სასულიერო წიგნები: ზატიკი, პარაკლიტონი, სახარება, მარხვანი, კურთხევანი და სხვა.

ამავე წელს მიღებული იქნა წიგნები პოლიტგანიდან, განათლების სახალხო კომისარიატის ცენტროსადგურიდან, საჯარო ბიბლიოთეკიდან, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატიდან, წითელი ჯვრის საზოგადოებიდან, აბასთუმნის საკურორტო სამმართველოდან, საქართველოს მთავრობის სტამბიდან — სულ 2033 ერთეული.

ბორჯომში ლიკანის სასახლეში მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ დიდ მთავრებს — მიხეილ ნიკოლოზის ძე და ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვებს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ეს ბიბლიოთეკა გაფანტულა. ჯერ კიდევ 1921 წელს დ. თედეშვილს შეუგროვებია წიგნების ნაწილი და პროფ. პეტრე მელიქიშვილის საშუალებით გადაუცია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის, ხოლო 1922 წელს, განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებით, ამ სასახლეში გადარჩენილი წიგნებიც გადაეცა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. ნაწილი კი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიერ სამუზეუმო ქონებასთან ერთად 1921 წელს საფრანგეთში იქნა გატანილი, მხოლოდ 1935 წელს დაიბრუნა საქართველომ და გადმოეცა ბიბლიოთეკას. ამ წიგნების იშვიათობაზე მეტყველებს ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვები: „თავის დროზე რის ვაი-ვაგლახით გადარჩენილი ბიბლიოთეკა, რომელშიდაც შესანიშნავი წიგნები და ალბომები იყო თავმოყრილი, განსაკუთრებით ნაპოლეონის ხანა ჰქონდა დიდ მთავარს ისე კარგად წარმოდგენილი იმ თავის ბიბლიოთეკაში, რომ ევროპის ყოველ უნივერსიტეტს შეეხარებოდა და, თუ გაეყიდდით, ნახევარ მილიონს მაინც ავიღებდით ულაპარკოდ“.<sup>1</sup>

1922 წელს განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადაეცა პედაგოგიური მუზეუმის ბიბლიოთეკა — 6976 ერთეული — მეცნიერული წიგნებითა და სახელმძღვანელოებით. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა მომარაგების განყოფილებამ კი გადასცა 4124 ერთეული, მათ შორის 3368 წიგნი არაბულ და სპარსულ ენებზე, სამხედრო სამინისტროს სამმართველომ — 2810 ერთეული ძველი რუსული სამედიცინო წიგნები.

1923 წლის 23 იანვარს ურბნისის საეპარქიო კანცელარიის გამგინ მაგიერი, დეკანოზი ბენედიქტე კონტრიძე, უნივერსიტეტის რექტორს

<sup>1</sup> ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაწერები. ტ. I, გვ. 400.

წერილით აუწყებდა: „ქვათახევის მონასტერში წიგნსაცავია, რომელიც მოუპოვებია ცნობილ საზოგადო მოღვაწეს არქიმანდრიტ ტარასის. წიგნები არიან რუსულ, ფრანგულ და ქართულ ენებზე დაახლოებით ორი შკაფი სავსე. თუ უნივერსიტეტი ამ წიგნებს გადმოიტანს უნივერსიტეტის საცავში შესანახად, მე ამაზე წინდაწინვე თანხმობას ვაცხადებ, მხოლოდ იმ შკაფებზე, რომლებშიდაც ეს წიგნები იქნება შენახული, წაეწეროს არქიმანდრიტი ტარასის სახელი“<sup>1</sup>.

ეს წერილი უნივერსიტეტის რექტორს ბრძანების დართვით გადაუცია ბიბლიოთეკის გამგის გრიგოლ წერეთლისათვის. რექტორის ბრძანების თანახმად, ეს კოლექცია — 725 ერთეული ლეონ მელიქსეთბეგსა და ვარლამ თოფურიას გადმოუტანიათ ქვათახევიდან. მათ შორის ბევრია იშვიათი ქართული წიგნები: „კონდაკი“ (ნუსხახუცური), იოანე დამასკელის თხზულებანი (მხედრული), „პარაკლიტონი“, „ქვათახევის მონასტრის ყმათა სია“, „საქართველოს სიძველენი“, თეიმურაზ ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“, ჟურნალები: „მწყემსი“, „ცისკარი“, „ივერია“, „კვალი“ და სხვა.

1923 წლის ნოემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმმა (დირექტორი მოსე ჯანაშვილი) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცა მეტად საჭირო ძვირფასი კოლექცია — 1419 ერთეული, მათ შორის აღსანიშნავია: ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ (1712 წ.) და „ლოცვანი“ (1717 წ.).

1924-1925 წლებში სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მრავალი წიგნი შემოვიდა ბიბლიოთეკაში. მათ შორის: თბილისის მე-2 შრომის სკოლიდან (ყოფილი მე-2 ვაჟთა გიმნაზია) — 5495 ერთეული, პირველი საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლიდან (ყოფილი 1-ლი კლასიკური გიმნაზია) — 3269 ერთეული, საქართველოს პროფკავშირის ბიბლიოთეკიდან — 1342 ერთეული; სხვადასხვა რაოდენობის წიგნები შემოვიდა მე-12 ტექნიკუმიდან (ყოფილი ქალთა მე-2 გიმნაზია), ცენტრალური სავაჭრო სამმართველოდან, ყოფილი კომერციული სასწავლებლიდან, აჭარის განათლების სახალხო კომისარიატისგან, იუსტიციის სახალხო კომისარიატისგან, საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებისაგან და ა. შ.

1926 წლის თებერვალში ლენინგრადის „ჩრდილოეთის ზასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან“ უნივერსიტეტმა მიიღო 8337 წიგნი

<sup>1</sup> ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1919—1929, ტფ., 1928.

და ჟურნალი. კოლექციების დიდი ნაწილი შეადგენდა ძველი რუსეთის ერობებისა და საზოგადოების ჟურნალებსა და ანგარიშებს სატყეო, მემინდვრობის, აგრონომიისა და მეხილეობის დარგში. საყურადღებოა საზოგადოება „ЧЕМО“-ს ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საზოგადოების შემოწირულება — 2880 ერთეული უცხო ენათა კურსების მიერ შემოწირულია 1260 წიგნი.

1927-28 წლებში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ, გადაეცა ამ ინსტიტუტის წიგნადი ფონდი „ელხი“-ს ფონდის სახელწოდებით.

სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის დეკანის ა. ერქომაიშვილის თაოსნობით საშინაო ვაჭრობის კომიტეტთან არსებულ სამრეწველო-ეკონომიკური განათლების დამხმარე კომიტეტმა უნივერსიტეტისათვის შეიძინა ლიკვიდაციამწილი „ცეკავშირის“ ბიბლიოთეკა — 2413 ერთეული.

ამავე წლებში წიგნების შეძენა წარმოებდა კერძო პირებისა და დაწესებულებებისაგან.

1923 წელს უნივერსიტეტმა საეკლესიო მუზეუმისაგან შეიძინა 1182 წიგნი, 1925 წელს — პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგები, 1926 წელს — ი. ბაქრაძის კოლექცია; აკად. კ. ტურაევის ისტორიული ხასიათის წიგნები ლენინგრადიდან ჩამოიტანა პროფ. გრიგოლ წერეთელმა. 1927 წელს შეძენილი იყო წიგნები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან, მალაზია „ცოდნიდან“ და საქართველოს ცენტრალური რკინიგზის საწყობიდან. ბიბლიოთეკას სწირავდნენ ფულად სახსრებსაც. უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ფილიპე გოგიჩაიშვილი მივლინებულ იქნა საზღვარგარეთ, სადაც შემოწირული თანხებით შეიძინა ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის იშვიათი კოლექციები.

1921-28 წლებში კერძო პირთაგან, რონლებსაც უნივერსიტეტისათვის წიგნები შემოუწირავთ, განსაკუთრებით აღსანიშნავია კიევის ქართველთა კოლონია, რომლებმაც შეიძინეს პროფ. მ. გრიუნის ძვირფასი სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ეს წიგნები სამოქალაქო ომის დროს კიევიდან ჩამოუტანია ნიკოლოზ ჭეიშვილს. მადლობის წერილი გამოუგზავნა რექტორმა ამ კოლონიის კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, გაბრიელ ანტონის-ძე მოლაშხიას. საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია სია იმ პირებისა, ვინც თავისი წვლილი გაიღო უნივერსიტეტის სტუდენტთა სასარგებლოდ. სულ ამ სიაში ჩამოთვლილია 54 კაცი. ამავე წელსაა შემოწირული მოსკოვის ქართველთა საზოგადოე-



ბის წევრების მიერ 994 ტომი, თბილისის მაზრის რევეკომის თავმჯდომარის ს. მეგრელიშვილის მიერ — 63 სამეცნიერო ხასიათის წიგნი ფრანგულ ენაზე.

1923 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელმა თამარ აბაშიძემ ბიბლიოთეკას გადასცა ძველი ნაბეჭდი წიგნები ქართულ და ფრანგულ ენებზე. მათ შორის: „წიგნი საღმრთოსა მსახურებისა“ (ტფილისი, 1783 წ.), „ლოცვანი შუალამისა“ (მოსკოვი, 1768 წ.), „ჟამნი“ (ქუთაისი, 1808 წ.), მეფე გიორგი XIII ძის, თეიმურაზის მიერ სარგმნილი „პარაკლიტონი, რომელიც არის სავედრებელი“ (ტფილისი, 1772 წ.) და სხვა.

ბიბლიოთეკამ მიიღო თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ყოფილი დირექტორის ი. ლულაძის მემკვიდრეობიდან 92 წიგნი. იმავე წელს ურეკლე ტატიშვილმა შემოსწირა რამოდენიმე წიგნი ინგლისურ ენაზე.

1924 წელს შემოვიდა განსვენებულ ნ. ჯავახიშვილის 550 წიგნისაგან შემდგარი მედიკური ბიბლიოთეკა და ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორის ცნობილი ეგვიპტოლოგის ბ. ტურაევის ქვრივის შემოწირულება — 100 წიგნი.

1925 წელს შემოვიდა ევგენი გამრეკელის მიერ შემოწირული წიგნები, 1926 წელს — ექ. თარხან-მოურავის სამედიცინო ხასიათის კოლექცია, 1927 წელს განსვენებული ამბროსი კათალიკოსის შვილებმა უნივერსიტეტს შესწირეს მამის კოლექცია, ამავე წელს შემოწირულ იქნა პროფ. ი. ბებუთაშვილის და პროფ. შ. პოლიევქტოვის კოლექციები.

1927-28 წლებში მრავალი საინტერესო კოლექცია და ცალკეული წიგნი შემოვიდა ბიბლიოთეკაში. მათ შორის აღსანიშნავია ოლივერ ჟორდროპის მიერ შემოწირული წიგნები, რომელიც ინგლისიდან ჩამოიტანა ბიზანტიოლოგმა რობერტ ბლეიკმა. აქ არის: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, ილია ჭავჭავაძის „განდგილი“ ინგლისურ ენაზე (მთარგმნელი მარჯორი ჟორდროპი), ალ. ცაგარელის „ქართულ წიგნთა კატალოგი“, 1771 წელს გამოცემული იოჰან ანტიონ გულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ შემოსწირა ექიმმა ბესარიონ ოქროპირიძემ, 1743 წელს მოსკოვში გამოცემული „დაბადება“ — კ. მოზდოკელმა. იმავე წლებში შემოსწირეს თსუ-ს ბიბლიოთეკას წიგნები ალ. ჯავახიშვილმა, ივ. ბერიტაშვილმა, შ. ნუცუბიძემ, ალ. კალატოზიშვილმა, გ. თუმანიშვილმა, ექიმ ნ. ჯავახიშვილის მემ-





კვირებში. მიუნხენის უნივერსიტეტიდან ქართველებმა გამოგზავნეს 103 წიგნი, გარდა ამისა ბიბლიოთეკამ მიიღო წიგნები საფრანგეთის საელჩოს წევრებისაგან, გერმანიის საელჩოსაგან, გერმანიის მეცნიერული საზოგადოებისაგან და ა. შ.

თავისი შინაარსით მრავალფეროვანი იყო გიორგი ჩუბინაშვილის შემოწირულობა. მათ შორის აღსანიშნავია მისივე ნაშრომი — „ქართული საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში“ (1923 წ.) ქობულეთში მცხოვრებმა მოხუცმა ქალმა ვ. სამოილოვიჩმა და გორელი ექიმის მ. ვაშაკიძის ოჯახმა შემოსწირეს სამედიცინო ხასიათის კოლექციები.

მოსკოვში საქართველოს წარმომადგენლობის შენობაში თავმოყრილი ყოფილა ბევრი წიგნი, მათ შორის ალექსანდრე ცაგარელის ბიბლიოთეკა. წარმომადგენლობის მუშაკს — დამიანე ჯგუშის მოუხერხებია ამ წიგნების თბილისში ჩამოტანა. ალ. ცაგარელის თანხმობით 1675 წიგნი გადაუცია ბიბლიოთეკისათვის. ეს წიგნები ამჟამად ცალკე კოლექციადაა დაცული.

წიგნების ერთეულ შემოწირულობებში დიდი წვლილი მიუძღვით პროფ. კორნელი კეკელიძეს, გიორგი ახვლედიანს, გრიგოლ წერეთელს, გრიგოლ ნათაძეს, მოსე ჯანაშვილს, ნიკო მესხიშვილს, ლ. ჰოფმანს, სერგი დანელიას, ანდრია რაზმაძეს და სხვა.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრებაში მონაწილეობდნენ ცალკეული მოქალაქეებიც. 1929 წელს მოქალაქე ნ. ცაბაძე უნივერსიტეტის რექტორს სწერდა:

„ბატონო პროფესორო!

ერთმა ვეჭილმა, სახელდობრ ივანე გოგიტიძემ, იპოვა შემთხვევით შეკინძული ძველი ხლნაწერი<sup>1</sup>ა ქუჩაში ხილეულობის დამტარებლის ხელში, რომელსაც, როგორც ჩანს, ხილის გასაყიდ ქალაქად უნდოდა: შინაარსი ყდაზე აღწერილია: „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა — „კალიგრაფიული ალბომი“, დამატება „საქართველოს სიძველენი“, ტ. II. რვეული I. გუჯარი მეფის ბაგრატ IV-ის 1027—1072 წ., სიგელი მეფის დავით IV-ის. 1266—1268 წ. თბილისი, 1909 წ. ამგვარად აწერია ყდაზე რუსულად და ფრანგულად.“<sup>1</sup>

ჯერ კიდევ ადრე, ბიბლიოთეკის დაარსებიდან ჩაეყარა საფუძველი ერთ კარგ ტრადიციას, რომელიც დღესაც გრძელდება: უნივერსიტე-

<sup>1</sup>სსსიპ ფ. 471/47, 471/8.



ტის პროფესორ-მასწავლებლები შრომების თითო ცალს, წარმოადგინა უძღვნიან ბიბლიოთეკას.

1928 წელს უნივერსიტეტისა და მისი პირმშოს — უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დაარსების 10 წლისთავისათვის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენდა 205875 ერთეულს. აქედან 151 ათასი ტომი წიგნი და პერიოდული გამოცემა შემოსულია დაწესებულებებისაგან. ცალკეული პირებისაგან შემოწირულია 29 ათასი წიგნი და პერიოდული გამოცემა, გაცვლის წესით მიღებულია ორი ათასი წიგნი და პერიოდული გამოცემა, შესყიდულია 56 760 ტომი და სხვა.

ამ პერიოდიდან ბიბლიოთეკაში დიდი კოლექციების შემოსვლა შენედა. შემოდინდა მხოლოდ ერთეული შემოწირულებანი და სავალდებულო უფასო ეგზემპლარები.

1933 წელს ბიბლიოთეკას გადაეცა გაუქმებული პედაგოგიური, საფინანსო; ეკონომიური და სამართლის ინსტიტუტის წიგნადი ფონდები. ამ ფონდების ბაზაზე შეიქმნა სტუდენტთა ბიბლიოთეკა.

1935 წელს ბიბლიოთეკამ ჩაიბარა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მდიდარი ფონდი, რომელიც შეადგენს დაახლოებით 20691 ერთეულს. აქედან 8679 ქართულ, 12012 რუსულ ენებზე. ეს ფონდი ადრე ისტორიის ფაკულტეტს ეკუთვნოდა. მის გამდიდრებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის წიგნის დიდ ქომავსა და მცოდნეს ქრისტინე შარაშიძეს. აქ სხვა საინტერესო წიგნებთან ერთად დაცულია ექვთიმე თაყაიშვილის პირადი ბიბლიოთეკა, ზ. ჭიჭინაძისა და დ. გორგიძის მუშაობით მიერ შემოწირული წიგნები, კირიონ ეპისკოპოსის ბიბლიოთეკა 1647 ერთეული, გიორგი თუმანიშვილისეული წიგნები, ალ. ყიფშიძის მემკვიდრეობა. მათ შორის, იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“, „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ სამეგრელოს რუკით, „ვეფხისტყაოსანი“ (1712 წ.), კონსტანტინე და დიმიტრი ყიფიანების და მიქელ თამარაშვილის ბიბლიოთეკები და სხვა.

1938 წელს უნივერსიტეტის წიგნსაცავს შეემატა ანტონ ფურცელაძის ბიბლიოთეკა, 1939 წელს სამხედრო კათედრამ თსუ-ს ბიბლიოთეკას გადასცა 3102 წიგნი, 1941-42 წლებში შესყიდულ იქნა პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკას წიგნები შესწირეს: პროფესორებმა არჩილ ფანცხავამ, გივი გაჩეჩილაძემ, გ. ყავრიშვილმა, ამასთანავე ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა შეაგროვეს 754 წიგნი და გადასცეს უნივერსიტეტის წიგნსაცავს.



1949-50 წლებში ბიბლიოთეკას გადაეცა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ფილიპე გოგიჩაიშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა.

იმეამინდელი ხელისუფლების დადგენილებით ბიბლიოთეკამ მიიღო რუსთავეის სამხედრო ტყვეთა ბანაკის ბიბლიოთეკა — 130101 ერთეული, ძირითადად მხატვრული ლიტერატურა გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

1951 წელს შექმნილ იქნა ექიმ დ. ბეგთაბეგოვის მდიდარი სამედიცინო ლიტერატურის კოლექცია — 1827 ერთეული.

1953 წელს თსუ-ს ბიბლიოთეკას წიგნები საჩუქრად გამოუგზავნეს რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიამ და საბჭოთა საელჩომ.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განსაკუთრებით გამდიდრდა 1958-68 წლებში.

რექტორის ილია ვეკუას უშუალო ინიციატივითა და საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დახმარებით ნ. რუმინანცევის სახელობის (ყოფილი ვ. ი. ლენინის სახელობის) რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკის გაცვლის ფონდიდან ბიბლიოთეკამ მიიღო დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა — 118.624 ერთეული, მათ შორის ბევრია წიგნები ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

1958 წლიდან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ღებულობდა მეტად საინტერესო, უნივერსიტეტის პროფილის შესაფერის მეცნიერულ ლიტერატურას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ცენტრალური გამომცემლობა „ანტიკვარიტედან“ 1958-1962 წლებში მიღებულია 1025 წიგნი, ძირითადად ლექსიკონები.

1959-1960 წლებში მიღებულია ლიტერატურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან: სხდომების ოქმები, მოხსენებათა თეზისები და სხვა, სულ 205 ერთეული.

1959 წელს მიღებულია სსრკავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ გამოგზავნილი 152 წიგნი. ამავე წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მიიღო ჩეხოსლოვაკიის საელჩოდან ჩეხოსლოვაკიის აკადემიის მიერ გამოცემული მეცნიერული ხასიათის წიგნი. 1961 წელს მიღებულია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობიდან 1249 წიგნი. ამავე წელს შემოვიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტიდან ბიოლოგებისა და ფიზიოლოგებისათვის მეტად საინტერესო და საჭირო 685 წიგნი. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან მიღებული

კოლექცია (150 წიგნი) შეიცავს სომხურ ენებზე თარგმნილ ქართველ მეცნიერთა შრომებს.

1960 წელს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტიდან მიღებულია პედაგოგიური ხასიათის საინტერესო კოლექცია — 6516 ერთეული.

1959 წლის დეკემბერში სოხუმის ერთ-ერთი სამხედრო ობიექტის განყოფილება „გ“-დან ჩამოტანილ იქნა 6735 წიგნი, განყოფილება „ა“-დან კი — 6066 წიგნი. ამ კოლექციაში ფართოდ არის წარმოდგენილი მეცნიერული ლიტერატურა ფიზიკა-მათემატიკის დარგში და მხატვრული ლიტერატურა გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ამ კოლექციიდან თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტს გადაეცა 5415 წიგნი.

1962 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტიდან ბიბლიოთეკამ მიიღო 171 ეგზემპლარი ფილოსოფიური ხასიათის წიგნი. ამავე წელს თსუ-ს გამომცემლობამ ბიბლიოთეკას გადასცა 500 წიგნი — უმათავრესად უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შრომები. საქ. კვ. ცკ-ის პარტსკოლის ლიკვიდაციის შემდეგ ბიბლიოთეკას გადაეცა 33212 წიგნი.

1962-66 წლებში შემოწირული კერძო კოლექციებიდან აღსანიშნავია 4 კოლექცია.

1962 წელს პროფესორმა ნიკო ქოიავამ, რომელიც ამ დროს უნივერსიტეტის პრორექტორად მუშაობდა საღამოს დასწრეებულ და დაუსწრეებელი სწავლების დარგში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას შესწირა თავისი ბიბლიოთეკის ნაწილი, მეტად ძვირფასი კოლექცია — 465 წიგნი უცხო ენებზე. კოლექცია შეიცავს ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერთა შრომებსა და სახელმძღვანელოებს, მათ შორისაა, თვით ნ. ქოიავას შრომები.

იმავე წელს, პროფ. სერგი დანელიას გარდაცვალების შემდეგ, მისმა ოჯახმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას შესწირა ბიბლიოთეკის ნაწილი — 1041 წიგნი.

1965 წელს, პროფესორ ალექსანდრე ფირცხალაიშვილის გარდაცვალების შემდეგ, განსვენებულის დისწულმა, ანდერძის თანახმად, ბიბლიოთეკას შესწირა 3173 წიგნი.

1966 წელს, უნივერსიტეტის პროფესორის ალექსანდრე ვაჩიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მეუღლემ მარიამ ამილახვარმა ბიბლიოთეკას შესწირა იურიდიული ხასიათის ლიტერატურა 1845 ერთეული.

ბიბლიოთეკა მდიდრდებოდა აგრეთვე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კოლექციების შესყიდვით. მაგალითად: 1965 წელს უნივერსი-

ტეტმა შეისყიდა ცნობილი არმენოლოგის, პროფესორ ლეონ მელიქ-სეთ-ბეგის ბიბლიოთეკა — 3269 ერთეული. ამას გარდა, მისმა ოჯახმა საჩუქრად გადასცა ბიბლიოთეკას 200 წიგნი. 1966 წელს შეძენილ იქნა იურისტ ი. პავლიაშვილის იურიდიული ხასიათის მდიდარი ბიბლიო-თეკა — 1589 ერთეული.

ჯანსაყუთრებით უხვი იყო ერთეული შემოწირულებანი. ბიბლიო-თეკის მოამაგეთაგან უნდა აღინიშნოს: გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შანიძე, დიმიტრი მგელაძე, ვიქტორ კუბრაძე, სერგი ჯიქია, მიხეილ ჩიქოვანი, ივანე სურგულაძე, სოლომონ ხუციშვილი, ევ-გენი ხარაძე, არჩილ ხარაძე, ვიქტორ კოკოჩაშვილი, ილია გვერდწი-თელი, შოთა ძიძიგური, სერგი ბერაძე, პაატა გუგუშვილი; იოსებ ბოცვაძე და სხვები.

1968 წლისათვის, ბიბლიოთეკის 50 წლისთავზე მისი ფონდი შეად-გენდა 2.355.497 ერთეულს.

1968 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით საჩუქრად შემოვიდა წიგნები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და კერძო პირებისაგან. ბიბლიოთეკა მრავალი საინტერესო კოლექციებით გამდიდრდა 1968-88 წლებშიც.

1969 წელს, პროფ. ნინო ციციშვილის გარდაცვალების შემდეგ, მი-სი ანდერძის თანახმად, ბიბლიოთეკას გადაეცა 355 წიგნი.

1976 წელს შემოვიდა ცნობილი გეოფიზიკოსის, პროფესორ მიხე-ილ ნოდის კოლექცია თავისი კარადებით. კოლექციაში დაცულია 875 წიგნი გეოფიზიკის სპეციალობიდან. მათ შორის ბევრია უნიკალური წიგნები. აღნიშნული კოლექცია დაცულია მისივე სახელობის კაბი-ნეტში.

პროფ. ვაბრიელ მეგრელიშვილმა ჯერ კიდევ 1973 წელს გადასცა ბიბლიოთეკას 300 წიგნი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ 9.980 წიგნი და უტურნალი შემოსწირა მისმა ოჯახმა.

აკად. აკაკი შანიძე არ ივიწყებდა მის საყვარელ ბიბლიოთეკას და დროდადრო მრავალი საინტერესო წიგნებით ამდიდრებდა მას. 1977 წელს კი ერთბაშად გადასცა ათასამდე წიგნი, უმთავრესად ფილოლო-გიური ხასიათისა.

1978 წელს ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორმა, იუნესკოს თა-ნამშრომელმა პროფ. ზურაბ გელეყვამ უნივერსიტეტს საჩუქრად გა-დასცა უცხოური ლიტერატურის ძვირფასი კოლექცია.

ამ წლებში წიგნებით გაამდიდრეს ბიბლიოთეკა პროფ. სერგი ბე-რაძემ, პროფ. ილია გვერდწითელმა, 1.500 წიგნი შემოსწირა ბიბლიო-





თეკას თ. ცომიაიმ, აღსანიშნავია ვ. მეტრეველის, პროფ. ლ. ალექსიძის, გ. სიღამონიძის, ლ. გამსახურდიას და სხვათა შემოწირულობანი.

1980 წელს პროფ. იოსებ ქურდიანის მეუღლემ, ეთერ ქურდიანმა, ბიბლიოთეკას შემოსწირა მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის დარგის 900 წიგნი.

გრძლდება შემოწირულებათა გამოგზავნა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. ინგლისიდან პროფ. ბერდსოლმა ბიბლიოთეკას გადასცა 1850 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტში მარჯორი უორდროპის მიერ გამოცემული „ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“, ინგლისში მცხოვრებმა ქართველმა თამარ დრაგაძემ — ეთნოგრაფიული ხასიათის 60 ერთეული; დამასკოში (სირია) მცხოვრებმა ქართველმა ლევან სალარაძემ — „არაბული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ათტომეული, „არაბული მუსიკის ტრაქტატის“ ორტომეული, „არაბული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომი; ჩეხოსლოვაკიელმა პროფ. შიროსლავ ციარომ — „იან ამოს კომენსკი“ (ორტომეული); ვარშავიდან — დოქტორმა იან ბრაუნმა — მისი რედაქციითვე გამოცემული შრომების კრებული „მესოპოტამია“, თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილმა, პრადის კარლოვის უნივერსიტეტის პროფესორმა მიკოლა ზატოვკანოვმა და ჰაინც ფენ-ზიხმა საკუთარი შრომები ენათმცოდნეობაში და სხვ.

1988 წელს მოსკოვში მცხოვრებმა ბერძენმა იანის ნიკოლოპოლუსმა დოც. ავთანდილ მიქაბერიძის ხელით ბიბლიოთეკას საჩუქრად გამოუგზავნა „დიდი ბერძნული ენციკლოპედიის“ 28 ტომი, რომელიც ამჟამად დატულია ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიაში ამ ლაბორატორიის გამგის, პროფ. რისმაგ გორდენიანის ხელმძღვანელობით შექმნილ იქნა კიევის უნივერსიტეტის პროფესორის ანდრია ბელეცკის მდიდარი ბიბლიოთეკა — 7667 ერთეული, უმთავრესად ნეოილინისტიკისა და კლასიკური ფილოლოგიის დარგის ლიტერატურა. ცალკეულ იშვიათობათაგან შეიძლება დავასახელოთ „ბერძნული წიგნის კრებული“ — 137 ტომი და „ლათინური წიგნების კრებული“ — 139 ტომი.

თაობათა ზრუნვამ წიგნსაცავის გამდიდრებისათვის შესაშური ნაყოფი გამოიღო. დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკათა შორის ერთ-ერთ უდიდეს წიგნსაცავს წარმოადგენს თავისი იშვიათი წიგნადი და პერიოდულ გამოცემათა ფონდებით. ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია ძვირფასი საცნობარო ლიტერატურით, ენციკლოპედიებით, ენობრივი და განმარტებითი ლექსიკონებით, ბიბლიოგრაფიული



და საინფორმაციო ხასიათის პერიოდული გამოცემებით მშობლიურ და უცხო ენებზე. მას აგრეთვე გააჩნია მდიდარი სამუშაო ბაზა თემატური და დარგობრივი კართოტეკების სახით, რომელთა საშუალებით მკითხველს შეუძლია ნებისმიერ შეკითხვაზე მიიღოს ამომწურავი პირი ან წერილობითი ცნობა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. შ. აფაქიძე, წიგნის საგანძური. გაზ. „სამშობლო“, 1975, VIII, № 17, გვ. 2.
2. გ. ბაქრაძე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (მოკლე ანგარიში). წიგნი: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტფ., 1928, გვ. 272—298.
3. ა. კასრაძე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. თბ., 1918-1960 წწ. წიგნში: საბჭოთა საქართველოს 40 წელი. თბ., 1961, გვ. 449-497.
4. ს. ხუციშვილი, ჩვენი ბიბლიოთეკის წიაღიდან, თბ., უნივერსიტეტი, 1973. 30/X. № 38, გვ. 4.
5. ა. შანიძე, ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ისტორიიდან. ახ. სტალინელი, 1958. 18/III, № 8, გვ. 4.
6. საქართველოს ცენტრალური არქივის მასალები.

## შინაარსი

### წიგნი და ცხოვრება

✓ მერი გუგუშვილი, დიდი პოეტის შთავონება . . . . .	5
მერაბ ჭაბუჩია, მარადი მყოფადი . . . . .	15
ნოდარ ტაშიძე, პირველი ქართული ჟურნალი . . . . .	27
გიორგი ჭავჭავაძე, გიორგი ლეონიძის ნაფიქრი წიგნზე . . . . .	48

### ძიებანი

✓ ლევან მენაბდე, შოთა რუსთაველის ძველი პორტრეტები . . . . .	59
კორნელი დანელია, „წიგნობარი“ სიტყვის ისტორიისათვის . . . . .	68
გივი მიქაძე, ფსევდონიმები და სახეები . . . . .	74

### ღრო და აღამიანები

გრიგოლ რობაქიძის ზოგიერთი წერილი აკაკი პაპავას მიმართ . . . . .	97
--	----

### ყალბით და ფუხვით

ელენე ამირანაშვილი, სახარების ავტორთა პორტრეტები IX—XI საუკუნეების ქართული წიგნის მხატვრობაში ოდიშისა და ალავერდის ოთხთავთა მინიატურების მიხედვით . . . . .	121
---	-----

### მსოფლიოს მერიდიანებზე

ზაირა სტურუა, პეტრო დელა ვალეს მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები „განახლდა ვალე“ . . . . .	145
--	-----

წარსულის ფურცლები



თამაზ ქოლოგუა „სიყვარულმან მამულისამან განმადიდა“ . . . . .	165
იუზა ევგენიძე, ნინო ნაკაშიძე ვაჟა-ფშაველას შესახებ . . . . .	186

ჩვენი იუზილარები

ლალი ავალიანი. პაოლო იაშვილი . . . . .	203
ნუგზარ წერეთელი, დიდი მწერლობისათვის დაბადებულა . . . . .	218
ალექსანდრე გვახარია, სოფიო მარი . . . . .	226

წიგნი... წიგნი... წიგნი...

რუსუდან კახიძე, დიდი მეცნიერის მემკვიდრეობა . . . . .	241
---	-----

ბიბლიოთეკები და ბიბლიოფილები

ანგელინა, რატიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კოლექცია . . . . .	247
--	-----

ლექსები

გალაკტიონ ტაბიძე, მესხის გამოხედვა . . . . .	13
ევწერ ვინმე მესხი მეღუქსე . . . . .	14
*** (არის მკითხველი...) . . . . .	142
გივი ციციშვილი, მოქანდაკე . . . . .	94
ტერენტი ყიფიანი, 26 მაისი . . . . .	115
ლადო ასათიანი, წარწერა წიგნზე . . . . .	118
ანა კალანდაძე, მარიამ დედოფლის ფრესკასთან . . . . .	162
ვაჟა-ფშაველა, დეეების ქორწილი . . . . .	200
პაოლო იაშვილი, ლანდი სიცივეში . . . . .	238

ბიბლიოთეკის მუშაკებმა მისივე მისიონერული მიზნით, დიდი მუშაობის შედეგად, მისივე მისიონერული მიზნით, დიდი მუშაობის შედეგად, მისივე მისიონერული მიზნით, დიდი მუშაობის შედეგად...

ბიბლიოთეკის მუშაკებმა მისივე მისიონერული მიზნით, დიდი მუშაობის შედეგად, მისივე მისიონერული მიზნით, დიდი მუშაობის შედეგად, მისივე მისიონერული მიზნით, დიდი მუშაობის შედეგად...

№ 25/33

221  
222  
223  
224  
225

**ტექრედაქტორი და კორექტორი**  
**შ. კობიაშვილი**

გადაეცა წარმოებას 25.08.94 წ. ხელმოწერილი დასაბეჭდად 27.07.95 წ. გარნტირებული ვენა. ბეჭდვის ხერხი "შალალი". ფორმატი 60x84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,3. ტირაჟი 500. შეეკ. № 199.

© საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა. თბილისი. 1995 წ.



